კვირის პალიტრა

# გზა

N22 (207) 27/V.-2/VI.2004. ფასი 60 თ.



## რა მნიშვნელობა აქვს ალუბლებს

1168
2004

## გაიგებენ თუ არა აფხაზები და ოსები მათ ენაზე ნათქვამს

## თემა — სკოლის მერხთან ჩასახული სიყვარული



საპატარძლო — ანი გიუნტერი ახალი სიყვარულის მოლოდინშია



მერაბ ნინიძე: ოცი წლის რომ ვიყო, ალბათ ასე არ მოვიქცეოდი...

№11(71) 27.V-9.VI 2004

# ოჯახის მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი



თქვენი პატარა: რა იმალება აგრესიის მიღმა

რა იწვევს არითმიას

მხედველობის კორექციის თანამედროვე მეთოდები

მოზარდთა ნარკომანია – XXI საუკუნის ჭირი

მთავარი თემა

## თვალის დაავადებები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№22 (207)
27 მაისი - 2 ივნისი 2004
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ანუ „წინ, წარსულისაკენ!..“ 3

**ერთი კითხვა** 4

**სახელმწიფო**

● აღლუმის დანიშნულება ძალის დემონსტრირებაა 5

● გელა ბეჟუაშვილი: „იმიჯშელახული ქართული არმია აღარ არსებობს!“ – რას გვპირდება თავდაცვის მინისტრი 6

**დეკლარანტები**

ჯიბეგაფხეკილ გუბერნატორს „მამალაძეობაში“ სდებენ ბრალს 8

**სასიძო**

„შენთან ალერსში ღამეს გავათევ...“ 10

**საპატარძლო**

„გამომეხმაუროს ისეთი მამაკაცი, ვისაც ჩემნაირი ქალის გვერდით ყოფნა ძალუძს...“ 11

**კრიმინალი**

● „უდანაშაულო ძმა მომიკლა, თავად კი გარეთ დადის“; დაისჯება თუ არა მკვლელი? – ამის პროგნოზს პროცესის მონაწილეები ვერ აკეთებენ 14

● „ვყაჩაღობდი, რადგან საზღვარგარეთ წასასვლელად ფული მჭირდებოდა“ – განაცხადა განსასჯელმა, რომელსაც სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 16

**ანტიდეპრესანტი**

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18

**კოლეგა**

ანუკა ქინქლაძის პირველი, „მსუბუქი“ ტელეეთერი ხიდების აფეთქებით დაიწყო 18

**თემა**

სკოლის მერხთან ჩასახული სიყვარული 20

**პროექტები**

● „არტ-ბრიჯი“ – საუკეთესო გზა მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრირებისკენ 23

● მარიკა თხელიძე: „ჩემს მსმენელს დიდ სიურპრიზს ვუმზადებ“ 24

**გამოხმაურება**

დედით დაობლებული ბავშვები პატიმარი ბებიის მოლოდინში არიან... 26

**მსახიობი**

მერაბ ნინიძის დიაპაზონი: ებრაელი დევნილიდან – იოსებ სტალინამდე 28

**გზავნილები**

„ღამე, თოვლი, სერენადა... ბექა, მიყვარხარ“ 29

## სკოლის მერხთან ჩასახული სიყვარული



რედაქციაში მოსული წერილებიდან, რამდენიმე ამოვარჩიე... ამბობენ, სკოლის ასაკში ჩასახული სიყვარული მარადიულიაო. ამასვე ამტკიცებენ იმ წერილების ავტორებიც, რომელთა წაკითხვაც უდავოდ გაგიხალისებთ ყოფას.

20

## „გამომეხმაუროს ისეთი მამაკაცი, ვისაც ჩემნაირი ქალის გვერდით ყოფნა ძალუძს...“

„ვერ ვიტყვი, რომ ბოიფრენდი ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ იმდენად ამაყი ვარ, რომ ვერ წარმომიდგენია, ვიყო მამაკაცის გვერდით და ის ისე არ მიყურებდეს, როგორც მე მინდა... ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ოჯახის შექმნის სურვილი ნამდვილად მაქვს.“

11



## მერაბ ნინიძის დიაპაზონი: ებრაელი დევნილიდან – იოსებ სტალინამდე



„საინტერესო შეკითხვაა. მართლა ძნელია, რომ გარკვეული დროით ერთ პარტნიორთან სასიყვარულო როლის თამაში, პირადულში არ გადავიდეს, მაგრამ თუ ადამიანს იუმორი აქვს და ამ ყველაფერს პროფესიონალურად მიუდგება, ეს არ მოხდება. თუმცა გამორიცხული მაინც არაფერია.“

28

## დედით დაობლებული ბავშვები პატიმარი ბებიის მოლოდინში არიან...

ყველაზე მხცოვანი პატიმრის ჯანმრთელობაც ძლიერ შერყეულია. კანონი მისი გათავისუფლების საფუძველს არ იძლევა, მაგრამ იქნებ, ღირდეს, გავიხსენოთ მორალური კოდექსი და პატარა ობლებს ბებიის სითბო და „დედის სუნი“ დავუბრუნოთ...

26



**ბუნება მბრძანებელია**
ახალაღმოჩენილი ლეოპარდი, უკანასკნელი ქურციკი, „ქართველი“ აფთარი და ჩიტი შურთხი 32
**ტაძარი**
რომელი ღვთისმსახურებები აღესრულება ტაძარში? 34
**სიმბოლიკა**
როგორ უნდა წავიკითხოთ სახელმწიფო გერბი? ანუ „სახელმწიფო აცხადებს: მე ვიბრუნებ ჩემს ლეგიტიმურობას...“ 36
**რეკორდსმენი**
შოთა ქელდიშვილი გინესის წიგნს უმიზნებს 38
**„ევრო-2004“**
ახლოვდება დრო, როდესაც სამყარო აღმოაჩენს პორტუგალიას 39
**სპორტული მოზაიკა** 40
**რომანი**
რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42
**ვარსკვლავი**
ანჯელინა ჯოლის 8 საიდუმლო – გამაოგნებელი ქცევით გამორჩეული კეთილი ნების ელჩი 46
**ბომონდი** 47
**ავტო** 49
**მოგზაურის დღიურები**
უფოთიანი გზა ბუფალოდან კოლუმბუსამდე 50
**მოდელიერი**
როგორ ფეხსაცმელს შეუკერავდა თათა ვარდანაშვილი ნინო ბურჯანაძეს 53
**სამოღვლო ბიზნესი**
სამოღვლო ასოციაცია მწვერვალების დაპყრობას ლამობს 54
**შეუცნობელი**
ციფრთმცოდნეობის იდუმალი სამყარო 54
**ჯანმრთელობა**
- სამკურნალო მცენარეები 57
- რატომ ვიღლებით 58
- სამედიცინო მოზაიკა 59
**ჰოროსკოპი**
კვირის (31 მაისი – 6 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
**სკანვორდი** 61
**იუმორი** 62
**ტესტი**
ხართ თუ არა კეთილი? 63
**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

## ანუკა ძინძლაძის პირველი, „მსუბუქი“ ტელეეთერი ხიდების აფეთქებით დაიწყო



„საქართველოს ხმაში“ ხელფასი 50 ლარი მქონდა. მერე „იბერიაში“ გადავედი. იქ 250 ლარი დამინიშნეს. სხვაობა იმდენად დიდი იყო, რომ თავი მდიდარი მეგონა. მერე „მე-9 არხზე“ გადავედი და ხუთი წელი იქ ვიმუშავე. ხშირად მეუბნებიან – რომელ არხზეც კი გიმუშავია, ყველა დაიხურაო...

18

## უფოთიანი გზა ბუფალოდან კოლუმბუსამდე

– ჰოდა, ამიტომაც დაფიქრდი, სანამ დასკვნებს გამოიტანდე. შენ ხომ არ იცი, მე ვინა ვარ?! ჩემს ერს შეურაცხყოფას აყენებ, როგორ გგონია – ეს სასიამოვნოა?!.

ეს ამაყი, ქედმაღალი ისაკი უცბად ისე მოიკუნტა, ლამის შემეცოდა. მეც არანაკლებ აღელვებული გახლდით. თანაც ამხელა ტრაილერის საჭეს ვეჯექი..



50

## ანჯელინა ჯოლის 8 საიდუმლო



თავდაპირველად ყველას სურდა, რომ დარწმუნებულიყო, ნამდვილად ასეთი ნიჭიერი იყო ჰოლივუდის ცნობილი მსახიობის ჯონ ვოიტის ქალიშვილი, თუ მხოლოდ და მხოლოდ სახელგანთქმული მამის დიდების ნაყოფს იმკიდა. ჯოლიმ ყველა გამოცდას გაუძლო...

46

## თავისუფალი თემა

– სხვათა შორის, ჩემო კარგო... – ნიკაპქვეშ ორი თითი ნაზად ამოსდო ირაკლიმ გვანცას და თვალებში გამომცდელად ჩახედა. – იმ ეკლესიაში დღეს, თქვენ გარდა, კიდევ სამი წყვილი იწერს ჯვარს და რა იცი, რომ ერთ-ერთი, მე და ჩემი საცოლე არ ვართ?!.



42

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ანუ „წინ, წარსულისაკენ!..“



26 მაისს ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ადრეც აღვნიშნავდით, უფრო სწორად — ვცდილობდით, საკუთარი სიძლიერის დემონსტრირება თუ არა, იმიტაცია მაინც მოგვეხდინა, მაგრამ ჩვენი ზეიმი უძაღლო ქვეყანაში აყეფებული კატების კნავილს უფრო ჰგავდა, ჩვენი „ვაშა“ — „უი, რაღა ვქნა“-ს, ჩვენი სალუტი კი — დაუგაზავი შამპანურის ბოთლის გახსნას.

ისეთი სამხედრო აღლუმიც მახსოვს, „Детский мир“-იდან ნისიად გამოტანილი სათამაშო ტანკები რომ ჩაატარეს და ქაღალდის თვითმფრინავები რომ გაუშვეს — აქაოდა, ამდენი გრუხუნით ასფალტი და შენობები არ დავაზიანოთო. ჯარისკაცები კი შიმშილისაგან პირდაპირ ტრიბუნასთან ეცემოდნენ.

აი, წლეულს სულ სხვა სურათი გადაგვეშალა თვალწინ, რადგან უკვე სერიოზულად მივდივართ წინ — წარსულისაკენ, როცა ჩვენი ქვეყნის საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული და ჩვენი სიძლიერე შიშის ზარს სცემდა მთელ ევროპასა და აზიას. ამისათვის კი ძლიერი, ენერგიული პრეზიდენტი და თანამედროვე ჯარია საჭირო.

პრეზიდენტი ისეთი ენერგიულია, წინა პრეზიდენტი რომ „გამარჯობა“-ს იტყოდა, იმ დროში ეს 12 სამიტს, 23 მივლინებას, 32 ალა-ფურშეტს და 48 პრესკონფერენციას ასწრებს. ხოლო რაც შეეხება ჯარის სიძლიერეს, მართლა არ მეგონა, ასეთი ჯარი თუ გვყავდა.

ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!.. ასეთი ჯარი XII საუკუნეშიც კი არ გვყოლია. მართალია, რიცხობრივად ვერ შევედრებით, მაგრამ სამაგიეროდ, შეიარაღება გვაქვს უკეთესი — სად ჰქონდათ მაშინ AKM-ები და ტანკები?! განსაკუთრებით მომხიბლა ამერიკის მიერ ნაჩუქარმა სუპერთანამედროვე ავიაციამ. მართალია, ამ დროს აღლუმზე პაუზა ჩამოვარდა, არც თვითმფრინავებისთვის მოგვიკრავს თვალი და არც გუგუნი გაგვიგონია, მაგრამ ეს ხომ ის უჩინარი თვითმფრინავებია, ადამიანის თვალი კი არა, ლოკატორიც რომ ვერ აფიქსირებს. მერე გამოაცხადეს — უკვე გადაიფრინესო! — და სხვებთან ერთად მეც კმაყოფილი დავრჩი. და ამ დროს, ერთ-ერთ „გვაზდევოი“ აკორდად, ძლევამოსილი „უაზების“ ბრწყინვალე კოლონა გამოჩნდა, „შინაურულად“ „სანიტარკებს“ რომ უძახიან და „წითელი არმიის“ ერთ-ერთ მშვენებას რომ წარმოადგენდა.

აღლუმის დასკვნით ნაწილზე კი, თავი ველარ შევიკავე და სიამაყისაგან ავქვითინდი კიდეც, როცა მინისტრებისაგან დაკომპლექტებულმა ბატალიონმა ჩაიარა: წინ პრემიერ-მინისტრი მოუძღოდა. მართალია, მუსიკას ფეხს მთლად ზუსტად ვერ უწყობდა, მაგრამ სამხედრო ფორმა და მაღლა შემართული ხმალი უხდებოდა საოცრად. უკან, მწყობრი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ჯარისკაცი-მინისტრები: თავდაცვის მინისტრს ხელში სიმბოლურად, სათამაშო მშვილდ-ისარი ეჭირა და ნამდვილ რობინ ჰუდს ჰგავდა; განათლების მინისტრს — „დედაენა“, და „აი-ია“-ს იზეპირებდა, გარემოს დაცვის მინისტრს დაფნის ტოტი აღემართა მაღლა და „ტყე შეუნახე შვილებსა“-ს ღიღინებდა; უშიშროების მინისტრს ნიშადურის სპირტის შუშა ეჭირა და რომ არ შეშინებოდა, წამდაუწუმ ყნოსავდა; იუსტიციის მინისტრს პატიმრის ზოლიანი სამოსი ჩაეცვა და ისეთ ბედნიერ ღიმილს აფრქვევდა, თითქოს ეს წუთია, ამნისტია გამოსულიყო და მასაც შეხებოდა; კულტურის მინისტრს თავისი პარლამენტარი „ჯარისკაცის მამა“ ფეხდაფეხ მისდევდა და — შვილო, არ მოგშივდესო! — ავტომატის მჭიდის ჩანთაში მჭადს და ყველს უდებდა. ეს რომ ჩვენმა ჭარბწონიანმა სახელმწიფო მინისტრმა დაინახა, აქამდე რომ ჩექმა უჭერდა და ძლივს მოლასლასებდა, უცებ წამოეწია, ჩანთაში ხელი ჩაუყო და საგზალი ერთ წამში შეუჭამა. ის კი არა და, მგონი, სიჩქარეში ერთი-ორი მჭიდიც გადასცდა და თუ გარშემომყოფთა უსაფრთხოებისთვის უახლოეს 48 საათს ვაზიანის პოლიგონზე გაატარებს, კარგი იქნება.

მინისტრები ჯარში მიჰყავთ და აღლუმზეც გამოიყვანენო — რომ გაუგიათ პარლამენტარებს, ტირილი აუტეხიათ — ჩვენც გვინდაო, „კლასის დამრიგებელ“ დეიდა ნინოს გამოჰპარვიან და „მოხალისეთა დივიზიონში“ სახელდახელოდ ჩაწერილან. სანამ ტრიბუნას მიუახლოვდებოდნენ, ერთმანეთს



ასწრებდნენ და სამწყობრო სვლაც არ გამოსდიოდათ. მაგრამ მერე ვიღაცამ ჭკუა იხმარა: ლამაზი და კეკლუცი ახალბედა პარლამენტარი გოგონა დააყენა წინ, რომელსაც ისეთი მოკლე კაბა ეცვა, რომ გასწრება აღარავის უცდია და ყველანი მორჩილი ცხვრებივით გაჰყვნენ უკან.

გული სიხარულით აივსო: იყო დრო, როცა ჯარში წასვლა სამარცხვინოდ ითვლებოდა. ახლა კი სამშობლოს დამცველობა ისეთი საამაყოა, რომ მინისტრები და პარლამენტარები ერთმანეთს ასწრებენ კომისარიატში მისვლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ველარავინ დაუშლის, იაროს წინ — წარსულისაკენ...

P.S. ოფიცერი მინისტრ-ჯარისკაცებს:

— სწორდით, სმენა! მარჯვნისა-კენ, ნაბიჯით იარ!.. რიგითო აბსანძე, მარჯვნისაკენ იყო ბრძანება და არა მარცხნისაკენ. არ გესმის?!

— მესმის, მაგრამ მარჯვნივ ყაზარმაა, მარცხნივ — სასადილო...

***პროვოკატორი***

## „რეზიდენციების გაყიდვა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს იგეგმებოდა“

**— ხელისუფლება აქტიურად ალაპარაკდა სამთავრობო რეზიდენციების გაუქმების შესახებ. თქვენი აზრით, როგორ უნდა გადაწყდეს რეზიდენციების საკითხი? უნდა დაექვემდებარონ თუ არა ისინი პრივატიზაციას?**

*ზვიად ძიძიგური, „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ ლიდერი:*



– საქართველოს პრივილეგირებული კასტა აღარ სჭირდება, სამთავრობო რეზიდენციები უნდა გაიყიდოს, შემოსული თანხა ბიუჯეტში უნდა შევიდეს და ხალხის კეთილდღეობას მოხმარდეს. წლების განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. დროა, მთავრობის წევრთა სოციალური მდგომარეობა ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების წესსა და მდგომარეობას გაუთანაბრდეს. ქვეყანაში, სადაც ჩვენი მოქალაქეები საარსებო მინიმუმითაც არ არიან უზრუნველყოფილი, ასეთი ძვირად ღირებული სამთავრობო რეზიდენციები არ უნდა არსებობდეს, მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს მათი პატრონობა სოლიდური თანხა უჯდება. რეზიდენციების გაყიდვა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს იგეგმებოდა, მაშინ არ დაგვცალდა. იმედი მაქვს, ახლა მაინც მოხერხდება ამ პროცესის დაწყება. ■

## „...თითქმის ნახევარს სერიოზული დაზიანებები ჰქონდა...“

**— ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, წინასწარი დაკავების საკნებში ადამიანთა ცემა და წამება კვლავ გრძელდება. რას აკეთებს თქვენი კომიტეტი ამის აღსაკვეთად?**

*ელენე თევდორაძე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

– წინასწარი დაკავების საკნებში მართლაც, საგანგაშო მდგომარეობაა. ადამიანებზე ფიზიკური ზეწოლის გზით აღიარებითი ჩვენებების მოპოვება დღემდე გრძელდება. პატიმართა მშობლები ცემისა და წამების არაერთ ფაქტს ასახელებენ. რამდენიმე დღის წინ გავეცანი დოკუმენტს, სადაც აღნუსხულია მე-5 იზოლატორში დაკავებულთა მიღების მონაცემები. ბოლო თვის მაჩვენებლებს გადავხედე და აღმოჩნდა, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთაგან თითქმის ნახევარს სერიოზული დაზიანებები ჰქონდა. მაგალითისთვის ვიტყვი: 12 მაისს იზოლატორში შესულია 6 ადამიანი, აქედან 4 – მძიმე დაზიანებით, 13 მაისს 4 პატიმარი გადაუყვანიათ, მათგან სამს სხეულზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები ეტყობოდა. პროცედურის თანახმად, ეს მასალები ზედამხედველ პროკურორს ეგზავნება. თუმცა, რეაგირება არც ერთ ფაქტზე არ მომხდარა. როგორც ჩანს, წარდგენილი ბრალის დასამტკიცებლად სამხილების მოკვლევა უჭირთ, წამება კი აღიარების მოსაპოვებლად უფრო იოლი მეთოდია. სამწუხაროა, რომ პოლიციელების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები კვლავ ჩვეულ რეჟიმში გრძელდება. გარდა წამებისა, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისა და ფულის გამოძალვის შემთხვევებსაც აქვს ადგილი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საპატიმროებში ერთ საწოლზე ოთხ პატიმარს უწევს წოლა. ჩემი აზრით, ესეც წამების ერთ-ერთი ფორმაა. მე ამ საკითხების სერიოზულ განხილვაზე გამოტანას ვაპირებ. ადამიანის უფლებათა შელახვის ასეთი ფაქტები საქართველოს ნამდვილად აღარ ეკადრება. ■

## „მერის თანამდებობაზე რეალური კონკურენტი არ მეყოლება“

**— როგორ ფიქრობთ — უნდა გადაიდოს თუ არა აჭარაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 2005 წლის შემოდგომამდე და რატომ გააღიზიანა „ნაციონალების“ ზოგიერთი წევრი თქვენმა სურვილმა, მიიღოთ მონაწილეობა მერის არჩევნებში?**

*დავით ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:*

– ნამდვილად არ იქნება სწორი, რომ აჭარაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2005 წლამდე არ ჩატარდეს. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აჭარაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ არსებობს, წელიწად-ნახევრის განმავლობაში ასე გაგრძელება შეუძლებელია. გაუმართლებლად მიმაჩნია ისიც, რომ მთელი ამ დროის მანძილზე, მერის თანამდებობაზე ის უნდა დარჩეს, ვინც დროებითაა დანიშნული... მე ვფიქრობ, ეს არჩევნები 2004 წლის შემოდგომაზევე უნდა დაინიშნოს. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას, – ჯერ ოფიციალურად კანდიდატურა არ წამომიყენებია, ამიტომ ცოტა გაუგებარია, ბესო ჯუღელის საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი სურვილის შესახებ პარტიული ელიტისთვის უნდა მეცნობებინა. ბათუმის მერის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი რესპუბლიკური პარტიის წევრებთანაც არ ყოფილა შეთანხმებული. არა მგონია, „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობას ამის გამო შეშფოთება გამოეთქვას და ვფიქრობ, რომ ეს ბატონი ბესოს პირადი შეხედულებაა. თუმცა, ახლა ამაზე ნაკლებად ვფიქრობ. მთავარია, არჩევნები დროულად ჩატარდეს. თუ გადავწყვიტე არჩევნებში მონაწილეობის მიღება, იმედი მაქვს, რომ მერის თანამდებობაზე რეალური კონკურენტი არ მეყოლება. ■



**საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ახალმა ხელისუფლებამ პომპეზურად აღნიშნა. სამხედრო ძალების დემონსტრირება, პრეზიდენტის ემოციური, მრავალენოვანი მიმართვა და საზოგადოების ზოგადი განწყობა, ეროვნული დღესასწაულის შესაფერის ფონს ქმნიდა. თუმცა, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებითაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. კამათის მთავარ თემას, პარლამენტის მიერ ჯერ დაუმტკიცებელი გერბის გამომზეურება და ის პომპეზურობა იყო, რომელიც ოპონენტების განცხადებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე უადგილოა...**

**ალღუმსა და საერთოდ ალღუმებზე (სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე) და ამ აქციის თანამდევ საკითხებზე ჩვენთვის აზრის გაზიარება პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ვთხოვეთ.**

# ალღუმის მთავარი დანიშნულება ძალის დემონსტრირებაა

*ხათუნა მაღრაძე*

— **ბატონო სოსო, თქვენი აზრით, საჭირო იყო თუ არა 26 მაისის ასეთი პომპეზურობით აღნიშვნა?**

— ახლა, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შედის და აფხაზ და ოს სეპარატისტებს საფუძვლიანი შიში უჩნდებათ ხელშეუხებლობის გარანტიების შესაძლო დაკარგვის გამო, სამხედრო ალღუმის ასეთი პომპეზურობით ჩატარება სავსებით გამართლებულად მიმაჩნია. ეს იყო სახელმწიფოს მტკიცე ნების ილუსტრაცია, რომ მას აქვს სამხედრო ძალა, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენებს. ამის შესახებ მტერმაც და მოყვარემაც უნდა იცოდეს. სწორედ სამხედრო ძალის დემონსტრირებაა ალღუმების მთავარი დანიშნულება. ამ ალღუმის ჩასატარებლად სოლიდური თანხა იყო გამოყოფილი. ოპოზიცია ამას ფულის არამიზნობრივ ხარჯვას უწოდებს...

— **რა შეგიძლიათ გვითხრათ სამხედრო ალღუმების გამართვის უცხოეთში დამკვიდრებულ ტრადიციაზე?**

— სამხედრო ალღუმებს ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ატარებენ, ზოგი — ფართო, ზოგი კი — მცირე მასშტაბით. საფრანგეთმა ბასტილიის აღების დღე გადააქცია სახელმწიფო დღესასწაულად და სამხედრო ძალის დემონსტრირებაც სწორედ ამ დღეს ხდება. ამერიკაში ასეთი ღონისძიებების აუცილებლობას საერთოდ ვერ ხედავენ. საბჭოთა კავშირის დროს, ყველაზე მრისხანე იარაღის დემონსტრირებას წითელ მოედანზე ახდენდნენ... რაც საქართველომ 26 მაისს აჩვენა, დიდი ქვეყნებისთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ რეგიონისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა, თუმცა ეს იყო მშვიდობიანი დემონსტრაცია და ვინ როგორ გაიგებს მის პოლიტიკურ დატვირთვას, ჩვენი პრობლემა არ არის.

— **როგორ შეხვდებიან ძალის ასეთ დემონსტრირებას აფხაზური და ოსური მხარის წარმომადგენლები?**

— არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სრულიად უმეცრები არიან. რეალურად, დღეს ისეთი პოლიტიკური ფონია შექმნილი, რომ სეპარატიზმის პრობლემა უახლოეს პერიოდში გადაწყდება. რამდენადაც ვიცი, საკვანძო საკითხებში შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა მისი მატერიალიზება დაიწყება...

— **პრეზიდენტმა აფხაზებსა და ოსებს მათ მშობლიურ ენებზე მიმართა. როგორ გაიგებენ მის სიტყვებს ადრესატები?**

— ეს იყო მეგობრული ჟესტი, პატივისცემის გამოხატულება აფხაზებისა და ოსების მიმართ. პრეზიდენტმა მეგობრობის ხელი გაუწოდა მათ და მათსავე ენაზე მშვიდობისკენ მოუწოდა. გარდა ამისა, სააკაშვილის ამ ჟესტის მიღმა უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ პრეზიდენტის მინიშნებით, არც აფხაზურ და არც ოსურ ენასა და კულტურას არაფერი ემუქრება, უფრო მეტიც, შეუნარჩუნდებათ ავტონომიურობაც, ოღონდ — ერთიანი საქართველოს ფარგლებში. პრეზიდენტი მათ მეგობრულ ხელს უწვდის, მაგრამ ამ სიტყვებს იგი სამხედრო ძალის დემონსტრირების ფონზე წარმოთქვამს. ეს არის დიპლომატიური მინიშნება,რომელიც სეპარატისტებმა სწორად უნდა გაიგონ.

— **საჭირო იყო თუ არა ალღუმის, ბათუმში გაგრძელება?**

— პრეზიდენტის აჭარაში წასვლაც არ მიმაჩნია შემთხვევით ნაბიჯად: საზღვაო ძალების დემონსტრირებაც კიდევ ერთი გაფრთხილება იქნება ვიღაც-ვიღაცებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს უნდა ჰქონდეს იმის ძალა, რომ საკუთარი აკვატორია დაიცვას. სოხუმის პორტში თავისუფლად ველარ უნდა იმოძრაონ გემებმა, ვერ მოხდეს იარაღისა და სხვა კონტრაბანდული ტვირთის გადატანა. 40 საუკუნეა, რაც მსოფლიოში დიპლომატიურ განცხადებებს სამხედრო ძალით ამაგრებენ. დროა, ჩვენც შევძლოთ ამის გაკეთება.

— **ბატონო სოსო, ალღუმები ტრადიციულად, რესპუბლიკის მოედანზე ტარდებოდა, ამჯერად კი, სანაპიროზე შეაჩერეს არჩევანი...**

— რამდენადაც ვიცი, სპეციალისტებმა ოპტიმალური გათვლების საფუძველზე გადაწყვიტეს, რომ მძიმე ტექნიკის მოძრაობა ქალაქის ცენტრში მიზანშეწონილი არაა. ჩვენ სახალხო ზეიმების ჩატარებას რესპუბლიკის მოედანზე ვართ მიჩვეული, თუმცა, ადგილის ცვლაში დიდ პრობლემას ვერ ვხედავ.

— **ალღუმზე გამოიტანეს გერბის ნიმუში, რომელიც პარლამენტს ჯერ არ დაუმტკიცებია. რამდენად გამართლებული იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება?**

— ჩემთვის მთავარი ის არის, რომ 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ზურგს უკან სწორედ ეს გერბი ეკიდა. პრეზიდენტს სურდა, 26 მაისს ახალი სახელმწიფო ატრიბუტიკით შევხვედროდით. რადგან ვერ მოხერხდა, ამიტომ კომისიის მიერ მოწონებული გერბის ნიმუში გამოიტანეს. ეს შეიძლება, ისტორიკოსებისა და ჰერალდიკოსებისთვის წარმოადგენდეს პრობლემას, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დაამტკიცა თუ არა ის პარლამენტმა...

— **ბოლო დროს ხშირად კამათობენ დამოუკიდებლობის დღის თარიღზე: პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ეს დღე 9 აპრილს უნდა აღინიშნებოდეს.**

— საქართველომ 100-წლიანი მონობის შემდეგ პირველად, სწორედ 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შემდეგ იყო წყვეტილი პერიოდი, მაგრამ დამოუკიდებლობის დაბრუნება და ამ თარიღის აღდგენა კვლავ შევძელით. ამიტომ ჩემთვის დამოუკიდებლობის დღე სწორედ 26 მაისია... ■



**ახალმა ხელისუფლებამ ჯარი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ მიდგომის სისწორეზე არავინ კამათობს: ძლიერი სახელმწიფოს საფუძველს ხომ ძლიერი შეიარაღებული ძალები წარმოადგენს. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, თითქმის მთელი ამ წლების მანძილზე, გამუდმებით გვესმოდა: ქართული ჯარი უბადრუკ მდგომარეობაშია, ქართველი ჯარისკაცი მშიერი და ჩაუცმელიაო. დღეს ბევრს საუბრობენ შეიარაღებული ძალების რეალურ რეფორმირებაზე და იმ სასიკეთო ძვრებზე, რომლებიც უკვე დაეტყო ქართულ არმიას. რა ხდება სინამდვილეში? რას მიაღწია ახალმა ხელისუფლებამ დღემდე და რა პრობლემები აქვს გადასაჭრელი უახლოეს წლებში? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად, თავდაცვის მინისტრს გელა ბეჟუაშვილს შევხვდით.**

# გელა ბეჟუაშვილი:

# იმიჯშელახული ქართული არმია აღარ არსებობს!

## რას გვპირდება თავდაცვის მინისტრი

*ლელა ჭანკოტაძე*

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა ახალი პოლიტიკური გუნდი, ქართულ ჯარს შეემატა ის, რაც წლების განმავლობაში აკლდა — უპირველესად, ეს გახლავთ პოლიტიკური ნება, არსებობდეს ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი — ძლიერი ჯარი. ეს პოლიტიკური ნება საშუალებას გვაძლევს, განვახორციელოთ ისეთი ცვლილებები, რომლებიც აქამდე, წლების განმავლობაში, უკვე უნდა განხორციელებულიყო. ჩაუცმელი და უჭმელი ჯარისკაცი თავისთავად, გადაუჭრელი პრობლემა არ გახლავთ. ის ძალზე მარტივად წყდება, რესურსების სწორი მართვისა და განაწილების შედეგად. წელს ბიუჯეტიდან, შარშანდელთან შედარებით, ცოტა მეტი სახსრები გამოიყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ — ძველი ბიუჯეტის ფარგლებშიც შეიძლებოდა იმის გაკეთება, რაც ახლა გავაკეთეთ.

— **თუ არსებობს ქართული ჯარის განვითარების კონკრეტული გეგმა?**

— ჩვენ გვაქვს განვითარების ხუთწლიანი გეგმა. მე დაახლოებით ვიცი, მომავალ წელს რა თანხა იქნება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თავდაცვის სამინისტროსთვის და ამის მიხედვით ვსაზღვრავ, თუ როგორ უნდა გავუზარდო ხალხს ხელფასი. ამის გაკეთება ორი წლის წინ, როცა მინისტრის მოადგილე ვიყავი, წარმოუდგენელი გახლდათ. ასე რომ გაგრძელებულიყო, რა მოხდებოდა მომავალში, მხოლოდ ღმერთმა იცის. ასე რომ, ჩემი ოპტიმიზმი უსაფუძვლო სულაც არ არის. თანაც, ჩვენ არ ვიწყებთ ნულიდან. ხორციელდება ქართულ-ამერიკული პროგრამა, რომელიც ქმნის იმის საფუძველს, რომ ავაშენოთ ძლიერი ქართული ჯარი.

— **მინისტრად დანიშვნის დღესვე განაცხადეთ, რომ თქვენი უპირველესი ამოცანა სამინისტროში რეფორმის გატარება იქნებოდა...**

— რეფორმა მრავალი კომპონენტისგან შედგება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი ძირითადი ამოცანაა, ჩავატაროთ სტრუქტურული რეფორმა. მიმაჩნია, რომ სწორი მართვის პირობებში მცირე თანხებითაც ბევრის გაკეთებას შევძლებთ. ამიტომ მივიღეთ სტრუქტურის ოპტიმიზაციის გადაწყვეტილება და 50%-ით შევამცირეთ თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის შტატები. ანალოგიურ პროცესს ვიწყებთ სარდლობაშიც. მოხდა კადრების გადახალისებაც — მაგალითად, ზოგი, სამხედრო თანამდებობიდან სამოქალაქოზე გადავიყვანეთ. თავდაცვის სამინისტროში უკვე 87% სამოქალაქო პერსონალია. შედარებისთვის გეტყვით: რუსეთს, უკრაინასა და სომხეთს თავდაცვის მინისტრად სამოქალაქო პირი ჰყავს, მაგრამ ჯერ არც ერთ ამ ქვეყანაში არ არის სამოქალაქო სამინისტრო, რაც ჩვენ ორ თვეში შევძელით.

— **ცვლილებები მოხდა უმაღლესი ხელმძღვანელობის სფეროშიც. როგორ გადანაწილდა ფუნქციები თავდაცვის მინისტრსა და გენერალური შტაბის უფროსს შორის?**

— მე, როგორც სამოქალაქო მინისტრი, არ ვერევი ჯარის მართვაში, მაგრამ ჯარის მართვას ვხელმძღვანელობ: ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე, ჯარი ფეხს ვერ გადადგამს. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.

— **ამ დღეებში, თანამდებობებზე დანიშვნისა და სამხედრო განათლების საკითხს შეეხეთ...**

— ეროვნული სამხედრო განათლება მაღალ დონეზე უნდა ავიდეს. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია — აკადემია არსებობს. უფრო მეტი ოფიცერი და სამხედრო პირი უნდა მოვამზადოთ დასავლეთში. პროფესიონალების გარეშე ჯარის აღმშენებლობა გაგვიჭირდება. დღეს ჩვენს სპეციალისტებს ძირითადად, ან საბჭოთა განათლება აქვთ მიღებული, ან საერთოდ არა აქვთ. ეს სერიოზული პრობლემაა. ამ ხალხს შეიძლება, არ აკლია პატრიოტიზმი და მონდომება, მაგრამ აკლია განათლება. საპასუხისმგებლო სამხედრო თანამდებობაზე დანიშვნის მთავარი კრიტერიუმი იქნება სამხედრო განათლება. განათლების მიღების შემდეგ, თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ უნდა იცოდეს, თუ როგორ განვითარდება მისი კარიერა, რამდენ წელიწადში შეიძლება გახდეს კაპიტანი, მაიორი და ა.შ. თითოეულ საფეხურზე ასვლისას, აუცილებელი იქნება კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ვერავინ ვერ გახდება ბატალიონის მეთაური, თუ არ გაივლის ბატალიონის მეთაურის კურსებს, თანაც — წარჩინებით. ვერ გახდება გენერალი, თუ არ ექნება მიღებული სტრატეგიული განათლება რომელიმე დასავლურ ქვეყანაში, რადგან ქვეყანას დასავლეთზე აქვს აღებული ორიენტაცია. მე არც რუსული ან სხვა ქვეყნების სამხედრო სკოლების წინააღმდეგი ვარ — უბრალოდ, ქვეყანა ევროპული ინტეგრაციისკენ მიდის. აქ საუბარია ქვეყნის პოლიტიკურ არჩევანზე.

**— რა რაოდენობის ჯარი სჭირდება ჩვენს ქვეყანას და რეალურად რამდენი ჯარისკაცის შენახვა შეგვიძლია?**

— საქართველოს შეიარაღებული ძალების როლის განსაზღვრა რეფორმის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, რათა საზოგადოებას გავცეთ პასუხი კითხვაზე, თუ რა რაოდენობის ჯარი, რამდენი ტანკი, იარაღი და სამხედრო ნაწილი გვჭირდება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია და ყოველდღიურ მუშაობას საჭიროებს. პარტნიორებიც გვეხმარებიან. ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა, რომელიც ნატოსთან ერთად ხორციელდება, პრაქტიკულად ნატოში გაწევრების გეგმაა, თუმცა, ნატოში გაწევრების გეგმა არ ჰქვია, რადგან იმავე მოთხოვნებს ითვალისწინებს, რომლებიც წამოყენებული აქვს ხორვატიას, მაკედონიას ნატოში გაწევრების გეგმაში. ერთი წლის შემდეგ, სპეციალურმა კონფერენციამ დადებითი შეფასება თუ მისცა ჩვენს საქმიანობას, საგაისოდ შეიძლება გავხდეთ ნატოში გაწევრების გეგმის წევრი სახელმწიფო. ასე რომ, ბევრი რამაა ჩვენზე დამოკიდებული. 7 ივნისს მივემგზავრები ბრიუსელში, ჩემთან ერთად მოდიან საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი და გენერალური შტაბის უფროსი გივი იუკურიძე: ნატოს შტაბბინაში ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის დეტალური განხილვაა დაგეგმილი.

**— ნატოში გაწევრება პოლიტიკური პროცესია თუ სამხედრო?**

— ეკონომიკური ზრდა, დემოკრატიული განვითარება და სტაბილურობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო აღმასვლა. ამას უკვე ყველა აღიარებს. ესტონეთი ნატოში ისე შევიდა, რომ სამხედრო პოტენციალი საერთოდ არ გააჩნდა. ნატოში შესვლა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამხელა ჯარი ეყოლება საქართველოს. მაგრამ აუცილებელია, საზღვრების კონტროლი, არა მარტო სახმელეთო, არამედ საჰაერო, საზღვაო სანაპიროების დაცვა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

**— დავუბრუნდეთ ქართველი ჯარისკაცის მდგომარეობას და უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ იმაზე, თუ რა შეიცვალა ამ მხრივ მას შემდეგ, რაც მინისტრი გახდით და რა შეიცვლება უახლოეს მომავალში?**

— მთელი რესურსები, რაც გვაქვს, ხუთ პრიორიტეტად დავახარისხეთ და ამგვარად განვსაზღვრეთ, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს თანხა. პირველი არის ყაზარმების შეკეთება, საშხაპეების მოწყობა, გაზის გაყვანა, საწოლებისა და ლოგინების შეძენა. ამას, ცხადია, ყველგან ერთდროულად ვერ გავაკეთებთ. მაგალითად, ვაზიანში უკვე მიმდინარეობს მუშაობა. აშენდება ახალი სასადილოც. ეს გახლავთ თურქეთის დახმარება მეთერთმეტე ბრიგადისთვის. კოჯრის სამხედრო ნაწილში გაზი გაგვყავს, ვარემონტებთ ყაზარმებს და პარალელურად ვაშენებთ ახალ ყაზარმას, რომელიც 200 ჯარისკაცზეა გათვლილი. ნიქოზში სულ ახალი ბაზა შენდება. წლის ბოლოსთვის დამთავრდება რემონტი ქუთაისის ბაზაზე. განხორციელდება მარნეულის აეროდრომის რეკონსტრუქცია.

**— რა შეიცვლება 25-ე მოტომსროლელ ბრიგადაში?**

— ბათუმში მის ბაზაზე კაპიტალურ რემონტს ჯერ ვერ ვაკეთებთ და მხოლოდ მიმდინარე რემონტით შემოვიფარგლებით. იქ განლაგდება ქვეითი ბატალიონი. 25-ე ბრიგადა აღარ იარსებებს — ის გადაიქცევა ქვეით ბატალიონად და გადავა სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში. რაც მთავარია, ყოფილი 25-ე ბრიგადა იქნება პროფესიონალებით დაკომპლექტებული, მაღალანაზღაურებადი ბატალიონი. მოთხოვნა ასეთია: ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი ბატალიონში 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს. დროა, საქართველოს ჯარში დავნერგოთ როტაციის პრინციპი. არ არის აუცილებელი, რომ ადამიანმა იქ იმსახუროს, სადაც ცხოვრობს. აქამდე ამას ვერ უზრუნველვყოფდით, რადგან პირობები არ იყო. თუ სხვადასხვა ბაზაზე ერთნაირად კარგი პირობები იქნება, ამას აღარაფერი შეუშლის ხელს. სამხედრო ნაწილები გარემონტდება კაპიტალურად. სერიოზული რემონტი სჭირდება სამხედრო აკადემიას, სადაც სამუშაოებს თურქები აწარმოებენ, მაგრამ ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. კადეტთა კორპუსი და თავდაცვის სამინისტროც მთლიანად შესაკეთებელია, რადგან სამინისტროში სამუშაო პირობებიც კი არ არის. ამ ყველაფერს წლის ბოლოსთვის დავამთავრებთ.

**— ნუთუ, ამდენი რამის ერთ წელიწადში გაკეთებას მოასწრებთ?..**

— გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ჩვენ ამას შევძლებთ. წლევანდელი წელი მშენებლობის წელია. ვიხუმრე კიდეც თამარ სულუხიასთან: ვინ არის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის მინისტრი, აღარ ვიცი — ამდენ რამეს ვაშენებ-მეთქი!..

**— აჭარაში უკანონოდ დარიგებული უამრავი იარაღი იქნა ამოღებული. გაიჟღერა ფრაზამ, თითქოს ასლან აბაშიძეს ისეთი იარაღიც კი ჰქონდა, როგორიც ჩვენს ჯარს არ გააჩნია და არც უნახავს. რა დონეზეა დღეს ქართული არმიის შეიარაღება?**

— აჭარაში გაჟღერებული ეს ფრაზა ჩემთვის მხოლოდ ხმამაღალი ნათქვამია, მიუხედავად იმისა, რომ იქ დიდძალი შეიარაღება ნამდვილად იყო. ეს იარაღი გადანაწილდა სამართალდამცავებზე, გარკვეული სახეობის იარაღი ჩვენ წამოვიღეთ. შეიარაღების თვალსაზრისით, ძალზე მიზანმიმართულად ვმუშაობთ. სამწუხაროდ, ამ საკითხზე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: ჯერ თანამედროვე იარაღის შეძენასა და გადაიარაღებაზე საუბარი არ არის, თუმცა, ის, რაც დღევანდელ ჯარს ამერიკულ-ქართული პროგრამის განსახორციელებლად სჭირდება, წლის ბოლოსთვის სრულად ექნება.

**— როგორ დასრულდა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“?**

— ამ პროგრამის აქტიური ფაზა დასრულდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე გვყავს ძალზე ქმედუნარიანი დანაყოფები. მიმდინარეობს სამუშაოები ერთიანი, ძლიერი, სრულყოფილი ბრიგადის შესაქმნელად, რომელიც დასავლური სტანდარტების ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ,,მაგრამ ამით საქმე არ დასრულდება. სერიოზულ პროგრამას განვახორციელებთ თურქეთთან, რომლის თანახმადაც, დაგეგმილია სპეციალური დანიშნულების ბატალიონის ჩამოყალიბება და აღჭურვა. დაარსდება სპეცდანიშნულების — ე.წ. რეინჯერების სკოლა. საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე კარგად მომზადებულ ბატალიონს უკვე წარმოადგენს კოჯრის ბატალიონი, მაგრამ ის ელიტურ ნაწილად გარდაიქმნება, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

**— შეიარაღებულ ძალებში საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობს. რა სიახლეებია ამ სფეროში?**

— გაწვევის სისტემა დღეს ჩიხშია მოქცეული. როგორც კი არმიაში სოციალური პირობები გაუმჯობესდება, ეს პრობლემა მოგვარდება. ჩემი სურვილი იყო, რომ წელს დროებით შეგვეჩერებინა გაწვევა. ერთი წელი მაცალეთ, იმ ფულს, რაც ახალწვეულებზე უნდა დავხარჯო (ჩაცმა, კვება, ხელფასი) ბაზების გარემონტებას მოვახმარ და შემდეგ, ახალწვეულებს თბილ და განათებულ ყაზარმებში შევიყვან-მეთქი, — შევთავაზე ხელისუფლებას. მაგრამ ჩემი წინადადება არ გაიზიარეს... ალბათ, გავაუქმებთ სამხედრო ბეგარას და ვიმსჯელებთ იმაზეც, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთი წლით განისაზღვროს. თავის ფუნქციებს დაკარგავენ სამხედრო კათედრებიც და არმიაში სამსახური ყველასთვის სავალდებულო გახდება. იმიჯშელახული ქართული არმია აღარ არსებობს! მე არ ვხმარობ სიტყვა ,,თუ“-ს. გპირდებით — ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ არმიაში სამსახური თითოეული ქართველისთვის არა მარტო სავალდებულო, არამედ საამაყოც გახდეს. ■



**ცოტა ხნის წინ, ქვემო ქართლის ახალდანიშნული გუბერნატორის, იოსებ მაზმიშვილის ქონებასთან დაკავშირებით, სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა — თითქოს მას ახალი თანამდებობის დაკავების შემდეგ, საეჭვოდ გაეზარდა შემოსავალი, შეიძინა ახალი ავტო-მანქანები, დაიწყო აგარაკის მშენებლობა და ა.შ. ამან გამოიწვია მისი ქონებრივი დეკლარაციით ჩვენი დაინ-ტერესება... დეკლარაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბატონი სოსოს ქონება ვერავის გააოცებს, ხოლო რაც შეეხება აგორებულ ჭორს, თუ მისსავე სიტყვებს დავეყ-რდნობით — ყოველივე ეს ბოროტი ადამიანების მონაჩ-მახია, რასაც მალევე დავამტკიცებო.**

# ქონებაშეძენილ გუბერნატორს „მამალაძეობაში“ სდებენ ბრალს

*ლიკა ქაჯაია*

***მინიდოსიე:***

*იოსებ მაზმიშვილი დაიბადა 1974 წლის 7 დეკემბერს, ქალაქ რუსთავში. 1991 წ. დაამთავრა რუსთავის 133-ე საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონულ სახაზინო სამსახურში; შემდეგ, 2000 წლიდან – რუსთავის საგადასახადო ინსპექციაში, 2004 წლის იანვრიდან – ამ სამსახურის უფროსად დაინიშნა, თებერვალში კი, ქვემო ქართლში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული გახდა.*

*ჰყავს მეუღლე – ლია მაზმიშვილი, ინგლისური ენის სპეციალისტი და 9 წლის შვილი – გიგი მაზმიშვილი.*

## „ჩემს ცოლს თავისი ძმა აფინანსებს“

– მამაჩემი ინჟინერ-მშენებელია, ამჟამად მუშაობს ფირმა „ვირტუოზში“, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. დედა – პედაგოგია, თუმცა ამჟამად დიასახლისია... ჩემი მეუღლეც უმუშევარია...

— **მაგრამ თქვენ დეკლარაციაში აღნიშნული გაქვთ, რომ თქვენს მეუღლეს, ნაღდი ფულის დანაზოგი აქვს: მის სახელზე დეკლარაციაში 15.000 დოლარი გაქვთ ჩაწერილი. თუ არ მუშაობს, საიდან აქვს ამხელა თანხა? თქვენ აფინანსებთ?**

– არა, ძმამ აჩუქა...

— **ვინ არის თქვენი ცოლისძმა?**

– ეს არის პიროვნება, რომელსაც ჰქონდა მცირე ბიზნესი რუსეთში...

— **თქვენ ნაღდი ფული არ გქონდათ? დეკლარაციაში აღნიშნული არ გაქვთ, რა თანხის მფლობელი ხართ?**

– ნაღდი ფული კი მაქვს, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო თანხაა, რომ დეკლარაციაში არ ჩავწერე.

## რა არ ჩაწერა დეკლარაციაში სოსო მაზმიშვილმა?

— **მშობლები თუ გეხმარებიან?**

– ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და აქედან გამომდინარე, ერთმანეთს ვეხმარებით. როგორ და რანაირად – ამაზე დაწვრილებით საუბარი ძნელია.

— **სად ცხოვრობენ ამჟამად თქვენი მშობლები?**

– რამდენიმე თვეა, მშობლები ჩემს დასთან ცხოვრობენ. ისე, ერთ სახლში ვცხოვრობდით, რომელიც პაპაჩემის აშენებულია ჯერ კიდევ 1959 წელს (*ეს სახლი რუსთავში, ქუჩიშვილის ქუჩაზე მდებარეობს და დეკლარანტს 80.000 ლარად აქვს შეფასებული. – ავტ.*).

— **გაქვთ თუ არა აგარაკი და სად?**

– დიახ, სოფელ თოხლიაურში გვაქვს სახლი, რომელიც დედაჩემს ეკუთვნის. ეს სახლი პრინციპში, ახლაც დაუმთავრებელია.

— **რატომ არ აღნიშნეთ ამ სახლის არსებობა ქონებრივ დეკლარაციაში?**

– ეს დედაჩემის საკუთრებაა და რადგან ჩემთან არ ცხოვრობს, მისი ქონების აღნიშვნა საჭიროდ არ ჩავთვალე. ასევე არ ჩამიწერია მამაჩემის მსუბუქი ავტომანქანა.

— **თქვენ ორი მსუბუქი ავტომანქანა გყავთ...**

– დიახ, მაგრამ არც ერთი არაა ჩემი შეძენილი (*დეკლარაციაში აღნიშნული „ვაზ 2105“ – იოსებ მაზმიშვილის, ხოლო BMW-ს მარკის ავტომობილი – მისი მეუღლისაა. – ავტ.*). ჩემს სახელზე ჩაწერილი „ვაზ 2105“ 1994 წელს, მამაჩემმა მაჩუქა. ჩემს მეუღლეს კი, ძმამ უყიდა ავტომანქანა.

## რამდენი ლარი ერიცხება ბანკში გუბერნატორს?

— **რა მოჰყვა თქვენს ცოლს მზითევში?**

– განსაკუთრებული არაფერი.

— **რამდენია თქვენი წლიური შემოსავალი?**

– შემოსავალი თვეში 1.200 ლარს შეადგენს, წელიწადში დაახლოებით 14.400 ლარი გამოდის.

— **როდის უფრო მეტ ფულს „აკეთებდით“ — გუბერნატორობამდე თუ ამ თანამდებობის დაკავების შემდეგ?**

– შემოსავალი ახლა უფრო მეტი მაქვს, ვიდრე მაშინ, როცა საგადასახადო ინსპექციაში ვმუშაობდი. ვინაიდან მაშინ ჩემი ხელფასი 300 ლარს არ აღემატებოდა.

— **თქვენს დეკლარაციაში არ არის აღნიშნული თქვენი საბანკო ანგარიშები...**

– ანგარიში სახელმწიფო ბანკში მაქვს გახსნილი. ეს არის სოროსის ფონდის დაფინანსებით მისაღები ხელფასისთვის განკუთვნილი ანგარიში: მასზე მერიცხება თანხა განვითარების ფონდიდან. ამჟამად, ანგარიშზე ნული ლარი ირიცხება.

— **რაიმე სხვა, დამატებითი შემოსავალი არ გაქვთ?**

– არა, იმიტომ, რომ არანაირ სამე-

წარმეო საქმიანობაში არ ვმონაწილეობ. ამისთვის არ მცალია.

## რაში ხარჯავს მაზმიშვილი ხელფასს?

**— ხართ თუ არა მხარჯველი?**

— მხარჯველი არა ვარ, ალბათ იმიტომ, რომ არც დრო მაქვს და არც ზედმეტი შემოსავალი.

**— რაში იხარჯება თქვენი ხელფასის ძირითადი ნაწილი?**

— კომუნალურ გადასახადებში, საკვებში, ტანსაცმელში.

**— სად ახლებთ გარდერობს?**

— კარგა ხანია, ჩემი გარდერობი არ გაახლებულა. თუმცა, ტანსაცმელს ძირითადად, ბაზრობებზე ვყიდულობ.

**— დამისახელეთ ყველაზე ძვირად ღირებული სამოსი ან აქსესუარი, რომელიც თქვენს გარდერობშია.**

— პიჯაკი, რომელიც 350 ლარად ვიყიდე.

**— გიყვართ თუ არა აქსესუარები?**

— არა. ჰალსტუხს ვიკეთებ იმიტომ, რომ ჩემს თანამდებობას სჭირდება. სულ 10 ჰალსტუხი მაქვს და მათ შორის ყველაზე ძვირად ღირებული 25-ლარიანია.

**— მივლინების დროს, რამდენ ლარს ან დოლარს ხარჯავთ?**

— ერთადერთხელ ვიყავი მივლინებაში აზერბაიჯანში, ისიც, პრეზიდენტს გავყევი და არც ერთი თეთრი არ დამიხარჯავს: სასტუმროში ღამის გათევაში გადავიხადე მხოლოდ 130 დოლარი. ეს თანხაც ჩემმა მეგობარმა გადაიხადა.

## „ოჯახში ძვირად ღირებული არაფერი მაქვს...“

**— ოჯახში ყველაზე ძვირად ღირებული რა გაქვთ?**

— არაფერიც არ გვაქვს...

**— ვერ დავიჯერებ...**

— თქვენ მე მამალაძე ხომ არ გგონივართ?! მე ერთი უბრალო ადამიანი ვარ, ჩვეულებრივი ოჯახიდან. გვაქვს საძინებელი, სამზარეულო გარნიტური, მაგრამ ძვირად ღირებული — არაფერი.

**— ამბობენ, რომ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, საკუთარი სახლის ეზოში საცურაო აუზი აიშენეთ, ცხოვრების პირობები გაიუმჯობესეთ...**

— ეს აუზი სამმეტრიანია, რომელიც ჩემი შვილისთვის ავაშენე. ის ჯერ კიდევ შარშან იყო დამთავრების პროცესში, მაგრამ მხოლოდ წელს მოხერხდა მისი კაფელით მოპირკეთება...

**— იმასაც ამბობენ, რომ აგარაკებსაც იშენებთ...**

— ნეტავ, ვიშენებდე!.. მე მინდა, რომ რწმუნებულს მართლა ჰქონდეს იმხელა ხელფასი, რომ ამ თანხით აგარაკების აშენება შეძლოს... მაგრამ ეს არასწორია...

**— გამოდის, რომ ხალხი იტყუება? აქვს თუ არა ამის საბაბი?**

— ამას ორ დღეში გაიგებთ...

## „ტროლეიბუსზე ჩამოკიდებულს მიმგზავრია“

**— იცით, თუ არა, რა არის უფულობა?**

— როგორ არ ვიცი?! სტუდენტობის დროს, 9 ნომერ ტროლეიბუსზე უკან ჩამოკიდებულსაც კი მიმგზავრია... დღესაც, მეგობარმა 50 ლარი მთხოვა და 20 ლარის მეტი ვერ მივეცი.

**— ფულს ხშირად გასესხებთ ხოლმე?**

— არ მიყვარს, როცა ვსესხებ. სამაგიეროდ მიყვარს, როცა ადამიანს ვეხმარები.

**— და მაინც...**

— არ მახსენდება, როდის გავასესხე ფული, მაგრამ თუ ამას გავაკეთებ, თანხა 100 ლარზე მეტი არ იქნება.

## რამდენი ლარი სჭირდება მაზმიშვილს დღის განმავლობაში?

**— დღეში რამდენი ლარი გჭირდებათ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. როცა ოფიციალური სტუმრები მყავს და მათ ვახშამზე ვეპატიჟები, ალბათ, 150 ლარამდე მჭირდება.

**— ახლა რამდენი ლარი გაქვთ?**

— დღეს 23 ლარი მქონდა. ოცი მეგობარს მივეცი, ალბათ სამი ლარი (*რწმუნებულმა ჯიბე ამოიბრუნა და სამი ლარი გვიჩვენა. — ავტ.*) დამრჩა.

**— საფულე არ გაქვთ?**

— საფულეს ვატარებ, მაგრამ შიგ საკრედიტო ბარათები და საბუთები მიდევს.

**— ხურდა ფულიც არ გაქვთ?**

— კი, 20 თეთრი.

**— დღეს ეს სამი ლარი გეყოფათ?**

— დღეს ამ ფულსაც შინ მივიტან, რადგან ამ ოთახიდან პირდაპირ სახლში წავალ. არც სადილობას ვაპირებ და სამწუხაროდ, საქმეების გამო, კინოშიც ვერ წავალ.

**— ე.ი. დღეს საერთოდ არაფერს შეჭამთ?**

— არა. მხოლოდ ფინჯან ყავას გეახლებით...

**— დიეტაზე ხართ?**

— არა, დიეტაზე არა ვარ...

**— ძუნწი ხართ?**

— არა, უბრალოდ, არ მცალია და ამიტომ, სამ ლარსაც ვერ დავხარჯავ.

## გუბერნატორს გონება და ერთი წყვილი ფეხსაცმელი სჭირდება...

**— რა სჭირდება გუბერნატორს სასწრაფოდ?**

— გონება, გონება, რათა ჭკვიანურად ვმართო ამხელა რეგიონი და ამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული ხალხი... კიდევ — ფინჯანი ყავა და ერთი წყვილი ფეხსაცმელი.

**— რა გიშლით ხელს იმაში, რომ სურვილი აისრულოთ?**



**თქვენ მე მამალაძე ხომ არ გგონივართ?!**

— დრო არ მაქვს.

**— გაკმაყოფილებთ თუ არა თანხა, რომელსაც სახელმწიფო გიხდით?**

— მიჩვეული ვარ იმას, რომ ვიცხოვრო ხელფასით. მაკმაყოფილებს ის თანხა, რომელიც მაქვს. მით უმეტეს დღეს, როცა თვეში 1.200 ლარს ვიღებ...

*P.S. ბატონმა სოსომ ინტერვიუს ბოლოს განგვიცხადა: განებივრებული ბავშვობა არასოდეს მქონიაო. მისმა მშობლებმა პატარა იოსებს არ უყიდეს ჯინსის შარვალი, რადგან მათ მეზობლად მცხოვრები ბავშვი დაიჩაგრებოდა... მისი „სატკივარი“ მონობარათია, რომელიც თვეში 250 ლარს „ჰპარავს“, მანქანის საწვავი კი — დაახლოებით 300 ლარს. გამოდის, რომ მისმა ოჯახმა თვეში 650 ლარი უნდა იმყოფინოს, რადგან შემოსავალი მხოლოდ რწმუნებულს აქვს...*

■

**გზის წინა ნომრის „სასიძო“, მომღერალი გიგა კვენეტაძე გახლდათ. ვიდრე მის სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გაგაცნობთ, მინდა, გიგაზე შეთხზული ერთი ანეკდოტი გიამბოთ: მისი მუსიკალური სტუდია მრავალსართულიანი შენობის მე-13 სართულზეა განთავსებული. ამ შენობის ძირში ორი გოგონა დგას. ერთი ეუბნება მეორეს: — ჩქარა, სურვილი ჩაიფიქრე, ვარსკვლავი ჩამოვარდა. — კი, მაგრამ ამ შუადღისას ვარსკვლავის ჩამოვარდნა როგორ დაინახე?! — გიგა კვენეტაძე მოფრინავს მე-13 სართულიდან, ჩქარა ჩაიფიქრე!..**

**ახლა კი გიგასთვის განკუთვნილ „მესიჯებს“ გავეცნოთ:**

# «შენთან ალერსში ღამეს გავათევ...»

*მარი ჯაფარიძე*



„ვარ უმანკო, მშვენიერი, სოფლის ჰაერზე გაზრდილი, ბალახზე მოსიარულე გოგო. შენი სიმღერები მატირებს. თუ მნახავ, იმედი არ გაგიცრუვდება“.

„ვარ უმანკო, ამბობენ, მშვენიერი, თბილისის ჰაერზე გაზრდილი. ბალახზეც მივლია ფეხშიშველს, შენი სიმღერებიც ხშირად მატირებს. ირმა“.

„აუ, ჩემო გიგა, კაცს „ხონური“ ფესვები გქონია და კაიფში რა მშიშარა ყოფილხარ! ნათლობა ხონში უნდა მიგეღო. ჩამო ერთი, ხონში, ბაბუის წარსული გააცოცხლე. ძალიან მომეწონე, ჩემო სუპერკაცო. რა მოხდება, ერთხელ მაინც ცოცხლად მოვისმინო შენი სიმღერები?!“

„არ მიყვარხარ, იმიტომ, რომ პირადად არ გიცნობ. მაღალი გრძნობები კი მხოლოდ ასე იბადება. ისე, ცვრიან ბალახზე შენ თუ გაგივლია ფეხშიშველს?“

„მომხიბვლელი გარეგნობა, ჰაეროვანი მიხრა-მოხრა, ულამაზესი თვალები, გასაგიჟებელი სილამაზე, თავბრუდამხვევი სინაზე... კარგი, მეყოფა ჩემზე ლაპარაკი. შენ როგორი ხარ, გიგა?“

„გიგა, რა ვქნა, სიტყვებს ვერ ვპოულობ, შენთვის შესაფერს. დავდუმდები და დუმილი გეტყვის ყველაფერს“.

„ჩემო გიგა, ვარ გორის რაიონის სოფელ ერედვიდან. უზომოდ მიყვარხარ. მოუთმენლად ველი შენს ზარს. გიგა, ახლაც ფეხშიშველი დავდივარ მწვანე მინდორზე და შენზე ვფიქრობ. ეთო“.

„გამარჯობა, გიგა. იცი, ერთი თუ ორი კვირის წინ გადაცემა „პრეს-პრესში“ გნახე. შენ არაჩვეულებრივ შემოქმედებასთან ერთად შესანიშნავი ნებისყოფაც გქონია. გაღმერთებ“.

„გიგა, შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე, მე შენ უზომოდ მიყვარხარ და მეყვარები სიცოცხლის ბოლო წუთამდე. როგორიც შენ გინდა, სწორედ ისეთი ვარ“.

„მარი, სიხარულით კივილი აღმომხდა, როცა „სასიძოს“ ინტერვიუ წავიკითხე. მეც წარმოშობით ვანიდან ვარ, შარაშენიძე. ძალიან მინდა გიგას გაცნობა. იქნებ, ნათესავები აღმოვჩნდეთ“.

„გიგა, რომ გითხრა — მიყვარხარ-მეთქი, — დაიჯერებ?.. არც მე. მით უმეტეს, რომ თურმე, თავში „პეპლები“ გყოლია. ერთგულებითაც ვერ დაიკვეხნი და თანაც ჯერ არ დაღვინებულხარ. მიუხედავად იმისა, რომ 16 წლის ვარ, საკმაოდ უმანკო, მშვენიერი, სიმპათიური და დახვეწილი საქალბატონე ვარ, თანაც, სამტრედიის სუფთა ჰაერზე გაზრდილი. ფეხშიშველს ბალახზე ნამდვილად ბევრჯერ გამივლია. ბალი თუ გიყვარს, როცა სამტრედიაში მოხვდები, თუ შემეხვეწები, გაჭმევ. ისე, ვანი, სამტრედია, ხონი... „ასწორებს“, არა? მაგდა“.

„გიგა, მართლა ძალიან მიყვარხარ. ნათლიაჩემი გიცნობს, მაგრამ მე შენი გაცნობა ვერ მოვახერხე. გლეხის გოგო არა ვარ. დანარჩენ მოთხოვნებს ვაკმაყოფილებ. ქუთაისი“.

„რომ გიყურებ, სერდცე ბაგიბუგიტ, ნიუჟელი სიყვარული არ ზნაეშ? ზაჩემ სმოტრიშ ეგრე გაკვირვებული? ჩერეზ ვას ვარ ოჩენ გაგიჟებული“.

„გიგა, ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და მეყვარები, შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე. ველი შენს ზარს. მიყვარხარ ძალიან, ძალიან, ძალიან... ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით, ვფიცავ. ნათია“.

„შენთან ალერსში ღამეს გავათევ და შემოგწირავ ლამაზ სიყვარულს, ჩურჩულით გეტყვი — მე შენ მიყვარხარ — და საუკუნოდ მოგეფერები. ნათია+გიგა. გკოცნი“.

„ბევრ მტკიცებას არ დაგიწყებთ და გეტყვით, რომ გიგაზე ჯერ კიდევ იმ დროიდან ვარ შეყვარებული, როცა ის ცნობილი არ იყო. ეკა“.

„გიგა, მაგრად მიყვარხარ (როგორც ძმა). ქუთაისელების სიამაყე ხარ. იმედია, მიცანი. მაგდა. ქუთაისი“.

„გიგა, ცოტა ხნის წინ რუსთაველზე შემხვდი. მეგონა, მეშველებოდა: რამდენჯერაც შემოგხედე, შენც მე მიყურებდი. მეც შენთან ერთად ვტირი შენს სიმღერებზე. ინგა“.

„გიგა, თუ არ დამირეკავ, ჩემი გული მართლა დაიფერფლება. მთელი ცხოვრება შემიძლია, ვიმეორო და არ მომბეზრდეს, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ... *(ეს სიტყვა „მესიჯში“ 50-ჯერ გამეორდა. — ავტ.)*“.

„გიგა, ისეთი მერყევი ხასიათი გაქვს, გაგიჭირდება ნამდვილი სიყვარულის პოვნა. კუროს როლს თამაშობ?“

„ჰოდა, გიგა, ასე მობაასე კოცნის გიჟო, მე მინდა, რომ ჩემს ქორწილში შენ „სასიძოდ“ დაგპატიჟო“. დამირეკე და მისამართს შეგატყობინებ“.

„გიგა, შენ ჩემი ოცნება ხარ! როცა დავფიქრდები და მივხვდები, რომ ეს ოცნება აუხდენელია, სიცოცხლე აღარ მინდა. არ ვიცი, რატომ დავისაჯე ასე. შენ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ. შენგან თანაგრძნობას არ ვითხოვ. უბრალოდ, იცოცხლე, რადგან მე შენით ვცოცხლობ. მინდა იცოდე, რომ არსებობს გოგონა, რომელიც შენი სიმღერებით ილვიძებს და იძინებს. შორენა.“

*ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როგორ არჩევანს გააკეთებს გიგა.*

■

**რუბრიკა „საპატარძლოს“ დღევანდელი სტუმარი გერმანულ-უკრაინული წარმოშობის, ქართულად მოლაპარაკე ანა გიუნტერი გახლავთ. ის კონსერვატორიის სტუდენტია, შესანიშნავად უკრავს ვიოლინოზე და ტელესერიალ „მუსკულების“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟიც გახლავთ. რატომ არ გათხოვდა უცხოელ მამაკაცზე, როგორ წარმოუდგენია თავისი ქორწილი, ეძებს თუ არა ბოიფრენდს — ამ და სხვა კითხვებზე თავად ანა გვიპასუხებს. მანამდე კი მისი ოჯახის შესახებ მცირე ინფორმაციას მოგაწვდით.**



# „გამომეხმაუროს ისეთი მამაკაცი, ვისაც ჩემნაირი ქალის გვერდით ყოფნა ძალუძს...“

*მარი ხაფარიძე*

— ამჟამად ვცხოვრობ დედასთან, ძმასთან და ბებიასთან ერთად. მამა წარმოშობით გერმანელია, მაგრამ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, დედა — უკრაინელი. როდესაც ჩემს გვარს ვამბობ, გამეორება არასოდეს მიწევს.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 12 მაისს 22 წლის გავხდი.

— **დაგვიხასიათე შენი თავი.**

— მე შემიძლია, საკუთარი თავი უსასრულოდ ვაქო. ამიტომ არ ვიქნები ობიექტური. ცუდის თქმა არ მინდა, მით უმეტეს, რომ ,,საპატარძლო“ ვარ. მაგრამ მაქვს ისეთი თვისებები, რომლებიც დადებითად მიმაჩნია, თუმცა სხვები ფიქრობენ, რომ უარყოფითია. ოპტიმისტი ვარ, ყველაფერში შემიძლია დავინახო კარგი. შესაძლოა, დავშორდე საყვარელ მამაკაცს და ბედნიერი ვიყო. ამას წინათ, სწორედ ასეთი შემთხვევის შემდეგ, მეგობართან მივედი და ბედნიერი სახით ვაუწყე: მომილოცეთ, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. ამ დროს სულაც არ ვთამაშობ, მართლა აღარ ვნანობ ხოლმე მომხდარზე. მეგობრები მეუბნებიან, რომ თავს ვიტყუებ, მაგრამ ეს ასე არ არის. ხანდახან ჯიუტიც ვარ და ძალზე იოლად ვკარგავ ადამიანებს. უფრო სწორად, შემიძლია ბევრჯერ ვაპატიო, მაგრამ თუ მაინც მაწყენინებს, ბოლოს ერთი ხელის მოსმით დავკარგავ, ისე, რომ ამას სულაც არ ვინანებ.

— **გამოდის, წყენას იოლად ვერ ივიწყებ, ხომ?**

— გაბუტვა არ მჩვევია, მაგრამ წყენა დიდხანს გამყვება ხოლმე. შესაძლოა, იმ ადამიანთან ურთიერთობა გავაგრძელო, მაგრამ ის გულის ტკენა სულ მახსოვს.

— **ხშირად ტირი?**

— კი, ძალზე ხშირად და თან ისე უცებ წამომივა ცრემლი, რომ გაოცდებით, მაგრამ არასოდეს მივტირი წარსულს. უმეტესწილად მაშინ ვტირი, თუ ვინმე მაწყენინებს. ჩემთვის უცხოა ის, რაღაც გამახსენდეს, ოთახში ჩავიკეტო, ბალიშში თავი ჩავრგო და ვიტირო. ვცხოვრობ დღევანდელი დღით და ვთვლი, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ, თუმცა, ხშირად მეუბნებიან, რომ ტრაგიკული ვარ, მაგრამ მე ასე სულაც არ მიმაჩნია და გაუგებარია ჩემთვის, სხვები რატომ ფიქრობენ ასე.

— **ახლა შენი გული თავისუფალია?**

— დიახ. არც ისე დიდი ხნის წინ დავშორდი ბოლო შეყვარებულს და ახლა ახალი სიყვარულის მოლოდინში ვარ.

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— კარგები და ძალიან კარგები...

— **დაგვიხასიათე, როგორია კარგი და ძალიან კარგი მამაკაცი.**

— ყველანაირად, ყოველი კუთხით კარგები. დაბლები, მელოტები და ღიპიანები ნუ გამომეხმაურებიან. კაცი უნდა იყოს წარმოსადეგი, ვაჟკაცური, ცოტა ეჭვიანი და დამოუკიდებელი, ჩემზე ასე, 5-6 წლით უფროსი. მის შემოსავალს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, თვითონ ქმნიდეს თავის მომავალს, თვითონ შოულობდეს ფულს, თუნდაც ცოტას და არ იყოს დამოკიდებული მშობლებზე, ბიძაზე და სხვებზე...

— **შენი პროპორციები გვითხარი...**

— პროპორციები ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ვარ სიმაღლით 178 სმ, მაქვს მწვანე თვალები, ბუნებრივად ქერა თმა და ვარ ძალზე მომხიბვლელი. ამიტომ გამომეხმაუროს ისეთი მამაკაცი, ვისაც ჩემნაირი ქალის გვერდით ყოფნა ძალუძს. არასოდეს იპყრობს ყურადღებას ლამაზი კაცი. ყურადღების ცენტრში ყოველთვის ის კაცი ხვდება, ვისაც ლამაზი ქალი უმშვენებს გვერდს. როდესაც უცხო თვალი ლამაზ ქალს შენიშნავს, ამის შემდეგ აკვირდება მის კავალერს. ჩემთვის სასურველი მამაკაცი ამ პასუხისმგებლობას არ უნდა გაურბოდეს. მე უნდა გავხდე მისი პლუსი და არა მინუსი.

— **ფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა გათხოვდე? თუ მეგობარ მამაკაცზეც არ იტყვი უარს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ბოიფრენდი ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ იმდენად ამაყი ვარ, რომ ვერ წარმომიდგენია, ვიყო მამაკაცის გვერდით და ის ისე არ მიყურებდეს, როგორც მე მინდა. მე უფრო მყარი ურთიერთობის მომხრე ვარ, რასაც ოჯახი ჰქვია. ყოველთვის ვამბობდი — ჩემი გათხოვება ჯერ ადრეა-მეთქი, — მაგრამ ახლა ისეთ ასაკში ვარ (არ იფიქროთ, ბებერივით ვლაპარაკობდე), რომ ოჯახის შექმნის სურვილი ნამდვილად მაქვს. შესაძლოა, გარეგნულად თავისუფალი გოგოს შთაბეჭდილებას ვტოვებ, მაგრამ ეს ასე არ არის. ვინც დაიმსახურებს, მას გავყვები ცოლად.

— **საკუთარი ქორწილი როგორ წარმოგიდგენია?**

— ო-ო, ამაზე ხშირად მიფიქრია და ახლა საიდუმლოს გაგიმხელთ: მე ვიქნები თეთრ საპატარძლო კაბაში გამოწყობილი, სიძე — შესაბამისად კოსტიუმში. გვეყ-



**უმზითვო საპატარძლო ვარ. თუ მამაკაცი ჩემი მზითვით დაინტერესდება, ვეტყვი: ჩემზე კარგი „მზითვი“ რაღად გინდა-მეთქი?!**

ოლება ძალზე ბევრი სტუმარი, იქნება ყვავილები, ჯვრისწერა... ჯვრისწერის შემდეგ, ტრადიციულად საქორწინო სუფრას კი არ მივუჯდები — ორადგილიან კაბრიოლეტში ჩავსკუპდები, საჭესთან ჩემი ქმარი დაჯდება და ძალზე დიდი სისწრაფით გააქროლებს მანქანას. მე კი კაბის ფრიალით დავუქნევ ხელს ჩემს სტუმრებს... ისიც კი წარმომიდგენია, დედაჩემი როგორ დაიყვირებს: ვაიმეეე! რამე უბედურება არ დატრიალდეს, ასე სწრაფად რომ მიდიანო!.. მე კი ამ დროს, ძალზე ბედნიერი ვიქნები...

— **კაბრიოლეტით აეროპორტამდე მიხვალთ და მერე სხვაგან გაფრინდებით?**

— მაგას მერე მოვიფიქრებთ, მაგრამ ფაქტია, რომ თვალს რომ მივეფარებით და მყუდრო ადგილს დავინახავთ, გავჩერდებით... მერე ვნახოთ.

— **რა პროფესიის უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც შენ მოგეწონება?**

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ — ის არ იქნება მუსიკოსი, რადგან მუსიკოსი არ შეიძლება იყოს მამაკაცი ან ქალი — ის არის მუსიკოსი და მორჩა... მთავარია, კაცი გაგებით ეკიდებოდეს ჩემს საქმიანობას, არ უნდა დამიშალოს ის, რასაც ვაკეთებ. მე მყავდა შეყვარებული, რომელსაც აბსოლუტურად ყველა ის თვისება ჰქონდა, რომელიც მამაკაცს უნდა ახასიათებდეს, ეჭვიანიც იყო, მაგრამ არასოდეს უეჭვიანია იმის გამო, რომ მე „მუსკულებში“ ვთამაშობდი. არასოდეს დავასწრებ ჩემს თაყვანისმცემელსა თუ ქმარს გადაღებების პროცესს. აქ მამაკაცთა კოლექტივია. შესაძლოა, ისეთი რამ თქვან ან გააკეთონ, რაც მას არ მოეწონება. რატომ უნდა ვაეჭვიანო?! ის უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მე მისი ერთგული ვარ. თუ იეჭვიანებს, პირველ რიგში, საკუთარ თავს მიაყენებს შეურაცხყოფას. ამას, რაც აქ ხდება, მხოლოდ ხელოვანი ადამიანი გაიგებს. არ იფიქროთ, რაღაც საშინელებები და სიბინძურე ხდებოდეს. უბრალოდ, შესაძლოა, შეიგინონ ან უწმაწური სიტყვა თქვან...

— **დედა თუ გსაყვედურობს ხოლმე?**

— დედაჩემს ჩემზე, კარგს ვერ ათქმევინებთ. არ მიეკუთვნება ისეთი დედების რიგს, რომლებიც თავიანთ შვილებს ალმერთებენ, აქებენ და ჰგონიათ, რომ ყველაზე კარგი შვილი ჰყავთ. დედაჩემი სულ უკმაყოფილოა ჩემით და ყველაფრის გამო მსაყვედურობს.

— **ზარმაცი ხარ?**

— ხანდახან — კი, მაგრამ სიზარმაცის გამო საქმეს არ ვუღალატებ.

— **საოჯახო საქმე თუ გეხერხება?**

— კი, მეტ-ნაკლებად. აბა, „საპატარძლოს“ რუბრიკისთვის გესაუბრებით და როგორ ვთქვა — არა-მეთქი?! რაც არ ვიცი, იმასაც იოლად ვისწავლი.

— **ჩამოთვალე შენი მზითვი.**

— ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, რომ XXI საუკუნეში მომიწევდა გათხოვება და მზითვი არ დამჭირდებოდა. ამიტომ, უმზითვო საპატარძლო ვარ. თუ მამაკაცი ჩემი მზითვით დაინტერესდება, ვეტყვი: ჩემზე კარგი „მზითვი“ რაღად გინდა-მეთქი?! ისე, მე მყავს უამრავი მეგობარი გოგონა, რომელსაც ბევრი ფული აქვს. როცა თაყვანისმცემელი გამოუჩნდებათ, სულ იმას კითხულობენ — ნეტავ, ფული აინტერესებს თუ მეო?.. მე კი ეს პრობლემა არ მაქვს. ვიცი, რომ ჩემი ქონება არავის აინტერესებს. თუ ვინმეს მოვეწონები, დარწმუნებული ვარ, რომ მე მოვწონვარ, როგორც პიროვნება და ქალი და არა ჩემი ქონება. ასე რომ, უმზითვობასაც თავისი პლუსი აქვს.

— **საჩუქრები გიყვარს?**

— საჩუქრის მიღება ვის არ უყვარს?! უამრავ ყვავილს მიგზავნიან ხოლმე. ახლაც, დაბადების დღეზე უამრავი თაიგული მივიღე. ყვავილებს შორის რომ მეძინა, მეგონა, მოვკვდი-მეთქი. ძალზე კარგია, მაგრამ რომ ჭკნებიან, გული მწყდება ხოლმე და მეცოდებიან. ამ ცოტა ხნის წინ, თითქმის ყოველდღე, ტორტს მიგზავნიდნენ საჩუქრად. იმ პერიოდში, წონაშიც მოვიმატე და ვამბობდი: ეს ჩემი თაყვანისმცემელი კი არა, ჩემი მტერია-მეთქი.

— **უცხოელ მამაკაცზე გათხოვდები?**

— არა. არ მომწონს სხვა ეროვნების მამაკაცები. მყავდა გერმანელი შეყვარებული, მაგრამ დავშორდი. ის სულ სხვა ტიპი იყო, ქართველი მამაკაცისგან განსხვავებული. დარწმუნებული ვარ, უზომო პატივისცემაში ვიქნებოდი, თუ რამე გამიჭირდებოდა, დელიკატურად მეტყოდა — დაწყნარდი, ძვირფასო, ყველაფერი ძალზე კარგად იქნება, იმიტომ, რომ მიყვარხარო, — მაგრამ მე ეს არ მჭირდება. მე სხვანაირი, უფრო თბილი ურთიერთობის მომხრე ვარ.

— **ჭორებს როგორ ეგუები?**

— არ ვაქცევ ყურადღებას. ამას წინათ მეგობარი გოგონა მეკითხება: მართლა ზვიოს მიჰყვები ცოლადო? — სიცილით მოვკვდი. უახლოესი მეგობარიც კი იჯერებს გაგონილ ჭორს და სხვა რაღას იზამს?! ჭორებს მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭო. ვინც ჭორს იგონებს, ის თითქოს გამარჯვებული რჩება, რადგან ტალახში გსვრის. მაგრამ სინამდვილეში, გამარჯვებული შენ გამოდიხარ, რადგან ის რომ გჭორავს და შენზე ლაპარაკობს, გამოდის, გაღიარებს; რადგან გაღიარებს, გამარჯვებულიც შენ ხარ.

— **სარკე გიყვარს? წელან დაგინახე, გაპრიალებული ქვაბის ძირიც კი სარკედ გამოიყენე...**

— ძალიან მიყვარს. სულ სარკეში ვიყურები. როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მაშინვე სარკეს ვიღებ ხელში. შემიძლია, საათობით ვიჯდე და საკუთარი თავის ცქერით დავტკბე. ტელევიზორის ყურებასაც კი, სარკეში ყურება მირჩევნია.

— **რომელ კითხვას გისვამენ ყველაზე ხშირად?**

— სად მიდიხარ? — ეს არის კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად მესმის, რადგან ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები. დავუშვათ, მეგობრებთან ერთად ბარში ვზივარ. ნახევარი საათის შემდეგ უნდა ავდგე და გავიდე — ან ტელეფონით დავრეკო, ან წყალი მოვიტანო, ან ბართან მივიდე. ერთ ადგილზე ჯდომა ჩემთვის სასჯელია და სწორედ ამიტომ მეკითხებიან ხშირად, სად მივდივარ.

*ასეთია ჩვენი დღევანდელი „საპატარძლო“ და კიდევ — როგორც ზვიომ თქვა, ძალზე სექსუალურიც... ეს ზვიოს მაშინ აღმოხდა, როდესაც ეკრანზე ანის ფეხებს მოჰკრა თვალი... ანისთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ დამირეკონ ან „დამიმესიჯონ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61.*

■

# 31 მაისს,
# მედია ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმსი
# და „გორბი" უმასპინძლებენ
# რიგით IX, ტრადიციულ
# ბიზნეს-რეიტინგის
# საზეიმო ცერემონიალს

ავერსი-ფარმა - პაატა ქურტანიძე
გაერთიანებული ქართული ბანკი - ზაზა სიორიძე
თბილავიამშენი - პანტიკო თორდია
თი ბი სი ბანკი - ვახტანგ ბუცხრიკიძე
მაგთი - დევიდ ლი
ნიკორა - ვასილ სუხიაშვილი
სამგორი 94 - ავთანდილ წერეთელი
საქართველოს ბანკი - ვლადიმერ პაპეიშვილი
ყაზბეგი - ზურა კოსტავა
ჯეოსელი - ოსმან თურანი
ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერს კომპანი - მამუკა ხაზარაძე

ელექტროკავშირი - მერაბ კანკავა
საქაერონავიგაცია - გიორგი კარბელაშვილი
საქართველოს ნავთობის კორპორაცია - გიორგი ჭანტურია
საქართველოს რკინიგზა -
ფოთის პორტი - ჯემალ ინაიშვილი

# ბიზნესის ნაციონალური ჯილდო 2003

ქინერი
საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი

GORBI
THE GEORGIAN TIMES MEDIA HOLDING
ბიზნეს რეიტინგი
BUSINESS RATING

## ბიზნეს-რეიტინგს წარმოგიდგენთ
## მედია ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმსი

THE GEORGIAN TIMES
კავკასია
106,9 FM FORTUNA ფორტუნა
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ ТБИЛИСИ
თბილისი
GORBI
ვერსია
კვირის პალიტრა
იმიჯი
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ
საქართველოს რესპუბლიკა
ასავალ დასავალი
მთავარი გაზეთი

# „უდანაშაულო ძმა მოიკლა, თავად კი გარეთ დადის"

## დაისჯება თუ არა მკვლელი? — ამის პროგნოზს პროცესის მონაწილეები ვერ აკეთებენ

***2001 წლის პირველ თებერვალს დავით აბრამიშვილი თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე, №31 სახლში შევიდა, რათა მეგობრის შვილისთვის დაბადების დღე მიელოცა. მისთვის ის დღე და წვეულება საბედისწერო აღმოჩნდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით სუფრის ერთ-ერთმა წევრმა მისი სადღეგრძელო არ შესვა და კონფლიქტიც აქედან დაიწყო. წვეულებიდან გამოსულს, ეზოში, იმ პიროვნებასთან შელაპარაკება მოუხდა. ჩხუბის დროს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა გაისმა, დავით აბრამიშვილმა დაიყვირა — დამჭრესო და დაეცა. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მოკლული 39 წლის გახლდათ, დარჩა ცოლი და ორი შვილი.***

მკვლელობის საქმეს სამართალდამცავები უკვე სამი წელია იძიებენ. პროკურატურამ დანაშაულში ბრალი 1963 წელს დაბადებულ სპარტაკ მოსიაშვილს წაუყენა და დადგენილად გამოაცხადა ის ფაქტი, რომ აბრამიშვილს იარაღიდან დამიზნებით ტყვია სწორედ მან ესროლა. სპარტაკ მოსიაშვილი იმ პერიოდში გენპროკურატურის ერთ-ერთი პროკურორის — აკაკი დაუთაშვილის მძღოლად მუშაობდა და თან ატარებდა სამსახურებრივად რიცხულ ტაბელურ იარაღს. მოსიაშვილი მკვლელობის დღეს შემთხვევის ადგილიდან უკვალოდ გაქრა და თითქმის 6 თვის მანძილზე ემალებოდა გამოძიებას, თუმცა დაკავების დღიდან მოყოლებული აცხადებს, რომ უდანაშაულოა. საქმე სასამართლომდე მივიდა და სწორედ იქ გაირკვა, რომ გამოძიების პერიოდში არაერთი პროცესუალური დარღვევა იყო დაშვებული, მათ შორის — საპატიმრო ვადაც. განსასჯელის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მოსიაშვილი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა და სასამართლომაც იგი პირდაპირ დარბაზიდან გაათავისუფლა. საქმე დამატებით ძიებას დაუბრუნდა.

დამატებითი ძიებისას მოწმეთა ჩვენებები მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოსიაშვილი ირწმუნებოდა, რომ ჰაერში ისროლა, ფაქტის ერთ-ერთმა თვითმხილველმა კი სულ სხვა პირს დაადო ხელი. მისი თქმით, დავით აბრამიშვილი მისივე მეგობრის, იმ დროს შემთხვევის ადგილზე მყოფი ლადო აბაშმაძის მიერ გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. თუმცა, პროკურატურამ მისი ჩვენება არ გაიზიარა, მოწმე, ბრალდებულის ბედით დაინტერესებულ პირად ჩათვალა და 109-ე მუხლი კვლავ მოსიაშვილს წაუყენა. ამჟამად საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. ძირითადი მოწმეები პროცესზე სრულიად განსხვავებულად, არაერთგვაროვნად აღწერენ მომხდარ ფაქტს. დანაშაულის დასადგენად მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, საგამოძიებო ვადების დარღვევის გამო, დაუშვებელ მტკიცებულებებადაა ცნობილი და როგორც პროცესის მონაწილეები აღნიშნავენ, საქმე იქამდეა მისული, რომ მოსიაშვილს ბრალი ვერ უმტკიცდება.



მოკლული დავით აბრამიშვილი

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2001 წლის პირველ თებერვალს ნინოშვილის ქუჩაზე, №31 საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრებ ია ბაკურაძეს თავის ბინაში ქალიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით წვეულება ჰქონდა. სტუმრები ღვინოს სვამდნენ. მოგვიანებით, სუფრას შეუერთდა სპარტაკ მოსიაშვილი, დაახლოებით ორი საათის შემდეგ კი იქ მივიდნენ ბაკურაძის მეგობრები — თამარ გოგინაშვილი და დავით აბრამიშვილი. თამადამ — ზაზა გოგინაშვილმა *(თამარ გოგინაშვილის მეუღლე. — ავტ.)* აღნიშნა, რომ აბრამიშვილი იმ ოჯახში პირველად იმყოფებოდა და სუფრის წევრებს მისი სადღეგრძელოს შესმა სთხოვა. ამაზე მოსიაშვილმა უარი განაცხადა. როგორც მოწმეები ამბობენ, აბრამიშვილი, რომელიც მოსიაშვილს არ იცნობდა და ადრე არსად შეხვედრია მას, ასეთი საქციელით გაკვირვებული და განაწყენებული დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სუფრასთან ჩხუბი არ ამტყდარა. ქეიფი დასასრულს რომ მიუახლოვდა, მოსიაშვილმა წასასვლელად გამზადებულ აბრამიშვილს მიაძახა — საქმე მაქვს შენთან და ეზოში დამელოდეო.

სახლიდან აბრამიშვილი ზაზა გოგინაშვილთან ერთად გავიდა. ორივენი მოსიაშვილს დაელოდნენ და როცა ისიც გამოჩნდა, მის კუთვნილ მანქანაში — „ვოლგაში" ჩასხდნენ სასაუბროდ. მოსიაშვილმა აბრამიშვილს თავისი ნაცნობი ქალის სახელი და გვარი — თამარ ლოლაძე უხსენა და უსაყვედურა — მისთვის ტელეფონით შეურაცხყოფა მიგიყენებია, თავად მითხრა ამის შესახებო — და ამ საქციელის გამო პასუხი მოსთხოვა. აბრამიშვილმა კატეგორიულად უარყო როგორც ლოლაძესთან ნაცნობობა, ასევე მისი შეურაცხყოფა. მოსიაშვილმა ჯიუტად განაგრძო კამათი. შელაპარაკებაში სხვებიც ჩაერივნენ და სიტუაცია განმუხტეს, რის შემდეგაც მოსიაშვილმა მანქანა დაძრა და წავიდა. აბრამიშვილი კი, ბაკურაძის მეზობლად მცხოვრებ ზაზა გოგინაშვილის სახლში შევიდა. დაახლოებით 15 წუთში, ცოლ-ქმარი გოგინაშვილები აბრამიშვილის გასაცილებლად ბინიდან გამოვიდნენ. ეზოში მათ დახვდათ მანქანით უკან მობრუნებული მოსიაშვილი, რომელმაც აბრამიშვილის დანახვისთანავე განაგრძო მასთან კამათი. ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, მოსიაშვილმა კვლავ დაძრა მანქანა და ნელი სვლით წავიდა. მას ფეხით დაედევნა აბრამიშვილი, ამ უკანასკნელს კი — ზაზა და თამარ გოგინაშვილები. მაშინ, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, განაწყენებულმა მოსიაშვილმა განიზრახა აბრამიშვილის მოკვლა და დაახლოებით 10 მეტრში შეაჩერა ავტომანქანა, გააღო კარი, გადავიდა და ორჯერ გაისროლა აბრამიშვილისა და ცოლ-ქმარ გოგინაშვილების მიმართულებით. ერთ-ერთი ტყვია აბრამიშვილს გულმკერდის არეში მოხვდა, გოგინაშვილები დაჭრას გადაურჩნენ, თუმცა, როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავს, მათ გარ-

და კონფლიქტის ადგილას შემთხვევით მანქანით მისული აბრამიშვილის მეგობარი – ლადო აბაშმაძე, ამ უკანასკნელის ახლობელი გიორგი ყაჯრიშვილი *(გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი. – ავტ.)* და ყაჯრიშვილის შვილი იმყოფებოდნენ. პროკურატურის თქმით, ზემოთ ხსენებულ პირთა სიცოცხლეს მაშინ რეალური საფრთხე შეექმნა. რაც შეეხება მოსიაშვილს, იგი გასროლისთანავე მოსწყდა მანქანით იმ ადგილს და მიიმალა.

მომხდარი ფაქტის შემდეგ, მოსიაშვილის ნაცვლად პოლიციაში მამამისი გამოცხადდა და სამართალდამცავებს ის ცეცხლსასროლი იარაღი ჩააბარა, რომლიდანაც გასროლა მოხდა. მოსიაშვილი პოლიციამ 2001 წლის 9 ივნისს დააკავა. თავდაპირველად მან დუმილის უფლება გამოიყენა, თუმცა, 2001 წლის 21 აგვისტოს გამოძიებას ჩვენება მისცა და განაცხადა, რომ აბრამიშვილი მას არ მოუკლავს, მან მხოლოდ ჰაერში გაისროლა. ასევე უარყო სუფრასთან ალკოჰოლური სასმლის მიღების ფაქტი. მისი თქმით, ქეიფის დასრულების შემდეგ, იგი სალაპარაკოდ ზაზა გოგინაშვილმა გაიხმო. ეზოში რომ ჩავიდა, „ჟიგულისთან" მდგომი დაახლოებით 8 კაცი შენიშნა, მათ შორის აბრამიშვილი და გოგინაშვილი. თავად საკუთარი „ვოლგისკენ" გაემართა, თუმცა, ჩაჯდა თუ არა მანქანაში, მასთან აბრამიშვილმა და გოგინაშვილმა მიირბინეს, გამოაღეს მანქანის კარი, დაუკითხავად ჩასხდნენ უკანა სავარძლებში და დაუწყეს უხეში ლაპარაკი მის მეგობარ – თამუნა ლოლაძესთან დაკავშირებით. მაშინ გაახსენდა ლოლაძის მიერ ნათქვამი სიტყვები – ვიღაც დათომ დამირეკა და შეურაცხყოფა მომაყენა, მისი მანქანის ნომერი – 004-აო. ნახა, რომ აბრამიშვილის ავტომანქანას იგივე სანომრე ნიშნები ჰქონდა და მიხვდა, ის დათო – აბრამიშვილი იყო; ამიტომაც პირიქით შეუტია მას და მეგობრის შეურაცხყოფისთვის პასუხი მოსთხოვა. გოგინაშვილი და აბრამიშვილი გინებით გადავიდნენ მანქანიდან, შემდეგ კი მის გადათრევასაც შეეცადნენ. იქვე მყოფმა რეზო გოგუაძემ *(სუფრის ერთ-ერთი წევრი. – ავტ.)* ისინი იქაურობას გაარიდა, მოსიაშვილს კი წასვლა სთხოვა. მანქანა დაძრა და წავიდა, თუმცა გადასასვლელ ხიდს რომ მიუახლოვდა, ია ბაკურაძეს დაურეკა და ჰკითხა, თუ რა უნდოდათ მის სტუმრებს მისგან. იამ უპასუხა, რომ უკვე ყველანი წასულები იყვნენ და მოსიაშვილიც ამიტომ დაბრუნდა უკან მეგობრის – ქეთევან კობახიძის წასაყვანად. ქუჩაში კვლავ შენიშნა აბრამიშვილი და გოგინაშვილი. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, მანქანა მოშორებით გააჩერა, თუმცა ისინი მაშინვე მისკენ გაემართნენ, ძალით გააღეს კარი და ისევ მის გადათრევას შეეცადნენ. სწორედ ამ ჭიდილის დროს დაინახა, რომ გოგინაშვილმა მას დანიანი ხელი მოუქნია, მაგრამ ვერ მისწვდა. ამასობაში, მის უკან გაჩერებული უცხოური მარკის ავტომანქანიდან უცნობი პირები გადავიდნენ, ამ მომენტში მან მოახერხა მანქანის ამუშავება და დაძვრა, უკნიდან კი გაიგონა სიტყვები – „ესროლე, მაგის დედა!" 20 მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, როცა მოესმა რამდენიმე გასროლის ხმა. შეანელა სვლა, თავადაც გადატენა პისტოლეტი და იარაღის დემონსტრირების მიზნით, ხელი ღია ფანჯარაში გაყო და ჰაერში ერთხელ გაისროლა. გადასასვლელ ხიდთან მიახლოებულმა კვლავ დაურეკა ია ბაკურაძეს და ჰკითხა, თუ ვინ ისროდა. მაშინ უთხრეს, რომ მან გასროლის შედეგად აბრამიშვილი მოკლა. ეს მისთვის წარმოუდგენელი იყო, რადგან მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, თანაც ტყვია ჰაერში ისროლა და ვერ გაუგია, როგორ უნდა მოხვედროდა იგი აბრამიშვილს.

საქმის დამატებითი ძიების პროცესში სულ სხვა ვერსია განავითარა შემთხვევის თვითმხილველმა და მოსიაშვილის ახლო მეგობარმა – ქეთევან კობახიძემ. მისი თქმით, ხმაურზე ეზოში გასულმა დაინახა, თუ როგორ მიდიოდა მოსიაშვილის მანქანა ვორონცოვის მიმართულებით, მაშინ თავად სახლში შესასვლელად მიბრუნდა, რადგან კონფლიქტი ამოწურულად ჩათვალა. სწორედ ამ დროს გაიგონა ორი გასროლის ხმა, მიტრიალდა და მიწაზე დავარდნილი დათო დაინახა, მის წინ კი აბაშმაძე იდგა, რომელსაც ხელი წინ ჰქონდა გაშვერილი, ხელში რაღაც პისტოლეტის მაგვარი საგანი ეჭირა, რომელიც შემდეგ ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. სასამართლო სხდომაზე ქეთევან კობახიძემ იგივე გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ საქმის თავდაპირველი ძიებისას მას მსგავსი არაფერი უთქვამს თავის ჩვენებებში. კობახიძემ ეს ფაქტი ასე ახსნა: იმ დღეს აბაშმაძე დამემუქრა – ჩემი ხსენება არ გაბედო, თორემ, რაც მოგივა, თავს დააბრალეო. მისივე თქმით, აბაშმაძის მხრიდან ორი გასროლის შემდეგ, მან მოსიაშვილის ავტომანქანიდანაც გაიგონა სროლის ხმა. კობახიძე ირწმუნება, რომ მოსიაშვილმა მხოლოდ ერთხელ, ისიც ჰაერში გაისროლა. პროკურატურამ ქეთევან კობახიძის ჩვენება არ გაიზიარა: გამომძიებლის განმარტებით, მოწმე ტყუის, რადგან იგი მოსიაშვილის გავლენის ქვეშ იმყოფება.

**ნათელა აბრამიშვილი,** მოკლულის და:

*„აბაშმაძე აქ არაფერ შუაშია. იგი დათოსთან მეგობრობდა. იცოდა, იმ დღეს ნინოშვილის ქუჩაზე რომ იყო ჩემი ძმა, საქმე ჰქონდა და ამიტომაც გაუარა. სრულიად შემთხვევით შეესწრო კონფლიქტს. ან რატომ უნდა მოეკლა? ამის საფუძველი არ ჰქონდა. ჩემი ძმა მოსიაშვილმა მოკლა და ეს ყველასთვის ნათელია. სინამდვილეში, ყველაფერი ქეთევან კობახიძის გამო მოხდა. იგი მოსიაშვილის ახლო მეგობარი გახლავთ. მას ჩემი ძმაც იცნობდა. ერთხელ, თურმე, კობახიძე წვიმაში მოყოლილა, პანაშვიდზე მიეჩქარებოდა და შემთხვევით, მანქანით დათო შეხვედრია. დათოს შეუთავაზებია, მე წაგიყვანო. მიუყვანია პანაშვიდზე, იქიდან კი შინ მიუცილებია. ამის შესახებ მოსიაშვილმა შეიტყო, არ ესიამოვნა ეს ფაქტი და ამიტომაც აუშარდა ჩემს ძმას. თამარ ლოლაძე მიზეზად მოიგონა, რადგან იცოდა, რომ კონფლიქტს მხოლოდ ამ გზით გამოიწვევდა. ლოლაძესთან ნაცნობობას დათო ბუნებრივია, უარყოფდა, კობახიძის შინ მიცილებას კი – არა და ამ შემთხვევაში საჩხუბრადაც ვერ გამოიწვევდა. სამწუხაროდ, ეს ვერსია საქმის მასალების მიღმა დარჩა. მოსიაშვილმა უდანაშაულო ძმა მომიკლა, თავად კი გარეთ დადის".*

ქეთევან კობახიძე აბრამიშვილის მიერ პანაშვიდზე წაყვანას და შინ მიცილების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება ლოლაძეს, წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში იგი აღნიშნავს, რომ აბრამიშვილს არ იცნობს და მასთან ურთიერთობა არასდროს ჰქონია.

ჩადენილ მკვლელობაში მოსიაშვილს ხელს ადებს ფაქტის თვითმხილველი – თამარ გოგინაშვილი. სასამართლო სხდომაზე მან განაცხადა, რომ მოსიაშვილმა აბრამიშვილს დამიზნებით ესროლა. იგი კატეგორიულად უარყოფს, მისი ქმრის მხრიდან ძალადობისა და დანის მოქნევის ფაქტს. *„ჩემს მეუღლეს იმ დღეს დანა არ ჰქონია"*, – აღნიშნა მან. რაც შეეხება ზაზა გოგინაშვილს, მისი ცოლის თქმით, იგი ამჟამად ავსტრიაში იმყოფება. პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში კი ზაზა გოგინაშვილი, მოსიაშვილის მხრიდან მისი და აბრამიშვილის მიმართულებით ორჯერ გასროლის ფაქტს ადასტურებს. ქეთევან კობახიძის გარდა, საპირისპიროს აცხადებს ია ბაკურაძეც. მისი თქმით, მოსიაშვილმა მხოლოდ ჰაერში ისრო-

ლა, მანამდე კი, პირველი გასროლის დროს, ძირს დავარდნილი აბრამიშვილის წინ, საკუთარი ბინის აივნიდან მან აბაშმაძე დაინახა.

ლადო აბაშმაძე, რომელსაც მოწმეები ასეთ მძიმე დანაშაულში სდებენ ბრალს, ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. რამდენად სარწმუნოდ მიიჩნევს კობახიძეების ჩვენებას სასამართლო, მომავალი გვიჩვენებს. პროცესზე ჯერ მოწმეთა დაკითხვა არ დასრულებულა. თავად განსასჯელს სასამართლოსთვის ჩვენება ჯერჯერობით არ მიუცია, თუმცა მისი პოზიცია ნათელია. განსასჯელის ადვოკატები აცხადებენ, რომ საქმე მოსიაშვილის მიმართ ან უნდა შეწყდეს, ან ისევ დამატებით ძიებას დაუბრუნდეს. ამ საქმესთან დაკავშირებით პროგნოზს ვერც სახელმწიფო ბრალმდებელი აკეთებს. „*აშკარაა, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში პროკურატურამ არაერთი შეცდომა დაუშვა. ამ დარღვევების წყალობით, დღეს განსასჯელი, რომელსაც 109-ე მუხლი აქვს წაყენებული, თავისუფლად დადის. მტკიცებულებები რეალურად არსებობდა — დადგენილია, რომ მოკლულის სხეულიდან ამოღებული ტყვია და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრა, მოსიაშვილის კუთვნილი იარაღიდანაა გასროლილი, თუმცა საგამოძიებო მოქმედებები კანონიერ ვადებს გასცდა და ამის გამო მტკიცებულებები დაუშვებლად ცნო სასამართლომ*“, — განაცხადა პროკურორმა. არაპროფესიონალური და ზერელე გამოძიების შესახებ, სხდომაზე მოსამართლემაც მიანიშნა, თუმცა დაზარალებული მხარის წარმომადგენელი, მოკლულის და — ნათელა აბრამიშვილი სხვაგვარად ფიქრობს. მისი აზრით, აქ არაპროფესიონალიზმს კი არა, მიკერძოებას აქვს ადგილი. „*იმ დროს მოსიაშვილი გენპროკურატურის ერთ-ერთი ჩინოსნის მძღოლი გახლდათ. ამან გამოძიებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ კვალი აერიათ და წარმატებულადაც,*“ — აცხადებს ის. განსასჯელის მხარე ყოველივე ამას უარყოფს. გენპროკურატურის ჩინოსნების საქმეში ჩარევა ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია სახელმწიფო ბრალმდებელსაც. „*მოსიაშვილი უბრალოდ მძღოლი იყო და ჩინოსნები მის საქმეში ამ დონეზე არ ჩაერეოდნენ. მით უმეტეს, როცა საქმე განზრახ მკვლელობას ეხება*“, — ახსნა პროკურორმა. სპარტაკ მოსიაშვილი თბილისში ცხოვრობს, იგი უცოლშვილოა და წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. სასამართლოს ჩვენებას ის მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მისცემს. ■

# „ვყაჩაღობდი, რადგან საზღვარგარეთ წასასვლელად ფული მჭირდებოდა“

## განაცხადა განსასჯელმა, რომელსაც სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა

***სამუდამო პატიმრობამისჯილი ბონდო გიგინეიშვილი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა. უკვე დაოჯახებულია და ჰყავს 6 წლის შვილი.. განსასჯელის სკამზე ის პირველად 1999 წელს, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი მოხვდა. მაშინ გიგინეიშვილს მძიმე დანაშაულისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა ვადამდე ადრე გაათავისუფლეს., 2003 წლის პირველ ივნისს პოლიციამ ის ყაჩაღობის ფაქტზე დააკავა, რამდენიმე პირთან ერთად. იგი პირდაპირ გატაცებული „მერსედესიდან“ გადმოსვეს და ბორკილებდადებული, თანამზრახველებთან ერთად, განყოფილებაში წაიყვანეს. სამართალდამცავების თქმით, მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. როგორც ამბობდნენ, გიგინეიშვილი შეიარაღებულ ყაჩაღურ ბანდას მეთაურობდა, ბანდას არაერთ დანაშაულში მიუძღოდა ბრალი, თავად მის ლიდერს კი — მკვლელობაშიც...***

მოგვიანებით, გამოძიებამ ეს ბრალდებები დაადასტურა და საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცა. პროცესზე განსასჯელებმა ყველაფერი უარყვეს, გიგინეიშვილმა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა. ამის მთავარი მიზეზი, 2003 წლის 10 მაისს მომხდარი მკვლელობა გახდა. სასამართლო მასალების მიხედვით, იმ დღეს, ხონში, ლიპარტელიანების ოჯახში ქორწილი იყო გამართული. ბონდო გიგინეიშვილმა, რომელიც მაშინ, თავის მეგობართან და ლიპარტელიანების მეზობელთან — აკაკი ბახტაძესთან სტუმრად იმყოფებოდა, ძმაკაცებთან ერთად ქორწილში წასვლა გადაწყვიტა. თან წაიღო ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც საქმის მასალების მიხედვით, მუდამ თან დაატარებდა. ღვინო ყველამ დალია. როცა ლხინი დასასრულს მიაუხლოვდა და თამადამ სუფრის წევრებს ბოლო სადღეგრძელოს ბოლომდე შესმა სთხოვა, ჩოჩქოლი ატყდა. გაირკვა, რომ აკაკი ბახტაძის უმცროსმა ძმამ — 19 წლის ლაშა ბახტაძემ თამადის — სავლე ლიპარტელიანის მიერ მიწოდებული სასმისი არ დაცალა და ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო მიწაზე დაღვარა. თამადა გააბრაზა და ლაშა ბახტაძეს უსაყვედურა. ბახტაძემ შენიშვნა არ მიიღო. ბრალდების თანახმად, მან სავლე ლიპარტელიანს შეაგინა და შემდეგ ხელიც გაარტყა. სტუმრებმა ბახტაძე იქაურობას გაარიდეს, თუმცა ახლა მისმა მეგობრებმა, მათ შორის ბონდო გიგინეიშვილმაც, მოინდომეს თამადასთან საქმის გარჩევა და ჩხუბი განაახლეს. ლიპარტელიანების მეზობელი — შერმადინ ლიპარტელიანი, რომელიც მთელი ლხინის განმავლობაში სუფრას ემსახურებოდა და ამის გამო ფხიზელი გახლდათ, სხვებთან ერთად გაშველების მიზნით ჩაერია ჩხუბში. სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მან ჩხუბის ყველაზე აქტიურ მონაწილეს — ბონდო გიგინეიშვილს მოუწოდა, დამშვიდებულიყო, პასუხად მისგან მუშტი მიიღო. შერმადინ ლიპარტელიანმაც არ დააყოვნა და გიგინეიშვილს ხელი ჰკრა, ეს უკანასკნელი წაიქცა და იქვე გამავალ არხში ჩავარდა. ამასობაში, შერმადინ ლიპარტელიანს მეუღლე მივარდა, სთხოვა ქმარს, ჩხუბისთვის თავი დაენებებინა და შინ წაჰყოლოდა. როგორც განაჩენშია აღნიშნული, გაბრაზებულმა ბონდო გიგინეიშვილმა ლიპარტელიანზე შურისძიება და მისი მოკვლა განიზრახა. არხიდან ამოძვრა თუ არა, მაშინვე შინისკენ მიმავალ ცოლ-ქმარს დაედევნა. მალე დაეწია კიდეც და წინ გადაუდგა მათ, შემდეგ „ნაგანის“ რევოლვერი ამოიღო და შერმადინ ლიპარტელიანს დაუმიზნა. თავზარდაცემული ქალი იარაღიან ხელში სწვდა გიგინეიშვილს, უნდოდა, მისთვის რევოლვერი წაერთმია, მაგრამ ვერ შეძლო. გიგინეიშვილმა მას იარაღის ტარი თავში ჩაარტყა. ქალი წაიქცა და გასროლის ხმაც მაშინვე გაისმა. გიგინეიშვილმა შერმადინ ლიპარტელიანს კისრის არეში მოახვედრა ტყვია. როგორც მოგვიანებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა ახსნეს, დაჭრილს დაუზიანდა ტრაქეა, სისხლდენის შედეგად განუვითარდა ჰემორაგიული შოკი და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

თავად ბონდო გიგინეიშვილი ზემოთ მოყვანილ ფაქტებს უარყოფს. სასამართლო სხდომაზე მან განაცხადა, რომ შერმადინ ლიპარტელიანი შემთხვევით მოკლა და არა განზრახ. „*...რამდენიმე სტუმარი ერთად მცემდა, შემდეგ ერთმა მათგანმა ხელი მკრა და წყლის არხში ჩამაგდო. მას*

*ადრე არ ვიცნობდი. შეშინების მიზნით ამოვიღე „ნაგანი“ და უმისამართოდ ვისროლე. იქიდან წასვლის შემდეგ შევიტყვე, რომ ტყვია ერთ-ერთს — შერმადინ ლიპარტელიანს მოხვედრია. მე მისი მოკვლის განზრახვა არ მქონია, იარაღიდან მხოლოდ მოჩხუბრებისგან თავის დაღწევის მიზნით ვისროლე*“, — განაცხადა პროცესზე განსასჯელმა.

საქმის მასალების მიხედვით, ბონდო გიგინეიშვილი და მისი მეგობრები გასროლისთანავე გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან და ბახტაძეების სახლში მივიდნენ.

ბონდო გიგინეიშვილმა და აკაკი ბახტაძემ 1999-2000 წლებში, გეგუთის №5 კოლონიაში გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ. მაშინ ორივენი არასრულწლოვნები იყვნენ და ერთი და იმავე დანაშაულისთვის — ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარება-შენახვისთვის იხდიდნენ სასჯელს. გიგინეიშვილს 7 წლით, ხოლო ბახტაძეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, თუმცა 2001 წლის სექტემბერში, ორივენი პირობით, ვადამდე ადრე გაათავისუფლეს. მას შემდეგ, პროკურატურის ბრალდებით, რაც მოგვიანებით სასამართლომაც დაადასტურა, მათ არაერთი დანაშაული ჩაიდინეს ერთად. საქმის მასალების მიხედვით, კოლონიიდან გათავისუფლებისთანავე გიგინეიშვილმა გამოძიებით დაუდგენელი პირისგან „კალაშნიკოვისა“ და „აკს“-ის ავტომატები, „ნაგანის“ რევოლვერი, საბრძოლო მასალა და ხელყუმბარები შეიძინა. განაჩენის თანახმად, 2003 წლის 4 მარტს მთვრალმა გიგინეიშვილმა განიზრახა, პოლიციელებისთვის წაერთმია ცეცხლსასროლი იარაღი. ამ მიზნით, საღამოს, დაახლოებით 7 საათზე, სამტრედიაში, თავის საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე შპს „ჯეჯილის“ საგუშაგო ჯიხურში შეიჭრა და დაცვის პოლიციელებს დაესხა თავს. ჯიხურში თავდაპირველად, მხოლოდ ერთი პოლიციელი — ლაშა ძნელაძე დახვდა. ძნელაძეს იგი უკნიდან მიეპარა და თავში ჩაარტყა რევოლვერის ტარი. ხმაურზე ჯიხურში მეორე პოლიციელი — ლევან ნიკურაძეც შევარდა, გიგინეიშვილმა მასაც იარაღის ტარი ჩაარტყა თავში და დარწმუნებულმა, რომ წინააღმდეგობას ვერც ერთი ვეღარ გაუწევდა, სამტრედიის შს საკუთრების დაცვის განყოფილებაზე რიცხული „აკს“-ის ავტომატი და 45 საბრძოლო ვაზნა გაიტაცა. აღნიშნული ავტომატი, ისევე, როგორც დანარჩენი, უკანონოდ შეძენილი იარაღი, მან ხონში, აკაკი ბახტაძის სახლში ამ უკანასკნელის დახმარებით გადამალა.

ქორწილში ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან გაქცეულმა გიგინეიშვილმა და მისმა მეგობრებმა ბახტაძის სახლში მოიყარეს თავი და მაშინვე, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაზე ფიქრი დაიწყეს. როგორც გიგინეიშვილმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, მათ მოკლულის ნათესავების მხრიდან შურისძიების შეეშინდათ და საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეს. მაგრამ ამისთვის ფული სჭირდებოდათ, რომელიც არ ჰქონდათ. მოილაპარაკეს, რომ ფულს მოქალაქეებზე ყაჩაღური თავდასხმების გზით იშოვიდნენ. განაჩენის თანახმად, ამ მიზნით მათ შეიარაღებული ბანდა ჩამოაყალიბეს.

სასამართლოს მასალების მიხედვით, ბონდო გიგინეიშვილი, აკაკი ბახტაძე და მათი მეგობარი — ოთარ კოპალიანი იმავე ღამით გაუდგნენ გზას. საქმის მასალების მიხედვით, ტრასაზე „ვაზ 2106“ შენიშნეს და მაშინვე მისი გატაცება განიზრახეს. ავტომანქანაში მძღოლის გარდა, ერთი ქალი იჯდა. გიგინეიშვილი „ჟიგულის“ წინ გადაუდგა და ავტომატი დაუმიზნა. კოპალიანი და ბახტაძე მოშორებით დადგნენ. ავტომობილი გაჩერდა თუ არა, გიგინეიშვილმა შიგ მყოფნი აიძულა, გადმოსულიყვნენ, საჭეს თავად მიუჯდა და რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, კოპალიანი და ბახტაძეც ჩაისვა. აღნიშნული ავტომანქანა სამართალდამცავებმა 2003 წლის 11 მაისს სამტრედიაში აღმოაჩინეს. შემდეგ გამტაცებლებმა მიკროავტობუსი მიზანში „ფორდსიერა“ ამოიღეს, რომელიც ბათუმიდან თბილისში მიდიოდა, გზა გადაუღობეს, მძღოლსა და მგზავრებს იარაღის მუქარით ჯერ ფული და ფასეული ნივთები წაართვეს, ხოლო შემდეგ აიძულეს, მანქანიდან გადასულიყვნენ. აღნიშნული მიკროავტობუსით გიგინეიშვილი, ბახტაძე და კოპალიანი ხაშურის რაიონის დაბა სურამამდე ჩავიდნენ, სურამში კი მიკროავტობუსი ტექნიკური გაუმართაობის გამო მიატოვეს.

სამართალდამცავთა თქმით, 2003 წლის მაისის შუა რიცხვებში ბანდას ლაშა ბახტაძეც შეუერთდა. განაჩენის თანახმად, 2003 წლის პირველ ივნისს ბანდამ სამტრედიიდან თბილისისკენ, კერძოდ, ლილოს ბაზრობისკენ მიმავალი ავტობუსის დაყაჩაღება განიზრახა. ამისთვის სპეციალურად დაიქირავეს ზაზა ნოზაძის კუთვნილი „ვაზ 2106“, რათა ჩასაფრებოდნენ ზემოთ ხსენებულ ავტობუსს. ნოზაძეს განზრახვა არ გაანდვეს. მაგრამ ავტობუსის მძღოლმა დაინახა, რომ ნიღბიანი და შეიარაღებული ბოროტმოქმედები აედევნნენ, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ავტობუსი რამდენჯერმე, ზედიზედ დაავჯახა „ვაზ 2106“-ს. მანქანა მწყობრიდან გამოვიდა, ავტობუსმა კი გზა განაგრძო. გიგინეიშვილმა და მისმა თანამზრახველებმა დამტვრეული ავტომანქანით გზა ჩახერგეს და „მერსედესს“ დაესხნენ თავს. მძღოლის გარდა მანქანაში სხვებიც ისხდნენ. თავდამსხმელებმა მათ ფული და ფასეული ნივთები წაართვეს, შემდეგ „მერსედესში“ ჩასხდნენ და წავიდნენ. მანქანის პატრონი და დანარჩენი მგზავრები იქვე მიატოვეს. პოლიციას მომხდარის შესახებ სწორედ „მერსედესის“ მფლობელმა შეატყობინა. გიგინეიშვილსა და მის თანმხლებ პირებს სამართალდამცავებმა ზესტაფონის რაიონის სოფელ ვაჭებთან, ხერგილით გადაუღობეს გზა. თუმცა, პოლიციელთა მოთხოვნა, მანქანა გაეჩერებინათ, ამაო აღმოჩნდა. „მერსედესი“ ხერგილს პირდაპირ შეეჯახა, გაარღვია იგი, მაგრამ ამის შემდეგ მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და მანქანა რამდენიმე მეტრში კლდეს შეეჯახა. ოთარ კოპალიანმა და ლაშა ბახტაძემ მძიმე, გიგინეიშვილმა კი მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიიღეს. პოლიციამ სამივე დააკავა და გატაცებული ნივთები და ცეცხლსასროლი იარაღი ჩამოართვა. რაც შეეხება გატაცებულ „მერსედესს“, იგი შემთხვევის შედეგად გაჩენილი ხანძრის გამო დაიწვა.

მეგობრების დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში — 2003 წლის 10 ოქტომბერს აკაკი ბახტაძე ნებაყოფლობით გამოცხადდა თბილისის შს მთავარ სამმართველოში. მან, ისევე, როგორც მისმა ძმამ და ოთარ კოპალიანმა, პროკურატურაშიც და სასამართლოშიც უარყვეს ზემოთ მოყვანილი ფაქტები და განაცხადეს, რომ არანაირი ბანდის წევრები არ ყოფილან და არც ყაჩაღობებში მიუღიათ მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ 22 წლის აკაკი ბახტაძეს 13 წლით, ლაშა ბახტაძეს 10 წლით, ხოლო 24 წლის ოთარ კოპალიანს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბონდო გიგინეიშვილმა განაჩენი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გაასაჩივრა და სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა. მან მკვლელობის ეპიზოდში ჩვენება შეცვალა და ამჯერად, პალატის მოსამართლეებს განუცხადა, რომ შერმადინ ლიპარტელიანმა ჯერ ხელი გაარტყა, შემდეგ შეაფურთხა, მან კი შეურაცხყოფა ვეღარ მოითმინა, რევოლვერი ამოიღო და დაუმიზნა, თუმცა, მისი მხოლოდ დაჭრა უნდოდა და არა მოკვლა. შეიარაღებული ბანდის ჩამოყალიბება მან ამჯერადაც უარყო. რაც შეეხება ყაჩაღურ თავდასხმებს, უმეტესობა აღიარა. ჯერ კიდევ წინა სასამართლო სხდომაზე თავისი საქციელი მან ასე ახსნა: „*ვყაჩაღობდი, რადგან საზღვარგარეთ წასასვლელად ფული მჭირდებოდა*“. პალატას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია. შეუცვლიან თუ არა გიგინეიშვილს სასჯელს, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

■

***რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ***

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ელჩა დვალის

**უბის წიგნაკიდან:**

1. ბოხმეჭა უფეხო ხვლიკია.
2. ხორციან კორკოტს არისა ჰქვია.
3. ტურები მზრუნველი მშობლები არიან.
4. წავის ბეწვს რუსეთში რბილ ოქროს ეძახდნენ.
5. ალექსანდრიტი ფერს განათების შესაბამისად იცვლის.
6. მიმინოგამოდევნებული ტოროლა გალობას არ წყვეტს.



7. დედალი ვეშაპი სამ წელიწადში ერთხელ მშობიარობს.
8. აგურს ეგვიპტეში ჩალისა და ტალახისაგან ამზადებდნენ.
9. პირველი მოტოციკლი 1885 წელს გოტლიბ დაიმლერმა შექმნა.
10. განელი ქალები მთელ აფრიკაში პროსტიტუციით არიან განთქმულნი.
11. „შენ ხარ ვენახის“ ავტორი დავით აღმაშენებლის შვილი დემეტრე პირველი გახლავთ.
12. ეკლესია-მონასტრებისათვის პურის მოგროვებას კალოებზე ჩამოთხოვით, კალმასობა ერქვა.
13. ფუტკრები ყოველ წელიწადს უფრო მეტ ადამიანს კლავენ, ვიდრე ერთად აღებული — გრიზლი, ნიანგი და ობობა.
14. სალოცავში მიმავალ ხალხს, რომელსაც წინ დროშის მზიდველი ხევისბერი ან ხატის მსახური მიუძღოდა, ფშავში დროშიონს ეძახდნენ.
15. ყველაზე იაფი ფილმი 1903 წელს გადაიღეს. მისი შექმნა 100 დოლარი დაჯდა, შემოსავალმა კი 20.000 დოლარს გადააჭარბა.
16. 1829 წელს ალპინისტების ჯგუფმა, რომელიც იალბუზს ლაშქრავდა, 5 ათასი მეტრის სიმაღლეს მიაღწია, მაგრამ მთის აღმოსავლეთ მწვერვალზე ასვლა მხოლოდ გამცილებელმა შეძლო.
17. კონიაკის დაძველებისას აორთქლებულ სპირტს საფრანგეთში ანგელოზების წილს ეძახიან.
18. „იესლი ვი ვსიუ ჟიზნ სმოტრიტე ვ დვე უზინკიე შჩოლოჩკი, ზნაჩიტ ვი კიტაეც“, — გვარწმუნებს მიხაილ ზადორნოვი.
19. გერმანელმა ექიმმა მარკუს ჰერცმა თავის პაციენტს, რომელიც სამედიცინო წიგნებში ამოკითხული რეცეპტე-



**„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამის წამყვანი — ანუკა ქინქლაძე ძალზე ენერგიული და მხიარული ადამიანია. ამიტომაც შეხვედრისთანავე ვკითხე — არასდროს გიფიქრია, რაიმე გასართობი გადაცემა წაგეყვანა-მეთქი? — არა, ამაზე არასდროს მიფიქრია, არც არავის შემოუთავაზებია, თორემ, შეიძლება, დავფიქრებულიყავი კიდეცო, — მიპასუხა.**



# ანუკა ქინქლაძის პირველი, „მსუბუქი“ ტელეეთერი ხიდების აფეთქებით დაიწყო

ნათია თენიეშვილი

*ანუკა 28 წლის არის. ჰყავს მეუღლე, პროფესიით ექიმი — მამუკა ხაჩიშვილი და სამი წლის შვილი — ნიკოლოზი, რომელსაც მშობლების მოუცლელობის გამო, ანუკას დედა ზრდის. ნიკოლოზი დედას ხშირად ეუბნება — დღეს ტელევიზორში გნახეო, — მერე კარში ჩადგება, ხელებს გაშლის და ყვირის — არსად არ გაგიშვებო!..*

— ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ საინფორმაციო სფეროში ვიმუშავებდი. არასდროს მაინტერესებდა მსგავსი რაღაცები. უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. პროფესიით ფილოლოგი ვარ. რვა წლის წინ, სრულიად შემთხვევით გავყევი მეგობარს ტელეკომპანია „საქართველოს ხმაში“ და იქ „შევრჩი“. იქიდან მოყოლებული, საინფორმაციო პროგრამა მიმყავს. როგორც კორესპონდენტს, სულ რამდენიმე სიუჟეტი მაქვს გაკეთებული, ისიც — იმ შემთხვევაში, თუ ისეთი რამ ხდებოდა, რაც პირადად მე მაინტერესებდა. „საქართველოს ხმაში“ ხელფასი 50 ლარი მქონდა. მერე „იბერიაში“ გადავედი. იქ 250 ლარი დამინიშნეს. სხვაობა იმდენად დიდი იყო, რომ თავი მდიდარი მეგონა. მერე „მე-9 არხზე“ გადავედი და ხუთი წელი იქ ვიმუშავე. ხშირად მეუბნებიან — რომელ არხზეც კი გიმუშავია, ყველა დაიხურაო... ასეა, მაგრამ „რუსთავი 2“-ს ეს არ ემუქრება, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— როცა „მე-9 არხზე“ მუშაობდი, მაშინ არ გიფიქრია „რუსთავი 2“-ში გადასვლაზე?**

— არა, ყველა არხზე შეიძლებოდა მეფიქრა, ამის გარდა. იქ თავს ისე კარგად ვგრძნობდი, არც მინდოდა სადმე წასვლა. გახსნის დღიდან ბოლომდე იქ



როცა გავთხოვდი, უკვე ტელევიზიაში ვმუშაობდი. ჩემი მეუღლე შეგუებული იყო ჩემი ცხოვრების რიტმს



...მერე კარში ჩადგება, ხელებს გაშლის და ყვირის — არსად არ გაგიშვებო!..

ვიყავი. საერთოდ „მე-9 არხის“ ეთერში პირველიც მე ვიჯექი და ბოლოც.

**— როგორ შეიტყვე „მე-9 არხის“ დახურვის შესახებ და რა რეაქცია გქონდა?**

— ეს ამბავი მეც მაშინ გავიგე, როცა მთელი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. პირველი აპრილი იყო. იმ დღეს არ ვმუშაობდი და თანამშრომელმა შინ დამირეკა — ტელევიზია დაიხურაო. საპირველაპრილო ხუმრობა მეგონა და ვუთხარი — ვინმე სხვა მოატყუე-მეთქი... მაგრამ მართალი აღმოჩნდა. ძალიან დამწყდა გული. ხუთი წელი ერთ ადგილას მუშაობ, ერთსა და იმავე ხალხთან და უცებ, ყველაფერი იშლება. ბევრი ადამიანი უმუშევარი დარჩა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნელ-ნელა ყველა იპოვის თავის ადგილს. სამწუხარო ის არის, რომ არხი აღარ არის და „მე-9 არხის“ ლოგოც გაქრა...

**— „რუსთავი 2“-ზე შენი გადასვლა როგორ მოხდა?**

— „მე-9 არხი“ რომ დაიხურა, წესიერად ამის გაცნობიერება ვერც მოვასწარი — იმავე საღამოს დარეკა ეკა ხოფერიამ, დაგვიბარა მე და რამდენიმე ჩემი კოლეგა და პირობები გაგვაცნო. სხვა ტელეკომპანიებისგანაც იყო შემოთავაზებები, მაგრამ საბოლოოდ, „რუსთავი 2-ზე“ შევაჩერე არჩევანი.

**— რატომ?**

— ალბათ იმიტომ, რომ უფრო სტაბილური და ოპერატიული არხია. მე მანამდეც ვიცოდი, როგორი მუშაობის რიტმი და ტემპია აქ. ვიფიქრე, თუ ამას დავძლევდი, მაშინ აღარსად გამიჭირდებოდა მუშაობა. საკუთარ თავსაც ვცდი და ამით რაღაცას ვუმტკიცებ-მეთქი...

**— პრინციპში, შენ აქაც იმავე საქმეს აკეთებ, რასაც „მე-9 არხზე“ აკეთებდი. განსხვავება არის?**

— იგივე სფეროა, მაგრამ განსხვავება არის: უფრო დაძაბული რიტმია და პასუხისმგებლობაც გაცილებით მეტია. ყოველ სიტყვას ენიჭება მნიშვნელობა. „მე-9 არხზე“ უფრო მსუბუქად ვიყავი. აქ ტექსტიც ჩემი დასაწერია და გაცილებით დატვირთულიც ვარ. ცოტათი მიჭირს და ამიტომ ნელ-ნელა მტვირთავენ: ჯერჯერობით, მარტო შაბათ-კვირას ვარ ეთერში. ეკამ მითხრა — ერთი დღე შუა კვირაშიც აიღეო, — მაგრამ ჯერ არ მინდა. ჯერჯერობით შეგუების პროცესში ვარ. არა ვარ მთლად კარგად მორგებული ახალ სიტუაციას. ნელ-ნელა შევეჩვევი და ზაფხულში ალბათ მომიწევს მთელი დატვირთვით მუშაობა... როცა გავთხოვდი, უკვე ტელევიზიაში ვმუშაობდი. ჩემი მეუღლე შეგუებული იყო ჩემი ცხოვრების რიტმს. თუმცა, ახლა ხედავს, რომ შეიძლება, თანდათან უფრო დავიტვირთო და ცოტა უჭირს, მაგრამ არა მგონია, ამის გამო პრობლემები შეგვექმნას.

**— შენს ძველ, „მეცხრეარხელ“ თანამშრომლებს ნახულობ ხოლმე?**

— კი „რუსთავი 2“-ზეც საკმაოდ ბევრნი ვართ. ჟურნალისტების გარდა, ტექნიკური პერსონალის ბევრი მუშაკიც გადმოვიდა აქ და მათი დანახვა, რა თქმა უნდა, მსიამოვნებს. სხვანაირი ემოცია მაქვს იმის გამო, რომ ისევ ერთად ვართ... თვის ბოლოს, ხელფასს ავიღებთ ყველანი და მათთან ერთად, ვინც სხვა არხებზე მუშაობენ, ალბათ წავალთ სადმე საქეიფოდ ყოფილი „მეცხრეარხელები“.

**— როცა პირველად დაჯექი „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში, ნერვიულობდი?**

— დასაწყისისთვის სპეციალურად შემირჩიეს მსუბუქი დღე — კვირა. მაგრამ მაინცდამაინც იმ კვირას მოხდა ხიდების აფეთქება აჭარაში — ასე რომ, არ გამომივიდა ის დღე მსუბუქი. ის, რომ ამდენი წელი ეთერში ვიჯექი, ბევრს არ ნიშნავს, აქ სულ სხვა გარემოა და თავიდან, ძალიან ვღელავდი. ვინც მიცნობს, ისინი ამჩნევდნენ კიდეც ამას. რა თქმა უნდა, ვიცი ჩვენი კორესპონდენტების სახელები და გვარები, მაგრამ ბათუმის კორესპონდენტის ნესტან ცეცხლაძის მაგივრად, ვთქვი: ახლა ბათუმიდან ახალი ამბებით ჩაგვერთვება ჩვენი კორესპონდენტი ნესტან კირთაძე-მეთქი... არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ ახლაც მრცხვენია ამისი, რომ მახსენდება. „მე-9 არხზე“ კი, ერთხელ, იმის მაგივრად, რომ მეთქვა — ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე-მეთქი, — „შეხვამდის“ ვთქვი: ეტყობა, გავაერთიანე ის ორი სიტყვა. მაშინ ყველამ ბევრი იცინა...

■

# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ჟორჩა ღვალის

**უბის წიგნაკიდან:**

ბის მიხედვით თვითმკურნალობას ეწეოდა, ბეჭდვითი შეცდომისაგან სიკვდილი უწინასწარმეტყველა.

20. ერთ-ერთ ყვავილების მაღაზიას საფრანგეთში ასეთი სარეკლამო ფირნიში ამშვენებს: „ჩვენთან ყვავილები ისეთი იაფია, რომ მათი შეძენა ქმრებსაც კი შეუძლიათ“.

21. „ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა, ცხვრადვე მამყოფე უფალო, ოღონდ ამცილდეს მგელობა“, — წერდა ვაჟა-ფშაველა.



22. ლოცვა ბერების მთავარი ვალდებულებაა. წირვაში მონაწილეობის მისაღებად ბერები დღის განმავლობაში ექვსჯერ-შვიდჯერ წყვეტდნენ ყოველგვარ სამუშაოს. ერთადერთი სამუშაო, რომელიც ძველად ბერებს წირვაში მონაწილეობის მიღებისაგან ათავისუფლებდა, წიგნის გადაწერა იყო.

23. შუა საუკუნეების ევროპაში ხშირად მძვინვარებდა შიმშილი. არისტოკრატია მას უფასო ხორბლის დარიგებით ებრძოდა. 1286 წლის გაზაფხულზე პარიზის ეპისკოპოსმა ხალხის დაპურების უფრო ეფექტური და იაფი საშუალება გამონახა, თუმცა, ამან მხოლოდ პირველ წელს გამოიღო შედეგი: ეპისკოპოსმა ხალხს უფლება დართო, დიდი მარხვის დროს, საქონლის ხორცი ეჭამა.

24. ინგლისის პარლამენტი ტრადიციების ბუდეა. ერთ-ერთი ტრადიცია, რომელიც უძველესი დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა, ავალდებულებდა მორიგე პოლისმენს, საღამოობით შემოევლო პარლამენტის პალატები და ეკითხა, თუ ვინ მიდიოდა შინ. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ მაშინ დამკვიდრდა, როდესაც უკმაყოფილო მოსახლეობა შინ მიმავალ პარლამენტარებს სცემდა.

25. ანსამბლ „ვია-გრასთან“ ერთად ჩაწერილი კლიპის შემდეგ, ვალერი მელაძეს მოსკოვში ასეთი „ჩასტუშკა“ შეუთხზეს: „ბილ მელაძე ხოტ კუდა, ნო სვაიო ბერუტ გოდა, ი ტეპერ ონ, იზვინიტე, ბეზ ვიაგრი ნეკუდა!“

■

# სკოლის მერხთან ჩასახული სიყვარული

**იმ უამრავი წერილიდან, რომლებშიც ჩვენი მკითხველები სკოლის პერიოდში გაჩენილი გრძნობების შესახებ გვიამბობდნენ, რამდენიმე ამოვარჩიე. ბავშვური გულწრფელობით აღსავსე ამბები მერხთან ჩასახული სიყვარულის შესახებ, ნებისმიერ ადამიანში სიყმაწვილის ხანას გაგვახსენებს და ნოსტალგიას გამოიწვევს. ამბობენ, ამ ასაკში ჩასახული სიყვარული მარადიულიაო. ამასვე ამტკიცებენ იმ წერილების ავტორებიც, რომელთა წაკითხვაც უდავოდ გაგიხალისებთ ყოფას.**

*ლელა ჭანკოტაძე*

**გიორგი, 38 წლის:**

— ერთ დღეს, ჩემს მერხზე აღმოვაჩინე წარწერა: „გიორგი ლაბაძე, მიყვარხარ, შენს თვალებზე ვგიჟდები“. მთელ სკოლაში მხოლოდ ერთი გიორგი ლაბაძე სწავლობდა — ეს მე ვიყავი, ე.ი. ეს სასიყვარულო ხულიგნობაც მე მეკუთვნოდა. ჯერ იმაზე დავფიქრდი, თუ რომელ გოგოს შეეძლო, ასე დაემახინჯებინა მერხი და ამხელა წარწერა ამოეჭრა. ეჭვი ვერავისზე რომ ვერ მივიტანე, იმ გოგოების სახელების დადგენა ვცადე, რომლებიც იმ მერხთან ისხდნენ. გეოგრაფიის კაბინეტში ერთ დღეში შვიდ კლასს ჰქონდა გაკვეთილი. ყველა კლასში მოვძებნე თითო ჯაშუში და აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ მეხუთეკლასელი ნინო და მეცხრეკლასელი თამუნა ისხდნენ იმ მერხთან. მეხუთეკლასელს მეათეკლასელი ბიჭი როგორ ვეყვარები? ძალიან პატარაა-მეთქი! — ვთქვი და მეცხრეკლასელი გოგო საგულდაგულოდ შევათვალიერე. თამუნა სკოლაში ერთ-ერთ ყველაზე კარგ და მოკრძალებულ გოგოდ ითვლებოდა. ბიჭებს ახლოსაც არ იკარებდა. იმის წარმოდგენაზე, რომ სწორედ მე ვუყვარდი, გული კინაღამ საგულიდან ამომივარდა... დილით უთენია, მისი ქუჩის თავში დავეყუდე. სკოლაში მიმავალმა თამუნამ რომ დამინახა, გაოცებულმა მკითხა: აქ რა გინდა? შენ ხომ სკოლასთან ცხოვრობო!.. არც კი ვიცი, რა ვუპასუხე. იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ დილით თამუნას ქუჩის თავში ვხვდებოდი და სკოლაში ერთად მივდიოდით. მალე კედლებზე გაჩნდა წარწერა: „თამუნა+გიორგი...“ სინამდვილეში ასე არ იყო. მე გაგიჟებით მიყვარდა, ის კი მეუბნებოდა: თავი დამანებე, სხვა ბიჭზე ვარ შეყვარებულიო. პარალელურად ჩემს ჩანთაში ვიღაც, სასიყვარულო ბარათებს დებდა. მაინც მეგონა, რომ ეს ვიღაც სწორედ თამუნა იყო... ერთ დღეს, ვიღაც ახმახი ბიჭი ჩვენს სკოლაში მოვიდა. კლასელებმა მითხრეს: შენ გეძებსო. მაშინვე დავირაზმეთ ბიჭები და იმ ახმახთან მივედით. თურმე, თამუნას შეყვარებული ყოფილა. მე და თამუნას ერთმანეთი გვიყვარს, ან თავს დაანებებ, ან ცხვირ-პირს დაგისისხლიანებო, — მითხრა და ისე მხეთქა თვალში, რომ მთელი კვირა დედაჩემი ცივ საფენებს მადებდა... დავა გოგოს გამო ამით არ დასრულებულა. ყოველ შაბათს, „სტრელკა“ გვქონდა: მე ჩემი ძმაკაცებით და ის ახმახი თავისი ამფსონებით ნამდვილ „ომებს“ ვაწყობდით. სულ დალურჯებული დავდიოდი, თამუნას კი თავს მაინც არ ვანებებდი. უსიამოვნებამ ჩემსა და ახმახს შორის საშიში ფორმა მიიღო. ერთ დღეს ისე მცემა, რომ მომდევნო ოთხი დღე საავადმყოფოში გავატარე. გულში ბოღმა ჩავიხვიე და გადავწყვიტე, მისთვის ჭკუა მესწავლებინა. რადგან მუშტით ვერ ვერეოდი, დანა ავიღე და უთენია, სკოლასთან ჩავუსაფრდი. ახმახი დავინახე თუ არა, დავუსტვინე. ისიც მაშინვე ჩემკენ წამოვიდა. როგორც კი მომიახლოვდა, უბიდან დანა გამოვაძვრე და მისკენ გავექანე. ღმერთმა მიშველა — იმან განზე გადგომა მოასწრო, თორემ, პირდაპირ ჩემს დანას წამოეგებოდა... მეორე დღეს, სახლში უბნის ინსპექტორი მომადგა და მამაჩემთან ერთად განყოფილებაში წამიყვანა. იქ ახმახი და მამამისი უკვე მისულიყვნენ. მამამისმა თქვა: როგორც კი თამუნა სკოლას დაამთავრებს, მაშინვე ჩემი რძალი გახდება, ეს მისი მშობლების სურვილიცააო. — მაშინ წერილებს რატომღა მწერს-მეთქი? — წამოვიძახე და ჩანთის ჯიბიდან თამუნას წერილები ამოვიღე. — ეს თამუნას დაწერილი არ არის, ვერ ხედავ, პატარა ბავშვის ნაწერიაო? — აყვირდა ახმახი... მხოლოდ მაშინ გამახსენდა მეხუთეკლასელი ნინო. ნუთუ წერილები იმან მომწერა-მეთქი?! — გავივლე გულში. მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუვაგდე, როგორც არასასურველი მოულოდნელობა. მილიციის განყოფილებაში ხელწერილი დამაწერინეს. პირობა დავდე, რომ ჩემს სიცოცხლეში აღარ მოვკიდებდი ცივ იარაღს ხელს... მეორე დღეს, თამუნამ მთხოვა — გაკვეთილების შემდეგ შევხვდეთ და ვისაუბროთო. ექვსი გაკვეთილის მანძილზე, ჩემი გულის ბაგაბუგის ხმა ალბათ, მთელ კლასში ისმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაირეკა ზარი და მეც სირბილით გავვარდი სკოლის უკან, სადაც თამუნა უნდა შემხვედროდა. მოვიდა და მთელი სერიოზულობით გამომიცხადა: სანამ ცოცხალი ვარ, არავის არ გავყვები ცოლად, ალეკოს გარდა, მიყვარს და სიკვდილამდე მისი ერთგული ვიქნებიო. თამუნა რომ წავიდა, ტირილი დავიწყე. სიმწრისგან მზად ვიყავი, თითები დამეჭამა. ორი დღის შემდეგ, სინანულით დავხედე მერხზე ამოჭრილ სასიყვარულო წარწერას და რატომღაც გულით მომინდა, ის მეხუთეკლასელი გოგო მენახა, რომელმაც ამის გაკეთება შეძლო და გაბედა... მითხრეს: ანგინა აქვს და სკოლაში არ დადისო. მერე მამა დამეღუპა. ის გოგო აღარც კი გამხსენებია. სკოლა დავამთავრე და თბილისში დეიდასთან ჩამოვედი. სწავლის გაგრძელება მინდოდა. არ გამიმართლა, ამიტომ გადავწყვიტე, მუშაობა დამეწყო. ექვსი თვე შავ მუშად ვიმუშავე. შემდეგ ჯარში გამიწვიეს. ალბათ, მილიონჯერ მაინც გამახსენდა თამუნა. არც ერთხელ არ გამხსენებია ის პატარა გოგო, სასიყვარულო ბარათებს რომ მიგზავნიდა. ჯარიდან რომ ჩამოვედი, დედამ წვეულება მომიწყო. ჩემი მეგობრები მოვიდნენ. ერთმა სიფრიფანა,



ქერა გოგო მოიყვანა, — გაიცანი, ეს ნინოა, ჩემი ბიძაშვილიო, — მითხრა ლამაზ, მორცხვ გოგოზე. გავუღიმე და ხელი გავუწოდე. გაწითლდა, დაიბნა და თვალები მორცხვად დახარა. მეგობარმა კი წამჩურჩულა: ეგ იცი, რომელი ნინოა? შენ გამო მერხზე „ვეფხისტყაოსანი" რომ დამაწერინაო... თვალებს ვერ დავუჯერე. მეხუთეკლასელი ბავშვი, რომლის გაცნობაც არ ვიკადრე, დაქალებულიყო, ნამდვილ ქალღმერთს ჰგავდა. — უკვე მეცხრე კლასშია და მთელი სკოლა მაგაზეა შეყვარებულიო, — მითხრა ჩემმა ენაჭარტალა მეგობარმა და სწრაფად ჩამომითვალა იმ ბიჭების სახელები, რომლებსაც ნინო უყვარდათ... — ცხოვრებაში ასეთი სიურპრიზებიც ხდებაო, — თქვა ნინომ და ხელი გამომიწოდა. იმ წუთიდან, მისთვის ხელი აღარ გამიშვია. დღემდე ხელიხელჩაკიდებულები მოვდივართ ცხოვრების ურთულეს გზაზე და ერთმანეთის სიყვარული დაგვაქვს გულით...

**კახა, 32 წლის:**

— რაც თავი მახსოვს, თეა სულ ჩემ გვერდით არის. ჯერ საბავშვო ბაღში დავდიოდით ერთად, შემდეგ ჩვენმა მშობლებმა ერთ სკოლაში შეგვიყვანეს. მეოთხე კლასში რომ გადავედით, დამრიგებელმა ჩვენი დაცილება სცადა, მითხრა: მაღალი ხარ და მეორე მერხთან დაჯექი, აქ შენზე დაბალ ბიჭს დავსვამო. თეამ ტირილი დაიწყო, სხვა ბიჭთან დაჯდომა არ მინდაო. თანაკლასელმა ბიჭებმა ჩუმად მითხრეს: ნახე, ბიჭო, თეას ჰყვარებიხარო... მეექვსე კლასში რომ გადავედით, რუსულის მასწავლებელთან უსიამოვნება მომივიდა: ჯერ დამიყვირა, მერე სცადა, ჩემთვის ყური აეწია. ვითაკილე და ხელი დავუჭირე. ეს ამბავი ისე გახმაურდა, რომ კინაღამ ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა კოლონიაში გადამიყვანეს... თეამ ისევ იტირა: არ გადაიყვანოთ ჩვენი კლასიდან, ცუდი ბიჭი არ არისო... ისევ ჩამჩურჩულეს თანაკლასელებმა: ნახე, თეას უყვარხარო... ერთ დღეს, სკოლაში ხმა გავარდა — თეას სხვა სკოლელი ბიჭი მოტაცებას უპირებსო. კინაღამ გული გამისკდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ თეა მიყვარდა. ეს ამბავი წერილით შევატყობინე. მანაც მომწერა პასუხი. მისი წერილი ასე მთავრდებოდა: თუ გიყვარვარ, დამიმტკიცეო. მეორე დღეს, მაჯაში ხელი ჩავავლე და ვკითხე: როგორ დაგიმტკიცო-მეთქი? — რამე ისეთი გააკეთე, რასაც სხვა ბიჭები ვერც გაბედავენო. წამით შევჩერდი. მივიხედ-მოვიხედე, მერე გავიქეცი და თვალის დახამხამებაში გადავხტი ღია ფანჯრიდან. მესამე სართულიდან ბავშვი გადავარდაო! — იყვირა ვიღაცამ და მთელი სკოლა ეზოში შეგროვდა. „სასწრაფო დახმარების" მანქანა გამოიძახეს. ფეხი მოვიტეხე, საწოლს მივეჯაჭვე და სამი თვის მანძილზე თეასთვის თვალიც არ მომიკრავს. ჩემს სანახავად არ მოსულა, მე კი სიარული არ შემეძლო... სკოლაში გმირივით დავბრუნდი. ჩემი თანატოლებისთვის ნამდვილი ყოჩი გავხდი, უშიშარი და მაგარი ბიჭი. თუ ვინმეს საქმის გასარჩევად დაიბარებდნენ, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი. მაგარი ბიჭიდან მალე „კაი ბიჭად" ვიქეცი. თეას მშობლებმა მას ჩემთან მეგობრობა აუკრძალეს... მერვე კლასიდან პროფტექნიკურ სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა. ერთ საღამოს, ბიჭებმა დავლიეთ, მერე ვიკამათეთ, ვიჩხუბეთ და ამ ორომტრიალს კინაღამ ჩვენი მეგობრის სიცოცხლე ემსხვერპლა. იმავე საღამოს დამაპატიმრეს. ოთხ ბიჭს ხულიგნობისთვის სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მოგვისაჯეს... ციხიდან რომ გამოვედი, თეა უკვე გათხოვილი დამხვდა. გული საშინლად დამწყდა, მაგრამ რაღას ვიზამდი?..

ცხოვრებაში ბევრი ლამაზი გოგონა შემხვედრია, ზოგიერთი მყვარებია კიდეც, მაგრამ სკოლის მერხთან ჩასახულ სიყვარულს რა სიყვარული გაუტოლდება?!. დღემდე მახსოვს თეას უმანკო სახე, მისი ბავშვური ღიმილი და ქერა ნაწნავები. დრო ჩემს გრძნობებს ვერაფერს აკლებს. ნეტავ, თეამაც იცოდეს ამის შესახებ...

**მაია, 18 წლის:**

— მერვე კლასში რომ გადავდიოდით, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ გამოგვიცხადა — ახალი დამრიგებელი გეყოლებათ, ახალგაზრდა, განათლებული, წესიერი მამაკაცია, ეცადეთ, ზრდილობიანები და თავდაჭერილები იყოთო. მეგონა, ასაკიანი, ბუზღუნა, ზოგჯერ ალკოჰოლის სუნით გაჟღენთილი მასწავლებელი ჩვენს ცხოვრებას აუტანელს გახდიდა. მაგრამ პირველ სექტემბერს კლასში ახალგაზრდა, სიმპათიური მასწავლებელი შემოვიდა. გაგვეცნო და გვთხოვა, ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში, მისთვის მიგვემართა. რამდენიმე გოგონას პრობლემა მალევე შეგვექმნა — გელა მასწავლებელი შეგვიყვარდა. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, მხოლოდ მე მქონდა მის მიმართ სერიოზული და ღრმა გრძნობა. ყოველ გაკვეთილზე თვალებში შევციცინებდი და ვცდილობდი, სულ მისი ყურადღების ცენტრში ვყოფილიყავი. როგორც არ უნდა გავცივებულიყავი და ავად გავმხდარიყავი, მის გაკვეთილს არ გავაცდენდი. თვითონ, ცხადია, ვერ ხვდებოდა ჩემი გრძნობების შესახებ. რას წარმოიდგენდა, თუ 14 წლის გოგო მასზე, როგორც საოცნებო საქმროზე, ისე იფიქრებდა?.. კლასში ყველამ იცოდა, გელა მასწავლებელი რომ მიყვარდა. გოგოები მაქეზებდნენ: უთხარი, სიმართლეს რატომ უმალავო? გამბედაობა არ მყოფნიდა, რომ მისთვის ჩემი გრძნობების შესახებ მეთქვა. ერთხელ მის კართან ავიტუზე. რომ დამინახა, გაოცდა: შემოდი, მაია, რამე პრობლემა ხომ არ გაქვსო? — დიახ, თქვენ მიყვარხართ-მეთქი, — „ვუპასუხე": უჩუმრად, გულში ვთქვი, ჩემი გულის ხმას კი, გელა მასწავლებელი როგორ გაიგონებდა?!. წლის ბოლოს, ექსკურსიაზე წავედით. მთელი უფლისციხე ფეხით მოვიარეთ. ყველა კუთხე-კუნჭული დავათვალიერეთ. ღამით, კოცონი დავანთეთ და შემოვუსხედით. მთელი ღამე ცეკვათამაშსა და მხიარულებაში გვინდოდა, გაგვეტარებინა. შუაღამე რომ გადავიდა, დაღლა ყველას შეგვეტყო. გელა მასწავლებელმა გვითხრა: მოდით, ბალახზე წამოვწვეთ და გულახდილი საუბარი მოვაწყოთ. მე თქვენ შესახებ ყველაფერი ვიცი, თქვენ კი, წარმოდგენაც არა გაქვთ, თქვენთან მოსვლამდე როგორ ვცხოვრობდიო. ბავშვები აყაყანდნენ: არც თქვენ იცით ჩვენ შესახებ ყველაფერიო. — კლასში რაც ხდება, ყველაფერი ვიციო, — ამაყად თქვა გელა მასწავლებელმა. — ისიც იცით, მაიას რომ უყვარხართ და თქვენ გამო ღამეებს ათენებსო?! — ჰკითხა ერთმა ბავშვმა... მახსოვს, როგორ შემობრუნდა ჩემკენ გელა მასწავლებელი, ყურადღებით შემათვალიერა და ცოტა ხნის მერე თქვა: სიყვარულს და გრძნობებს წლები გამოცდას უწყობს, წლების



შემდეგაც თუ ვეყვარები მაიას, მერე დავუჯერებ და შეიძლება, თანავუგრძნო კიდეცო... სირცხვილით კინაღამ დავიწვი, მაგრამ მისმა ნათქვამმა იმედის ნაპერწკალი ჩამისახა. საკუთარ თავს შევუძახე — ან გელას ცოლი გახდები, ან არავისი-მეთქი. მეგონა, ჩემი გრძნობების შესახებ თანაკლასელების გარდა, ვერავინ შეიტყობდა, მაგრამ ექსკურსიაზე მომხდარი ამბავი მალე მთელმა სკოლამ გაიგო. ცხადია, დედაჩემმაც: ის მათემატიკას გვასწავლიდა. დამსვა და მთხოვა, ამეხსნა, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს. სიმართლე რომ ვუთხარი, მითხრა — სკოლაში არ წახვიდე, სექტემბრიდან კი, სხვა სკოლაში გადაგიყვანო. ვიცოდი, თავის ნათქვამს შეასრულებდა. სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო იმის წარმოდგენამ, რომ გელას ვეღარ ვნახავდი და დედაჩემი მასთან დაახლოების საშუალებას მომისპობდა. წამლების ყუთი გადმოვიღე, უამრავი აბი ხელისგულზე დავიყარე და გადავყლაპე: თავის მოკვლა მინდოდა. გარდატეხის ასაკში ხომ ბევრი გოგო პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს... 20 დღე ვიწექი საავადმყოფოში. ძლივს გადამარჩინეს. გელა მასწავლებელი ჩემს სანახავად არ მოსულა. არც ჩემი სხვა სკოლაში გადაყვანა გახდა აუცილებელი, რადგან ის თვითონ გადავიდა სამუშაოდ ერთ-ერთ მაღალმთიან რაიონში. დიდი ხნის მანძილზე არ მეუბნებოდნენ, სად მუშაობდა. წლების განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი, სიმართლე გამეგო მის შესახებ. დედა მიმტკიცებდა — რუსი ცოლი შეირთო და სკოლაში მუშაობას თავი ამიტომ დაანება, საცხოვრებლად რუსეთში წავიდაო. ამის დაჯერება არ მინდოდა. ეს ამბავი რომ დადასტურებულიყო, ვერ ვიცოცხლებდი... მერე სკოლა დავამთავრე, პედაგოგიური ინსტიტუტიც და სამუშაოდ თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში გამანაწილეს. პირველ სექტემბერს, პირველად რომ დავიჭირე ხელში საკლასო ჟურნალი და სიის ამოკითხვა დავიწყე, ვიღაცამ კარი შემოაღო. სკოლის დირექტორი შემოვიდა და მას გელა შემოჰყვა. თურმე, ის იმ კლასის დამრიგებელი იყო, რომლისთვისაც მათემატიკა უნდა მესწავლებინა. ყოფილი მოსწავლე და მასწავლებელი ისევ ერთ სკოლაში აღმოვჩნდით. ბედმა ერთმანეთს არ დაგვაშორა. სამი თვის შემდეგ, გელამ მკითხა: ისევ გიყვარვარო? დადებითად რომ ვუპასუხე, მითხრა: სიყვარულითვე გიპასუხებო. უკვე 16 წლის ცოლ-ქმარი ვართ. ყოველდღე, მადლობას ვწირავ ღმერთს ასეთი სიყვარულისთვის.

**ნატო, 34 წლის:**

— მერვე კლასში ვიყავი. ერთ დღეს, ფიზიკის მასწავლებელმა თქვა: ნატო და დათო, ჩიტებივით რომ ჟღურტულებთ, გაკვეთილზე ხართ — პაემანზე კი არაო!.. პირველად მაშინ შევხედე ჩემს თანაკლასელს — ახოვან ფრიადოსან ბიჭს გამომცდელი თვალით. ის გაწითლდა, მე კი გული ამიფრიალდა. მთელი ღამე აღარ დამეძინა. თავს ვეკითხებოდი — ნუთუ, ვუყვარვარ და ამას ვერ მივხვდი-მეთქი?.. იმ დღიდან, ჩემსა და დათოს შორის ყველაფერი თავდაყირა დადგა. ერთმანეთისთვის თითქოს უცხოები გავხდით. ერთმანეთს გავურბოდით. დათო სხვა გოგოსთან გადაჯდა. თანაკლასელები აჩურჩულდნენ. ვიღაცამ დაფაზე დაწერა: „დათოს უყვარს ნატო“... წლების შემდეგ, დათომ გამიმხილა: რომ არა ფიზიკის მასწავლებელი, ალბათ, იმ გრძნობას, რაც შენ მიმართ მქონდა, დიდი ხნის განმავლობაში ვერ დავარქმევდი სახელსო... მეც იგივე დამემართა. მაგრამ სკოლა ისე დავამთავრეთ, რომ ერთმანეთს სიყვარულში ვერ გამოვუტყდით. დათოს ჩემი რცხვენოდა, მე კი, მისი პასიურობა მანერვიულებდა... გამოსაშვებ საღამოზე ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მეგონა, დათო სიყვარულში გამომიტყდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თითქოს ჩემი ეშინოდა, ჩემკენ არც კი გამოუხედავს, არც საცეკვაოდ გავუწვევივარ. მესმოდა, თანაკლასელი ბიჭები როგორ ეჩურჩულებოდნენ: მიდი, ბიჭო, რას უდგეხარ? მოვიტაცოთო. გულში ვნატრობდი — ნეტავ, ასე მოხდეს-მეთქი. მერე მშობლებმა სასწავლებლად ლენინგრადში გამგზავნეს. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. დათომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა არჩია. ჩვენი გზები გაიყარა. აგვისტოს ბოლოს, ბარგი რომ ჩავალაგე და წასასვლელად მოვემზადე, ცრემლები მახრჩობდა: რატომ არ მოვიდა დასამშვიდობებლად-მეთქი?.. ყველა თანაკლასელმა მინახულა, მის გარდა... ლენინგრადში მატარებლით წავედი. რკინიგზის სადგურში დათოს მოვკარი თვალი. იდგა და სიგარეტს ეწეოდა. ალბათ, ჩემი დანახვა უნდოდა. თვალებით ერთმანეთს ჩავაშტერდით. დათომ გაიცინა და აქოშინებული მომვარდა. რას ველოდი მისგან, არ ვიცი, მაგრამ რომ არ ჩამიხუტა, გული დამწყდა. სანამ ვაგონში ავიდოდი, ჩამჩურჩულა: გათხოვება არ გაბედო, რამდენი შვილიც არ უნდა გააჩინო, იცოდე, ბოლოს მაინც ჩემი იქნებიო!.. ეს სიტყვები არ მესიამოვნა. ასეთი რამ რატომ მითხრა-მეთქი? — ვფიქრობდი, მაგრამ პასუხი არ მქონდა. მხოლოდ წლების შემდეგ შევიტყვე, რომ ერთ ჭორიკანას დათოსთვის უთქვამს: ნატო დაინიშნა, ქორწილს ლენინგრადში გადაიხდისო. ის ჭორიკანა მალე დათოს ცოლი უნდა გამხდარიყო. მე კი, სიყვარულის მაგივრად, დარდი, ტკივილი და ცრემლები მრჩებოდა... მახსოვს, 20 სექტემბერი იყო. დედაჩემმა დამირეკა და მითხრა: დათო ცოლს ირთავსო, შაბათს ქორწილი აქვსო... როცა დავრწმუნდი, რომ დათო დავკარგე, მაშინ ვიგრძენი, როგორ მყვარებია, რა ძვირფასი ყოფილა ჩემთვის... ცოტა აქტიური რომ ყოფილიყო, ალბათ, რკინიგზის სადგურიდან მომიტაცებდა და თავისი სიყვარულისთვის იბრძოლებდა... ჯერ ვიტირე, თვალები დავისივე. შემდეგ კი, მეორე დღესვე, ბილეთი ავიღე და თბილისში ჩამოვფრინდი. პირდაპირ თანაკლასელის სახლში მივედი. იმან სხვა თანაკლასელებს დაურეკა და თითქმის მთელი კლასი მოვგროვდით. მიშველეთ, თუ დათო ცოლს მოიყვანს, თავს მოვიკლავ-მეთქი, — ვეუბნებოდი. მზად ვიყავი, მართლა მომეკლა თავი. ხომ იცით ახალგაზრდების ამბავი? ბიჭები იმწუთას დათოსთან გაიქცნენ. განსაკუთრებით ირაკლიმ იაქტიურა: მე და დათო თავის სახლში შეგვახვედრა ერთმანეთს. მახსოვს, დათოს უთხრა: თუ გიყვარს, ამ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებ, ხელი ჩასჭიდე და სიკვდილამდე აღარ გაუშვაო. დათო ძალიან დაიბნა. არ იჯერებდა, სხვაზე გათხოვებას რომ არ ვაპირებდი. ბოლოს კი თქვა: ზეგ ჩემი ქორწილია, მშობლები სახლში აღარ შემიშვებენ, თუ ჩავშლიო... სახლში მისვლა არც დაგჭირდება, მე გიშველითო, — თქვა ირაკლიმ. წავიდა და სამ საათში თვითმფრინავის ორი ბილეთით დაბრუნდა. — ღამის სამ საათზე მოსკოვში ჩაფრინდებით, სასტუმროში დაბინავდებით, თქვენს მშობლებს კი, ამ ამბავს მე შევატყობინებო... მთელმა კლასმა გაგვაცილა. აეროპორტში კლასის დამრიგებელიც კი მოიყვანეს. ყველანი ბედნიერები იყვნენ, რომ დაგვეხმარნენ. მე და დათოს, ბედნიერებასთან ერთად, მშობლების შიშიც დაგვეუფლა. არც მოვტყუებულვართ: სამი წლის მანძილზე, დათოს მშობლების კარი ჩემთვის დაკეტილი იყო. მაგრამ სიყვარულმა ყველა პრობლემა დაგვაძლევინა. — შენ ის ქალი არ ხარ, ქორწილიდან შვილი რომ მომტაცეო? — ახლა ხუმრობით მეუბნება ხოლმე დედამთილი. მეამაყება, რომ ეს გავბედე. საკუთარ თავში ძალა ვიპოვე და ჩემი სიყვარული გადავარჩინე. ■



**ვანიკო თარხნიშვილი,** ენაწყლიანი, ენერგიული და ორიგინალური პრომოუტერი, თბილისში გრანდიოზული პროექტის განხორციელებას და ჩვენი დედაქალაქის ევროპის კულტურულ ცენტრად გადაქცევას გეგმავს. ერთი შეხედვით სუპერგიჟური იდეები, სინამდვილეში, რეალური პროექტის საფუძვლად იქცევა, რომელიც სექტემბერში შეისხამს ხორცს, როცა ჩვენს დედაქალაქში ხელოვნების ფესტივალი ჩატარდება. ამ პროექტისა და მომავალი ფესტივალის შესახებ თავად ვანიკო თარხნიშვილი გვიამბობს.

# „არტ-ბრიჯი“ საუკეთესო გზა მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრირებისკენ

*ლელა ჭანკოტაძე*

ვანიკო თარხნიშვილი:

— ჩემი სურვილი ყოველთვის იყო, განმეხორციელებინა აღმოსავლეთ ევროპის კონსოლიდაციის პროექტი, ხელოვნების საფუძველზე. ამის საშუალება მომეცა კომპანია ,,ბეშო-პროდაქშენთან“ თანამშრომლობის წყალობით. ეს კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში მოღვაწეობს. მისი ორგანიზებით იმართება უამრავი კონცერტი, უძლიერესი ორგანიზაციაა. ჩვენი სურვილები გადაიკვეთა. მარტში მის თანამშრომლებთან ერთად გავიარე მოსამზადებელი პერიოდი. ამერიკიდან რომ მოვდიოდი, ისეთი დახუნძლული ვიყავი იდეებით, რომელიც მხოლოდ ამ ახალ პროექტს შეეხებოდა, რომ თვითმფრინავშივე მივიღე გადაწყვეტილება, დროებით უარი მეთქვა სხვა პროექტებზე. თბილისში პრესკონფერენცია მქონდა დაგეგმილი, გავაუქმე და შესაბამისად, უარი ვთქვი იმ გეგმებზე, რომლებიც გაზაფხულზე კონცერტებისა და ,,ფართების“ ჩატარებას შეეხებოდა. ყველა მსაყვედურობს — არაფერს აღარ აკეთებო, მაგრამ მირჩევნია, მეტი დრო ახალ პროექტს დავუთმო.

— **უფრო კონკრეტულად მიამბე ამ პროექტის შესახებ. რას მოიცავს და როდის განხორციელდება?**

— ამ პროექტს ჰქვია ,,არტ-ბრიჯი“. მე მისი მთავარი პროდიუსერი და კოორდინატორი გახლავართ. ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებს 15 პოსტსაბჭოთა ქვეყანა და 12 ყოფილი სოციალისტური ქვეყანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოკლებით, რადგან ის ახლა ერთიანი გერმანიის შემადგენლობაშია და ცალკე სახელმწიფოს აღარ წარმოადგენს. პროექტი გულისხმობს ამ 27 ქვეყნის, როგორც ერთიანი რეგიონის კულტურის წარდგენას მთელი მსოფლიოსთვის. ცენტრალიზება უნდა მოხდეს რომელიმე ერთ ქვეყანაში. შეიძლება გამოყენებულ იქნას პარიტეტული პრინციპი და მასპინძელი ქვეყანა ყოველწლიურად შეიცვალოს. ცხადია, ძალიან მინდა, რომ ცენტრალიზება მოხდეს საქართველოში. ეს არა მარტო ჩემი, არამედ ჩვენი ხელისუფლების სურვილიცაა. ეს გახლავთ პირდაპირი გზა მსოფლიოში საუკეთესო კუთხით ინტეგრირებისკენ. 2005 წელს ,,არტ-ბრიჯის“ ყველა ღონისძიება, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით დიდი რეზონანსი ექნება, გვსურს, რომ თბილისში ჩატარდეს. ჯერჯერობით თავს ვარიდებ ,,არტ-ბრიჯის“ სახელით გამოჩენას, მაგრამ პირველად, არაოფიციალურად ამ სახელმა ბათუმის კონცერტზე მაინც გაიჟღერა.

— **როგორ მომზადდა ეს კონცერტი და ვისი სურვილით აღმოჩნდი ორგანიზატორებს შორის?**

— კონცერტი სუპერპროფესიონალურად დღე-ნახევარში მომზადდა. ზუმბა, ,,სოფთ-იჯექთი“, ნიაზ დიასამიძე, ,,33ა“, ,,მწვანე ოთახი“, ბაკურ ბურდული და სამი ბათუმური ჯგუფი წარდგნენ ღია ცის ქვეშ მსმენელის წინაშე. თბილისელი მუსიკოსების ინიციატივით მომზადდა ეს კონცერტი და სწორედ მათ შემომთავაზეს, რომ გამეკეთებინა ორგანიზება. კონცერტს 50000-მდე ადამიანი დაესწრო. მათ პირველებმა შეიტყვეს ,,არტ-ბრიჯის“ შესახებ, რადგან მე ამ პროექტის სახელით გამოვდიოდი. სექტემბრამდე სხვას აღარაფერს ვგეგმავ, რადგან მე უკვე ამერიკული ,,არტ-ბრიჯის“ წარმომადგენელი ვარ. ფილიალი თბილისში გაიხსნა და ძირითადად, საორგანიზაციო საკითხებით დავკავდები.

— **იქნებ, უფრო კონკრეტულად გვითხრა, რას მისცემს „არტ-ბრიჯი“ საქართველოს?**

— უცხოელებისთვის ქართული ხელოვნება ხელმისაწვდომი გახდება. ყოველწლიურად ჩატარდება ხელოვნების ფესტივალი, პრომოუშენი იქნება უმაღლესი კლასის. მოხდება ინვესტიციების განთავსება მასპინძელ ქვეყანაში. ამიტომაც სურს ჩვენს ხელისუფლებას, რომ მასპინძელი ყოველ წელს, საქართველო იყოს. სხვა ქვეყნებიც ცდილობენ ამას. მაგალითად, პოლონეთს, ყაზახეთს და უკრაინასაც იგივე სურვილები აქვთ. ამ ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება: მუსიკა, ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნება, კინო, თეატრი და ა.შ. ჩამოვა უამრავი სტუმარი და ცნობილი პროდიუსერი. ეს იქნება ისეთივე მასშტაბური ფესტივალი, როგორიც მაგალითად, ედინბურგის ფესტივალია.

— **რა სტადიაშია ეს პროექტი?**

— ,,არტ-ბრიჯის“ პრეზენტაცია თბილისში 9 სექტემბერს გაიმართება და პირველი ფესტივალიც თბილისში ჩატარდება. არ მინდა, დავაკონკრეტო, თუ ჩვენი ხელისუფლებიდან ვინ უწევს პატრონაჟს ამ პროექტს, მაგრამ ზოგადად შემიძლია ვთქვა — მთელი ხელისუფლება ეცდება, რომ ეს ფესტივალი ღირსეულად ჩატარდეს. სპონსორები ძირითადად, უცხოელები იქნებიან, თუმცა ადგილობრივი კომპანიებისგანაც არის შემოთავაზებები. რეკლამირება იმდენად მასშტაბური იქნება, ცხადია, ყველას სურს, მისი კომპანიის სახელმაც გაიჟღეროს. უკრაინული, მოლდოვური და პოლონური კომპანიები უკვე ვიცი, რომ თავიანთ ლოგოებს განათავსებენ თბილისში. ყველა მონაწილე ქვეყანაში ფესტივალის პირდაპირი ტრანსლაცია იქნება. ასე რომ, ეს ფესტივალი ნამდვილად ჩატარდება და ამ მხრივ შეიძლება, აღარაფერი შეიცვალოს, მისი ჩაშლის ალბათობა ნულს ქვემოთაა...

— **ქართველი შემსრულებლებიდან ვის შეეძლება ფესტივალში მონაწილეობის მიღება?**

— ყველა განაცხადი ,,არტ-ბრიჯის“ ამერიკულ ოფისში დამუშავდება. ყველა განაცხადს განიხილავენ ლონდონის ოფისშიც. ივლისის ბოლოს გაირკვევა, თუ ვის ექნება მონაწილეობის უფლება. ამ დროს, თბილისში ჩამოვლენ ორგანიზა-



ეს ხმები ჩემამდეც მოდიოდა, არასდროს მიფიქრია რომელიმე სახელმწიფო თანამდებობაზე

ტორები, რათა მოხდეს იმ ადგილების შერჩევა, სადაც ფესტივალი უნდა გაიმართოს. ჩემი აზრით, ასეთი თექვსმეტი ადგილი იქნება შერჩეული. ამ საქმეში ძალზე ცნობილი უცხოელი პროდიუსერები არიან ჩაბმული. შემსრულებლებიდან კი, ვიცი, რომ ჩამოსვლას აპირებს პიტერ გაბრიელი. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ არაკომერციული მუსიკოს-შემსრულებლები.

**— ე.ი. „არტ-იმედის“ მომღერლები ამ ფესტივალის მიღმა აღმოჩნდებიან?**

— არ ვიცი, შეიძლება... „არტ-იმედში“ სერიოზული პროდუქცია აღმოჩნდეს. მერაბ სეფაშვილის დიდი სურვილია, რომ მონაწილეობა მიიღონ მისმა შემსრულებლებმა. შეიძლება, თვითონ მერაბიც გამოვიდეს ფესტივალზე, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი შემსრულებელი. აუცილებელია, რომ ქართველები ღირსეულად წარვდგეთ — ამ ფესტივალს ხომ ის ადამიანები მოამზადებენ, რომლებიც აკეთებენ „ოსკარების“ ცერემონიას, კანის და ედინბურგის ფესტივალებს. ასე რომ, ძალიან დატვირთული ვარ და განსაკუთრებული მონდომებით ვემზადები.

**— ე.ი. ახალ ხელისუფლებასთან დაძმობილებული ხარ?**

— საერთოდ, აპოლიტიკური ადამიანი ვარ, მაგრამ ახალ ხელისუფლებასთან კარგი საქმიანი ურთიერთობა მაქვს, იმის გამო, რომ ჩვენი ინტერესები გადაიკვეთა „არტ-ბრიჯთან“ დაკავშირებით.

**— ცოტა ხნის წინ, კულუარებში ბევრს საუბრობდნენ კულტურის მინისტრად შენს შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით. რით იყო ეს მითქმა-მოთქმა გამოწვეული?**

— ეს ხმები ჩემამდეც მოდიოდა, არასდროს მიფიქრია რომელიმე სახელმწიფო თანამდებობაზე და შემოთავაზებაც რომ ყოფილიყო, უარს ვიტყოდი. მაგრამ კონკრეტული შემოთავაზება არც ყოფილა, უბრალოდ, შეხვედრებს, კითხვებსა და ჩემი გეგმების გაცნობას ჰქონდა ადგილი... თანამდებობები არ მხიბლავს, დამოუკიდებლად უკეთესად ვმუშაობ. ბოლო პერიოდში, ძალიან ცოტა დრო მაქვს. საშინლად დატვირთული ვარ, ამას კიდევ თანამდებობის ტვირთს ვერ დავამატებდი. როგორც იქნა, ჩემი ოცნება ახდა. „არტ-ბრიჯი“ ჩემთვის გამართლებაცაა და იმ შრომის დაფასებაც, რასაც წლების მანძილზე ვწეოდი, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით. ვისაც 100 ღონისძიებაზე მეტი აქვს ჩატარებული, ნებისმიერ ქვეყანაში, ის მილიონერია. ჩვენთან პირიქითაა: ერთი ფესტივალით იმდენი ანაზღაურება მექნება, რამდენიც ასივე ღონისძიებაში ერთად მქონდა. ბევრის გაკეთება შემიძლია, რადგან იოლად ვამყარებ კონტაქტს ადამიანებთან, ენობრივი ბარიერიც არ მაქვს — ინგლისურ ენაზე ცხრა წლის ასაკიდან ვლაპარაკობ, გერმანული რუსულზე უკეთესად ვიცი, მოგეხსენებათ, რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული. სხვა ენების შესწავლასაც ვგეგმავ.

**— შიშის ფაქტორი არ გაქვს? ხომ შეიძლება ასეთი გრანდიოზული პროექტიც ჩაიშალოს?**

— არა. ეს უკვე გამორიცხულია. მე იმ ადამიანთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ყველაფერს წინასწარ გეგმავენ. დაუგეგმავი წარმატებისაც კი არ მჯერა. თუ წარმატებას დაუგეგმავად მიაღწიე, ე.ი. სიტუაციას ვერ აკონტროლებ. თუ არ იცი, რატომ გაგიმართლა, შეიძლება მარცხიც მოგივიდეს, თან ისე, რომ წინასწარ ვერც გაიგო, ასე რატომ მოხდა. ასე რომ, ბედთან თამაში არ მიყვარს. სათამაშოდ კაზინოშიც არ დავდივარ. ერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც — ვისკის დასალევად.

**— მოულოდნელობები პირად ცხოვრებაშიც არ გიყვარს?**

— ცხოვრება მიყვარს, მთელი თავისი მოულოდნელობებით, თუმცა მირჩევნია, სიტუაციას ვფლობდე და ვაკონტროლებდე. ცხოვრების აზრი ჩემთვის ყოველდღიურობასა და ცხოვრების რიტმში მდგომარეობს. მიყვარს სწრაფ რიტმში ცხოვრება. ნელი ტემპი და მოდუნება ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია. ზოგჯერ მირჩევნია, რაღაც გავაკეთო, თუნდაც წამგებიანი, ოღონდ ცხოვრების რიტმიდან არ ამოვვარდე და სულ მოძრაობაში ვიყო. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ახალი პრეზიდენტიც სწრაფ რიტმში ცხოვრობს. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ სულ უფრო მეტი ადამიანი მისგან რიტმს და დინამიკას გადაიღებდა... ■

# მარიკა ცხადაძე:

# ჩემს მსმენელს დიდ სიურპრიზს ვუმზადებ

**ახალგაზრდა მომღერალი, რომელსაც უკვე არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მსმენელებიც იცნობენ, ძალზე ამბიციურ პროექტზე მუშაობს, რომლითაც ქართულ ესტრადაში ახალი, აბსოლუტურად განსხვავებული სტილის შემოტანას აპირებს. ეს პროექტი სავარაუდოდ, ივნისში, ღამის კლუბ „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ იქნება წარმოდგენილი. მის შესახებ პირველად, მარიკას ვოკალის პედაგოგს, რუსუდან ბახტაძეს, შემდეგ კი, თავად მომღერალსაც ვესაუბრეთ.**

*ნათია ქივიძე*

— ამ პროექტს, რომელიც სპეციალურად მარიკასთვის კეთდება, „კოსმოპოლიტანი“ დავარქვით. მისი ავტორები მე და მუსიკოსი მიშა მდინარაძე გახლავართ. ასეთი სახელი იმიტომ დავარქვით, რომ რადიკალურად განსხვავებული მუსიკაა, რომელიც საქართველოში ჯერ არ ყოფილა და დიდი სურვილი მაქვს, რომ მუსიკის ასეთი მიმდინარეობა დამკვიდრდეს ჩვენს ესტრადაზე. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პროექტში მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორული კულტურის თითქმის ყველა ელემენტია თავმოყრილი. ეს ჩემთვისაც ძალზე საინტერესოა, რადგან ამ ფოლკლორს მეც ვეცნობი...

**— რატომ გადაწყვიტეთ, რომ ის მაინცდამაინც მარიკას უნდა განეხორციელებინა?**

— თავიდანვე მასში რატომღაც მარიკა დავინახეთ, რადგან იგი ყველასგან განსხვავებულია, სტანდარტში არ ჯდება.

**— როგორ გაგიჩნდათ იდეა, რომ აბსოლუტურად განსხვავებული მუსიკა დაგეწერათ?**

— საერთოდ, ყოველთვის ძიებაში ვარ, მინდა გავაკეთო ის, რასაც ყველა არ აკეთებს. როცა რაიმე ახალს იპოვი — ე.ი. შენი შემოქმედებითი ცხოვრება გრძელდება... ამასთანავე, მარიკა, რომელიც



ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და უკვე საკუთარი სტილი აქვს, ამ პროექტის წყალობით, ახალი სახითაც წარდგება მსმენელის წინაშე...

— **რა ჰქვია ამ ახალ მიმდინარეობას?**

– ეს არის ელექტრონული მუსიკა, რომელსაც კლასიკური საფუძველი აქვს. მასში დომინირებს ნაციონალური ქართული, ევროპული, აზიური და სხვა კულტურები. სხვადასხვა მიმდინარეობას ვიყენებთ. ამ მუსიკისთვის ტექსტს არ ვწერთ – ჯერ ვიღებთ სხვადასხვა პოეტის ლექსს, რომლებზეც მერე იწერება მუსიკა. ესეც არასტანდარტული ხერხია. მაგალითად, საზოგადოება დათო ევგენიძესა და ინოლა გურგულიას მუსიკოსებად იცნობს, ამ პროექტში კი ისინი პოეტებად მოგვევლინებიან.... აჟღერდება აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის ლექსები – ,,ლურჯა ცხენები“, ,,მე და ღამე“, ტერენტი გრანელის რომელიმე ლექსი...

— **სულ რამდენი კომპოზიცია შესრულდება კონცერტზე?**

– იქნება 14 კომპოზიცია. აქედან ორი – ,,ხორუმი“ და ,,ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“ – მარიკას უკვე ნამღერი აქვს და მათ საზოგადოება იცნობს, მაგრამ განსხვავებული ინტერპრეტაციით იქნება წარმოდგენილი. დანარჩენი თორმეტი სიმღერა სპეციალურად ამ პროექტისთვის იქნება. ორი კომპოზიცია ქალთა გუნდთან ერთად შესრულდება, ბახის ,,ქორალს“ კი, ბიჭუნათა გუნდი შეასრულებს. სხვათა შორის, გამოვიყენებთ არღანს, რომელიც რატომღაც რესტორნის საკრავად მოიაზრება, თუმცა კი, უფრო კლასიკურია. ამასთანავე, სცენაზე გამოვიყენებთ კომპიუტერულ გრაფიკას, რომელიც რამდენიმე სიმღერას დაერთვება თან. მას სპეციალურად ამ დღისთვის ამზადებს ჟენია შევჩუკი – მოსკოველი ,,კომპიუტერშჩიკი“, რომელიც ალა პუგაჩოვასთან და ფილიპ კირკოროვთან მუშაობს. მოგვიანებით, ამ პროექტის ევროპაში გატანასაც ვაპირებთ.

**მარიკა თხელიძე:**

– ჩემთვის ძალიან საინტერესოა ეს სამუშაო, რადგან მაყურებლისა და მსმენელის წინაშე ახალ, უჩვეულო ამპლუაში წარვდგები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ კომპოზიციებში ყოველი მელოდიური ხაზი ძალიან ორიგინალურად შესასრულებელია: ეს ყველაფერი სათანადოდ რომ მიაწოდო მსმენელს, ჯერ შენში უნდა იყოს გამჯდარი... ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნამდვილი მუსიკა ნამდვილ პოეზიასთან იქნება შერწყმული. საკმაოდ დიდი რისკია, რომ შენს ქვეყანაში ახალი მუსიკალური მიმდინარეობა დაამკვიდრო. ვფიქრობ, უფლის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება. მიხარია, რომ ჩემმა პედაგოგმა, ქალბატონმა რუსუდან ბახტაძემ ჩემზე შეაჩერა არჩევანი... ■





კანონი მისი გათავისუფლების საფუძველს არ იძლევა, მაგრამ იქნებ, ღირდეს, გავიხსენოთ მორალური კოდექსი

**პატიმარ ქალებს შორის ასაკით ყველაზე უფროსი, ლამარა ხუტაშვილია. ის 72 წლის არის და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა წერილი — „დედაჩემი პატიმარია“ („გზა“, №13) მისი სიძე კობა ჯიქია დამიკავშირდა და მთხოვა, მათი ოჯახის კარიც შემეღო და იქ დასადგურებული დიდი ტკივილი სააშკარაოზე გამომეტანა.**

# დედით დაობლებული ბავშვები

# პატიმარი ბებიის მოლოდინში არიან...

ლელა ჭანკოტაძე

*ლამაზ ეზოში მდგარ პატარა სახლში მართლაც, უზარმაზარი სევდა დამხვდა. ამ სახლში სამი ობოლი ცხოვრობს – მირიანი, რეზიკო და ლიკა. მირიანი 9 წლისაა, ლიკა – 7-ის, რეზიკო ჯერ 3 წლისაც არ არის. 8 მარტს მათაც, სხვა ბავშვებივით, იყიდეს ყვავილები, მაგრამ ტკივილებისგან გაწამებული მათი დედიკო გარდაიცვალა და სარვამარტო ყვავილები სიმწრის ცრემლებთან ერთად სამარადჟამო სასუფეველში გაიყოლა...*

**კობა ჯიქია:**

– ბავშვები დედას გამუდმებით კითხულობენ. ელოდებიან კიდეც. თუმცა ამ დღეებში ლიკამ მითხრა: ვიცი, ღმერთი დედაჩემს აღარ დააბრუნებს ჩემთანო... მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ბავშვებს მე ვუვლი. დედა მყავს, მაგრამ ის მძიმე ავადმყოფია, ძმებს კი თავ-თავიანთი ოჯახები აქვთ. არადა, მარტო ბავშვებთან ძალიან მიჭირს. პატარას ანგინა აქვს. ავადაა და ცხადია, უდედობა მისთვის განსაკუთრებით აუტანელია. ამბობენ, დეიდას და ბებიას დედის სუნი უდითო, – ამიტომაც მინდა, ჩემი სიდედრი პატიმრობიდან გაათავისუფლონ: დამეხმარებოდა, ბავშვებს სითბოსა და სიყვარულს არ მოაკლებდა...

— **სასჯელს რა დანაშაულისთვის იხდის?**

– ცხოვრება რომ გაჭირდა, თავისი სამკაულების გაყიდვა დააპირა. უთხრეს: ცხინვალში ოქრო უფრო ძვირად ფასობსო, ამიტომ იქ წავიდა. უკან რომ ბრუნდებოდა, დააკავეს. ჩვეულებრივი რეიდი იყო, კონტრაბანდულ საქონელს ეძებდნენ. გაჩხრიკეს და ყალბი ფული აღმოუჩინეს – 1.600 ყალბი ამერიკული დოლარი. 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელი მოიხადა, გათავისუფლდა და იფიქრა, პატიოსნად ვიშრომებ, შვილს და სიძეს დავეხმარებიო, მაგრამ ბედმა ისევ უმუხთლა, თვე-ნახევარში ისევ დაიჭირეს.

— **იმავე დანაშაულისთვის დააპატიმრეს?**

– ერთი თურქი კაცი დააკავა პოლიციამ. მას ბევრი ყალბი დოლარი აღმოუჩინეს. იმ თურქმა თქვა: ეს დოლარები ლამარა ხუტაშვილმა მომცაო. პოლიციამ ჩვენს სახლში ჩხრეკა ჩაატარა. ყალბი დოლარები ვერ უპოვეს, მაგრამ მაინც დაადეს ბორკილები და წაიყვანეს. იფიცებოდა – დამნაშავე არა ვარო, – მაგრამ ამის დამტკიცება მართლმსაჯულებისთვის ვერ შეძლო. ის თურქი სასამართლო პროცესზე პირზე დაადგა, – ყალბი დოლარები შენ მომეციო. 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 4 წელი უკვე მოიხადა...

ჩემი მეუღლე ირმა საშინლად განიცდიდა, თუმცა არ მაგრძნობინებდა. მომაკვდავს, შინ ვტოვებდი, მე კი ციხეში გავრბოდი, მისთვის დედის ამბავი რომ მომეტანა.

— **ირმას რა დაავადება ჰქონდა? რა გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი?**

– 2001 წელს ირმას ავთვისებიანი სიმსივნე აღმოუჩინეს. ზურგზე ხალი ჰქონდა, სიმსივნის კერად სწორედ ის ხალი იქცა. ოპერაციაც გავუკეთეთ. ქიმიოთერაპიაც ჩაუტარეს, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა. ვიცოდით, რომ დაიღუპებოდა, დედამისმაც იცოდა, შვილი ავად რომ ჰყავდა, მაგრამ ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ დაიღუპებოდა. ირმა ისე მოკვდა, რომ დედა არ უნახავს. ჩემი სიდედრი დაკრძალვაზე მოიყვანეს, ორი ბადრაგის თანხლებით. ვერც იტირა. გული წაუვიდა, ძლივს მოაბრუნეს. სექტემბრის შემდეგ არ ჰყავდა ნანახი. მხოლოდ ეს თქვა – როგორ შეცვლილხარო!..

*სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ირმამ დედას წერილი დაუტოვა. ახლა ეს წერილი მის დღიურებთან ერთად, ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს. ვცდილობ, შეძლებისდაგვარად შევამოკლო, ერთ საგაზეთო სტატიაში რომ ჩავატიო მისი ავტორის ბედი და უბედობა...*

***„სალამი ჩემს უსაყვარლეს, ერთადერთ და განუმეორებელ დედიკოს!***

***დედიკო, მართალია, არასოდეს მითქვამს შენთვის, რომ მიყვარხარ, მაგრამ იცოდე, ჩემი სიყვარული შენ მიმართ უსაზღვროა.. ძალიან მაგრად მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ ვერასდროს ვუგებდით ერთმანეთს. ეს ალბათ, ორივეს ბრალია.***

***დედიკო, პირველ რიგში, ბოდიშს გიხდი იმისთვის, რომ ვერ გნახულობ. შენთან ერთი ძირითადი თხოვნა მაქვს — ჩემი სიკვდილის შემდეგ, გეხვეწები, კობას, როგორც საკუთარ შვილს, დაუდექ გვერდით, შენ მას ძალიან დასჭირდები. კობა ჩემთვის, კარგად რომ ვიყო, შეუძლებელს აკეთებს. ის მე მიხანგრძლივებს ცხოვრებას, რომელიც არ მინდა... იცი, რა ძნელია, ყოველ წუთს ელოდო სიკვდილს?! უცბად სიკვდილს თურმე არაფერი სჯობია. სულ იმის ფიქრში ვარ, მაშინ არ მოვკვდე, როცა ბავშვებთან მარტო ვარ სახლში...“***

— **ე.ი. ირმამ იცოდა, რომ დაიღუპებოდა?**

**კობა:**

– ჩვენ სიმართლეს არ ვეუბნებოდით. ჩემთვის მოულოდნელი იყო იმის გაგება, რომ თურმე ყველაფერი სცოდნია. სიკვდილის შემდეგ, მისი წერილები და დღიურები აღმოვაჩინეთ. ყველას რჩევა-დარიგებას გვაძლევს და გვემშვიდობება. გვასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვროთ უიმისოდ. ამას ვერ წარმოვიდგენდი. როგორ ვერ შევატყვე, რომ ყოველი მისი დღე, მისთვის ჩვენთან გამოთხოვებით იწყებოდა და მთავრდებოდა. ჩემს სიდედრს, რეზიკო არ ჰყავდა ნანახი. ირმამ სექტემბერში მითხრა: კოლონიაში უნდა წავიდე, დედაჩემი ვნახო, ჩემი



თურმე ყველაფერი სცოდნია. სიკვდილის შემდეგ, მისი წერილები და დღიურები აღმოვაჩინეთ...

შვილებიც ვაჩვენო, იქნებ, ისე მოვკვდე, მისი ნახვა აღარც მეღირსოსო. მაშინ მეგონა, რომ ხუმრობდა. ახლა მის წერილებს ვკითხულობ და ვგრძნობ, ეს სიტყვები, საოცარი მონდომებით გამოყვანილი, ქაღალდის ფურცლებზე ჩემთვის ყველაზე დიდი სატანჯველია...

„ჩემს ძვირფას მეუღლეს, კობას!

...კობა, როგორ ვნატრობ, იცი, სიკვდილს? განა ცხოვრება მეზარება? პირიქით, ძალიანაც მინდა, ოღონდ, არა ასეთი ავადმყოფობით...

კობა, ვიცი, ძალიან ძნელია და მტკივნეულია, იყოს ცოლი შენზე უფროსი და ისიც, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული. ახალგაზრდა კაცი ხარ, ენერგიით სავსე, დიდი მოთხოვნებით. შენთან ძალიან ბევრი თხოვნა მაქვს. ჩემი სიკვდილის შემდეგ, რომელიც გარდაუვალია, რეზიკოს ბევრი ელაპარაკე ჩემზე, ძალიან გთხოვ. ბავშვებთან, პირველ რიგში, ბაჭიასთან (ასე რეზიკოს ეძახდა. - ავტ.). იყავი მეგობარი და შემდეგ მამა. ნუ გაალიზიანებ იმითი, რაც არ მოსწონს, რისიც რცხვენია.

ჩემი სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ ერთი წელი ნუ მოიყვან ცოლს, მერე, რაც გინდა, ქენი. კარგი იქნება, თუ სხვა ქალს არ დააყენებ ჩემს შვილებს თავზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ — რაც მე გამაჩნია ტანსაცმელი, ძველი იქნება თუ ახალი, არაფერს არ გაეკაროს. ეს ყველაფერი რჩება ჩემს ლიკას. წიგნები, ფურცლები, ჩანაწერები — არაფერი არ გადაყარო. ამას ყველაფერს ლიკა მოუვლის. ჩემი შვილების დაპატარავებული ტანსაცმელი ბავშვების გარეშე, მათთან შეუთანხმებლად არავის მისცე. ყველაფერი შეათანხმე ბავშვებთან. გახდი მათი მეგობარი და ოთხივეს გაგიადვილდებათ ცხოვრება, ერთმანეთთან ურთიერთობა. ასწავლე მათ ყველაფერი კარგი, რაც შენ იცი: დაკვირვება, ცოტა ლაპარაკი, ბევრი მოსმენა და ორიგინალური პასუხების გაცემა...

აუცილებლად დამასაფლავე ბებიაჩემთან მუხათგვერდის სასაფლაოზე. დედაჩემის საფლავსაც ნუ დაავიწყებ თავის დროზე ჩემს შვილებს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ასვენია ჩემი ძმა, ბიძაჩემი, ბაბუაჩემი. გახსოვდეთ...

რა ვიცი, ძალიან ბევრი რამის დაწერა მინდა. ჰო, მართლა — ნასვამი და მთვრალი არასოდეს აუხირდე ბავშვებს, პირველ რიგში — ბაჭიას.

მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მინდა, რომ ყოველთვის კარგად იყო. შენი თავი არასოდეს მოაკლდეთ ჩვენს შვილებს. თქვენი ჭირი და ავადმყოფობა მე წამეღოს".

ირმა მრავალშვილიან ოჯახთა საქველმოქმედო კავშირის — „საქართველოს მომავლისთვის " — წევრი იყო. 8 მარტს კავშირის წევრებმა საქველმოქმედო კონცერტი გამართეს, რომელშიც ესტრადის ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ. ირმაც დაპატიჟეს, მაგრამ არ მივიდა. 8 მარტს დილითაც დაურეკეს. იკითხეს — ხომ მოვაო? მეზობელს უთქვამს: წევს, ავად არისო. ასეთი ყოფილა ირმას ნება: წინადღეს უთხოვია — გოგოებს არ უთხრათ, მძიმედ რომ ვარ, სარვამარტო განწყობა არ გაუფუჭოთო... ასეთი იყო ირმა, საკუთარ გაჭირვებაზე არასდროს ლაპარაკობდა. წერა უჭირდა, ტკივილებისგან სიტყვებიც ერეოდა, მაგრამ მაინც წერდა. შვილებს თავ-თავიანთი ჰოროსკოპებიც კი დაუწერა და დაუტოვა. არც საკუთარი თავი დავიწყებია. წითელი კალმით დაეწერა: „ჩემი ბედნიერი რიცხვია 8 და ყველა ის ციფრი, რომელიც 8-ზე იყოფა". 8 რიცხვში გარდაიცვალა...



კობა ჯიქია: ბავშვები დედას გამუდმებით კითხულობენ. ელოდებიან კიდეც...

„წერილი ჩემს დაიკოს

...მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს კარგი, მშრომელი ქმარი და შვილები. და ვამაყობ იმით, რომ მყავს შენნაირი კარგი და და დისშვილები. რა ვქნა, მე შენგან განსხვავებით ცოტა უხეში და ცუდი ხასიათი მაქვს, მაგრამ შენნაირი გულჩაკეტილი ვარ. მე ვამაყობ იმით, რომ შენ ჩემზე უკეთესი ხარ ყველაფერში.

რა ვქნა, ჩემს თავზე მეტად მიყვარხართ ყველანი. მე რომ ჩემი თავი ოდნავ მაინც მყვარებოდა, მეც გავუფრთხილდებოდი ჩემს თავს და ჩემს ჯანმრთელობას. ალბათ, მართალი იყო დედა, ჩემი გაჩენა რომ არ უნდოდა... არადა, როგორ მინდა, იცი, კიდევ ათი წელი მაინც ვიცოცხლო, რომ რეზიკოს კარგად დავამახსოვრდე. მაგრამ ღმერთი მსჯის, ალბათ, ცოდვებისთვის, რაც ცხოვრებაში ჩამიდენია ნებით თუ უნებლიეთ".

— ...საშინელი ტკივილებისგან გათავისუფლდა. ისე მოკვდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. იწვა მშვიდად და ცდილობდა, ჩვენთვის არ ეგრძნობინებინა, იმ ქვეყნად რომ მიდიოდა. მისი ყველა სურვილი, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა შეგვესრულებინა, ფურცლებზე წერია. უპირველესი თხოვნა კი ასეთია: „არასოდეს დააშოროთ ბავშვები ერთმანეთს. მათ ერთ ჭერქვეშ უნდა იცხოვრონ, თუნდაც მარტო პური ჰქონდეთ საჭმელად".

„ჩემო უფროსო ვაჟკაცო — მირიან...

მამიკოს შემდეგ ოჯახში პირველი კაცი შენ ხარ, მამიკოს დაუჯერე ყოველთვის. წელიწადში ერთხელ მაინც ამოდით საფლავზე. არასოდეს დაგავიწყდეს ლამარა ბაბო...

ჩემი სიკვდილს შემდეგ 1-2 წელიწადში, მამიკოს დააძალებენ ცოლის მოყვანას, რომ ოჯახს და თქვენ მოგიაროთ. ჩემი შენთან თხოვნა იქნება, შვილო, არ მისცე იმ ქალს ჩემი ტანსაცმლის ტარების უფლება — რაც ჩემია, უნდა დარჩეს ლიკას. ვინც არ უნდა მოიყვანოს მამიკომ ცოლად, პატივისცემით მოექეცით. მამიკო არ ანერვიულოთ. დაეხმარეთ ყველაფერში. სკოლიდან რომ მოხვალთ, პირველ რიგში, ტანსაცმელი გამოიცვალეთ, ხელები დაიბანეთ, ჭამეთ. მერე ცოტა ხანი დაისვენეთ — წამოწექით, ითამაშეთ ან მუსიკას მოუსმინეთ. შემდეგ კარგად ისწავლეთ გაკვეთილები, ისევ შეჭამეთ საჭმელი. ბოლოს დაიძინეთ. სკოლაში უჭმელები არასდროს წახვიდეთ. ერთმანეთს ყვირილით არასდროს ელაპარაკოთ. ერთმანეთი არ სცემოთ.

მირიან, კარგად ისწავლე და ასწავლე შენს და-ძმასაც. არ იყვირო, იყავი დინჯი. ბოლომდე მოუსმინე ადამიანს, რომელიც რამეს გელაპარაკება, არ შეაწყვეტინო. ლიკას ასწავლეთ ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა, კოსმეტიკა, კულინარია, ტორტების და ნამცხვრების გამოცხობა, გობელენების ქსოვა. აუცილებლად ისწავლოს კარგი კონსერვების გაკეთება. მჟავე ლი საჭმელები, პირველ რიგში ლობიო".

შეუძლებელია, ირმას ხელით ნაწერ რვეულებს თვალი გადაავლო და სულით ხორცამდე არ შეგძრას მისმა თითოეულმა ფრაზამ. მოხუცი დედის პატიმრობიდან გათავისუფლების ლოდინში თვალები ამომიღამდაო, — უთქვამს ერთხელ ქმრისთვის...

ირმა ცოცხალი აღარ არის. კობა კი ისევ ციხის გზას ადგას: პატიმარ სიდედრს საჭმელი ხომ უნდა მიუტანოს და ბავშვების ამბავი მოუყვეს?! ყველაზე მხცოვანი პატიმრის ჯანმრთელობაც ძლიერ შერყეულია. ლამარას ფეხზე სიმსივნე აქვს. კანონი მისი გათავისუფლების საფუძველს არ იძლევა, მაგრამ იქნებ, ღირდეს, გავიხსენოთ მორალური კოდექსი და პატარა ობლებს ბებიის სითბო და „დედის სუნი" დავუბრუნოთ...

P.S. სამართალი და სამართლიანობა იშვიათად, მაგრამ მაინც, ზოგჯერ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. იქნებ, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე? თქვენ რას ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველებო? მოგვწერეთ და თქვენი აზრი გაგვიზიარეთ. იქნებ, თქვენმა აზრმა გადაწყვიტოს ამ ოჯახის ბედი... ■



**სულ რამდენიმე დღეა, რაც კინოთეატრ „რუსთაველში“ გერმანული ფილმების კვირეული დაიწყო, რომლის პროგრამაშიც 9 ახალი, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. სეზონი კი, გასული წლის „ოსკაროსანმა“ სურათმა — „არსად აფრიკაში“ — გახსნა, რომელშიც მთავარ როლს გერმანიაში მოღვაწე ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე თამაშობს. ფილმში ასახულია მეორე მსოფლიო ომის პერიოდი. მერაბის გმირი ებრაელია, რის გამოც მან გერმანიაში მუშაობისა და ცხოვრების უფლება დაკარგა და ოჯახთან ერთად აფრიკაში, კენიის უდაბნოში გადაბარგდა... დანარჩენს კი ფილმის ხილვის შემდეგ შეიტყობთ... მერაბი სამშობლოში სამი კვირის მანძილზე დარჩება, შემდეგ კი კვლავ გერმანიაში დაბრუნდება, რადგან ახალ პროექტზე უნდა დაიწყოს მუშაობა.**

# მერაბ ნინიძის დიაპაზონი: ებრაელი დევნილიდან – იოსებ სტალინამდე

*ნათია ქივიძე*

— **ბატონო მერაბ, თავდაპირველად, ორიოდე სიტყვით ამ ფილმის რეჟისორსა და გადაღებებზე გვესაუბრეთ.**

— ფილმის რეჟისორია კაროლი სინკი, რომელიც გერმანიაში ძალზე პოპულარულია. მისი პირველი სადიპლომო ნამუშევარიც „ოსკარის“ ნომინანტი იყო, რითიც მან ამ დაჯილდოების ცერემონიისკენ გზა გაიკვლია, ამიტომ ამ ფილმისადმი ინტერესი ამერიკელებს ჯერ კიდევ გადაღებების დროს ჰქონდათ. რაც შეეხება ჩემს პარტნიორს — ჯულიანე კოლნერს, რომელიც ჩემი მეუღლის როლს ასრულებს, მიუნხენის ერთ-ერთი თეატრის მსახიობია და „არსად აფრიკაში“ მისთვის მესამე კინონამუშევარია. გადაღებები დაახლოებით ხუთი თვის მანძილზე გრძელდებოდა. ჯერ კენიის უდაბნოში ვიღებდით, სადაც კარვებში ვცხოვრობდით, შემდეგ კი ქალაქ ნაირობიში გადავედით და ფეშენებელურ სასტუმროში დავბინავდით. ასე რომ, გადაღებების დროს ძალიან განსხვავებული პირობები გვქონდა.

— **როგორ შეიტყვეთ, რომ ფილმმა „ოსკარი“ აიღო?**

— ვიდრე ცერემონია შედგებოდა, ძალიან ვნერვიულობდი. სწორედ დაჯილდოების დღეს გავფრინდი თბილისიდან. როდესაც შინ მივედი, ცოტა ნასვამი ვიყავი და მალევე ჩამეძინა. დილით კი ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ახლობლებმა, რომლებმაც ჩემზე ადრე გაიგეს ამ გამარჯვების ამბავი, დამირეკეს და მომილოცეს.

— **თავად გერმანელებმა როგორ შეაფასეს ეს ფილმი?**

— რატომღაც ამ ფაქტს გერმანელები უფრო სკეპტიკურად შეხვდნენ, ვიდრე ამერიკელები. ახლა უკვე ამ გამარჯვებით ძალიან ამაყობენ, რადგან გერმანულმა ფილმმა ბოლო „ოსკარი“ 23 წლის წინ მიიღო და ამ ხნის მანძილზე ჩვენი ფილმი პირველი იყო, რომელმაც ეს ჯილდო მოიპოვა. თუმცა სხვა გერმანული ფილმებიც ყოფილა ნომინირებული. ახლა უკვე ჩვენი ფილმი თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია ნაჩვენები.

— **როგორც ვიცით, ახალ ფილმში უნდა გადაგიღონ, სადაც სტალინის როლს შეასრულებთ...**

— მართალია. ეს იქნება ჩეხების პროდუქცია, რომლის გადაღებაც ივლისის ბოლოს, მოსკოვში, პრაღასა და სოჭში დაიწყება. სიმართლე გითხრათ, თავიდან საერთოდ არ მაინტერესებდა, ულვაშით, პარიკითა და ჩიბუხით კარიკატურასავით სიარული, მაგრამ ახლა აზრი შემეცვალა, რადგან ვფიქრობ, რომ ნებისმიერი მსახიობისთვის ძალიან საინტერესოა ისეთი ადამიანის როლის თამაში, რომელიც გარკვეულ ჩარჩოში არ ჯდება და რომელზეც ლეგენდები დადის. ასეთი დიდი როლი არასოდეს მითამაშია. სცენარი სტალინის მეორე მეუღლის, ალილუევას დღიურების საფუძველზე დაიწერა. პოლიტიკური მოვლენები უკანა პლანზეა გადატანილი, ხოლო წინა პლანზე სტალინისა და ალილუევას პირადი ურთიერთობაა წამოწეული. ეს უკანასკნელი 16 წლის ასაკში გაჰყვა ბელადს ცოლად, ხოლო 30 წლისამ თავი მოიკლა...

— **ამ ფილმის გარდა კიდევ თუ გაქვთ რაიმე შემოთავაზება?**

— რაც გერმანიაში ვარ, სულ 20-25 ფილმში ვითამაშე. ახლაც მაქვს გარკვეული შემოთავაზებები, თუმცა ამის შესახებ ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. ქართველ კინორეჟისორებს რაიმე ფილმში გადაღება ჯერ არ შემოუთავაზებიათ, ვაკის „თეატრალურ სარდაფში“ კი „ვენეციელ ვაჭარში“ ვთამაშობ.

— **თქვენ მიერ შესრულებული მრავალრიცხოვანი როლიდან რომელიმეს ხომ არ გამოყოფდით?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. როდესაც გარკვეულ როლზე ვმუშაობ, მგონია, რომ ის ყველაზე უკეთესია, მაგრამ შემდეგი როლის თამაშის დროსაც იგივე გრძნობა მეუფლება. ამიტომ ვერც ერთს ვერ გამოვყოფ, ყველა საკუთარი შვილივით მიყვარს.

— **ვთქვათ, ფილმის სცენარი არ მოგეწონათ. მაინც დათანხმდებით შემოთავაზებულ როლზე?**

— ასეთი რამ გამიკეთებია. ადრე უფრო იდეალისტურად ვიყავი განწყობილი: სცენარი კი არ ვარგა, მაგრამ იქნებ, ფილმი კარგი გამოვიდეს-მეთქი. ახლა უკვე ასე აღარ ვფიქრობ. ხან ფული გჭირდება ადამიანს, ხან — სამუშაო. ყოველთვის ისე არ არის, როგორც ჩვენ გვინდა. კარგ ფილმს რეჟისორისა და მსახიობის ალიანსი ქმნის.

— **თუ გქონიათ შემთხვევა, რომ რომელიმე პარტნიორთან ნათამაშევი სასიყვარულო როლი პირად ურთიერთობაში გაგრძელებულიყო?**

— საინტერესო შეკითხვაა. მართლა ძნელია, რომ გარკვეული დროით ერთ პარტნიორთან სასიყვარულო როლის თამაში, პირადულში არ გადავიდეს, მაგრამ თუ ადამიანს იუმორი აქვს და ამ ყველაფერს პროფესიონალურად მიუდგება, ეს არ მოხდება. თუმცა გამორიცხული მაინც არაფერია. ჩემი პარტნიორები რატომღაც ყოველთვის არაჩვეულებრივი ადამიანები არიან და ჩვენს ურთიერთობას გარკვეულ ფორმას ვაძლევთ ხოლმე — ვარეგულირებთ. ოცი წლის რომ ვიყო, ალბათ ასე არ მოვიქცეოდი და ეკრანზე სიახლოვე პირად ცხოვრებაში გადავიდოდა, მაგრამ ახლა 38 წლის ვარ.

— **როგორც გავიგეთ, რამდენიმე სიმღერის ჩაწერასაც აპირებთ...**

— მართალია, თუმცა ამას გასართობად ვაკეთებ. მერწმუნეთ, ფილარმონიის სცენაზე არ ვიმღერებ, ამიტომ შოუბიზნესის წარმომადგენლების რიგს ნუ მიმაკუთვნებთ. ლილიკო ნემსაძის რომანსს ვიმღერებ, რომლის ტექსტიც ნანა ცინცაძეს ეკუთვნის, მეორე სიმღერა იქნება დუეტი კაბუსთან და მესამე — დუეტი ნატო მეტონიძესთან... ■





# ყველაზე ბედნიერი დღე

**ბედნიერება ყველას სხვადასხვაგვარად ესმის: თუ ერთისთვის ეს თბილ, მყუდრო ოჯახურ გარემოსთან ასოცირდება, მეორისთვის — ღრეობაში გატარებულ ბობოქარ ღამეს, მესამისთვის კი — ცხარე პოლიტიკურ დებატებსა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას უკავშირდება... თუ გინდათ, წყნარ, მშვიდ სიტუაციაში კამათი და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვიოთ, უნდა დასვათ კითხვა — რა არის „ქალური“ ბედნიერება? მერწმუნეთ, ყველა ქალი ერთდროულად ალაპარაკდება და საკუთარი აზრის დასამტკიცებლად საკმაოდ მყარ არგუმენტებსაც მოიყვანს, მაგრამ არსებობს თუ არა „მამაკაცური“ ბედნიერება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენი პირველი რესპონდენტი ცდილობს.**

## „ღამე, თოვლი, სერენადა... ზექა, მიყვარხარ“

*მარი ხაშარიძე*

### „კაცებიც ვასველებთ ბალიშს ცრემლით...“

„45 წლის კაცი ვარ და ბედნიერი დღე მხოლოდ „აქა-იქ“ მახსოვს. პირველად მაშინ ვიგრძენი თავი ბედნიერად, როცა 18 წლის ასაკში პირველად შემიყვარდა და მისგანაც თანხმობა მივიღე. ახლაც მახსოვს, თითქოს დავფრინავდი ბედნიერებისგან. მიწას ფეხს არ ვაკარებდი, ისე დავდიოდი. ამას მძიმე დღეები მოჰყვა — როცა ის სხვამ წაიყვანა და ჩემი გულიც თან გაიყოლა... შემდეგი ბედნიერი დღე მაშინ მქონდა, როცა ჯარიდან გავთავისუფლდი და შინ დავბრუნდი. შემდეგ, როდესაც პირველი შვილი შემეძინა... არ იფიქროთ, ქორწილის დღე გამომრჩა. არა, ის დღე ბედნიერი დღეების რიგში არ შედის, რადგან ცოლი ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მოვიყვანე. უკვე 33 წლის ვიყავი, დაოჯახებას კი არ ვჩქარობდი. მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი და საკმაოდ კარგადაც ვგრძნობდი თავს. იქ ერთი რუსი გოგო მიყვარდა, ოჯახმა ამის შესახებ იცოდა და სწორედ ამიტომ, როდესაც თბილისში მშობლების მოსანახულებლად ჩამოვედი, დედაჩემმა თავისი მოწონებული გოგონა გამაცნო. კარგი გოგო იყო, ვერაფერს დაუწუნებდი, მაგრამ მე სხვა მიყვარდა. თანაც, გარიგებით ცოლის მოყვანა სულაც არ მინდოდა. როგორც ხდება ხოლმე, ოჯახში მივედით, ქორწილის დღე დავთქვით, მაგრამ სიხარულისა და ბედნიერების ნაცვლად, თავს ყველაზე უიღბლო ადამიანად ვთვლიდი. იქიდან როგორც შეიძლებოდა, მალე წამოვედით, ჩემს მეგობარს მივაკითხე და რესტორანში დავპატიჟე, რომ დავმთვრალიყავი და გული გადამეყოლებინა. მამუკასთან სტუმრად მისული, მისი მეუღლის მეგობარი დამხვდა. ისიც დავპატიჟე და უგონოდ მთვრალმა, მერე შინ წავიყვანე, ოჯახს მეუღლედ გავაცანი და მას შემდეგ ერთად ვცხოვრობთ. უფროსი შვილი 10 წლის მყავს, მომდევნო — 8-ის. ჩემი ბედნიერება, მათი კარგად ყოფნაა... თუმცა, ბედნიერი დღე ერთხელ კიდევ მქონდა, როცა ჩემს პირველ სიყვარულს ქუჩაში შემთხვევით შევხვდი და ერთი საათის განმავლობაში, კაფეში მის პირისპირ ვიჯექი. ერთმანეთს ისე დავცილდით, რომ ტელეფონის ნომრებიც არ გაგვიცვლია. ისევ შემთხვევითობას მივანდვეთ ჩვენი ბედი. ვკითხე: — ბედნიერი ხარმეთქი? თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, მაგრამ მივხვდი, სიმართლე დამიმალა. როგორც ჩანს, „ქალური“ ბედნიერება ვერ იპოვა. მე? მე თუ მაქვს „მამაკაცური“ ბედნიერება? ხშირად ჩვენ, კაცებიც ვასველებთ ბალიშს ცრემლით...“

*მომდევნო რესპონდენტისთვისაც ბედნიერი დღეები პირველ სიყვარულთანაა დაკავშირებული.*

### „გკოცნი უსაყვარლეს ლიპზე...“

„13 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი სკოლელი და ჩემი უბნელი ბიჭი შემიყვარდა. მას შემდეგ ყველა ჩემი ოცნება მას უკავშირდებოდა. ის ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, იმ წელს სკოლას ამთავრებდა, ამიტომ მას „დიდ ბიჭად“ ვთვლიდი და გრძნობის გამხელას ვერ ვუბედავდი. ყოველ ღამეს ტირილში ვათენებდი, ყოველდღე ვწერდი წერილს, მაგრამ მისთვის მიცემას ვერ ვბედავდი. ეს წერილები დღემდე შემომრჩა. რომ ვკითხულობ, მეღიმება ხოლმე... მალე მან დაამთავრა სკოლა, ჩააბარა უნივერსიტეტში, შემდეგ ველოდი... ველოდი... მაგრამ ამაოდ. გავიდა წლები. გავიგე, რომ შეყვარებული ჰყავდა. უზომოდ უბედური ვიყავი. ავდექი და გავთხოვდი. უიღბლო აღმოჩნდა ჩემი ქორწინება. 10 წლის თანაცხოვრების შემდეგ, ჩემი ოჯახი დაინგრა. ორი შვილით ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული დავრჩი. ის კი ვერ დავივიწყე. როდესაც ქმარი გულს მტკენდა, სწორედ მაშინ მახსენდებოდა პირველი სიყვარული და ვნანობდი, რომ მისთვის გრძნობის გამხელა ვერ გავბედე. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მის შესახებ მხოლოდ შორიდან ვიგებდი ამბებს, რადგან ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და ძალაუნებურად, ხალხის ყურადღების

ცენტრში იყო. ხანდახან კი, შორიდან თუ მოვკრავდი თვალს, მაშინაც გული ისე „მიბაგუნებდა", თითქოს გასკდომას ლამობდა. ერთხელ, ერთ-ერთ ორგანიზაციაში მივედი რაღაც საქმის გამო. უფროსის მოლოდინში ვიყავი, როცა გვერდით ახალგაზრდა მამაკაცი მომიჯდა და გამომკითხა, ვინ ვიყავი, რა საქმე მქონდა, რომელი სკოლა დავამთავრე... როდესაც სკოლა დავასახელე, უცებ მკითხა: – ამა და ამ კაცს თუ იცნობ? – ეგ სკოლა აქვს დამთავრებულიო. ლამის გული წამივიდა, მისი სახელი და გვარი რომ ახსენა... – ისე, შორიდან ვიცნობ-მეთქი, – ამოვილუღლუღე. – ჩემი ძმაკაცია, ახლა აქ არის, აბა, თუ იცნობო?!. ავფორიაქდი, სახეზე სიწითლემ გადამკრა. ამასობაში უფროსიც მოვიდა და კაბინეტში შემიპატიჟა. იქ შესულმა კი დავინახე, რომ „ის" დივანზე იჯდა და ინტერესით მათვალიერებდა (რა თქმა უნდა, ვერ მიცნო და აზრადაც არ მოსვლია, რომ ოდესმე ნანახი ვყავდი). აღელვებულმა აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, ორიოდე სიტყვით ძლივს ვთქვი ჩემი სათქმელი და კაბინეტი სასწრაფოდ დავტოვე. ჩემი ოცნების მამაკაცი უკან გამომყვა და თავისი მანქანით შინ წაყვანა შემომთავაზა. უარი ვერ ვუთხარი. მანქანაში მჯდომი კი, ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ საშუალება მომეცა, თუნდაც 15 წუთი მის გვერდით ვყოფილიყავი. მას კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ქალი, რომელიც მის გვერდით იჯდა და უბრალოდ, გარეგნობით მოეწონა, მასზე ჭკუას კარგავდა. ეს უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ისე დავემშვიდობე, ტელეფონის ნომერიც არ უკითხავს. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ჩემდა გასაკვირად, დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მაშინვე დავთანხმდი. ეს მეორე ბედნიერი დღე იყო... რამდენიმე ხნის შემდეგ კი, პირველად მაკოცა, სწორედ მაშინ, როდესაც გავუმხილე, რომ უკვე 20 წელია, მიყვარს... მას შემდეგ, 3 წელი გავიდა და მის გვერდით გატარებული ყოველი დღე ყველაზე ბედნიერია და ყველა ის წამიც, როდესაც იმ პირველ კოცნას ვიხსენებ... ბედნიერი ვარ მაშინაც კი, როდესაც ჩემ გვერდით არ არის და მასზე ვფიქრობ. ბოლოს, მისთვის ნაცნობ სიტყვებს „დაგიმესიჯებთ" და გთხოვთ, ესეც გამოაქვეყნოთ: „ლევან, შენ ჩემი სუნთქვა და გულის ფეთქვა ხარ, გკოცნი ჩემთვის უსაყვარლეს ღიპზე. გახსოვს, მთხოვე – აღარ „დამიმესიჯოო"? ახლა „გზიდან" „გიმესიჯებ". მენატრები და მიყვარხარ. მარგალიტა".

*მკითხველთა უმეტესობა თავის ბედნიერ დღეს სწორედ საყვარელ ადამიანს უკავშირებს. მაგრამ თურმე, არანაკლებ ბედნიერად გრძნობ თავს, როდესაც ფიქრობ, რომ სიკვდილს თვალებში უყურებდი, ფორტუნამ არ გიმტყუნა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. შემდეგი რესპონდენტი მფრინავი გახლავთ. ის „დიდ ავიაციაში" მსახურობდა და როდესაც მის „მესიჯს" წაიკითხავთ, მიმინოსავით იტყვით: „Такие пилоты на улице не валяються-ო"*

## „თვითმფრინავი ცხვირით ჩაერჭო მიწაში..."

„მე მფრინავი გახლავართ და ერთი წლის განმავლობაში, ავღანეთში ვმსახურობდი. სწორედ მაშინდელი ამბავი უნდა მოგიყვეთ. დავიწყებ იმით, რომ ღამის მორიგეობის შემდეგ, დღისით გამოძინება უნდა მომესწრო. უცნაური სიზმარი ვნახე: დაღუპული მეგობარი დამესიზმრა და მითხრა – საღამოს გაფრენის წინ, ინსტრუქტორს არ ენდო, შენ თვითონ შეამოწმეო... იმ საღამოს ერთი შემოფრენა უნდა შემესრულებინა, თან ფოტოგრაფი და ორი სამხედრო პირი მახლდა, რაღაც ადგილის გეგმა უნდა შეედგინათ და ფოტოები გადაეღოთ. მშვიდობიანად ავფრინდით, შემოვუფრინეთ იმ ადგილებს, რომელიც აინტერესებდათ და უკან დაბრუნება რომ გადავწყვიტეთ, თვითმფრინავის ძრავა ახმაურდა. ყურები ვცქვიტეთ. სულ მალე, ერთი ძრავა მწყობრიდან გამოვიდა, მეორის იმედად დავრჩით. რაციით დავუკავშირდით ცენტრს, რომ შეგვეტყობინებინა ჩვენი გასაჭირი. ამ დროს, გაფუჭებული ძრავას მხარეს ხანძარი გაჩნდა. თვითმფრინავის მართვა გამიჭირდა, საჭეს ვეღარ ვიმორჩილებდი. უკვე ბინდდებოდა და ძირს აღარაფერი ჩანდა. თვითმფრინავით რაც შეიძლებოდა, დაბლა დავეშვი და ფრენა განვაგრძე. ბუნდოვნად დავინახე ქვიშიანი, უკაცრიელი ადგილი და იქითკენ ავიღე გეზი. როდესაც ბორბალი მიწას შეეხო, შვებით ამოვისუნთქე. ცოტა ხნის შემდეგ კი, ალმოდებული თვითმფრინავი ცხვირით ჩაერჭო ქვიშაში. სალონში რომ შევიხედე, იქ მყოფნი მუხლებზე დაცემულები დამხვდნენ, ღმერთს შველას ევედრებოდნენ. სულ მუჯლუგუნებით წამოვყარე და ფანჯრიდან გადავძვერით. თვითმფრინავი არ აფეთქებულა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ხანძარი ნელ-ნელა ჩაქრა და სიმშვიდემ დაისადგურა. ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. საშიშროებამ რომ ჩაიარა, მერე დამეწყო ისტერიკა. ვკანკალებდი და ცრემლი თავისით მდიოდა თვალებიდან... შემდეგ ძლივს მოგვაგნეს ბაზიდან და ადგილზე დაგვაბრუნეს. მოკლედ, მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვა. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება".

*16 წლის ლანამ კი, ბედნიერად მაშინ იგრძნო თავი, როდესაც მამამისი ოჯახს დაუბრუნდა...*

## „მამა ძლივს ვიცანი"

„მოგესალმებით. გამიხარდა, რომ საშუალება მეძლევა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც სულ ერთი კვირის წინ მოხდა. საუკეთესო მშობლები მყავს, ორივე ძალიან მიყვარს. 4 წლის წინ, მამამ მიგვატოვა. შინიდან ისე წავიდა, რომ არც კი ვიცოდით, სად იყო. ერთი თვის შემდეგ შევიტყეთ, რომ საზღვარგარეთ იმყოფებოდა ვიღაც ქალთან ერთად. თურმე, სხვა ქალი ჰყვარებია, აქ ოჯახის შექმნა ვერ გაუბედავთ და საზღვარგარეთ გაპარულან... სამი და-ძმა ვართ. მე ყველაზე უმცროსი გახლავართ. იმ ქალსაც ორი შვილი მიუტოვებია და მამაჩემს გაჰკიდებია. დედამ ძალზე ინერვიულა, ბოლოს კი შეეგუა თავის ყოფას და იშვიათად ტიროდა. მანამდე არასოდეს უმუშავია, ახლაც, სამსახური ვერ იშოვა და იძულებული გახდა, სოფელში დედამთილ-მამამთილთან წასულიყო. ჩვენც სასწავლებლად იქ გადაგვიყვანა. ბებია და ბაბუაც ძალზე განიცდიდნენ, მამამ ასე რომ მიგვატოვა და ყურადღებას არ გვაკლებდნენ. ერთი კვირის წინ, ეზოში, ხის ძირში სკამზე ვიჯექი და „ფიზიკას" ვიზუთხავდი. ძაღლმა ყეფა ატეხა. ამ დროს, ჭიშკარიც გაიღო და ეზოში კაცი შემოვიდა. მამა ძლივს ვიცანი. წამოვხტი და კისერზე ჩამოვეკიდე. ისე მიხუტებდა და მეფერებოდა, რომ მივხვდი, ძალზე ვენატრებოდი. შემდეგ გავიქეცი და

დავიძახე: — მამა მოვიდა-მეთქი! ბებიაჩემს ადუღებული წყლით სავსე ჩაიდანი შეაცივდა ხელში, დედას — ცოცხი. ბებია მაშინვე გამოვარდა ეზოში, ჩემი და-ძმა უკვე მამას ეხვეოდა, მე კი დედას ვუყურებდი. ის წელმოწყვეტილივით გაემართა კარისკენ, იქ გაჩერდა და შორიდან უყურებდა ქმარშვილს. მამამ შენიშნა და მისკენ წამოვიდა. ოთახიდან გავვარდი, რომ მარტონი დამეტოვებინა, თუმცა ვკვდებოდი, ისე მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა მათი შეხვედრა... მთელი სამი საათი იყვნენ განმარტოებულები, იქიდან კი, ტირილისგან თვალებდაწითლებული დედა და ბედნიერი მამა გამოვიდნენ... მას შემდეგ, სულ ცოტა ხანია გასული, მაგრამ ვგრძნობ, როგორი პატივისცემით ეპყრობა ის დედას. სულ თვალებში შესციცინებს. დედა კი, მიუხედავად გადატანილი ტკივილისა, თვალებითაც კი არ საყვედურობს ქმარს. ეს დღე ყველაზე ბედნიერი იყო. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ბევრი ასეთი დღე მელის წინ... მადლობა „გზას" იმისთვის, რომ არსებობს".

*ახლა კი იმ ქალბატონსაც მოვუსმინოთ, მდიდარი საყვარლის ძებნაში არაქათგამოცლილს, ხალისიანად დაწყებული დღე კურიოზულად რომ დაუმთავრდა...*

## „მდიდარ საყვარელზე ფიქრი გონებიდან ამოვიგდე..."

„ჩემი დღე და მოსწრება, სულ გასაჭირში ვიყავი, გათხოვებამდეც და გათხოვების შემდეგაც. სულ იმას ვნატრობდი, ერთხელ მაინც მქონოდა იმდენი ფული, რომ ჩემს გემოზე დამეხარჯა და ეკონომია არ გამეწია. ხან ფეხსაცმელი არ მქონდა, ხან — კაბა, ერთდროულად ტანსა და ფეხზე ახალი არაფერი მცმია. უფროსი შვილი 14 წლის მყავდა, როცა თაყვანისმცემელი მამაკაცი გამიჩნდა. ცოტა გავეპრანჭე, მაგრამ როდესაც შევიტყვე, რომ მდიდარი იყო, თვალიც არ დამიხამხამებია, ისე დავიწყე მასთან ფლირტი. გამოგიტყდებით, რომ თაყვანისმცემლები არც მანამდე მაკლდა, მაგრამ ისინიც ჩემსავით გაჭირვებულები იყვნენ და ქმრის ღალატი გულშიც არ გამივლია. ეს კი სულ სხვა იყო. მართალია, გარეგნობით დიდი არაფერი — ერთი დაბალი, მელოტი და მსუქანი კაცი იყო, — მაგრამ რას დაგიდევდით?! მთავარი ის იყო, რომ ბევრი ფული ჰქონდა... ერთ დღეს, 500 დოლარი მომცა და მითხრა, ტანისამოსი იყიდეო. თავიდან ბოლომდე შევიმოსე, შვილებსაც შევუძინე საჭირო ნივთები და მეორე დღეს ბედნიერებისგან გაბრწყინებული შევხვდი თენგოს. ვიცოდი, რომ იმ დღეს ჩვენი შეხვედრა ინტიმური სცენით დამთავრდებოდა, წინასწარ მომზადებულიც ვიყავი ამისთვის, მაგრამ როდესაც მასთან მარტო დავრჩი და მოფერება დამიწყო, ცუდად გავხდი. მის თვალწინ გული ამერია... იმ კაცმა სასტუმროს ნომრიდან კინწისკვრით გამომაგდო. მე კი შინ ბედნიერი დავბრუნდი, რადგან სინდისის ქენჯნას არ განვიცდიდი. ოჯახში პირნათლად დავბრუნდი და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა. იმის შემდეგ, მდიდარ საყვარელზე ფიქრი გონებიდან ამოვიგდე და ჩემს ღარიბ ოჯახში ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობ..."

*ახლა კი, მოკლე „მესიჯებსაც" გადავხედოთ.*

## „...როცა 14 წლის ასაკში, პირველად ვეზიარე"

„ყველაზე დიდი ბედნიერება იცით, რა არის? ორი ადამიანი ერთმანეთის სუნთქვით რომ ცოცხლობს და თვალებით ლაპარაკობს. მახო ბ-ურო, მიყვარხარ. ცუნცულა".

„იმედი მაქვს, ყველაზე ბედნიერი დღე წინ მაქვს და წინასწარ ვტკბები ამ დღით. ისე კი, აქამდე, ყველაზე ბედნიერი დღე ჩემი დისშვილის, მარის დაბადების დღე იყო. თამო".

„ბედნიერ დღედ ვთვლი იმ დღეს, როცა ვიგრძენი, რომ მეც მიყვარს. ახლა ბედნიერი მარტო დღისით კი არა, ღამითაც ვარ. რატომ? — ჩვენ ფიქრებით სულ ერთად ვართ. ნინო".

„ვარ 29 წლის. ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღე იყო მაშინ, როცა 14 წლის ასაკში, პირველად ვეზიარე. ყოველი ზიარება ძალზე კარგია, მაგრამ ის, პირველი, სულ სხვა იყო".

„ყველაზე ბედნიერი დღე 2004 წლის 13 იანვარი იყო. ღამე, თოვლი, სერენადა... ბექა, მიყვარხარ".

„ბედნიერი დღე იყო, როცა ერთი ბიჭი გამაცნეს, მე კი მას ჩემი უარით გული ვატკინე. დღეს მივტირი მამუკას... ის უჩემოდ ბედნიერია. როგორ მინდა, რომ დამირეკოს..."

„ყველაზე ბედნიერი დღე 15 მაისი იყო, როცა თოკოსთან ერთად რამდენიმე საათი ვცეკვავდი. თოკო, მიყვარხარ. მარი".

„იცით, ყველაზე ბედნიერად როდის ვგრძნობ თავს? ყველანი თავს რომ დამანებებენ და ფულიანი მამიკოს შვილს აღარ დამიძახებენ. დავიღალე. ამის გამო მეგობრებს ვკარგავ".

„ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა იმ ქალთან ერთად გავიპარე, რომელიც მიყვარდა. მერე სახლიდან გამექცა, ისევ ჩემი მიზეზით. მეორე დღეს, დედა გარდამეცვალა. ისე მოხდა, რომ დედაც დავკარგე და თამთაც. ოჯახმა კი წამოიყენა პირობა — ან ოჯახი, ან თამთაო. მას მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს... როგორ მოვიქცე? მიშკა".

„მგონი, რაც დავიბადე, ბედნიერი დღე არ მქონია და თუ იყო, ბოლოს მაინც მიტირია. ნიკი".

„ჩემთვის ბედნიერი დღე არასდროს ყოფილა, მაგრამ ერთხელ, ჩემმა შეყვარებულმა თავისი ქორწილის დღეს, მოულოდნელად სიყვარული ამიხსნა. მეც დავუჯერე, მაგრამ ახლა ვნანობ..."

„7 მაისს ჩემმა „ცუდმა" ბიჭმა უბედნიერეს ადამიანად მაქცია. ნანო".

„ჩემი ბედნიერება ციხის კედლებში დავტოვე. მაშინ მართლა ძალზე ბედნიერი ვიყავი. სიყვარული მასულდგმულებდა. მიხაროდა, რომ ვარსებობდი. რომ იცოდეთ, რა ლამაზი იყო მაშინ სამყარო. ახლა? ყველაფერი დამთავრდა, დაიმსხვრა ჩემი ბედნიერება. სულში მხოლოდ სიცარიელე დამრჩა. არადა, მე მხოლოდ ცოტა სითბო და ცოტა სიყვარული მჭირდებოდა. „მე შენ დედამიწაზე ყველაზე ბედნიერ ქალად გაქცევ, ჩემო ჩურჩუტო", — ეს ხომ შენი სიტყვები იყო..."

„როცა მეგონა, რომ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა და ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე, სწორედ მაშინ გამოჩნდა ის, ვის დაკარგვასაც ასე ვნანობდი. ეს დღე ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო. დათო, მიყვარხარ. ნინო".

*დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომავალ თემად კი გთავაზობთ — რაც მოგივა, დავითაო... გამოგვიგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61, გვიამბეთ, რა დაუშავეთ საკუთარ თავს. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

■



ცოტა ხნის წინ, სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გაავრცელა სენსაციური ინფორმაცია: საქართველოს ლეოპარდი დაუბრუნდა. ეს იშვიათი ცხოველი ორმოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში გადაშენებული ეგონათ, მაგრამ მსოფლიო ბანკის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის განხორციელებისას, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში ექსპედიციის წევრები დიდი ზომის კატისებრის ნაკვალევს წააწყდნენ. მოგვიანებით დადასტურდა, რომ ნაკვალევი ნამდვილად ლეოპარდს ეკუთვნოდა, თუმცა კონსერვაციის ცენტრი ამ ინფორმაციას 6 თვის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა. თუ როგორ აღმოაჩინეს ლეოპარდი და რატომ იჩენდნენ ასეთ სიფრთხილეს, ამის შესახებ კონსერვაციის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, ლევან ბუთხუზი - გვიამბობს:

# ახლადაღმოჩენილი ლეოპარდი, უკანასკნელი ქურციკი, «ქართველი» აფთარი და ჩიტი შურთხი

_ემა ტუხიაშვილი

— სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო ცენტრი (NACRES) ერთ-ერთი ყველაზე ძველი არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში. ის 1989 წელს (ჯერ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია) შეიქმნა. ჩვენ ვსწავლობთ იშვიათი ჯიშის ცხოველებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, აგრეთვე ვცდილობთ გარემოსდაცვითი განათლების დონის ამაღლებას. ამ წლების მანძილზე, სხვადასხვა დონორის დაფინანსებით, ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ. ძირითადად ვმუშაობთ დაცულ ტერიტორიებზე, ეროვნული პარკი იქნება ეს თუ ნაკრძალი.

— **თქვენი ბოლო აღმოჩენის შესახებ გვიამბეთ.**

— ჯიქი ანუ ლეოპარდი შუა საუკუნეების საქართველოში იყო მომრავლებული. მასზე ნადირობისა და სხვა ფაქტორების გამო, ამ სახეობამ კლება დაიწყო და სამწუხაროდ, იმ ცხოველების რიგში აღმოჩნდა, რომლებიც უკვე გადაშენდნენ საქართველოში. ლეოპარდის ბოლო ინდივიდი 1954 წელს მოკლეს საგურამოს ქედზე. ამის შემდეგ ყველამ ჩათვალა, რომ საქართველოში ლეოპარდი აღარ გამოჩნდებოდა, ვინაიდან მისი ხელოვნურად მოშენება ფაქტობრივად შეუძლებელია. სხვათა შორის, როდესაც ჩვენს ორგანიზაციას ვაყალიბებდით, გვინდოდა, მის ლოგოტიპად სწორედ ლეოპარდი აგვერჩია — როგორც სიმბოლო საქართველოს უწინდელი ძლევამოსილებისა... როდესაც სხვადასხვა პროექტს ვახორციელებდით, მოგვდიოდა ხმები, რომ პირიქითა ხევსურეთში, თუშეთში ნახეს დიდი კატის მაგვარი ცხოველი. სიმართლე რომ გითხრათ, ამ მონათხრობებს ყურს იქით ვუშვებდით, რადგან ეს ინფორმაცია მხოლოდ ჭორის დონეზე მოგვდიოდა. საბოლოოდ კი, იმდენი ჭორი დაგვიგროვდა, რომ 2000 წელს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს მივმართეთ თხოვნით — გამოეყო ჩვენთვის მცირე თანხა იმისათვის, რომ გამოგვეკვლია, რომელ ცხოველზე იყო საუბარი. საქართველოში ლეოპარდის ექსპერტი არ გვყავს. ჩვენში წინათ გავრცელებული ეს ცხოველი აფრიკულისგან განსხვავდება და მას აზიურ ლეოპარდს უწოდებენ. ამ სახეობის ექსპერტი კი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთია — დოქტორი ლუკარევსკი, რომელიც თურქმენეთში ცხოვრობს. ჩამოვიყვანეთ ეს მეცნიერი საქართველოში, ვამოგზაურეთ ჩვენთან ერთად ტყე-ღრეში, მაგრამ ლეოპარდის ვერანაირ კვალს ვერ მივაგენით. იძულებული გავხდით, რომ 2000 წელს ეს პროგრამა დაგვეხურა... მოგვიანებით, მსოფლიო ბანკმა საქართველოში დაცული ტერიტორიების — ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების განვითარების პროგრამა წამოიწყო. სწორედ მაშინ, ვაშლოვანის ნაკრძალში, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და აზერბაიჯანის საზღვრის მახლობლადაა, ხელი მივყავით კვლევებს, რომელთა მიზანი იყო ნაკრძალის დაცვის საშუალებების დადგენა და გაუმჯობესება. ერთ-ერთი ექსპედიციის დროს, ჩვენმა ორმა თანამშრომელმა აღმოაჩინა დიდი კატის ნაკვალევი. ყველაზე დიდი კატა, რაც საქართველოში არსებობს, ფოცხვერია, მაგრამ ეს ნაკვალევი ფოცხვრის თათის ზომას ორჯერ ან მეტჯერ აღემატებოდა. გაკეთდა მისი თაბაშირის ასლი, გადავიღეთ ფოტოსურათები და დოქტორ ლუკარევსკის გავუგზავნეთ. მისი პასუხი იყო: აღმოჩენილი ნაკვალევი ნამდვილად ლეოპარდს ეკუთვნისო. ეს მოხდა 2003 წლის ნოემბერში. შემდეგ, იმ ადგილას, ფოტოხაფანგები დავამონტაჟეთ. ფოტოხაფანგი, ორი საპირისპირო მხრიდან მონტაჟდება, მათ შორის კი ინფრაწითელი სხივი გადის; როდესაც ცხოველი ან ადამიანი ამ სხივს კვეთს, ფოტოკამერა ავტომატურად იღებს სურათს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, რამდენიმე კადრი გადაღებული იყო. ფირზე ლეოპარდი იყო აღბეჭდილი. სიმართლე რომ გითხრათ, ეს ფოტოები აპრილში გადავიღეთ, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში, დუმილს ვამჯობინებდით.

— **რატომ?**

— ლეოპარდის გარდა, ჩვენმა ფოტოხაფანგმა ბრაკონიერის სურათიც გადაიღო. ბრაკონიერობის დონე საქართველოში ძალიან მაღალია, ამიტომ ჩვენ ჯერ უნდა მიგვეღო გარანტიები ხელისუფლებისგან, რომ ეს ტერიტორია დაცული იქნებოდა და ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ლეოპარდს საფრთხე არ დაემუქრებოდა.

— **ახლა ამ აღმოჩენის მნიშ-**

| ოთახის დგამი | ქალაქი სამხრეთ საქართველოში | ყვავილების გაზონებით გაშენებული ადგილი | ჯუჯა ტანის ადამიანი | ბოსტნეული | ვაზით გაშენებული ადგილი | ქალაქი ...-დე-ჟანეირო |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯადოქარი | მოწაფე სახლში შესრულებულ სამუშაოს უკეთებს წარწერას — საშინაო ... | ფოლაქი | ტომი ... ჯონსი | რუსეთის პრეზიდენტი | სტუმარი სტუმარს ეპატიჟებოდა, მასპინძელს ... ეჯავრებოდაო | ძროხების ჯოგი |

**ვნელობაზე გაგვიზიარეთ პროფესიონალთა აზრი.**

— სამეცნიერო თვალსაზრისით, ლეოპარდის არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად ბრაკონიერობისა, ჩვენს ქვეყანაში ველური ბუნების მდგომარეობა, საბედნიეროდ, ჯერ უიმედო არაა. პრაგმატული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ვარსკვლავური სახეობა, რომელსაც დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ტურიზმის განვითარებაში. რასაკვირველია, ერთი ლეოპარდის სანახავად ურიცხვი ტურისტი არ დაიძვრება საქართველოსკენ, მაგრამ თუ მოხდება ვაშლოვანის ნაკრძალის დაცვა და ლეოპარდის რამდენიმე ინდივიდი გაჩნდება, ეს საკმაოდ დიდ ინტერესს აღუძრავს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს.

— **საიდან შეიძლება მოსულიყო ეს ლეოპარდი საქართველოში?**

— უახლოესი პოპულაცია აზერბაიჯანში, თალიშის რეგიონში არსებობს. ლეოპარდის ეს სახეობა ბინადრობს ირანისა და სომხეთის საზღვარზე. მაგრამ რუკას რომ დავხედოთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ან ერთი, ან მეორე დასახელებული ადგილიდან საქართველოში მოსასვლელად ლეოპარდს მთელი აზერბაიჯანის ტერიტორია, უამრავი დასახლებული პუნქტი უნდა გამოევლო და სომხეთიდან შემოეღწია ჩვენში, რაც ამ ვერსიას აბსურდულს ხდის. თეორიული ვერსიის თანახმად, ეს სახეობა შეიძლება შემორჩენილიყო დიდი კავკასიონის ტერიტორიაზე და ერთ-ერთი ინდივიდი ახალი ტერიტორიების დასაპყრობად ჩამოვიდა.

— **დარწმუნებული ხართ, რომ ლეოპარდის მხოლოდ ერთი ინდივიდი ბინადრობს ვაშლოვანის ნაკრძალში?**

— სიმართლე რომ გითხრათ, ამავე ნაკრძალში, ძნელად გასარჩევ, უფრო მცირე ზომის ასეთსავე კვალს წავაწყდით. ამიტომ ჯერ გადაჭრით ვერ ვიტყვით, მდედრ ლეოპარდს ეკუთვნის ეს კვალი თუ ფოცხვერს.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ იშვიათი ჯიშის ცხოველებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ბრაკონიერები. თუ გაქვთ ინფორმაცია, ამჟამად რამდენად დაცულია ვაშლოვანის ტერიტორია?**

— სამწუხაროდ, გვაქვს შემაშფოთებელი ინფორმაცია — რომ გარკვეულ პირებს არალეგალური ნადირობის ბიზნესი აქვთ აწყობილი. ჩამოჰყავთ უცხოელები და აკრძალულ ტერიტორიებზე იშვიათი ჯიშის ცხოველებზე ანადირებენ. მაგალითად, ასეთ იშვიათ ჯიშს განეკუთვნება ჯიხვი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ კავკასიაშია. კავკასიური ჯიხვის სახეობას ენდემს უწოდებენ და მისი რქები უცხოეთში საკმაოდ ძვირად ფასობს. ვაშლოვანის ნაკრძალს რაც შეეხება, დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში, იქ ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა.

— **რა თვისებები ახასიათებს საქართველოს ძლევამოსილების სიმბოლოს — ლეოპარდს? აგრესიული ცხოველია?**

— ლეოპარდი ქარიზმატული ცხოველია და საკმაო სიფრთხილითაც გამოირჩევა. ლეოპარდის გამო ადამიანებმა ტყეში სეირნობა ნამდვილად არ უნდა შეწყვიტონ, რადგან ის გაცილებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე თუნდაც გიურზა ან დათვი. ამიტომ, ბუნებაში სეირნობის მოყვარულ ადამიანებს გარანტიას ვაძლევ, რომ თუ ლეოპარდს არ ესვრიან, კუდში არ გაჰყვებიან ან ხელს არ წაავლებენ, ის მათ თავს არ დაესხმება.

— **თვითონ ლეოპარდისთვის რომელი ცხოველი წარმოადგენს საშიშროებას?**

— საქართველოს პირობებში, არც ერთი. აფრიკაში კი, ეს არის ლომი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, განდევნის ლეოპარდს თავისი ტერიტორიიდან. ლეოპარდს ძალიან უყვარს ძაღლისებრთა ხორცი, ამიტომ თუ მგელი დაიმარტოხელა, შეიძლება „მიირთვას“, მაგრამ ორ მგელს ვერ მოერევა.

— **ლევან, თქვენ გიურზა ახსენეთ. ზაფხულის მოახლოებასთან ერთად თბილისში ხშირად საუბრობენ გველების მომრავლებაზე, როგორ ფიქრობთ — რითია ეს გამოწვეული?**

— საქართველოში გიურზა მართლაც, ძალზე ბევრია. მაგრამ ძირითადად უდაბნოში სახლობს. მას ისეთი ტერიტორიები უყვარს, სადაც ძალიან ცხელა, ამიტომ გეოგრაფიულად ადამიანები და გიურზები ერთმანეთისგან იზოლირებულები არიან. მართალია, იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც დასახლებულ პუნქტებში ნახეს (მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონში), დაკბენის ფაქტებიც ყოფილა, მაგრამ თბილისში გიურზების შემოსევის საშიშროება ნამდვილად არ არსებობს. აქ ნანახი გველები გველხოკერას ან ანკარას სახეობებს განეკუთვნებიან.

— **რომელი იშვიათი სახეობის ცხოველია საქართველოში გადაშენებული ან გადაშენების ზღვარს მიახლოებული?**

— გასული საუკუნის 80-იან წლებში, ჩვენში უკანასკნელი ქურციკი (ჯეირანი) მოკლეს. ეს იყო საქართველოს ველების მშვენება, რომელიც მთლიანად გადაშენდა. დიდი ხნის განმავლობაში გვეგონა, რომ საქართველოში აღარ არსებობს ზოლებიანი აფთარი. 5 წლის წინ, ერთ-ერთი ექსპედიციის დროს აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში ზოლებიანი აფთრის რამდენიმე ინდივიდი შემორჩა, თანაც — იმავე ვაშლოვანის ნაკრძალის ტერიტორიაზე.

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, გაგრძელდება მუშაობა ლეოპარდზე. ამჟამად კვლავ გვაქვს დამონტაჟებული ფოტოხაფანგები და 20 დღის შემდეგ, ახალ სურათებს მივიღებთ. უახლოეს მომავალში ვიწყებთ დათვის შესწავლის პროგრამას, ბორჯომის ეროვნული პარკისა და თრიალეთის ქედზე. გვინდა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს კვალიფიკაციის ამაღლებაში დავეხმაროთ და მის თანამშრომლებს ტრენინგები ჩავუტაროთ, რათა უფრო ქმედუნარიანი გახდეს ეს უწყება. შევიმუშავეთ ველური ფრინველების გადარჩენის პროგრამა, მაგალითად, ისეთების, როგორებიცაა: როჭო და შურთხი, რომლებიც მხოლოდ საქართველოშია.

■



გასული საუკუნის 80-იან წლებში, ჩვენში უკანასკნელი ქურციკი (ჯეირანი) მოკლეს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დიდ ტერიტორიაზე ...თიანებული მსხვილი ქალაქი | საგალობელი: „შენ ... ვენახი“ | ... მომეცი და სანეხვეზე დამაგდეო | ძველებური რუსული სიგრძის ერთეული | ავადმყოფის სიკვდილის წინა მდგომარეობა | შენობა ველოსიპედების სარბენი მოედნით |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ული ...ნის ...ასო | რა ერქვა ტომ სოიერის დეიდას? | გრძნობა, როცა ადამიანს არ აკმაყოფილებს მოპოვებული სიმდიდრე | სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ძალადობრივი აქტი | აზრი, ჭკუა | საგალობელი: „... მარია“ | ფრანგი მხატვარი ანრი-ტულუზ ... |



# რომელი ღვთისმსახურებები აღესრულება ტაძარში?

**ღვთისმსახურება წარმოადგენს განწესებულ რიგზე დაწყობილ ლოცვებს და საღვთო მოქმედებებს, რომელსაც აღასრულებს მღვდელი ან ეპისკოპოსი, ტაძარში ან მის გარეთ. არსებობს ღვთისმსახურების ორი სახე: საზოგადო და კერძო. საზოგადო ღვთისმსახურება სრულდება საზოგადოდ ყველა ქრისტიანისთვის: მაგალითად, ლიტურგია (წირვა); მწუხრი, ცისკარი და სხვა. კერძო ღვთისმსახურება კი, აღესრულება რომელიმე კერძო პირისთვის: პარაკლისი, პანაშვიდი, ნათლობა და სხვა.**

შორენა მერკვილაძე

საზოგადო ანუ საყოველთაო მსახურება აღესრულება ეკლესიაში, მისთვის დანიშნულ დროს, საეკლესიო წესდების მიხედვით. საზოგადო ღვთისმსახურებათაგან უმთავრესია **ლიტურგია**. „ლიტურგია“ ბერძნული სიტყვაა და „საყოველთაო მსახურებას“ ნიშნავს, მას ქართულად წირვასაც უწოდებენ, რაც სიტყვა „შეწირულიდან“ მომდინარეობს. ლიტურგია აღესრულება ყოველ კვირას და საეკლესიო დღესასწაულების დღეებში.

როგორც აღვნიშნეთ, ლიტურგია არის უმთავრესი ღვთისმსახურება, რადგან ლიტურგიაზე აღესრულება ზიარების საიდუმლო, რომელიც დააწესა მაცხოვარმა საიდუმლო სერობის დროს და მოციქულებს მცნებად დაუდო, რომ ყოველთვის აღესრულებინათ ეს საიდუმლო — მის მოსახსენებლად. უფლის მცნების თანახმად, მოციქულები ყოველთვის ასრულებდნენ ზიარების საიდუმლოს. ისინი ზიარების წესს თავდაპირველად, ზეპირად ავრცელებდნენ, შემდეგ კი ჩაწერა დაიწყეს. ამგვარად აღასრულებდნენ მოციქულები პირველ ლიტურგიებს, რომლებიც დროდადრო, ლოცვებითა და საგალობლებით მდიდრდებოდა. IV საუკუნეში კი, წმინდა იოანე ოქროპირმა შეადგინა ლიტურგიის ანუ წირვის წესი, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში დღემდე აღესრულება. არსებობს აგრეთვე ბასილი დიდის წირვა და გრიგოლ დიოლოგოსის პირველშეწირულის წირვა.

ლიტურგია სამი ნაწილისგან შედგება: პროსკომიდია (კვეთა); კათაკმეველთა ლიტურგია და მართალთა ლიტურგია.

**„პროსკომიდია“** ბერძნული სიტყვაა და „შეწირვას“ ნიშნავს. პროსკომიდიაზე შეიწირება უსისხლო მსხვერპლი — პური და ღვინო. პროსკომიდიაზე შესაწირად მზადდება 5 დიდი სეფისკვერი, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარმა 5 პურით დააპურა 5000-ზე მეტი ადამიანი. ერთ-ერთი სეფისკვერიდან, რომელზეც გამოსახულია ჯვარი წარწერით — „იესო ქრისტე — ძლევა“, მღვდელი ლახვრით ამოკვეთს ნაწილს და დადებს ფეშხუმზე. სეფისკვერის ნაკვეთი ნაწილი იწოდება „ტარიგად“, რადგან იგი გამოხატავს ღვთის ტარიგს, კრავს, რომელმაც კაცთა მოდგმის გამოსახსნელად, საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად (საღვთო კრავი, ტარიგი არის იესო ქრისტეს სახელი, რომელიც მას უწოდა იოანე ნათლისმცემელმა იმის აღსანიშნავად, რომ მაცხოვარმა საკუთარი სისხლით გამოიხსნა ცოდვით დაცემული კაცობრიობა მარადიული სიკვდილისგან); მღვდელმსახური „ტარიგს“ ფეშხუმიდან ბარძიმში გადაიტანს, შემდეგ, ბარძიმში ჩაასხამს წყალში გაზავებულ წითელ ღვინოს, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვრის განგმირული გვერდიდან გადმოვიდა სისხლი და წყალი, როდესაც ჯვარცმულ ქრისტეს ერთ-ერთმა მხედარმა გვერდში ლახვარი უგმირა; მეორე სეფისკვერიდან იკვეთება ნაწილი ღვთისმშობლის მოსახსენიებლად; მესამე სეფისკვერიდან იკვეთება ცხრა ნაწილი — წმინდანთა ცხრა დასის სახელზე; მეოთხიდან — ცოცხალთათვის; მეხუთე სეფისკვერიდან კი იკვეთება ერთი ნაწილი — გარდაცვალებულთათვის. ნაკვეთ ნაწილებს მღვდელმსახური ალაგებს ფეშხუმზე და უმატებს მრევლის მიერ შეწირული სეფისკვერის ნაწილებს. შემდეგ, ფეშხუმს დაადებს ვარსკვლავს და ბარძიმს და დაბურავს ცალ-ცალკე — მცირე დაფარნებით, ზემოდან კი დააფარებს დიდ დაფარნას, რომელიც „ჰაერად“ იწოდება. ამის შემდეგ, ღვთისმსახური აღავლენს ლოცვას, რომლის დროსაც შესთხოვს უფალს, რათა მიიღოს ეს ძღვენი — მოიხსენიოს ისინი, ვინც შესწირა იგი და ვისთვისაც შეწირულ არს; კვეთის დროს მოიხსენიება ქრისტეს შობა და ქრისტეს ჯვარცმა.

ლიტურგიის ანუ წირვის მეორე ნაწილი იწოდება **კათაკმეველთა ლიტურგიად**, რადგან ლიტურგიის ამ ნაწილზე დასწრების უფლება კათაკმეველთ — ე.ი. მოუნათლავ ადამიანებსაც აქვთ. კათაკმეველთა ლიტურგია იწყება „ასამაღლებლით“. მღვდელი წარმოთქვამს: „კურთხეულ არს მეუფება მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“... შემდეგ იკითხება შესაბამისი კვერექსები და ფსალმუნები და იგალობება სახარებისეული ცხრა ნეტარება (სწავლება ქრისტესი ცხრა ნეტარებაზე). ამ დროს იღება აღსავლის კარი, მღვდელი ტრა-

პეზიდან იღებს „სახარებას“ და აწვდის დიაკონს. შემდეგ მღვდელი და დიაკონი გამოდიან ჩრდილოეთის კარიდან; ამ გამოსვლას ეწოდება — „მცირე გამოსვლა“, რომელიც მორწმუნეებს იესო ქრისტეს ამქვეყნად საქადაგებლად მოსვლას შეახსენებს. დიაკონი „სახარებას“ კვლავ ტრაპეზზე დაასვენებს და მრევლს მიმართავს: „სიბრძნით მოხედენ“ — ამ სიტყვებით მორწმუნეებს მოუწოდებს, რომ ყურადღებით შეისმინონ ღვთის სიტყვა... ამის შემდეგ იგალობება „წმინდაო ღმერთო“ და იკითხება „სამოციქულოდან“ და „სახარებიდან“ გარკვეული მუხლები (პირველად იკითხება „სამოციქულოს“ წარდგომა — ე.ი. მუხლები „მოციქულთა საქმეებიდან“, რომლებიც წასაკითხი „სახარების“ შინაარსს შეესაბამება), ხდება ამბიონის კმევა, ნიშნად იმისა, რომ მოციქულთა ქადაგება სულიწმიდის მადლით იყო ნაკურთხი; შემდეგ წარმოითქმის სამი კვერექსი (გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული ლოცვების წყობა, რომელსაც წარმოთქვამს მღვდელი ან დიაკონი, ხოლო ლოცვის თითოეულ მუხლზე მგალობელთა გუნდი პასუხობს: „უფალო შეგვიწყალენ“ ან „მოგვმადლე უფალო“. კვერექსის სახეებია: მცირე; დიდი; თხოვნითი; მიცვალებულთა მოსახსენებელი და სხვა). ბოლოს, მღვდელი წარმოთქვამს: „რაოდენი კათაკმეველნი ხართ განვედი“. ე.ი. კათაკმეველ და დროებით ზიარებიდან განყენებულ ადამიანებს მოუწოდებს, რომ დატოვონ ტაძარი; კათაკმეველთა ლიტურგია გაგვახსენებს მაცხოვრის ამქვეყნად მოსვლას და მის ქადაგებას.

რაც შეეხება ლიტურგიის მესამე ნაწილს — **მართალთა ლიტურგიას,** ამ დროს ტაძარში იმყოფებიან მხოლოდ მართლმორწმუნე ქრისტიანები. მართალთა ლიტურგია რამდენიმე ნაწილისგან შედგება: დიდი გამოსვლა; მორწმუნეთა მომზადება წმინდა ძღვნის კურთხევისთვის; წმინდა ძღვნის კურთხევა და სხვა.

**დიდი გამოსვლა** — მართალთა ლიტურგიის ამ ნაწილის დასაწყისში წარმოითქმის ორი მცირე კვერექსი. შემდეგ მღვდელმსახურს წმინდა ძღვენი გადააქვს სამკვეთლოდან ტრაპეზზე. ამ დროს იხსნება სამეუფო კარი და მგალობლები გალობენ „ქერუბიმთა საგალობელს“, მღვდელი ბარძიმ-ფეშხუმით გამოდის ჩრდილოეთის კარიდან, დადგება ამბიონზე — აღსავლის კარის წინ და იხსენიებს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებს, სამღვდელოებას, სამონაზვნო და საერო პირებს — ცოცხალთ და გარდაცვლილთ. შემდეგ წმინდა ძღვენს კვლავ საკურთხეველში შეაბრძანებს და ტრაპეზზე დადებს. ამ დროს იხურება აღსავლის კარიც და კრეტსაბმელიც (ფარდა, რომელიც კიდია აღსავლის კარზე), ნიშნად იმისა, რომ უდიდესი საიდუმლოს ხილვის ღირსი, ღვთისმსახურთა გარდა, არავინაა. მგალობლები კი გალობენ „ქერუბიმთა საგალობლის“ მეორე ნაწილს.

მღვდელმოქმედებას, რომელიც მართალთა ლიტურგიის ამ ნაწილში ხდება, ეწოდება „დიდი გამოსვლა“ და გაგვახსენებს იესო ქრისტეს ნებსით მსვლელობას გოლგოთაზე — ტანჯვისა და ჯვარცმისათვის.

**მორწმუნეთა მომზადება წმინდა ძღვნის კურთხევისთვის** — ამ ნაწილში წარმოითქმის თხოვნითი კვერექსი, რომლის დროსაც დიაკონი წინამდებარე წმინდა ძღვნისთვის აღავლენს ლოცვას. ასამაღლებელზე — „კარნი, კარნი, სიბრძნით მოხედენ“ — იხსნება კრეტსაბმელი და აღსავლის კარი და იგალობება ან იკითხება სიმბოლო სარწმუნოებისა — „მრწამსი“. შემდეგ მღვდელი წარმოთქვამს: „ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით, მოხედენ წმიდასა ამას შესაწირავსა მშვიდობით შეწირვადსა“ — ე.ი. დავდგეთ კრძალვით და ყურადღებით, რათა სულიერი სიმშვიდით შევწიროთ წმინდა ძღვენი.

**წმინდა ძღვნის კურთხევა** — მართალთა ლიტურგიის ამ ნაწილში მღვდელი აღავლენს საიდუმლო ლოცვას, ბოლოს ხმამაღლა წარმოთქვამს: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა“ და „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა...“ ამის შემდეგ მღვდელი იხსენიებს ქრისტეს ჯვარცმას, აღდგომას, ზეცად ამაღლებას, ჯვარედინად შეერთებული ხელებით აამაღლებს ბარძიმ-ფეშხუმს და ამბობს: „შენნი, შენთაგან, შენდა შემწირველნი, ყოველთა და ყოველთვის“. ე.ი. პურს და ღვინოს, რომელიც ღვთისგან გვაქვს მოცემული, მასვე შევწირავთ ყოველივე მისი მოწყალებისთვის. მგალობელთა გუნდი გალობს: „შენ გიგალობთ...“ ამ დროს კი, მღვდელი ლოცვით შესთხოვს უფალს, რათა გარდამოავლინოს სულიწმიდა წინადაგებულ ძღვენზე და შეცვალოს პური ქრისტეს ხორცად, ხოლო ღვინო ქრისტეს სისხლად. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი წუთი ლიტურგიისა, ამიტომ ტაძარში მყოფნი განსაკუთრებით გულმხურვალედ უნდა ლოცულობდნენ... მართალთა ლიტურგიის ამ ნაწილის დასასრულს, მღვდელი საიდუმლოდ ლოცულობს მაზიარებელთათვის, იხსენიებს მათ, ვისთვისაც შეწირულია წმინდა მსხვერპლი — პატივად ყოველთა წმინდანთა და განსაკუთრებით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისთვის.

**მორწმუნეთა მომზადება საზიარებლად** — დასაწყისში წარმოითქმის თხოვნითი კვერექსი, რომლის შემდეგაც, იკითხება საუფლო ლოცვა — „მამაო ჩვენო“. შემდეგ მღვდელი აკურთხებს მრევლს. აღსავლის კარი და კრეტსაბმელი იხურება. დიაკონი წარმოთქვამს: „სიბრძნით მოხედენ“ — ე.ი. მორწმუნეებს ყურადღებისაკენ მოუწოდებს. ღვთისმსახური აღამაღლებს წმინდა ძღვენს და ამბობს — „წმიდა წმიდათა“ — ანუ სიწმინდეს ეზიარებიან ის ადამიანები, ვინც თავი ლოცვით, მარხვითა და სინანულით განიწმინდა.

**ზიარება** — ღვთისმსახური საკურთხეველში ეზიარება და წმინდა ძღვენს დიაკონს გადასცემს. შემდეგ იხსნება აღსავლის კარი, მღვდელი გამოაბრძანებს ბარძიმს და წარმოთქვამს: „შიშითა ღმრთისათა და სარწმუნოებით მოვედით“; ამ სიტყვებით, მორწმუნეებს მოუწოდებს ზიარების მისაღებად. მორწმუნენი გულზე გადაჯვარედინებული ხელებით მიდიან ბარძიმთან და ეზიარებიან. ზიარების შემდეგ, იღებენ მდუღარებას (წყალში გაზავებულ ღვინოს), რათა პირის ღრუში წმინდა ძღვენის მცირე ნაწილიც კი არ დარჩეს. ზიარება მოგვაგონებს უმნიშვნელოვანეს მოვლენას — საიდუმლო სერობას.

**მადლობის შეწირვა და განტევება** — მართალთა ლიტურგიის ამ ნაწილში ხდება მადლობის შეწირვა ზიარებისთვის. შემდეგ მღვდელი აკურთხებს მრევლს, რათა ტაძრიდან მშვიდობით წავიდნენ და წარმოთქვამს განტევების ლოცვას. ლიტურგია სრულდება ღვთისმსახურის ქადაგებით.

*P.S. რას ნიშნავს პირველშეწირულის წირვა? რა უნდა ვიცოდეთ საღამოს ლოცვასთან დაკავშირებით? ამ საკითხებთან დაკავშირებით „გზის“ მოდევნო ნომერში გესაუბრებით.*

■




**დროშა, გერბი და ჰიმნი ყველა სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტიკაა. საქართველოში, ბოლო დროს ბევრ რამესთან ერთად დროშაც შეიცვალა, რომელსაც თავიდან, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. დღეს თითქმის ყველა აღიარებს, რომ ის ერთ-ერთი ულამაზესია მთელ მსოფლიოში. ჰიმნიც, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ახალი გვაქვს. კომისიამ უკვე აირჩია რამდენიმე გერბს შორის საუკეთესო, თუმცა, როგორც ყოველთვის ყველაფერს, საქართველოში ამ გერბსაც გამოუჩნდა ბევრი მოწინააღმდეგე.**

# როგორ უნდა წავიკითხოთ სახელმწიფო გერბი?

## ანუ „სახელმწიფო აცხადებს: მე ვიბრუნებ ჩემს ლეგიტიმურობას...“

ნათია თენიეშვილი

*როგორ უნდა წავიკითხოთ გერბი? რა არის გამოსახული კომისიის მიერ არჩეულ გერბზე? და საერთოდ, რატომ უნდა შეცვლილიყო ძველი გერბი? ამ კითხვებზე პასუხს ახალი გერბის ავტორი, ჰერალდიკოსი* **მამუკა გონგაძე** *გაგვცემს.*

*„ჰერალდიკა“ გერმანული სიტყვაა და ნიშნავს ისტორიულ დისციპლინას, რომელიც შეისწავლის გერბებს. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰერალდიკა ბურჟუაზიულ მეცნიერებად და დისციპლინად ითვლებოდა და მისი არათუ შესწავლა, მასზე ლაპარაკიც კი იკრძალებოდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც 1980 წელს მოახერხა, გამოეცა წიგნი ქართული ჰერალდიკის შესახებ, პოლონური წარმოშობის გულაგებგამოვლილი მიხაილ ვადბოლსკი იყო. ორ დღეში, წიგნი КГБ-მ ამოიღო. ჩვენი უახლოესი წარსულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ: წარმოუდგენელია, რომ საქართველოს ჰყავდეს პროფესიონალი ჰერალდიკოსები.*

*40 წლის მამუკა გონგაძეს სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. სპეციალობით მხოლოდ ოთხი წელი იმუშავა. 1990 წლიდან კი, ჰერალდიკით დაინტერესდა და ინტენსიურადაც მუშაობდა ამ სფეროში. ჰყავს მეუღლე, მხატვარ-მოდელიერი თათია დოლიძე და ორი შვილი — 12 წლის ლუკა და 7 წლის ნიტა. ბატონი მამუკას შექმნილია ქართული პოლიციისა და სამხედრო ემბლემები, განმასხვავებული ნიშნები, სამხედრო დროშები და სხვა.*

— **ბატონო მამუკა, რატომ დაინტერესდით ჰერალდიკით?**

— ჩვენ ყველანი საბჭოთა პროდუქტები, საბჭოთა ბავშვები ვართ. 90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობა იწყება, ქვეყანა ილვიძებს და რაღაც ახალი ნაბიჯის გადადგმა სურს... სტუდენტობის დროსაც მაინტერესებდა ეს ყველაფერი, მაგრამ იმ პერიოდში ჰერალდიკისადმი ინტერესი საკმაოდ გამიმძაფრდა და დავიწყე მუშაობა ამ სფეროში.

— **რატომ უნდა შეცვლილიყო ძველი გერბი?**

— მე ზვიად გამსახურდიას დროსაც ვმუშაობდი გერბზე და პირადად შევხვედრივარ ამ საკითხებზე პირველ პრეზიდენტს. მასაც უნდოდა გერბისა და დროშის შეცვლა, მაგრამ არ დასცალდა... ის გერბი იყო მენშევიკების მთავრობის მიერ შექმნილი, წმინდა წყლის სოციალ-დემოკრატიული სულით განმსჭვალული. მისი შექმნის დროს არ გაითვალისწინეს ისეთი მეცნიერის აზრი, როგორიც იყო ივანე ჯავახიშვილი და სხვა ბევრი ქართველი მოღვაწე. პროექტად წარმოდგენილი იყო წმინდა გიორგი, მაგრამ არ მოეწონათ ნიმფი იმიტომ, რომ ანტირელიგიურები იყვნენ. ნიმფი მოხსნეს. მერე ის არ მოეწონათ, რომ გველეშაპს კლავდა — მოხსნეს და ბოლოს დარჩათ მხედარი, რომელიც რატომღაც უკან გადის...

— **იმ გერბზე მუშაობა, რომელიც ჟიურიმ აირჩია, როდის დაიწყეთ?**



— გერბზე ვმუშაობ იმ დღიდან, როცა შევხვდი პირველ პრეზიდენტს და თქვა, შესაცვლელიაო. ეს არის წლების მიერ დაგროვილი ინფორმაციისა და ცოდნის შედეგი. 1995 წლიდან, სახელმწიფო კომისიის წევრი ვიყავი. გერბის შეცვლაზე მუშაობა სულ მიმდინარეობდა, ოღონდ — ყოფილი პრეზიდენტის რიტმში... საერთოდ, სურათი იმ გერბისა, რომელიც ჟიურიმ აირჩია, 1995 წელს არის გაკეთებული. ამის შემდეგ კიდევ ბევრი ვარიანტი შევქმენი და რაღაცები შევცვალე. ჰერალდიკას ძალზე სპეციფიკური კანონები აქვს. გერბის შემქმნელი უნდა იყოს ცოტათი მხატვარი, ცოტათი სამართალმცოდნე, ამასთანავე უნდა იცოდეს ლეგიტიმურობის ხარისხი და ა.შ. ერთი თვის მანძილზე, ოთახში ვიყავი ჩაკეტილი და ვმუშაობდი. 80 კოლოფი სიგარეტი მოვწიე. თავიდან ბოლომდე დავიხარჯე. ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა.

— **თქვენ მიერ შექმნილ გერბს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ამბობენ, რომ მასზე მკვდარი ცხოველია გამოსახული. იქნებ აგვიხსნათ, რა სიმბოლოებია ამ გერბზე?**

— როცა ოქროს საწმისის სიმბოლოს მკვდარ ცხოველს დაარქმევ, გამო-

დის, რომ ჩაქაფულსა და მწვადებზე ფიქრობ. გერბის ერთ-ერთმა კრიტიკოსმა, მხატვარმა გია ბუღაძემ თქვა, რომ ეს სიმბოლო გაკეთებულია XIX საუკუნეში კონეს მიერ. ჰერალდიკა XII საუკუნიდან იწყება და XIII, XIV საუკუნეში უკვე აქსიომური ნიშნები ყალიბდება. ოქროს საწმისის ეს სიმბოლო ასეთი სახით შექმნილია XIV საუკუნეში ბურგუნდიის საჰერცოგოში. მას შემდეგ, ოქროს საწმისის სიმბოლო ასეთია. ხატზე დავიფიცებ და პასუხს ვაგებ ყველას წინაშე, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ყველაზე არაცივილიზებულშიც კი, თუ ადამიანმა ოდნავ მაინც იცის ჰერალდიკა, ამას ყველა წაიკითხავს და მიხვდება. ოქროს საწმისი ამ სახით დღეს, ახალი ზელანდიის გერბშია. იქ მოხვდა ინგლისიდან. ინგლისის გერბზე ფიქსირდებოდა ერთ დროს და სიუხვისა და სიმდიდრის მიმანიშნებელია. პრიორიტეტული ფიგურა ჩვენს გერბში არის წმინდა გიორგი. ეს ხდის გერბს მეტყველს — ეს ნიშნავს, რომ სიმბოლო თავისი სახელით მიანიშნებს ქვეყნის სახელს. მთა, რომელიც გერბში მეორე ფიგურაა, პირველად დაფიქსირებულია რუსეთის „ტიტულარნიკში“ 1672 წელს. ეს არის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება ქართულ ჰერალდიკაში. „ტიტულარნიკში“ მას აწერია Иверские земли. გვირგვინი ნიშნავს სახელმწიფო სუვერენიტეტს. ჩემს ერთ-ერთ ნამუშევარში, რომელიც წარდგენილი მქონდა კონკურსზე, გამოსახული იყო კვართი და წმინდა გიორგი. მე ის უფრო მომწონდა, უფრო ლაკონიური იყო. მაგრამ ის ასახავდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ქრისტეს შობის შემდეგ. ეს უფრო მრავლისმომცველი გერბია. აქ არის დაფიქსირებული ქრისტეს შობამდე არსებული იბერიისა და კოლხეთის ფუძე სახელმწიფოები, კულტურები. ეს ფიქსირდება გერბის მეორე და მესამე ნაწილებში. პრიორიტეტული ადგილი უკავია ქრისტეს კვართს და წმინდა გიორგის. მთლიანობაში ამ გერბზე ჩვენი სამიათასწლიანი ისტორია ფიქსირდება.

**— როგორც ვიცი, შენიშვნები იყო ფერებთან დაკავშირებითაც. ამბობენ, რომ მთა უნდა იყოს მწვანე ოქროსფერ ფონზე, ხოლო კვართი — ოქროსფერი, ვერცხლისფერ ფონზე. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— 1995 წელს შექმნილ გერბზე მე ოქროსფერ ფონზე მაქვს დასმული მწვანე მთა — ანუ ეს მე ვიცი და ეს ეტაპი ჩემთვის კარგა ხანია, გავლილია. ტრადიციული ფერთა განლაგება ბაგრატოვანთა სახელმწიფო გერბზე, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გერბს, იყო წითელი და ლურჯი. აქაც ეს ფერებია ძირითადად გამოყენებული. ეს არის პატივისცემა გერბისა და ისტორიისა. ოქროს ჯვარი, რომელიც ამ გერბის ცენტრშია, ფიქსირდება ქართულ გერბზე მანამდე, სანამ მოხდა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ გაფორმება. ძალიან ძნელია ტექნიკურად ოქროსფერთან ოქროსფრის დასმა. თანაც მწვანე, თავისი რანგირებით, ჰერალდიკურ რეესტრში უმდაბლესი ფერია. ამ შემთხვევაში, მთის გამოსახულება ავამაღლეთ ფერის რანგირების გათვალისწინებით. ოქროს საწმისი ყოველთვის, ევროპაშიც ფიქსირდება ლურჯზე, რადგან ის ზღვასთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, ვერცხლისფერი კვართი დადებულია ძოწისფერზე. ძოწი რანგირებით ყველაზე მაღალი მინანქარია. ის საიმპერატორო, სამეფო ფერია და თავმდაბლობის სიმბოლოს წარმოადგენს. თანაც ოქროსფერ ჯვარზე ვერცხლისფერი რომ დამედო და მერე ოქროსფერი, კვართი, სასაცილო იქნებოდა.

**— როგორც ვიცი, დიდი გერბის გარდა, კიდევ შექმნილია მცირე გერბი. იქნებ აგვიხსნათ, რისთვის არის ეს საჭირო?**

— არსებობს დიდი სახელმწიფო გერბი



და მცირე სახელმწიფო გერბი. ყველაფერს თავისი კანონიკა აქვს. დიდი გერბი გამოიყენება მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში, მათ ბეჭდებზე, ბარელიეფებსა და კაბინეტებში — ანუ ფერადი დიდი გერბის გამოყენების უფლება აქვს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავრობის თავმჯდომარეს — სხვას არავის. ყოველდღიურობაში კი, ხალხისთვის ყველაზე ახლობელი იქნება მცირე გერბი — ანუ წმინდა გიორგის გამოსახულება. ეს არის კანონიკა. თუ იტოვებ უფლებას, გამოიტანო მცირე გერბი, მაშინ აუცილებელია, დიდ გერბში დაფიქსირო პრიორიტეტული ფიგურა. ჩვენს გერბში პრიორიტეტული ფიგურა, წმინდა გიორგია.

**— გერბს აქვს მინაწერი „ძალა ერთობაშია“. ისიც თქვენი არჩეულია?**

— არა. გამოცხადებული იყო ცალკე კონკურსი. ჟიურის წევრები წყვეტდნენ ამ საკითხს. მათ სამი ვარიანტიდან — „ენა, მამული, სარწმუნოება“, „მამული, ენა, სარწმუნოება“ და „ძალა ერთობაშია“, — საბოლოოდ, უკანასკნელი აურჩევიათ. მე მაგალითად, ყველას მერჩივნა „მრავალჟამიერი“ — ეს სიტყვა მუდმივი სიცოცხლის ჰიმნია. ლომის ფიგურა აღებული მაქვს გიორგი XII-ის დროს არსებული გერბიდან. დაისვა კითხვა — რატომ მაინცდამაინც გიორგი XII-ის დროინდელი გვირგვინი და ლომიო? — იმიტომ, რომ ბოლოს, ლეგიტიმური სახელმწიფო საქართველო იყო. ეს სახელმწიფო წაგვართვეს, გვირგვინი მოგვპარეს, გერბიც წაგვართვეს და ახლა ვიბრუნებთ. სახელმწიფო აცხადებს: მე ვიბრუნებ ჩემს ლეგიტიმურობას და ისევ სახელმწიფო ვხდები! მაშინ უნდა გაგრძელდეს იქიდან, როდესაც დაკარგე ლეგიტიმურობა. მხოლოდ ეს არის ამ გერბზე გამოსახული. ისე კი, გერბი ცოცხალი ორგანიზმია, სუნთქავს. მთავარია, ის დავიბრუნოთ, მერე კი, როგორც ქვეყანა განვითარდება, იმ ასახვას პოვებს ეს გერბზეც. მე ძალიან მომწონს ჩვენი დროშა. ესთეტიკურად ხომ ძალიან ლამაზია, მაგრამ სიმბოლიკის თვალსაზრისითაც ძლიერია. მასზე პირდაპირ არის გამოსახული მაცხოვარი... თუ ეს გერბი დამტკიცდა, მსოფლიოში არ იარსებებს სახელმწიფო, რომელსაც ექნება ასეთი ძლიერი დატვირთვის დროშა და გერბი. ■

**24 წლის ქართველმა რეკორდსმენმა, რამდენიმე დღის წინ, ახალი რეკორდი დაამყარა. მან 5-კილოგრამიანი ორ-ბირთვებით შეუსვენებლივ, 2 საათის განმავლობაში, ორივე ხელის ბიცეფსის და დელტისებური კუნთების ვარჯიშში, სულ ცოტა, 8 ათასი მოძრაობა შეასრულა და ჯამურად 80 ათასი კილოგრამის აწევით, გინესის მეორე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სპორტული გატაცება და პოლიციელობა მისი ოჯახური ტრადიციაა. პროფესიით პოლიციელი რეკორდსმენი აცხადებს, რომ ეს მისი შესაძლებლობების ნახევარია.**

# შოთა ქელდიშვილი

## გინესის წიგნს უმიზნებს

*ირინა უტარაშვილი*

— **რატომ გადაწყვიტე ჰანტელებით რეკორდის დამყარება?**

— ბავშვობიდანვე მიყვარდა ვარჯიში. ყოველ დილით რამდენიმე საათის განმავლობაში ვვარჯიშობდი. 10 წლის ასაკში მშობლებმა ჭიდაობაზე შემიყვანეს, მაგრამ მიუხედავად დიდი მონდომებისა, სპორტის ამ სახეობაში დიდ წარმატებას ვერ მივაღწიე. ვარჯიშს თავი მაინც არ დავანებე და 1997 წლიდან ჰანტელებით ვარჯიში დავიწყე. ხოლო უკვე 2000 წელს შევნიშნე, რომ შეუჩერებლივ რამდენიმე საათი შემეძლო ჰანტელებით ვარჯიში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი ამ შესაძლებლობის სახალხოდ დემონსტრირება.

— **როგორც ვიცი, უკვე ორგზის რეკორდსმენი ხარ. ასეა?**

— დიახ. პირველი რეკორდი 2001 წელს, სამკილოგრამიანი ჰანტელებით სამი საათის განმავლობაში ბიცეფსის კუნთების ვარჯიშში დავამყარე. პირველ ცდაზე სპონსორობა ჩემმა ლექტორმა, ომარ გოგიაშვილმა გამიწია.

— **ამჯერად რამდენკილოგრამიანი ჰანტელებით დაამყარე რეკორდი?**

— ახლა ხუთკილოგრამიანი ჰანტელებით შეუსვენებლივ ორი საათი ვივარჯიშე. ორივე ხელის ბიცეფსისა და დელტისებური კუნთების ვარჯიშში ჯამურად 80 ათასი კილოგრამის აწევით 8 ათასი მოძრაობა შევასრულე. ამჟამად ტოტალიზატორმა ,,ინტერნეტ ბეთ პლუსმა" დამასპონსორა.




**არიან ჩემზე ღონიერებიც, მაგრამ მათ ამის გაკეთება არ შეუძლიათ**

— **დღეში რამდენი საათი ვარჯიშობ?**

— ვარჯიშის ჩემი სტილი შევიმუშავე. ყოველდღე, დაახლოებით ორი-სამი საათის განმავლობაში ვვარჯიშობ. ყოველ დილით ხუთ კილომეტრს დავრბივარ საშუალო ტემპით, შემდეგ 45 წთ — ჰანტელებით შეუჩერებლივ ვტვირთავ მკლავებს, ვაკეთებ მიზიდვებს. ასევე ვამუშავებ მაჯის, კისრის, მუცლის კუნთებს. მოკლედ, ყველანაირად ვიტვირთავ თავს.

— **როგორ იკვებები?**

— კვებით ჩვეულებრივად ვიკვებები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ბუნებრივი ჯობს. რაც შეიძლება მეტ ვიტამინს ვიღებ ენერგიისა და ძალის მოსამატებლად. სწორი კვება კი, ერთ-ერთი მთავარი პირობაა ფიზიკური გაძლიერებისთვის.

— **პირველად ხომ არ გაგიჭირდა რეკორდის დამყარება?**

— არა. მე საკმაოდ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას შევძლებდი და ახლაც მჯერა, რომ გავიმარჯვებ. ორი თვეა, რაც ხუთკილოგრამიანებით ვარჯიში დავიწყე და სახლშიც ბევრჯერ დავამყარე რეკორდი. პირველი რეკორდი დეკემბერში დავამყარე. ძალიან ციოდა, მე წელზევით შიშველი, ღია ცის ქვეშ სამი საათის განმავლობაში ვვარჯიშობდი. ხალხი იყინებოდა და ერთი სული ჰქონდათ, როდის დავამთავრებდი. კიდევ შემეძლო გაგრძელება, მაგრამ მივხვდი, რომ ცოტა ხანში მაყურებელი აღარ მეყოლებოდა და მეც გავჩერდი.

— **შოთა, ბავშვობიდანვე თუ გამოირჩეოდი სხვებისგან ღონიერებით?**

— არა, თანატოლებისგან განსაკუთრებული სიძლიერით არ გამოვირჩეოდი და არც ახლა გამოვირჩევი. არიან ჩემზე ღონიერებიც, მაგრამ მათ ამის გაკეთება არ შეუძლიათ. მამაჩემიც ხშირად ვარჯიშობდა ჰანტელებით და თავდაპირველად მეც სწორედ აქედან გამიჩნდა სურვილი, მევარჯიშა. ეს ხანგრძლივი ვარჯიში ჩემ მიერ არჩეულ პროფესიაშიც დამეხმარა: ყველა პოლიციელს სჭირდება ძალა.

— **შენ გარდა, ვინმეს თუ უცდია საქართველოში ჰანტელებით ვარჯიშით რეკორდის დამყარება?**

— ნამდვილად არ გამიგია. არც გინესის წიგნშია ცნობილი ასეთი პიროვნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში მე პირველი ვარ, ვინც სცადა შეუჩერებლივ რამდენიმე საათი ჰანტელებით ვარჯიში.

— **ე.ი. სულ მალე, გინესის რეკორდების წიგნის ერთ-ერთი „პერსონაჟი" გახდები?**

— ალბათ ასე იქნება. მეც დიდი სურვილი მაქვს. ყოველთვის დიდი გულშემატკივარი ვიყავი მათი, ვინც ამ წიგნშია შესული. ვფიქრობ, რომ ეს მარტო შენი სახელი კი არა, შენი ქვეყნის სახელია.

■

# ახლოვდება დრო, როდესაც სამყარო აღმოაჩენს პორტუგალიას

**დასრულდა ეროვნული ჩემპიონატები და ევროტურნირები და ამიერიდან საფეხბურთო სამყარო მთლიანად „ევრო-2004“-ზეა კონცენტრირებული. კონტინენტის მომავალ პირველობაში მონაწილე თითქმის ყველა ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა საჩემპიონატო შემადგენლობა. გამონაკლისი არც პორტუგალიის გუნდი ყოფილა, რომლის ბრაზილიელმა მთავარმა მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ტურნირზე მასპინძელთა ღირსებას დაიცავენ.**

**პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად „ბენფიკის“ თავდამსხმელი ნუნუ გომეში ითვლება, რომელიც ადრე „ბოავიშტასა“ და „ფიორენტინას“ შემადგენლობაშიც თამაშობდა. გომეში იმედოვნებს, რომ სამშობლოში მისი გუნდი წარმატებას მიაღწევს და გაჩემპიონებისთვის ბრძოლაში თავადაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. სწორედ ამის შესახებ ესაუბრება პორტუგალიელი ფორვარდი** uefa.com-ს.



— **ვინ გაიმარჯვებს „ევრო-2004“-ში?**

– ძალიან ძლიერი გუნდები ჰყავთ ფრანგებს და იტალიელებს, რომელთა შორისაც არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს. ცოტა ხნის წინ, ამხანაგურ მატჩში, იტალიის ნაკრებს შევხვდით, რომელმაც დახვეწილი გუნდური თამაში აჩვენა. ფრანგები ტექნიკურად არიან ძლიერი და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში განცდილი მარცხის შემდეგ, რეაბილიტაციას შეეცდებიან. გარდა ამ გუნდებისა, ფავორიტთა შორის პორტუგალიასაც მოვიხსენიებდი. ჩვენ ხომ შინ ვითამაშებთ და მაყურებელთა მხრიდან დიდი მხარდაჭერა გვექნება.

— **რომელი გუნდისგან უნდა ველოდოთ სიურპრიზს?**

– შეიძლება ხორვატიისგან. ფინალურ ტურნირში გასასვლელად მათ ურთულეს მატჩში დაამარცხეს სლოვენიელები. ხორვატები ლამაზ ფეხბურთს უჩვენებენ. ამ გუნდის შემადგენლობაში არაერთი კარგი მოთამაშეა, მაგალითად, ჩემი პარტნიორი „ბენფიკაში“, ტომისლავ შოკოტა. ეს მართლაც ჩინებულად ორგანიზებული, მდიდარი ისტორიის მქონე ნაკრებია.

— **ვინ იქცევა ტურნირის ვარსკვლავად?**

– ამის ყველაზე კარგი შანსი ლუიშ ფიგუს აქვს. პირველ რიგში, ის დიდი ფეხბურთელია, ამასთან, სახლში ითამაშებს, სადაც ისედაც ეროვნულ გმირად ითვლება.

— **უფრო ნაკლებად ცნობილ ფეხბურთელებს შორის ვინღა შეძლებს „ევრო-2004“-ზე სახელის მოხვეჭას?**

– ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატის ნამდვილ აღმოჩენად იქცევა კრიშტიანუ რონალდუ. იგი ბრწყინვალედ თამაშობდა „მანჩესტერ იუნაიტედში“, ახალგაზრდა, ნიჭიერი და ტექნიკურია. რონალდუს დიდი გამარჯვებები სწყურია, ხოლო ის, თუ როგორ ეპყრობა კრიშტიანუ ბურთს – უბრალოდ საოცრებაა! გარდა ამისა, იგი მოედანზე გატარებული ყოველი წუთით ტკბება.

— **ევროპის გასული ჩემპიონატიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?**

– რა თქმა უნდა, ფრანგთა კარში ჩემ მიერ გატანილი გოლი. ეს დიდებული მომენტი იყო. სამწუხაროდ, ფინალში გასვლა ვერ შევძელით.

— **როგორი შედეგი ჩაითვლება პორტუგალიის ნაკრებისთვის დადებითად?**

– ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება. მართლაც დიდი პატივი იქნება საკუთარი ქომაგების თვალწინ ტურნირის მოგება, რაც ყველა პორტუგალიელს გააბედნიერებდა, გუნდისა და თითოეული ფეხბურთელისთვის კი, უდიდეს მიღწევად ჩაითვლებოდა.

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, უმბერტო კოელიუც დარწმუნებულია, რომ გუნდს ჩინებული შესაძლებლობა ეძლევა ტურნირის მოსაგებად. „გუნდისა მჯერა და ვფიქრობ, მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რათა „ევრო-2004“ ტრიუმფით დაასრულოს, – ამბობს კოელიუ, – განსაკუთრებულად უნდა იაქტიუროს პუბლიკამ, რომელიც ცხადია, ჩვენს გუნდს უქომაგებს. ამხანაგურ მატჩებში უსახურად თამაშის მიუხედავად, პორტუგალიამ წარმატებულად უნდა იასპარეზოს ევროპის პირველობაზე“.

გუნდის შემადგენლობის გამოცხადებამდე მცირე პრობლემა შეექმნა პორტუგალიელ მცველს, რუი ჟორჟს, რომელსაც აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ადანაშაულებდნენ. ორიოდე დღის წინ, „სპორტინგის“ უკანახაზელს „ევრო-2004“-ში მონაწილეობის უფლება მისცეს.

პორტუგალიის ჩემპიონატის მორიგი მატჩის შემდეგ („სპორტინგი“ – „მორეირენშე“; 13 თებერვალი), ჟორჟმა დოპინგტესტი გაიარა, ხოლო 23 აპრილს ცნობილი გახდა, რომ მას ორგანიზმში „პულმიკორტის“ კვალი აღმოუჩინეს. ეს პრეპარატი ანტიალერგიული წამლების შემადგენლობაში შედის. განმეორებითი სინჯი 4 მაისს ჩატარდა, რომელმაც ასევე დადებითი შედეგი აჩვენა, რის შემდეგაც რუი ჟორჟს პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მისცა. მიუხედავად ამისა, სულ ცოტა ხნის წინ, ფეხბურთელი გაამართლეს, ხოლო მთელი პასუხისმგებლობა „სპორტინგის“ ექიმ ჟოზე გომეს პერეირას დააკისრეს. საქმე ის არის, რომ „პულმიკორტი“ პირობითად აკრძალულ პრეპარატებს მიეკუთვნება – ე.ი. მისი გამოყენება მაინც შეიძლება, ოღონდ შესაბამის ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. პერეირას კი ეს არ გაუკეთებია. „მოთამაშე არაფერში დამნაშავე არ არის,“ – ნათქვამია პორტუგალიის საფეხბურთო ლიგის ოფიციალურ განცხადებაში.

ფეხბურთელისთვის ბრალდების მოხსნამ განსაკუთრებულად გაახარა მასპინძელთა ნაკრების თავკაცი, ლუიშ ფელიპე სკოლარი. „დიდად მოხარული ვარ. ეს ვერდიქტი გუნდის დაკომპლექტებისას მნიშვნელოვნად დამეხმარება“, – დასძინა 2002 წლის მუნდიალის ტრიუმფატორმა, რომელმაც უკვე გამოაცხადა გუნდის შემადგენლობა:

მეკარეები: რიკარდუ („სპორტინგი“), კიმი („ბრაგა“), მორ-

ეირა („ბენფიკა“); მცველები: ჟორჟე ანდრადე („დეპორტივო“), ფერნანდუ კოუტუ („ლაციო“), რიკარდუ კარვალიუ („პორტუ“), მიგელი („ბენფიკა“), პაულუ ფერეირა („პორტუ“), ნუნუ ვალენტე („პორტუ); რუი ჟორჟი („სპორტინგი“); ბეტუ („სპორტინგი“); ნახევარმცველები: ტიაგუ („ბენფიკა“), პეტი („ბენფიკა“), კოშტინია („პორტუ“), დეკუ („პორტუ“), მანიშე („პორტუ“), რუი კოშტა („მილანი“), ლუიშ ფიგუ („რეალი“); თავდასხმა: პაულეტა (პსჟ), კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“), სიმაუ საბროსა („ბენფიკა“), ნუნუ გომეში („ბენფიკა“), ელდერ პოშტიგა („ტოტენჰემი“).

აქვე გაცნობებთ, რომ რუი ჟორჟი პორტუგალიის ნაკრებში ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლება და მას ეროვნული გუნდის მაისურით 41 მატჩი აქვს ჩატარებული.

„ევრო-2004“-ის ორგანიზატორები კი დიდი პასუხისმგებლობით ემზადებიან ტურნირის მასპინძლობისთვის. ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, ყოველი მატჩის წინ, გახსნის სამწუთიანი მინიცერემონია მოეწყობა. რაც შეეხება პირველობის გახსნით მატჩს, რომელშიც 12 ივნისს პორტუგალიისა და საბერძნეთის გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს (პორტო, სტადიონი „დრაგონი“), მის დაწყებამდე 15-წუთიანი საზეიმო ცერემონია მოეწყობა. ამგვარად, ტურნირის ორგანიზატორები და უეფას მესვეურები ჩემპიონატში მონაწილე 16 გუნდსა და პორტუგალიაში ჩასულ სტუმრებს მიესალმებიან. ხოლო წარმოდგენის გახსნისა და დახურვის წამყვანი, ანა დიასი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „მას შემდეგ, რაც პორტუგალიამ აღმოაჩინა სამყარო, დადგა იმის დროც, რომ სამყარომ აღმოაჩინოს პორტუგალია, როგორც „ევრო-2004“-ის მასპინძელი“.

გახსნის ცერემონიაზე ორიგინალური მუსიკის ფონზე დაგეგმილია კადრების ჩვენება ფეხბურთის ისტორიიდან. ხოლო ცხრა წუთის შემდეგ, წარმოდგენა კულმინაციას მიაღწევს, როდესაც 700 კაცი მოედანზე გავა და სიმბოლურად ოკეანეს გამოსახავს. ერთი სიტყვით, ორგანიზატორები ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა სტუმრებს საზეიმო განწყობილება შეუქმნან. თანაც, ზეიმი ტურნირამდე დაიწყება და მისი დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. ხოლო დახურვის ცერემონიაზე „ევრო-2004“-ის ოფიციალურ ჰიმნს პორტუგალიური წარმოშობის პოპულარული კანადელი მომღერალი ნელი ფურტადო შეასრულებს. მის კომპოზიციას Forca („წინ“) ეწოდება. „ამ სიმღერის პორტუგალიური ვერსია ჩემპიონატის დაწყებამდე, ივნისში გამოვა“, – ამბობს უეფას დირექტორი მარკეტინგის საკითხში, ალან რიდი. თავად მომღერალი Forca-ს სტადიონ „ლუჟზე“ ფინალური მატჩის დაწყებამდე იმღერებს. ■





## ერაყელებმა ბექჰემთა მეგობარი მოკლეს



დევიდ ბექჰემის ყოფილი მცველი, სამეფო ფლოტის წარმომადგენელი, 47 წლის ბრაიენ ტილეი ერაყში დახვრიტეს. ტილეი ბექჰემთა ოჯახმა 2002 წელს დაიქირავა, როდესაც დევიდს ახლობლის მოტაცებით ემუქრებოდნენ. შემდეგ კი, აღმოჩნდა, რომ ბრიტანული News of the World ამ ინფორმაციას თავისი რეიტინგის გაზრდის მიზნით უსაფუძვლოდ აქვეყნებდა. თუმცა, ინგლისელი ვარსკვლავის ოჯახმა უსაფრთხოების ზომები მიიღო – დევიდი, ვიქტორია და მათი შვილები სპეცშეკვეთით დამზადებული BMW-თი დადიოდნენ, რომელსაც ტყვიაგაუმტარი მინები და სალონში ჟანგბადის მარაგი ჰქონდა და იმ შემთხვევაშიც შეეძლო სვლის გაგრძელება, თუ მის ბორბლებს ცეცხლსასროლი იარაღით დააზიანებდნენ. გარდა ამისა, ბექჰემებმა რამდენიმე ახალი მცველიც აიყვანეს, რომელთა შორისაც 1997 წელს ინგლისის დედოფლის მიერ მამაცობისთვის სპეციალური მედლით დაჯილდოებული ტილეიც გახლდათ. როგორც ბრიტანული The Sun იუწყება, ბრაიენი ინგლისიდან წასვლის შემდეგაც ბექჰემთა მეგობრად ითვლებოდა. ერაყში იგი ერთ-ერთ ეგვიპტურ ფირმაში მუშაობდა და ბაღდადთან ახლოს ამბოხებულებმა მოკლეს. ■

## მაგატი „ბავარიაში“

**„შტუტგარტის“ მწვრთნელი, ფელიქს მაგატი მიუნხენის „ბაიერნს“ 2005 წლიდან ჩაუდგება სათავეში. ორიოდე დღის წინ, ამის შესახებ „ბავარიის“ პრესსამსახურმა განაცხადა. როგორც ცნობილია, ბუნდეს-ლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხის შემდეგ, ოტმარ ჰიტცეფელდი მიუნხენური გრანდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰიტცეფელდსაც და მაგატსაც თავ-თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები 2004 წლის ბოლოს ეწურებათ.** ■

## ეგვიპტე ფიფას გაუნაწყენდა

ეგვიპტის ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ალი ედ-დინ ჰილიალი ამტკიცებს, რომ მისმა ქვეყანამ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება იმიტომ ვერ მიიღო, რომ ფიფას აღმასკომის წევრებს ქრთამი არ მისცა. როგორც ეგვიპტური „ალ-აჰრამი“ იუწყება, ამგვარი განცხადება მინისტრმა ცოტა ხნის წინ, პარლამენტის კომისიის სხდომაზე გააკეთა, რომელიც ეგვიპტეში მუნდიალის გამართვაზე ფიფას მიერ უარის თქმის მიზეზებს იკვლევს. მსოფლიო ფეხბურთის ბოსთა გადაწყვეტილებას მინისტრმა უსამართლო უწოდა. მისი აზრით, ფიფას პოზიცია „ობიექტურ კრიტერიუმებზე არ იყო დაფუძნებული“. ჰილიალის თქმით, ეგვიპტემ უარი თქვა ფეხბურთის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის აღმასკომის წევრთათვის 67 მილიონი დოლარის გადახდაზე, რადგან ამ უკანასკნელთაგან არ ჰქონია მიცემული გარანტია 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვებაზე. იგივე „ალ-აჰრამი“ იუწყება, რომ ეგვიპტის პარლამენტის ქვედა პალატაში ალი ედ-დინ ჰილიალის გადადგომა მოითხოვეს. 2010 წლის მუნდიალის მასპინძელი კი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იქნება. ■

# საბერძნეთის ნაკრებში უთანხმოებამ იმძლავრა

ორიოდე დღის წინ, ბერძნული „აეკ“-ის ქომაგები კლუბის საწვრთნელ ბაზაზე შევარდნენ, რითიც მათ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი გუნდისადმი „მხარდაჭერა“ სურდათ. ეს გეგმა „აეკ“-ის ყოფილმა თავდამსხმელმა და ამჟამად მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელმა, დემის ნიკოლაიდასმა შეიმუშავა. ბაზაზე შესული გულშემატკივრები თავს დაესხნენ მოთამაშეებს, დაარბიეს „აეკ“-ის საოფისე შენობა და კლუბის წარმომადგენელთა რამდენიმე ავტომობილიც დააზიანეს. ბერძნული საინფორმაციო საშუალებები საუბრობენ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის შესახებაც. გუნდის გამთამაშებელმა, ვასილიოს ცარტასმა ნიკოლაიდასი არაეთიკურ ქცევაში დაადანაშაულა, ხოლო ამ უკანასკნელის გეგმას „შანტაჟი“ უწოდა. ცარტასს ნაკრების სხვა ფეხბურთელებმაც დაუჭირეს მხარი — მათ შორის, გუნდის კაპიტანმა თეოდორის ზაგორაკისმა, მიჰალის კაპსისმა, ვასილიოს ლაკისმა და კონსტანტინოს კაცურანისმა. „სამწუხაროდ, ჩვენ ყველა ერთად ვითამაშებთ ნაკრებში, რომელიც პორტუგალიაში იასპარეზებს, — ამბობს ცარტასი, — ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავიდე მოედანზე ნიკოლაიდასთან ერთად“. შექმნილ კონფლიქტში უკვე ჩაერივნენ მთავარი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, რომლებმაც ფეხბურთელებს სიმშვიდისკენ მოუწოდეს. ■

# ლაკერი „საპნის ოპერას“ ტოვებს

ინგლისში მეტისმეტად პოპულარული სერიალის, „საფეხბურთო ცოლების“ რეიტინგი შესაძლოა, უახლოეს მომავალში საგრძნობლად დაეცეს. საქმე ისაა, რომ „საპნის ოპერის“ ერთ-ერთი ვარსკვლავი ზოი ლაკერი, რომელიც ფილმში ავი ტანი ტერნერის როლს ასრულებს, გადასაღები მოედნის დატოვებას აპირებს. ზოის თქმით, მას არ მოსწონს, როდესაც საკუთარ თავს ხშირად ხედავს ტელეეკრანზე. გარდა ამისა, მსახიობს ეშინია, რომ უარყოფითი პერსონაჟის განსახიერება, მის იმიჯზეც ცუდად იმოქმედებს. „ვიცი, რომ ამ როლით



გამიცნო ხალხმა, მაგრამ დასვენების დროც დადგა, — ამბობს ლაკერი, — უფრო სერიოზულ როლებში მსურს ძალების მოსინჯვა. ვფიქრობ, ჩემი არტისტული ნიჭი მხოლოდ იაფფასიანი „საპნის ოპერებით“ არ შემოიფარგლება“. მსახიობის გადაწყვეტილება ნამდვილი შოკი აღმოჩნდა პროდიუსერებისათვის. ამჟამად ისინი დღე და ღამე მუშაობენ სცენარისტებთან ერთად და სერიალის სიუჟეტის შეცვლას აპირებენ. ■

# ვიტალის ტრუსი აუქციონზე გაიყიდა




ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოები რინგზე ყოველთვის დიდი სერიოზულობით გამოირჩევიან, მაგრამ ცხოვრებაში ისინი ძალიან მხიარული, ხელგაშლილი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. თუნდაც მხოლოდ ვიტალის ტრუსის ამბავი რად ღირს! მისთვის ამუნიციის აუქციონზე გატანა შეუთავაზებიათ, საიდანაც აღებული თანხა მესამე სამყაროს ქვეყნების ბავშვებისთვის უნდა გაგზავნილიყო. არჩევანი სწორედ ტრუსზე მიმდგარა, რომელიც კლიჩკო-უფროსის თქმით, ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია. თუმცა, როდესაც მას გაუგია, რომ ტრუსი არც მეტი, არც ნაკლები, 50 ათას დოლარად გაიყიდა, ძალიან გაკვირვებულა და უთქვამს — მყიდველმა ამუნიციასთან ერთად ჩემი ოფლი და მოწინააღმდეგის სისხლიც გაიყოლაო. ■

# ტაისონს ლიცენზია მისცეს

მაიკ ტაისონს მისურის შტატში პროფესიონალური ორთაბრძოლების გამართვის უფლება მისცეს. შტატის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თქმით, ტაისონმა ლიცენზია მიიღო, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე მატჩში მონაწილეობის თაობაზე არავითარი განცხადება არ გაუკეთებია. სკანდალური მოკრივის მენეჯერი, შელი ფინკელი კი იუწყება, რომ შეიძლება „რკინის მაიკი“ 31 ივლისს მისურის შტატის უდიდეს ქალაქ სენტ-ლუისში კევინ მაკბრაიდს შეხვდეს. თუ ტაისონი დათქმულ ვადაში მაკბრაიდთან მართლაც გამართავს ორთაბრძოლას სენტ-ლუისში, მაშინ მას მიღებული ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე ზრუნვა მოუწევს, რადგან აღნიშნულ შტატში ნებისმიერი საკრივო ლიცენზია, გაცემის თარიღის მიუხედავად, მხოლოდ 30 ივნისამდეა ძალაში. თუმცა, ერთხელ მიღებული უფლების ვადის გახანგრძლივება ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვას არ მოითხოვს. ასე რომ, ტაისონს მხოლოდ ოფიციალური გადასახადის, 40 დოლარის გადარიცხვა და განცხადების დაწერა მოუწევს. ■

# ფრჩხილების ნაცვლად, თითები მოიჭრა

აბა, რას მოიფიქრებდა ინგლისის საფეხბურთო მეორე დივიზიონში მოასპარეზე კლუბ „უაიკომბ უონდერერზის“ მეკარე, ფრანკ ტალია, რომ საკუთარ სახლთან სპეციალური აპარატით ბალახის კრეჭისას დაინვალიდდებოდა? 31 წლის ავსტრალიელი გოლკიპერი სველ ბალახზე მაშინ დაეცა, როდესაც გაზონის საკრეჭი მანქანით ჩვეულ მოძრაობას აკეთებდა. საუბედუროდ, მისი მარცხენა ფეხი მანქანის დანებში მოხვდა, რის გამოც ფეხბურთელს ორი თითი დაუზიანდა. მიუხედავად ამისა, ტალიამ საავადმყოფო მაინც სახუმარო განწყობით დატოვა: „ფეხის ფრჩხილების გაზონის საპარსი მანქანით დაჭრა მსურდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ხოლო თუ სიმართლე გსურთ, კიდევ კარგად გადავრჩი, რადგან შეიძლებოდა, საერთოდ ტერფის გარეშე დავრჩენილიყავი“. მოსალოდნელია, რომ ფრენკ ტალია, რომლის გუნდსაც „არსენალის“ ყოფილი მცველი ტონი ადამსი წვრთნის, უკვე ივლისში შეუდგეს ვარჯიშს. მანქანამ მას მხოლოდ თითის წვერები მოჰკვეთა, ამიტომ მეკარე კვლავაც შეძლებს მინდორზე სათამაშოდ გასვლას. ■



(დასაწყისი იხ. „გზა" №48-52,1-21)

# თავისუფალი თემა

## რუსუდან ბერიძე

თბილისის ომის დროს მხატვარ ირაკლი იაშვილისაგან ორსულად დარჩენილი გვანცა, მისი ძმის, ლაშას თანაშემწედ მუშაობს. მას ირაკლისგან შვილი — პატარა ლუკა ჰყავს. გვანცას მოულოდნელად გამოეცხადება აფხაზეთის ომში დაკარგული მისი ყოფილი თანაკლასელი და ფიქტიური ქმარი ლუკა ჩადუნელი, რომელიც აუწყებს, რომ თბილისში მამამისი, მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ჩამოდის. ლაშას მასთან სარფიანი ხელშეკრულების გაფორმების იმედი აქვს, მაგრამ ეს საქმე ჯერ ლუკას გატაცების, შემდეგ კი, ლაშას დაჭრის გამო, ჩაიშლება. სარეანიმაციო განყოფილებაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო. ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა...

საავადმყოფოში ლაშას სანახავად მისულ გვანცას, პალატაში უცნობი დახვდება, რომელსაც ხელზე ლუკას საათი უკეთია. გვანცა ამ ამბავს მაშინვე გიორგის შეატყობინებს, რომელიც უცნობთან დალაპარაკებას გადაწყვეტს, მაგრამ ის ლაშასთან აღარ მოვა. მოგვიანებით, ამ საათს ვიღაც სამსახურში გაუგზავნის გვანცას...

გიორგი ჩადუნელი საბოლოოდ რწმუნდება, რომ კანონიერი ქურდების ჩარევის გარეშე შვილს ტყვეობიდან ვერ გამოიხსნის და მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტს. ის გვანცას და პატარა ლუკასაც წაიყვანს თან. მოსკოვში ჩასული გვანცა სრულიად მოულოდნელად, წლობით უნახავ მამას გადაეყრება... მიშა ჩოხელი იქ პურის მცხობლად მუშაობს. მოგვიანებით მიშა მას დედასაც შეახვედრებს, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის კრიზისი გამოვლილი აქვს...

ანას გამოჯანმრთელებას მიშა რესტორან „ლილეში" აღნიშნავს და, ცხადია, გიორგისა და მის ცოლს, ლიდიასაც დაპატიჟებს. შუა ქეიფში გიორგის, ლუკას გამტაცებლების მოსკოველი თანამზრახველები დაურეკავენ და ეტყვიან — შვილი ვაგანკოვის სასაფლაოზე დაგხვდებაო. გიორგი შვილს სასაფლაოზე მართლა იპოვის და შინ მშვიდობით დააბრუნებს.

შვილის გადარჩენით აღტაცებული გიორგი, ლუკასა და გვანცას სასწრაფო შეუღლებასაც გადაწყვეტს, რაზეც ლუკასგან ცივ უარს მიიღებს: გონს მოსვლა მაცალეო. მაგრამ როგორც კი ლუკა გვანცასთან მარტო დარჩება, ისიც შესთავაზებს — რაც შეიძლება მალე ვიქორწინოთო...

— რა თქვი? — გაოგნდა ლუკა.

— რაც გაიგონე, — მშვიდად უპასუხა გვანცამ. — როგორც კი ფეხზე დადგები, მაშინვე ვიქორწინოთ-მეთქი.

— მერე ირაკლი? — ჯიქურ ჰკითხა ლუკამ და თან, თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

— ირაკლი აღარ არსებობს... — ისევ მშვიდად უპასუხა გვანცამ.

— როგორ თუ აღარ არსებობს?! მოკვდა? — ხმაში ბოლმა გაურია ლუკამ.

— ჩემთვის — კი.

— საერთოდ?

— არ გეჩვენება, რომ ირაკლიზე ლაპარაკი ამჯერად სრულიად უადგილოდ წამოიწყე?!. — გაღიზიანდა გვანცა.

— შენ კი, არ გეჩვენება, რომ ჩვენს დაქორწინებაზე ლაპარაკი დღეს არანაკლებ უადგილოა?!. — კითხვაზე კითხვით უპასუხა ლუკამ. — გგონია, ვერ ვხვდები, შენს თავს რაც ხდება?!

— მაინც რა? — გაგულისდა გვანცა.

— რა და ან მამაჩემივით ემოციებს ხარ აყოლილი, ან უბრალოდ, გეცოდები...

— შენ კი არა, საკუთარი თავი მეცოდება... — ხმა გაებზარა გვანცას და ფეხზე წამოდგა: — კარგი, ჩავთვალოთ, რომ ჩვენ შორის ეს ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა...

საღამოს გვანცამ საკუთარი და პატარა ლუკას ნივთები მოაგროვა და შეშფოთებული ლიდიას თხოვნის მიუხედავად — გიორგის მოსვლას მაინც დაელოდეო, — ჩადუნელების ბინის კარი გაიხურა. თუმცა, ლიფტთან მისვლაც ვერ მოასწრო, რომ კარი ისევ ხმაურით გაიღო. ხმაურზე გვანცამ ინსტინქტურად მოიხედა და ზღურბლზე მდგარი, მიტკალივით გაფითრებული ლუკა დაინახა.

— ეი, ვაჟკაც! — ხელი ძლივსღა დაუქნია მან პატარა ლუკას, — სად მიიპარები?.. დამემშვიდობე მაინც!

უცბად ბავშვი ხელიდან გაუსხლტა გვანცას და ლუკასკენ ფეთიანივით გაექანა.

— მოიცა! — უკივლა გვანცამ შვილს და სანამ ეს უკანასკნელი ლუკას შეაფრინდებოდა, ერთი ფეხით გადაუსწრო, მთვრალივით მოქანავე მამაკაცს მხარში შეუდგა და მერეღა დაუმატა: — რას აკეთებ? გაგიჟდი?!.

— ჰო, გავგიჟდი. საბოლოოდ გავგიჟდი... — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ლუკამ და დედა-შვილს აკანკალებული ხელები შემოხვია...

ლუკას დაჟინებული თხოვნით, გიორგიმ გადაწყვიტა, ახალგაზრდების ქორწილი საკმაოდ ვიწრო წრეში გადაეხადა და საამისოდ უკვე კარგად ნაცადი რესტორანი „ლილე" შეარჩია. ამით გახარებული ლევანი და ლია, ჩადუნელებისა და ჩოხელების საერთო სამზადისში სასწრაფოდ ჩაებნენ და რჩევა-დარიგებების კორიანტელიც დააყენეს.

ლუკა და გვანცა ამ ყველაფერში პრაქტიკულად, არ მონაწილეობდნენ. მეტიც —

ორივე ისეთი განყენებული სახით აკვირდებოდა ყველაფერს, თითქოს მათ საერთოდ არაფერი ეხებოდათ. ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე გვანცა შვილთან ერთად ჩადუნელების ბინიდან მშობლებთან, მიშას მიერ საგანგებოდ ანასთვის ნაქირავებ ბინაში გადაბარგდა.

— სწორადაც მოიქცა! — ამშვიდებდა გვანცას და განსაკუთრებით, ბავშვის წასვლით საქციელწამხდარ ლუკას გიორგი. — ბოლოს და ბოლოს, მაგასაც, ყველა ქალივით, მშობლების სახლიდან უნდა ,,აფრენა‘‘! ნუ ჩამოგტირის ცხვირ-პირი! მერე სულ შენთან არ იქნება?!

— ან იქნება და ან — არა... — უცბად ბოღმიანად ჩაიბურტყუნა ლუკამ.

— რა-ა?.. — შეცბა გიორგი, — მაგით რისი თქმა გინდა?

— არა, არაფრის... — უცბადვე გამოერკვა ლუკა. — უბრალოდ... ეტყობა, ნერვები მღალატობს...

— ეგ არცაა გასაკვირი, — დაამშვიდა გიორგიმ, — მაგრამ გული მეუბნება, რომ ყველა შენი უბედურება საბოლოოდ წარსულს ჩაჰბარდა. აი, ნახავ, თუ არა!..

მალე გვანცას და ლუკას საქორწინო ტანსაცმელიც გამზადდა და ქორწილის წინა საღამოს მიშამ შვილს კაბა შინ მიუტანა. მიშას კარი ანამ გაუღო და მაშინვე გულში ჩაეკრა.

— ფრთხილად, გვანცას კაბა არ დაუჭმუჭნო! — სპეციალურ სარჩულში გახვეული კაბა შემოსასვლელში მდგარ სკამზე ფრთხილად გადაფინა მიშამ და შემდეგ ცოლს თავადაც მიუალერსა.

მშობლების ალერსს გვანცა ოთახიდან ადევნებდა თვალს და თან, გული ტკივილითა და თანაგრძნობით ევსებოდა. უცბად მიშამ გვანცას მზერა დაიჭირა და ცოლს ხელი ცივად უშვა:

— ანა, ბავშვი გვიყურებს...

ანა შვილისკენ ნელ-ნელა შებრუნდა და სევდიანად გაუღიმა. გვანცა კი მაშინვე მამას გამოეგება:

— უკვე მოხვედი?

— მოვედი და კაბაც მოგიტანე! — უპასუხა კმაყოფილმა მიშამ.

— ლამაზია? — დაინტერესდა ანა.

— ალბათ... ჯერ არ მინახავს...

— არ მესმის, რამ მოგათმენინა, — მაშინვე კაბას დასწვდა ანა, მაგრამ მიშამ შეაჩერა:

— ლიდიამ და ლიამ დამაბარეს, ხვალამდე არ გახსნათ, ასეთი წესიაო...

— ნეტავ, ერთი მაგათ! რას არ მოიგონებენ?!. — მხრები უკმაყოფილოდ აიჩეჩა ანამ. შემდეგ კაბა საძინებელ ოთახში შეიტანა და საწოლზე ფაქიზად გადაფინა.

— თუ ძალიან გინდა, ნახე! — უთხრა საძინებლიდან გამოსულ დედას გვანცამ.

— არა, შვილო, რას ამბობ? — იუარა ანამ. — ბავშვი ხომ არა ვარ, ხვალამდე ვერ მოვითმინო!

— მე ვარ ბავშვი, მე! მე მაჩვენეთ! — შემოვარდა ოთახში პატარა ლუკა.

მიშამ შვილიშვილი მაშინვე ხელში აიტაცა და ჰაერში რამდენჯერმე დაატრიალა:

— აბა, კაბა რა ვაჟკაცის საქმეა?! შენ პაპამ უკეთესი საჩუქარი მოგიტანა.

— რა? — ცნობისმოყვარე თვალები შეანათა მას ლუკამ.

— პაპამ კი არა, ბაბუამ! რამდენჯერ უნდა გითხრა? — შეუსწორა ქმარს ანამ.

— იცი, რა? — მიუბრუნდა მას მიშა. — მოდი, ბაბუა, გიორგი იყოს, მე კი, პაპობა დამანებეთ.

— რომის პაპობა? — ეშმაკურად გაკენწლა გვანცამ.

— რომს იოანე მიხედავს, მე კი ლუკას პაპობაც მეყოფა! — ბავშვი კიდევ ერთხელ შეათამაშა მიშამ, შემდეგ დასვა, ჯიბიდან მოზრდილი შოკოლადის ფილა ამოიღო და თან, გვანცას გადაულაპარაკა:

— ლიამ შემოგითვალა — აუცილებლად დამირეკოსო.

— მოხდა რამე?

— მაგასთან სულ რაღაც ხდება. მგონი, ამჯერად, რაღაც სიურპრიზი აქვს შენთვის გამზადებული...

— მართლა? — მაშინვე ტელეფონს ეცა გვანცა. — საინტერესოა, ამჯერად რით გამახარებს?

ზარი სწრაფად გავიდა და ლიამაც ყურმილი დაბარებულივით აიღო.

— როგორ გიკითხო, საყვარელო? — გვანცას ხმის გაგონებისთანავე დაიშაქრა იგი.

— არა მიშავს. თქვენ როგორ ბრძანდებით? — დაინტერესდა გვანცა.

— ბრძანებამდე ცოტა მიკლია!.. შენ ის მითხარი, თავად რას შვრები? ხომ არ ნერვიულობ?

— ცოტა...

— ცოტა არა უშავს!.. მართალია, უკვე ,,სტაჟიანი‘‘ პატარძალი ხარ, მაგრამ ცოტა მაინც უნდა ინერვიულო, აბა, რა?!. — მრავალმნიშვნელოვნად დამოძღვრა ლიამ გვანცა.

— მამამ მითხრა, ქალბატონ ლიას შენთან რაღაც საქმე აქვსო... — სასწრაფოდ საქმეზე გადავიდა გვანცა.

— საქმე?.. — დაიბნა ლია. — რა საქმე? — ა-ა, გამახსენდა! — დაუმატა მან შემდეგ. — საქმე კი არა, სიურპრიზი, საყვარელო.

— მაინც, რა სიურპრიზი?

— ო-ო, აი, ამას კი, ხვალ გაიგებ! ხვალამდე ხომ შეგიძლია მოთმენა? — ეშმაკურად ჩაეკითხა ლია გვანცას.

— რა თქმა უნდა! — არაფერი შეიმჩნია გვანცამ. — გული მიგრძნობს, ხვალ ბევრი სხვა სიურპრიზიც მელოდება!..

— რაო, რა სიურპრიზები ამიტყდაო? — ჰკითხა გვანცას ანამ.

— არ მითხრა, — უპასუხა შეფიქრიანებულმა გვანცამ. — ხვალამდე მოითმინეო.

— ეგ ქალი ცოტა ვერ არის! — საჩვენებელი თითი საფეთქელთან რამდენჯერმე დაიტრიალა მიშამ. — დღეს საცხობში სამჯერ შემომივარდა, გვანცას ჩემთან დარეკვა არ დაავიწყდეს და ახლა — ხვალ გეტყვიო?.. მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ, მე ნამდვილად მოგიმზადე სიურპრიზი, — დასძინა მან შემდეგ, ჯიბიდან რამდენიმე ასდოლარიანი ამოიღო და გვანცას გაუწოდა.

— ეს რა არის? — ფულს გაოცებით დახედა გვანცამ.

— ჩემი საქორწინო საჩუქარი, — უპასუხა მიშამ და შვილს ფული ხელში თითქმის ძალით ჩაუკუჭა. — უარი არ მითხრა, ვიცი, ბევრი არ არის, მაგრამ ჩემსა და ანას სახელზე რამე პატარა სახსოვარი მაინც მოგივა.

გვანცამ უარის ნიშნად ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ მიშამ არ დაანება:

— იცოდე, ძალიან მაწყენინებ! ჰო, მართლა... — დასძინა მან შემდეგ. — ხვალ დილით ლუკას ლიდიას წავუყვან. თავად დამაბარა, ბავშვი მე მომიყვანე, რომ გვანცას მომზადებაში ხელი არ შეუშალოსო... თანაც, მგონი, მაგისთვისაც რაღაც საგანგებო ,,შმოტკები‘‘ უყიდიათ და უნდა მოვაზომოო... მოკლედ, იბრძვის, რა, ქალი!

— ლია და ლიდია კი იბრძვიან, მაგრამ ჩვენ რატომღაც დილიდანვე ცხვირ-პირი ჩამოგვტირის... — გვანცაზე თვალით ანიშნა ანამ ქმარს.

— ზედმეტად ხომ არ ვნერვიულობთ? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა მიშამ.

— ალბათ... — ამოიოხრა ანამ და სუფრის გაშლა დაიწყო. — ნერვიულობის ყველაზე კარგი წამალი კი, გემრიელი სადილია. ასე რომ, სუფრას შემოუსხედით და დამელოდეთ. ერთი პატარა სიურპრიზი დღეს მეც მოგიმზადეთ!

სამზარეულოში გასული ანა მალევე უკან შემობრუნდა და მაგიდაზე რამდენიმე თეფში დადგა:

— ეს შემწვარი ქათამი!.. ეს — ბაჟე!.. ესეც ცხელ-ცხელი ხაჭაპურები!.. აბა, რა გეგონათ? ყველაფერი კი არ დამვიწყნია!..

ვახშმის შემდეგ, პატარა ლუკამ მალევე დაიძინა. ცოტა ხანში მას მიშაც მიჰყვა, ანა და გვანცა კი სამზარეულოში გავიდნენ და ჭურჭლის რეცხვა და მილაგება დაიწყეს.

— იქნებ, შენც დაწოლილიყავი?.. — ურჩია ანამ შვილს. — ხომ იცი, ხვალ განსაკუთრებით ლამაზად უნდა გამოიყურებოდე!

— ნეტავ, ვის ვეპრანჭები?!

— როგორ თუ ვის? დედამთილ-მამამთილს, მათ სტუმრებს...

– Обойдутся! – რატომღაც რუსულად ჩაიბურტყუნა გვანცამ და უკვე მერამდენედ გამშრალებულ თეფშს ტილო ხელახლა გადაუსვა.

– უკვე კარგა ხნის მშრალია! – თეფში თითქმის ძალით გამოართვა ანამ შვილს. – წადი ახლავე და დაწექი!

– აზრი არა აქვს, – ამოიოხრა გვანცამ, – მაინც არ დამეძინება.

– არა უშავს, ცოტა კიდევ მოითმინე და ხვალიდან, ყოველღამე ბედნიერად დაგეძინება!

– ვინ გითხრა, რომ ის, რაც ხვალ მოხდება, ჩემთვის ბედნიერებაა?.. – ხმა აუკანკალდა უცბად გვანცას.

– გვანცა, შვილო, რა მოგდის? – საქმეს მაშინვე შეეშვა და თავდახრილ შვილს გვერდით მიუჯდა ანა. – აბა, თავი ასწიე და ყველაფერი გულახდილად მიამბე!

მაგრამ გვანცამ თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა. ანამ შვილს ტირილით გულის მოჯერება აცალა. ბოლოს გვანცამ ცრემლიანი თვალები ბავშვივით, ხელისგულებით მოიწმინდა, ანას ორივე ხელი ისე დაუჭირა, თითქოს ეს უკანასკნელი სადმე გაქცევას აპირებდა და ლუკასთან ურთიერთობის ყველა წვრილმანი პირწმინდად გადმოულაგა...

სამზარეულოში ცოტა ხნით დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა, რომელსაც მხოლოდ მოშლილი ონკანიდან წყლის წვეთის დაცემის ხმა არღვევდა.

– იცი, რას გეტყვი, შვილო? – დაიწყო შემდეგ ანამ.

– რას? – ტირილით დაწითლებული თვალები შეანათა მას გვანცამ.

– ეს ქორწილი არ უნდა შედგეს!

– გაგიჟდი?! – პირზე მომდგარი პირველივე სიტყვა დაუფიქრებლად წამოისროლა გვანცამ.

– მე კი არა, შენ გაგიჟდი! – ხმა გაიმკაცრა ანამ. – სხვა კაცი გიყვარს და ცოლად სხვას მიჰყვები?..

– მე აღარავინ მიყვარს, აღარავინ! – გაკაპასდა გვანცა.

– მაშინ რისთვისღა თხოვდები?

– ჩემი შვილისთვის!.. მინდა, ის მაინც იყოს ბედნიერი...

– უბედური დედის შვილი ბედნიერი ვერ იქნება! – არ შეეპუა შვილს ანა. – ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ არის საჭირო: შენი ბავშვობა გაიხსენე!

– ჩემი ბავშვობის გახსენებას სიკვდილი მირჩევნია!

– მერე?.. გინდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ, შენმა შვილმაც იგივე თქვას?

– ჩემი შვილი ამას არ იტყვის!

– ვითომ, რატომაო?

– იმიტომ, რომ ჩემგან განსხვავებით, დედაც გვერდით ეყოლება და მამაც...

– საინტერესოა, მაინც რომელი მამა?

– დედა, ნუ მტანჯავ! – ხმას აუწია გვანცამ. – ხომ იცი, რომ ჩემს შვილს ლუკა თავისი ნამდვილი მამა ჰგონია და ბოლომდე ასე ეგონება!

– არ დაიჯერო! ადრე თუ გვიან, შენი შვილი სიმართლეს მაინც გაიგებს და მერე ნახე შენი გაჭირვება!..

– აბა, რა ვქნა, რა? – ისევ ასლუკუნდა გვანცა. – ვილას ვკითხო რჩევა?

– მხოლოდ საკუთარ გულს! – მტკიცედ მიუგო ანამ. – როგორც გული გიკარნახებს, ისე მოიქეცი!

– არა! – უცბად წელში საგანგებოდ გასწორდა გვანცა. – რამდენჯერაც გულის კარნახით რამე გავაკეთე, იმდენჯერ უფსკრულში გადავიჩეხე! ამიტომ ახლა მხოლოდ ცივი გონებით ვიმოქმედებ! ახლა ჩემთვისაც და ჩემი შვილისთვისაც სწორედ ეს აჯობებს! თანაც...

– გვანცა, შვილო, დამიჯერე... – გააწყვეტინა ანამ. – პირველ რიგში, სწორედ შენს შვილს არ უნდა გაუკეთო ეს: ის ხომ სიყვარულის ნაყოფია და სიყვარულშივე უნდა გაიზარდოს! შენ და ლუკას კი, მგონი, ყველაფერი გაკავშირებთ – სიყვარულის გარდა! ერთმანეთის მიმართ ამ გრძნობას ვერც პატარა ლუკა გაგიჩენს! მეტიც: ადრე თუ გვიან, სწორედ ის აღმოჩნდება თქვენი განხეთქილების მთავარი მიზეზი. იმიტომ, რომ ლუკასნაირი კაცები ქალებს ბოლომდე არაფერს აპატიებენ, მით უმეტეს – უარყოფილ სიყვარულს!

– არც შვილები აპატიებენ დედებს დაკარგულ ბავშვობას! – ბოღმიანად ჩაილაპარაკა გვანცამ.

– გვანცა, შვილო, არ გინდა!.. – გულზე ხელი იტაცა ანამ. – იმ ამბავს ნუღარ გამახსენებ!

– სწორედაც რომ გაგახსენებ! – მაინც განაგრძო გვანცამ. – შენმა ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა მთელი ჩემი ბავშვობა გადახაზა და დღესაც არ მაძლევს საშველს! რა გინდოდა?.. სად გარბოდი?.. პირველად იყო მამაჩემი მიტინგზე და უშენოდ შინისკენ გზას ველარ გამოიკვლევდა თუ რა?!. იცი, რამდენჯერ გამაგონეს მეზობლებმა: დედაშენმა ორივე შვილი ქმარს გადაგაყოლათო?!.

– იმ ღამეს მამაშენი საერთოდ არ მინახავს... – ძლივსღა წაიჩურჩულა შვილის სისასტიკით გაოგნებულმა ანამ.

– მთელი უბედურებაც ეგ არის... – ისევ დაიწყო გვანცამ, მაგრამ ანამ გააწყვეტინა:

– სამაგიეროდ, იცი, რომ შენ და მიშიკო გნახეთ?..

– რა თქვი? – გული გადაუქანდა გვანცას და დედა შიშით შეათვალიერა. – 9 აპრილის ღამეს მე და მიშიკოს შინიდან ფეხიც არსად გაგვიდგამს და სად უნდა გენახეთ?.. დედა, გეხვეწები, ნუ მაშინებ!..

– გგონია, ისევ ავურიე, ხომ? – სევდიანად გაეღიმა ანას.

– არ-რა, მ-მაგრამ... – ნერვიულობისგან ენა დაება გვანცას და ანას ისევ ხელები დაუჭირა. – დედიკო, გეხვეწები, აღარ გააგრძელო...

– არ გინდა გაიგო, იმ ღამეს სინამდვილეში რა მოხდა? – ჰკითხა ანამ შვილს.

– ახლა არა, დედიკო, სხვა დროს იყოს! ახლა დაწყნარდი და დავიძინოთ... – ორივე ხელი დაუკოცნა ანას ცრემლმორეულმა გვანცამ. მაგრამ ანამ მოყოლა მაინც დაიწყო:

– იმ ღამეს მთავრობის სახლთან ზღვა ხალხი დამხვდა. იმ ადგილამდე, სადაც მიშა და მისი მეგობრები იდგნენ ხოლმე, დიდი წვალებით მივაღწიე, მაგრამ ადგილზე ერთი ნაცნობიც კი არ დამხვდა. ცოტა ხანს შევიცადე და უკან გამოსვლა დავაპირე, მაგრამ შემდეგ, ლიდერებმა დაიწყეს სიტყვით გამოსვლა და საერთოდ ვერ შევამჩნიე, დრო თვალსა და ხელს შუა როგორ გამეპარა. მახსოვს, ვიღაცას ვკითხე, რომელი საათია-მეთქი და – სამი სრულდებაო, – რომ მიპასუხა, თავზარი დამეცა. მალე მიტინგის უმოწყალო დარბევაც დაიწყო, მაგრამ მე, ვიღაც ახალგაზრდების წყალობით, სამშვიდობოს მაინც ადვილად გამოვაღწიე და ის იყო, ჩვენი ქუჩისკენ უნდა ჩამომეხვია, რომ შენი განწირული ხმა გავიგონე...

– ჩემი ხმა? – გააწყვეტინა შეშინებულმა გვანცამ.

– ჰო, საიდანღაც, ძალიან შორიდან. მეძახდი: დედა, დედიკო, მიშველეო! მე მაშინვე უკან მოვბრუნდი და შიგ ხალხის შუაგულში მდგარი დაგინახე, გულზე ჩვენი პატარა მიშიკო გყავდა მიხუტებული და განწირული ხმით მეძახდი.

– მე და მიშიკო? – გაოცებისგან თვალები კინაღამ შუბლზე აუვიდა გვანცას, მაგრამ გადაწყვიტა, დედისთვის ბოლომდე მოესმინა. – მერე?

– მერე ის ადგილი, სადაც მე ვიდექი, სულ რამდენიმე წუთით, შუაზე გაიყო და დაფეთებული ადამიანები აქეთ-იქით მიაწყდნენ. მე მაშინვე შენკენ გამოვქანდი და რაღაც მომენტში ხელის გაწვდენაზეც კი მოგიახლოვდი...

– მერე?..

– მერე – არაფერი... – ამოიოხრა ანამ. – ის გოგონა, შორიდან შენ რომ მეგონე, შენზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი მაინც აღმოჩნდა, გულზე კი, ბავშვი კი არა, მოგრძო ნაქსოვი ჩანთა ჰქონდა მიხუტებული... ახლა ვფიქრობ, რომ იმ წუთებში ალბათ, უკვე მომწამლავი გაზის ზემოქმედების ქვეშ ვიყავი და იმიტომ მომეჩვენა ეს ყველაფერი... ანდა შეიძლება, ხილვაც მქონდა... თანაც, ხმა... ხმა ნამდვილად შენი იყო!..

– ის გოგონა გადარჩა?



— არ ვიცი... ჩვენს ეზომდე თითქმის გვერდიგვერდ ვირბინეთ. მერე მე ეზოში შევვარდი, ის კი დაბლა დაეშვა...

— მერე?.. სხვენში რატომღა ახვედი?

— იმიტომ, რომ რუსი ჯარისკაცები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ. მაშინ ვიფიქრე, სახლშიც არ შემომყვნენ-მეთქი და სხვენში ავვარდი. იქ ხომ ჩემი სამალავი მქონდა...

— რა სამალავი?

— რა და ჩვენი სახლის ძველი, გადაყრილი ავეჯის უკან, ერთი მყუდრო ადგილი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მქონდა შერჩეული... მახსოვს, ბებიაშენი რამდენჯერაც უსამართლოდ დამტუქსავდა, იქ შევძვრებოდი ხოლმე და ხანდახან საათობით ვახვეწნინებდი, ოღონდ გამოდი და აღარ გაგიჯავრდებიო.

— აი, თურმე, რა ყოფილა... — ამოიოხრა გვანცამ. — ჩვენ კი რა აღარ ვიფიქრეთ...

— ჰო... სხვენში ავძვერი, მაგრამ ჩემს სამალავამდე ვერ მივაღწიე, იმიტომ, რომ სიბნელეში ვერაფერი გავარჩიე, საყრდენ ბოძს პირდაპირ შუბლით შევასკდი და გონება დავკარგე... გონს რომ მოვედი, უკვე დღე იყო, მაგრამ მე უკვე აღარც ის მახსოვდა, თუ რა მოხდა და აღარც ის — ვინ ვიყავი...

— დე-ე! — ამოიკვნესა გვანცამ და ანას გულში ჩაეკრა. — აღარ გინდა, რა, გეხვეწები, აღარ მომიყვე!..

— მეტი არც არაფერი მაქვს მოსაყოლი... — შვილს აბურდულ თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა ანამ.

— რა იყო, ქალებო?.. სიყვარულის ბუშტი გაგისკდათ? — დედა-შვილს მოულოდნელად წამოადგათ თავს მიშა.

ანა და გვანცა დანაშაულზე წასწრებულებივით უცბად გაეცალნენ ერთმანეთს, მიშამ კი ონკანი მოუშვა და ჭიქა შეუშვირა:

— წყურვილმა გამაღვიძა... ასე იცის მსუყე საჭმელმა...

მიშამ ზედიზედ ორი ჭიქა წყალი დალია და სანამ სამზარეულოდან გავიდოდა, ანას და გვანცას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა:

— დაძინებას აღარ აპირებთ? ხომ არ დაგავიწყდათ, ხვალ რომ ადრე ხართ ასადგომები?!.

მეორე დილით გვანცას მართლაც, საკმაოდ ადრე გაეღვიძა, მაგრამ მიშა და ლუკა შინ მაინც აღარ დახვდნენ.

— უკვე წავიდნენ? — ბავშვივით დასწყდა მას გული. — რატომ არ გამაღვიძეთ?

— ვაპირებდით, მაგრამ ისე ტკბილად გეძინა, რომ შეგვეცოდე, — გაუღიმა ანამ შვილს და წინ ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანი დაუდგა.

გვანცამ ყავის რამდენიმე ყლუპი უხალისოდ მოსვა და შემდეგ, კედელზე რაღაცას გაუშტერა თვალი.

— რაზე ფიქრობ? — ფრთხილად შეეხმიანა ანა.

— შენზე.

— რა დროს ჩემზე ფიქრია?! — შეიცხადა ანამ. — საკუთარ მომავალზე იფიქრე!

— ჩემი მომავალი უკვე გარკვეულია... — მშვიდად მიუგო გვანცამ. — ქორწილსაც გადავიხდი და საქორწინო მოგზაურობაშიც წავალ იტალიაში...

— მაინც ასე გადაწყვიტე? — დანანებით ჰკითხა ანამ.

— მაინც... — ჯიუტად უპასუხა გვანცამ და ფეხზე წამოდგა. — წავალ, კაბას მოვიზომებ...

საქორწინო კაბა მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა, მაგრამ კოხტად გამოწყობილ შვილს ანა ისევ სევდიანად ათვალიერებდა. ამასობაში, შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა.

— ამ დილაადრიან ვინ უნდა იყოს? — შეცბა გვანცა.

— მეზობლის ქალი იქნება, — დაამშვიდა შვილი ანამ. — გუშინ წვენის საწური მთხოვა. ნუ ნერვიულობ, სწრაფად გავისტუმრებ, — ოთახიდან სწრაფად გავიდა ანა.

სარკის წინ მდგარმა გვანცამ კი, უცბად, კაბის ბოლოზე შემოვლებულ ვერცხლისფერ არშიაზე რაღაც ლაქა შენიშნა და შეშფოთებული დაიხარა. „ლაქა“, საიდანღაც აკრული შავი ძაფის ნაგლეჯი აღმოჩნდა. გვანცამ ის სწრაფად მოაცილა კაბას, წელში გაიმართა და გაშეშდა: სარკეში მის ზურგს უკან ირაკლის გამოსახულება დაინახა. თვალებგაფართოებულმა გვანცამ ჯერ შუბლზე მოისვა ხელი, შემდეგ ფეთიანივით შემობრუნდა და პირდაპირ ირაკლის მკლავებში ამოყო თავი.

— რამდენჯერ უნდა გითხრა — მკვეთრ მოძრაობებს ნუ აკეთებ-მეთქი?!. — ღიმილი ვეღარ შეიკავა ირაკლიმ და თან, მკლავები შემოაჭდო წელზე.

— გამიშვი! — მთელი ძალით გაიბრძოლა დაფეთებულმა გვანცამ.

— რატომ? გეშინია, კაბა არ დაგეჭმუჭნოს?.. — ეშმაკურად მოჭუტა თვალები ირაკლიმ და ხელები ისე სწრაფად გაშალა, რომ გვანცა უკან გადაქანდა. — ისე, კაბა მართლაც საკაიფო გაცვია. — ხელი სწრაფად შეაშველა ირაკლიმ. — საქმრომ გიყიდა?

— შენი საქმე არ არის! — გამწარდა გვანცა.

— მართალი ხარ! — მშვიდად მიუგო ირაკლიმ. — ჩემი საქმე აი, ეს არის!.. — დაუმატა მან შემდეგ და სანამ გვანცა პასუხად რამეს ეტყოდა, ტუჩებზე დააცხრა.

გვანცამ თავიდან, გამეტებით გაიბრძოლა, მაგრამ მალევე მოეშვა და ბოლოს, ირაკლის მკლავებში მორჩილად გაიტრუნა. ირაკლი კი მას ისევ ეალერსებოდა.

— მოიცა! — უცბად გამოფხიზლდა გვანცა. — დედაჩემი... დედაჩემი არ შემოვიდეს!

— არ შემოვა, — ალერსი წამით შეწყვიტა ირაკლიმ და შემდეგ დაუმატა: — საყიდლებზე გავიდა მაღაზიაში...

— სად გავიდა? — გაოცდა გვანცა.

— მაღაზიაში-მეთქი! — გაუმეორა ირაკლიმ და ისევ გულში ჩაიკრა: — მაცალე, რა! იცი, ამ წუთებს რამდენ ხანს ველოდი?!

— არ ვიცი და არც მაინტერესებს! — ირაკლის მკლავებს მაინც დაუსხლტა გვანცა და დაუპატიჟებელი სტუმარი ახლა თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა: — სახლში დედაჩემმა შემოგიშვა?

— არა, ფანჯრიდან შემოვფრინდი! — გაეღიმა ირაკლის.

— საერთოდ, როდის ჩამოფრინდი? — დაკითხვა განაგრძო გვანცამ.

— საერთოდ, დღეს დილით.

— ჩემი მისამართი ლიამ მოგცა?

— არა.

— აბა, საიდან გაიგე?

— ეი, ჭკუისკოლოფავ!.. — შუბლზე გრძელი თითები მიუტყაპუნა ირაკლიმ გვანცას. — მამაშენს არ უთქვამს, რომ თავის დროზე, ამ ბინაში ისიც მე მოვიყვანე?

— მართლა? — ალალად გაუკვირდა გვანცას.

— მართლა, მართლა... — ხელში ხელი ჩაავლო ირაკლიმ და რამდენჯერმე დაატრიალა: — მშვენიერი პატარძალი ხარ!.. გამახსენე ერთი, რომელ საათზე იწერ ჯვარს?

— შენ რაში გაინტერესებს?

— რაკი გეკითხები, ესე იგი, მაინტერესებს.

— რა იცი, რომ ჯვარს ვიწერ? — პასუხს მაინც თავი აარიდა გვანცამ.

— ერთხელ ხომ გითხარი — მე შენზე ყველაფერი ვიცი-მეთქი?!.

— იცი და იცოდე!

— მართლა, ცოლად ლუკას მიჰყვები თუ მამამისის ფულებს?

— სულელურ კითხვებს არ ვპასუხობ! — გაღიზიანდა გვანცა.

— სულელურ საქციელს კი, ბლომად სჩადიხარ, ხომ?.. არადა, იქნებ, ამდენ სისულელეს ერთი დიდი სიგიჟის ჩადენა სჯობდეს?!.

— დიდ სიგიჟეში რას გულისხმობ? — დაინტერესდა გვანცა.

— თუნდაც ჩემზე გათხოვებას! — წელზე ხელი ისევ შემოხვია ირაკლიმ გვანცას, მერე სარკისკენ შეაბრუნა და თავადაც გვერდში ამოუდგა. — დამეთანხმე, რომ ნამდვილად ჩინებული წყვილი ვიქნებით...

— არ გეჩვენება, რომ ცოტა დაგაგვიანდა?!. — გესლიანად ჰკითხა გვანცამ.

უცბად შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო. ხმაურზე გვანცა დამფრთხალი ნადირივით განზე გახტა, ირაკლიმ კი საათზე მშვიდად დაიხედა:

— დედაშენი დაბრუნდა, — დასძინა მან. — შენთან სალაპარაკოდ ათი წუთი ვთხოვე და ათივე პატიოსნად დამითმო...

— ჰოდა, ახლა წადი! — გული მოეცა გვანცას.

— წავალ... ერთმანეთს ეკლესიაში შევხვდებით!..

— ეკლესიაში რაღა გინდა?! — შეიცხადა გვანცამ. — იცოდე, ჯვრისწერა არ ჩამაშხამო!

— სხვათა შორის, ჩემო კარგო... — ნიკაპქვეშ ორი თითი ნაზად ამოსდო ირაკლიმ გვანცას და თვალებში გამომცდელად ჩახედა. — იმ ეკლესიაში დღეს, თქვენ გარდა, კიდევ სამი წყვილი იწერს ჯვარს და რა იცი, რომ ერთ-ერთი, მე და ჩემი საცოლე არ ვართ?!.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***





*ჰოლივუდის ამ ვარსკვლავის მონაწილეობით გამოსული ნებისმიერი ფილმი, როგორც პუბლიკის, ასევე კრიტიკოსთა დიდ ინტერესს იწვევდა ყოველთვის. თავდაპირველად ყველას სურდა, რომ დარწმუნებულიყო, ნამდვილად ასეთი ნიჭიერი იყო ჰოლივუდის ცნობილი მსახიობის ჯონ ვოიტის ქალიშვილი, რომელსაც ეკრანზე პირველი გამოჩენისთანავე ურიცხვი წინადადებებით მიმართავდნენ „ოცნებების ფაბრიკის“ რეჟისორები, თუ მხოლოდ და მხოლოდ სახელგანთქმული მამის დიდების ნაყოფს იმკიდა. ჯოლიმ ყველა გამოცდას გაუძლო. მან ყველას დაუმტკიცა, რომ მამამისთან ახლო ურთიერთობა არასოდეს ჰქონია: ჯონ ვოიტმა ხომ ჯერ კიდევ მაშინ მიატოვა ოჯახი, როცა მისი ქალიშვილი სულ რაღაც ექვსი თვის გახლდათ. სწორედ ამიტომ, ანჯელინას სულაც არ გასჭირვებია საკუთარ გვარზე უარის თქმა: ჰოლივუდის დაპყრობა დამოუკიდებლად, ჯოლის ფსევდონიმით დაიწყო და დიდ წარმატებასაც მიაღწია. მან ამერიკულ კინოში საოცრად შთამბეჭდავი სახეები შექმნა, არაერთგზის იყო წარდგენილი „ოსკარზე“ და კინოაკადემიის ეს საპატიო ჯილდო ერთხელ მოიპოვა კიდეც.*

# ანჯელინა ჯოლის 8 საიდუმლო

## გამაოგნებელი ქცევით გამორჩეული, კეთილი ნების ელჩი

**1. ანჯელინა სწორედ ის ქალია, რომლის რესტორანში მიწვევაზეც ამერიკელი მამაკაცების უმრავლესობა ოცნებობს.** ამაზე მეტყველებს, ამ ბოლო დროს, აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი საინფორმაციო სააგენტოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. ამ ქვეყნის ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა საოცარი ერთსულოვნება გამოავლინეს: რეიტინგის მიხედვით, მეორე ადგილზე გასული მშვენიერი კეტრინ ზეტა-ჯონსი, ანჯელინამ საკმაოდ შთამბეჭდავი სხვაობით ჩამოიტოვა უკან.

**2. მსახიობი არა მარტო მამაკაცებს ხიბლავს, ის ქალებს შორისაც ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობს.** კიდევ ერთი გამოკითხვის შედეგების მიხედვით (რომლის ინიციატორიც მოზარდთა პოპულარული ჟურნალი გახლდათ) გაირკვა, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოზარდი გოგონები ისეთსავე იდეალურ ფიგურაზე ოცნებობენ, როგორიც ჯოლის აქვს. უფროსკლასელთა განცხადებით, ანჯელინასნაირი ტანადობის მიღწევა რაიმე გზით შესაძლებელი რომ იყოს, საკუთარი სხეულის არასრულყოფილების გამო, დეპრესია არასოდეს დაეუფლებოდათ.

**3. არაორდინარული, გამაოგნებელი ქცევა ანჯელინას ყმაწვილობის დროიდან ახასიათებდა.** მაგალითად, ჯერ კიდევ მოსწავლეობისას, გოგონა დამკრძალავ ბიუროში მუშაობდა, სადაც გარდაცვლილთა სხეულებს დასაკრძალავად ამზადებდა. ამ პროფესიის დასაუფლებლად მან სხეულის ბალზამირების სპეციალური კურსებიც გაიარა. ცოტა ხნის წინ კი, მსახიობმა მხარზე იმდენად უცნაური ტატუირება ამოისვირინგა, რომ მრავლისმნახველი თაყვანისმცემლებიც გააოგნა. საქმე ის გახლავთ, რომ ჯოლიმ საკუთარ კანზე ბუდისტური ლოცვის ტექსტის ამოსვირინგება მოისურვა და ეს სურვილი სისრულეშიც მოიყვანა.

**4. მსახიობი ყოველთვის გამოირჩეოდა არამდგრადი ნერვული სისტემით.** სხვადასხვა წლებში კინოვარსკვლავი ხან ბულიმიას ებრძოდა, ხან უძილობას და ხანაც სრულიად აუხსნელი შინაგანი მოუსვენრობის გრძნობას. თითქმის აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა ანჯელინამ, რამდენჯერმე თავის დაჭრაც კი სცადა. ცოტა ხნის წინ, მსა-ხიობი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ყმაწვილობის წლებში თვითმკვლელობაზეც არაერთხელ უფიქრია. კრიტიკოსების აზრით, სწორედ მეტისმეტად ემოციური ნატურის წყალობით შეძლო მსახიობმა ყველა მის მიერ განხორციელებული გმირის ასე მკაფიოდ და დამაჯერებლად წარმოსახვა. ასე რომ, შემთხვევითი სულაც არ გახლავთ ის, რომ ვარსკვლავი კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე არაერთგზის იყო წარდგენილი და საბოლოოდ, „ოსკაროსანიც" გახდა.

**5. ამას წინათ, ანჯელინას თავისი ორი წლის ნაშვილები ბიჭუნას აღზრდის უფლება კინაღამ ჩამოართვეს.** სააგენტო, რომლის მეშვეობითაც მსახიობმა ბიჭუნას შვილობის საბუთები გააფორმა, ეფ-ბი-აის მითითებით დახურეს. როგორც გაირკვა, ამ სააგენტოს შუამდგომლობით ნაშვილები კამბოჯელი ბავშვები სულაც არ იყვნენ ობლები და ისინი საკუთარ მშობლებს სიღატაკისათვის თავის დაღწევის მიზნით ჰყავდათ გაყიდული. ამას საშინელი სკანდალი მოჰყვა, მაგრამ საბედნიეროდ, იმ ბავშვთან დაკავშირებით, რომელიც ჯოლიმ შვიდი თვის ასაკში აიყვანა, არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ აღმოჩნდა.

**6. ლარა კროფტზე გადაღებულმა ორმა ფილმმა, მსახიობს არა მარტო სახელი და სიმდიდრე მოუტანა.** სურათის გადაღებები კამბოჯასა და ინგლისში მიმდინარეობდა. ფილმზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, ანჯელინამ აღიარა, რომ ეს ორი ქვეყანა განსაკუთრებულად შეიყვარა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჯოლიმ კამბოჯაში სახლის აშენება. სულ მალე კი, ლონდონის მახლობლად მდებარე მდიდრული ვილის მშენებლობაც დასრულდება, სადაც ანჯელინა თავის ბიჭუნასთან ერთად საცხოვრებლად აპირებს გადასვლას. მსახიობს სურს, რომ მისმა შვილმა განათლება სწორედ ინგლისში მიიღოს. თავად ანჯელინა კი, ინგლისელთა წესჩვეულებების შეთვისებას გულმოდგინედ ცდილობს და როგორც ამბობენ, ჩაის სმის ადგილობრივ ტრადიციას უკვე შეეგუა კიდეც.

**7. მისი პირველი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მეორე ქმართან ცხოვრებას ჯოლი დიდხანს აპირებდა.** ანჯელინა შემთხვევით არ ატარებდა კულონს, რომელშიც მისი მეუღლის — მსახიობისა და რეჟისორის ბილი ბობ ტორნტონის ერთი წვეთი სისხლი იყო მოთავსებული. წყვილის ღრმა გრძნობებზე მეტყველებდა ისიც, რომ ქორწინებისთანავე მეუღლეებმა ერთნაირი სვირინგები გაიკეთეს. მაგრამ ერთხელ, გადაღებებიდან დაბრუნებულმა ანჯელინამ გააცნობიერა, რომ მათ სალაპარაკოც კი აღარაფერი ჰქონდათ. სულ მალე წყვილი გაიყარა: კულონი სადღაც გაქრა, ტატუირება კი ჯოლიმ ლაზერის მეშვეობით მოიშორა.



ანჯელინა ჯოლი მამასთან ერთად

**8. ახალი როლი, რომელსაც ანჯელინა ეკრანზე კი არა, ცხოვრებაში ასრულებს, არის კეთილი ნების ელჩის როლი.** ცოტა ხნის წინ, მსახიობი გაეროს მისიის წარმომადგენლის სახით იმყოფებოდა სუდანში, სადაც სპეციალურ ბანაკში განთავსებული ლტოლვილები მოინახულა და ტანსაცმელი, პირველადი მოხმარების ნივთები და სათამაშოები გადასცა მათ. შარშან, ჩეჩნეთში ანალოგიური ვიზიტის შემდეგ, მან რუსეთის ჟურნალისტებს მოუწოდა, რაც შეიძლება მეტი რამ მოეთხროთ ადგილობრივი მცხოვრებლების გაჭირვების შესახებ. მისი აზრით, ამ მეთოდით შესაძლებელი გახდება მათი პრობლემების საზოგადოებამდე მიტანა, რათა მისმა წევრებმა დახმარება აღმოუჩინონ გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ■



# სტალინის შვილთაშვილს ფილმის გადაღება სურს

იოსებ სტალინის შვილთაშვილს, ბესარიონ ჯუღაშვილს სურვილი აქვს, „ამერიკულ ოცნებაზე" მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღოს. „ეს იქნება მხიარული და ნაღვლიანი ამბავი სიყვარულზე", — აღნიშნა ჯუღაშვილმა, რომელმაც ვაშინგტონში დოკუმენტური ფილმი — „იაკობი — სტალინის ვაჟი" წარმოადგინა. 38 წლის რეჟისორის თქმით, საქართველოში კინოს აღარ იღებენ და მას იმედი აქვს, რომ ამერიკაში რაღაც გამოუვა.

რაც შეეხება სურათს — „იაკობი — სტალინის ვაჟი", ჯუღაშვილმა იგი გერმანელ კინემატოგრაფისტებთან ერთად 2001 წელს გადაიღო და ახლახან ნიუ-იორკში კინოფესტივალზე — Red Shift Film Festival უჩვენეს. ფესტივალი რუსმა რეჟისორმა გავრილენკომ დააარსა. მასზე ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წასული და ამჟამად აშშ-ში მცხოვრები რეჟისორები უჩვენებენ თავ-თავიანთ ნამუშევრებს.

ზემოთ ხსენებული ფილმი მოგვითხრობს სტალინის უმცროსი ვაჟის, იაკობის ტრაგიკულ ბედზე: როგორც ცნობილია, ის ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და 1943 წელს საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. „მე ის მიყვარს და მინდა გავაცოცხლო და გულში ჩავიკრა..." — ასე გამოხატა რეჟისორმა თავისი დამოკიდებულება წინაპრის მიმართ. მისივე განმარტებით, სტალინი არასოდეს დათანხმდებოდა იმას, რომ თავისი ვაჟი, სტალინგრადში ტყვედ აყვანილ ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულიუსში გაეცვალა. „ის ხომ სტალინი იყო, ამიტომ არასოდეს გააკეთებდა ამას", — თქვა რეჟისორმა. ■



## სანდრა ბალოკის მეგობარი პაპარაცის ემუქრება

ჰოლივუდის ვარსკვლავის, სანდრა ბალოკის ამჟამინდელ მეგობარს ტყუილუბრალოდ არ ჰქვია XIX-ის ველურ დასავლეთში ცნობილი ბანდიტის, ჯესი ჯეიმსის სახელი. ტელეშოუს — ,,შემზარავი გარაჟის“ მონაწილე, წარსულში ავტომოტომექანიკოსი ამაყობს თავისი სვირინგებითა და სისწრაფის ისეთ მოყვარულებთან მეგობრობით, როგორებიც არიან: კიანუ რივზი, კიდ როკი და მაიკლ



ჯორდანი. სწორედ ამიტომ დაემუქრა ჯესი პაპარაცის, რომელიც მასა და ბალოკს მათი რომანის დასაწყისიდანვე უთვალთვალებს: ,,ჯობს, ჩვენგან შორს იყვნენ, სანამ თავი არ გავუტეხე“. ■

## ბრედ პიტი „მამობის რეპეტიციებს“ გადის



როგორც ამბობენ, ბრედ პიტისა და მისი მეუღლის, ჯენიფერ ენისტონის ოთხწლიანი ქორწინება ,,სულს ღაფავს“. მსახიობი, რომელიც ამჟამად ,,ტროას“ რეკლამირებითაა დაკავებული, იძულებული გახდა, თავისი ოჯახი დაეცვა. მან ,,სი-ენ-ენის“ აუდიტორია გაამხიარულა კიდეც, როცა განაცხადა, რომ დიდი ხანია, მამობისთვის ემზადება. ,,ვფიქრობ, დროა. ჩვენ მეტისმეტად გადატვირთულნი ვიყავით და მთელ ენერგიას მხოლოდ რეპეტიციებს ვახმარდით...“ რაც შეეხება მის ცოლს, იგი სულმოუთქმელად ელის, როდის აღიარებენ ჰოლივუდის ნამდვილ ვარსკვლავად. მალე ჯენის მონაწილეობით რამდენიმე ფილმი გამოვა. თუმცა, მას ყველაფერს მაინც ბრედთან ყოფნა ურჩევნია. ,,ვოცნებობ, მეტი დრო გავატარო ქმრის გვერდით, გვიანობამდე ვიძინოთ და ერთმანეთით დავტკბეთ, — აღნიშნა ჯენიფერმა. — ბოლო დროს იმდენად დაკავებულნი ვიყავით, რომ ძალზე იშვიათად ვხედავდით ერთმანეთს“. ■

## ბეიონსი თაყვანისმცემლებს შემოსავს

**კოლეგების მსგავსად, მომღერალი ბეიონს ნოულზი საკუთარი ტანსაცმლის გამოშვებას აპირებს.**



**მისი მარკით წარმოებულ სამოსს ნოულზთან ერთად კომპანია Kids Headquarters (სახელწოდების მიუხედავად, ბავშვებისთვის განკუთვნილი ტანსაცმლის გამოშვება დაგეგმილი არაა) დაამზადებს, რომელიც საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების მოგვარებას თვითონვე ითავებს. მოდელების დიზაინს Destiny`s Child-ის სოლისტი დედასთან ერთად შეიმუშავებს. „მე და დედას ყოველთვის გვიყვარდა მოდურად ჩაცმა. ვფიქრობ, ამ სფეროში საინტერესო სიტყვის თქმას შევძლებთ. ტანსაცმელი ძირითადად, ისეთი იქნება, როგორიც მიყვარს და როგორშიც კომფორტულად ვგრძნობ თავს“, — აღნიშნა ვარსკვლავმა.** ■

## პამელა ანდერსონი ამერიკის მოქალაქე გახდა

მსახიობმა და Playboy-ის ვარსკვლავმა პამელა ანდერსონმა ბოლოს და ბოლოს, ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. ცერემონია ლოს-ანჯელესის სასამართლოში გაიმართა. ,,არჩევნებში მონაწილეობისთვის, ჩემთვის აუცილებელი იყო აშშ-ის მოქალაქეობა“, — ნათქვამია ანდერსონის განცხადებაში. აქამდე, ის მხოლოდ კანადის მოქალაქე გახლდათ და მომავალშიც იქნება. უფრო მეტიც — მისი თქმით, ანდერსონს ეამაყება, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეა. ■

## დემი მურს „მაკომპრომეტირებელი“ ფოტოები მოჰპარეს



მსახიობ დემი მურსა და მის ქმარს ეშტონ კატჩერს კვლავ მოჰპარეს ,,მაკომპრომეტირებელი“ ფოტოსურათები. თურმე ეშტონის მეგობარმა ადამ გოლდბერგმა პორტატიული კომპიუტერი დაკარგა, სადაც ხსენებული ფოტოები იყო ჩაწერილი. MTV-ის სატელევიზიო შოუს (რომელშიც კატჩერი მონაწილეობს) — Punk'd-ის პროდიუსერმა გოლდბერგმა მაშინვე პოლიციას მიმართა. ვარსკვლავთა წყვილი შიშობს, რომ ფოტოებს ინტერნეტით გაავრცელებენ. ■

# Jaguar გადახტა



ნიუ-იორკის საერთაშორისო ავტოსალონზე მთავარი სიახლე პრესტიჟული სედან Jaguar-ის ახალი ვერსია – XJL-WB (Long Wheel-base) იყო. გარეგნულად მანქანა 18-დუიმიანი საბორბლე დისკებით გამოირჩევა. ის თავის წინამორბედზე 7 მმ-ით მაღალია და სიგრძითაც 2,5 სმ-ით მეტი – 5,51 მ-მდეა. მისი საბორბლე ბაზა 3,15 მ-ს შეადგენს. ამ ცვლილებების შედეგად მგზავრები უკანა სავარძლებზე გაცილებით კომფორტულად იგრძნობენ თავს. საერთოდ, მგზავრებისთვის თითქმის მეფური გარემოა შექმნილი: უკანა სავარძლებს ოთხი კომბინაცია აქვთ. ისინი სიმაღლის ელექტრომარეგულირებლების საშუალებით, შეიძლება დივნად ან ორ სხვადასხვა სავარძლად გადაიქცეს. წინა სავარძლების საზურგეებზე კაკლის ხისგან დამზადებული გადმოსაწევი მაგიდებია დამონტაჟებული; მაგიდის ქვეშ კი თავისუფლად თავსდება პორტატიული კომპიუტერები. Jaguar-ის ფასი ჯერ კიდევ არ გამოუცხადებიათ.

პრაქტიკულად სერიული სედანის გვერდით ნიუ-იორკში ასევე წარმოდგენილი იყო მის ბაზაზე შექმნილი კონცეპტი. Concept Eight-ის ექსპერიმენტულ მოდელს კონსტრუქტორები მომავლის Jaguar-ს უწოდებენ. ორ უკანა სავარძელს ერთმანეთისგან კონსოლი ყოფს. კონსოლში ჩამონტაჟებულია მინი-ბარ-მაცივარი, სადაც შამპანურის ბოთლი და ორი ბოკალი მოთავსდება. კარების შიდაპანელებზე ნატურალური ტყავია გადაკრული, იატაკზე კი ხელით ნაქსოვი ნოხებია დაფენილი. 860-ვატიან აუდიოსისტემას 14 დინამიკი აქვს, ავტომობილის სახურავი კი გამჭვირვალეა. Concept Eight აღჭურვილია 4,2 ლ მოცულობისა და 395 ცხ.ძ-იანი 8-ცილინდრიანი V ტიპის კომპრესული ძრავით. საბორბლე დისკების დიამეტრი 21 დუიმია. ■

# შვედეთი+ამერიკა

შვედურმა კომპანია SAAB-მა (General Motors-ის ქვედანაყოფმა) ნიუ-იორკში სპორტული ჯიპი 9-7X წარმოადგინა. ზომებით (სიგრძე – 4,91 მ, საბორბლე ბაზა – 2,87 მ) ახალი SAAB აშკარად უსწრებს თავის პოტენციურ კონკურენტებს – Mercedes-Benz ML-ს, BMW X5-სა და Volvo XC90-ს. SAAB 9-7X ორი – 4,2 ლ-ს მოცულობის (275 ცხ.ძ) 6-ცილინდრიანი და 8-ცილინდრიანი V ტიპის (5,3 ლ, 300 ცხ.ძ) ძრავებით არის აღჭურვილი. სალონი 5 ადამიანს იტევს, მძღოლის ჩათვლით. SAAB 9-7X ბაზა შექმნილია ცნობილი ჯიპის – GM – Chevrolet Trail Blazer-ის პლატფორმაზე, რომელიც ჩრდილოამერიკულ ბაზარზე დიდი წარმატებით სარგებლობს. სწორედ ამ ბაზარზეა ორიენტირებული შვედური პროდუქტი. ახალი SAAB ოჰაიოს შტატში GM-ის ქარხანაში იწარმოება. ფასი უკვე ცნობილია: SAAB 9-7X ამერიკაში 35-დან 45 ათას დოლარამდე ეღირება. ჯიპის ევროპული ვერსია მოგვიანებით გამოჩნდება. ■


SAAB 9-7X

# ცეროდენა და ABS


SUZUKI ALTO

მცირე კლასის იაპონური ავტომობილი Suzuki Alto, რომელსაც საიმედოობისა და ეკონომიურობის გამო აფასებენ, ახალი კომპლექტაციით წარდგა მომხმარებლის წინაშე. სიგრძით სულ რაღაც 3,5 მ-იან მანქანას 5 კარი და 177 ლ მოცულობის საბარგული აქვს. ევროპული ბაზრისთვის Suzuki Alto უსაფრთხოების ორი ბალიშით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, უსაფრთხოების ღვედებით, ტონირებული მინებითა და უკანა თავმისადებით არის აღჭურვილი. ახალი კომლექტაციის მანქანა 7,650 ევრო ღირს. მისი კაპოტის ქვეშ 1,1 ლ მოცულობისა და 63 ცხ.ძ-ის სიმძლავრის 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა მუშაობს. ცეროდენას მაქსიმალური სიჩქარე 155 კმ\სთ-ია და 100 კმ-ზე სულ 5 ლ საწვავი სჭირდება. საინტერესოა, რომ Suzuki Alto ინდოეთში იწარმოება, ადგილობრივი კონცერნის Maruti-ს ქარხანაში. იქვე, ლიცენზიებით აწყობენ Suzuki Samurai-ს, Suzuki Baleno-სა და Suzuki Wagon R-ს. ■




# შფოთიანი გზა
# ბუფალოდან კოლუმბუსამდე

აკაკი გეგენავა

**მოგზაურობა ისეთი რამ გახლავთ, რომ უამრავი საინტერესო და შთამბეჭდავი ამბის ფონზე შეიძლება, ფათერაკსაც გადაგკიდოს. მეც არაერთგზის მოვხვედრილვარ რთულ სიტუაციაში. გზა ბუფალოდან კოლუმბუსამდე ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი აღმოჩნდა.**

## დრო ფულია...

ნიაგარის თავბრუდამხვევი ჩანჩქერის დღემ და მშვენიერი გლორიას მაცდუნებელმა ღიმილმა, რომელსაც ღამით ბუფალომდე მგზავრობაც დაერთო, — თავისი გაიტანა: მალვიძარამაც კი ვერ გამომაფხიზლა და სანამ ჩემი ტრაილერის კომფორტულ ,,საძინებელში‘‘ თვალს გავახელდი, კაბინის კარზე ისეთი ბრახუნი ატყდა, რომ ვიფიქრე, ჩამოღებას აპირებენ-მეთქი.

ავტოსადგომის დარაჯი ჩემზე არანაკლებ დაფეთებული ჩანდა.

— იმ ებრაელმა ლამის პოლიცია გამოიძახოს. გაგიჟებულია, ასეთი მოუწესრიგებელი მძღოლი ჯერ არ შემხვედრიაო, — ამბობს. ჩქარა წამოდი! მე დარაჯი ვარ, მაღვიძარა კი არა!..

მის ბუზღუნში უცებ ჩავიცვი შარვალი, სწრაფად დავქოქე მანქანა და გიჟივით შევვარდი იმ ეზოში, სადაც ჩემი ტრაილერი უნდა დაეტვირთათ.

ებრაელი კლიენტი ადგილს ვერ პოულობდა, ბაქანზე წინ და უკან დადიოდა და ცოტა აკლდა, რომ არ აღრიალებულიყო. იქვე, ათიოდე მუშა იდგა გადასატვირთ დანადგარებთან და მგონი, ათივე თავბედს იწყევლიდა — ეს ვის გადავეყარეთო?!.

— ახალგაზრდავ, ასე შორს ვერ წავალთ. ორი დღის წინ დაიგვიანე, არაფერი მითქვამს. დღესაც აგვიანებ და დროს მაკარგვინებ. ასე არ შეიძლება!.. — საყვედურების კორიანტელი დააყენა.

— მე... მე... — დავიწყე და ვეღარ დავამთავრე. ან კი რა უნდა მეთქვა? — მართალი იყო ეს კაცი!..

— ამერიკაში დრო ფულია! ეს კარგად დაიმახსოვრე!.. — ,,შემახსენა‘‘ კლიენტმა და თან განკარგულება გასცა, რომ მუშებს მანქანის დატვირთვა დაეწყოთ.

ახლა მე დავიწყე მოუსვენრად ბოლთის ცემა, თან ყურადღება მტვირთავებისკენ გადავიტანე. მინდოდა, დროულად გავცლოდი იქაურობას. უცებ დავინახე, რომ ერთ-ერთი მათგანი მიღიმოდა. ფილიპი აღმოჩნდა (ბუფალოელი ხელმოცარული კაცი, ორი დღის წინ, ბარში რომ გავიცანი, მან კი, ჰარი გამაცნო, რომელმაც შემდგომ, ნიაგარის ჩანჩქერზე წამიყვანა). ფილიპმა მანიშნა — ახლავე მოვალო, — და საწყობში შევიდა...

დანადგარების დატვირთვა არცთუ ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. მძიმე და მოუხერხებელი ჩარჩების გადატანას ბევრი დრო დასჭირდა. სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავდა ის, რომ მუშებს ტვირთის მეპატრონე თავზე ადგა და წუთით მოსვენების საშუალებას არ აძლევდა, პირიქით — წამდაუწუმ ახსენებდა, რომ აგვიანდებოდა. როგორც მერე შევიტყვე, მუშებთან საათობრივ ანაზღაურებაზე ყოფილა გარიგებული და ზედმეტი თანხის გადახდა არ უნდოდა. ოთხი საათი ისე გავიდა, ფილიპმა ჩემთვის ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. საკმარისი იყო, ჩემკენ გამოეხედა, რომ ისაკი (ასე ერქვა ებრაელს) ყვირილს იწყებდა — საქმეს მიხედეთო!..

რადგანაც დავაგვიანე, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, თან მტვირთავებიც შემეცოდნენ და ცოტა ხნით მივეხმარე კიდეც.

ბოლოს და ბოლოს, ნაშუადღევს, ტრაილერი გასამგზავრებლად მზად იყო. ფილიპმა ისაკისგან გასამრჯელო მიიღო და როგორც იქნა, ხმის ამოღების საშუალება მიეცა.

— ასეთი ტირანი ცხოვრებაში არ შემხვედრია. კინაღამ დაგვხოცა მუშაობით... — დაიჩივლა ფილიპმა და ხელი ჩამომართვა. — კარგი იყო, არა, ნიაგარის ჩანჩქერი? კმაყოფილი ხარ?

— ძალიან კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის...

— ჩამოსვლას კიდევ თუ დააპირებ, წინასწარ გაგვაგებინე. იცოდე, რომ ბუფალოში მეგობრები გყავს... აკაკი, ამ ებრაელს თავი არ მოატყუებინო, არაფერი დაუთმო... — მანიშნა ისაკზე, რომელიც უკვე წასასვლელად ემზადებოდა.

ისაკი მოგვიახლოვდა და მკითხა:

— შენთან ერთად რომ ვიმგზავრო ტრაილერით, პრობლემას ხომ არ შეგიქმნი?

— არა, რას ამბობ? წამოდი! — გამიხარდა კიდეც, ამხელა გზაზე მგზავრობა მარტოს რომ არ მომიწევდა.

— არ ჩანხარ საიმედო კაცი. ისევ რომ დააგვიანო, პრობლემები შემექმნება. შენი გულისთვის ფული რატომ უნდა დავკარგო?.. — თქვა და კაბინისკენ წამოვიდა. ასეთ საყვედურებსა და უნდობლობას ნამდვილად არ ველოდი. ვინანე, რომ დავთანხმდი, ჩემთან ერთად ემგზავრა, მაგრამ გვიანი იყო — ვეღარაფერს შევცვლიდი; უმადური კლიენტი კაბინაში იჯდა და უკვე მაჩქარებდა, დროზე წავიდეთო. სხვა რაღა დამრჩენოდა, ფილიპს დავემშვიდობე და მანქანა დავძარი.

## კონფლიქტი კლიენტთან

თბილისში, ბავშვობიდან უამრავ ებრაელს ვიცნობდი, ბევრთან ვმეგობრობდი კიდეც და ახლაც ვმეგობრობ (მათი უმეტესობა ახლა ისრაელშია და ხშირად მახსენებენ თავს). შტატებშიც ხომ, ბრუკლინში ყოფნისას, რუსი ებრაელების გარემოცვაში მოვხვდი. თუნდაც რესტორან „Золотое кольцо“-ს მეპატრონე ქალბატონი კისა გავიხსენოთ. კისას და მისი მეგობრების დახმარებით ოლბანის ციხესაც კი დავაღწიე თავი. მართალია, უდანაშაულოდ მოვხვდი ციხეში, მაგრამ უცხო ქვეყანაში და თანაც ამერიკაში, მსგავსი რამ არცთუ ისე ხშირად ხდება...

ბოლოს და ბოლოს, ჩემი ახლანდელი ბოსი ედმონდიც ებრაელი იყო, მაგრამ ამის გამო მასთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ისაკთან რვასაათიანმა მგზავრობამ კი ლამის კოშმარი მომანატრა.

ბუფალოდან არ ვიყავით გასულები, რომ ჩემმა თანამგზავრმა ერთ-ერთ სინაგოგასთან შემაჩერა და მთხოვა, დაველოდებოდი. სინაგოგაში შევიდა და ილოცა. მანქანაში რომ ჩაჯდა, მეც პირჯვარი გადავიწერე და გზა განვაგრძე. შევამჩნიე, რომ პირჯვრის გადაწერა არ მოეწონა, თუმცა ხმა არ ამოუღია — ჩუმად იჯდა და გზას გაჰყურებდა. ცოტა ხანში, ეტყობა, ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა.

— საიდან ხარ? — მკითხა.

— საქართველოდან...

— ეს სადაა?

— საქართველო, კავკასია, ყოფილი სა-

ბჭოთა კავშირი. ახლა ჩემი ქვეყანა დამოუკიდებელია...

— პირველად მესმის... — ცივად გამოცრა მან. ინტიბარი მაინც არ გავიტეხე და ახსნა გადავწყვიტე:

— იცი, მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც სტალინი დაიბადა...

— რა-ა?!. — ისეთი ამრეზით შემომხედა, ებრაელი რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, ფაშისტების აგენტად უმუშავია-მეთქი. მან კი, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა და გააგრძელა:

— ჩემი აზრით, იმ ერის წარმომადგენელი რომ ვყოფილიყავი, სადაც სტალინი დაიბადა, საერთოდ არ ამოვიღებდი ხმას!..

— ვერ გავიგე, მაგით რისი თქმა გინდა? — ეს კი წამოვიძახე შეცბუნებულმა, მაგრამ რატომღაც იმედი მქონდა, — ალბათ, მისი ნათქვამი კარგად ვერ გავიგე-მეთქი.

— სტალინმა იმდენი ებრაელი გაჟუჟა, არც მისი სახელის ხსენება მინდა და არც მისი სამშობლოსი...

შინაგანად დავიძაბე, მაგრამ თავი შევიკავე და მშვიდად ვუპასუხე:

— სისტემა იყო ისეთი, მარტო ებრაელები კი არა, თითქმის ყველა ერის უამრავი წარმომადგენელი დაიღუპა იმ პერიოდში, საბჭოთა კავშირში...

— შენ, ახალგაზრდავ, ისტორია არ გცოდნია!.. — გაცეცხლებულმა განაგრძო მან. — სტალინი ებრაელებზე იყო გადამტერებული და უნდა გრცხვენოდეს, მას რომ იცავ!..

ერთხანს, გაოგნებულმა ხმა ვერ ამოვიღე, მერე კი ვიფეთქე:

— ეს რომ ჰიტლერზე გეთქვა, კიდევ მესმის. მაგრამ სტალინმა... სტალინი რომ არ ყოფილიყო, კაცმა არ იცის, რას გიმზადებდნენ ფაშისტები... მაგრამ თქვენ რა გაქვთ სალაპარაკო?! იუდეველებმა ხომ მაცხოვარი არ იწამეს, შეურაცხყვეს და ჯვარს აცვეს!..

ისაკი შეცბა. თუმცა, ნირი არ შეუცვლია. სულ მალე, თავი ხელში აიყვანა და იერიშზე გადმოვიდა:

— ნუ გავიწყდება, რომ ჩემი ერი ღმერთის რჩეულია და კარგად დაფიქრდი, სანამ დასკვნებს გამოიტან...

— ეს ქრისტეს მოსვლამდე... მაგრამ თქვენ ხომ უარყავით მაცხოვარი...

— შენ ვინ გითხრა ეს?

— ვის უნდა ეთქვა? ,,წმინდა წერილში“ წავიკითხე...

— ,,თორა“ თუ წაგიკითხავს?

— წავიკითხე ,,ძველი და ახალი აღთქმა“, წმინდანთა ცხოვრება... იქ წერია ყველაფერი...

— მე გეკითხები — ,,თორა“ წაგიკითხავს?

— ,,თორა“ ჩემთვის იგივე ,,ძველი აღთქმაა“...

— მერე იქ ხომ წერია, რომ მესია უნდა მოვიდეს...

— მესია ორი ათასი წლის წინ მოვიდა... თქვენ კი ის უარყავით...

— ქრისტე მესია არ არის... თანაც ის ებრაელებს არ გაუკრავთ ჯვარზე — ეს რომაელებმა ჩაიდინეს.

— თქვენ ხომ ითხოვდით მის დასჯას?

— როგორ გითხრა.. ეს ორი ათასი წლის წინ მოხდა, ამიტომ მე არაფრის მტკიცება არ შემიძლია... — უკან დაიხია ისაკმა.

— ჰოდა, ამიტომაც დაფიქრდი, სანამ დასკვნებს გამოიტანდე. შენ ხომ არ იცი, მე ვინა ვარ?! ჩემს ერს შეურაცხყოფას აყენებ, როგორ გგონია — ეს სასიამოვნოა?!.

## ისაკი მაინც მოვარჯულე...

ეს ამაყი, ქედმაღალი ისაკი უცბად ისე მოიკუნტა, ლამის შემეცოდა. ისე ღელავდა, ხელებს ძლივს იმორჩილებდა. მეც არანაკლებ აღელვებული გახლდით. თანაც ამხელა ტრაილერის საჭეს ვეჯექი..

მივხვდი, რომ უნდა გავჩერებულიყავი და სული მომეთქვა. ასე განერვიულებული, საეჭვო იყო, ხიფათს არ გადავყროდი.

როგორმე ტრაილერების მორიგ სადგომამდე უნდა მიმეღწია, რომ დამესვენა და გზა ისე გამეგრძელებინა. კაბინაში კარგა ხანს სიჩუმე იდგა. მოულოდნელად ისაკი ალაპარაკდა:

— მე რაც გითხარი, ის ჩემმა წინაპრებმა მასწავლეს და რჯულს ხომ არ შევიცვლი?!

— მერე ვინ გეუბნება, რჯული შეიცვალეო?! უბრალოდ, ჩემს ერს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო...

— შენ ახლა რა გინდა, დაგიჩოქო?

— მე ეგ არ მითქვამს, უბრალოდ, ბოდიშს მომიხდი და მორჩა — კოლუმბუსამდე შენი ხმა აღარ გავიგონო!..

ისაკს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ არც ბოდიშს იხდიდა. იჯდა თავისთვის და



გზას ისე გაჰყურებდა, ვითომც აქ არაფერიაო. ამასობაში ტრაილერების სადგომსაც მივადექით. მანქანა ხმაურით დავამუხრუჭე. არც გამიფრთხილებია, ისე ჩავედი და სასაუზმეში შევედი. უხალისოდ ავიღე მოზრდილი ჰამბურგერი და თავს ერთი ბოთლი ლუდის დალევის უფლებაც მივეცი...

როცა კაბინაში დავბრუნდი, ისაკი თავის ადგილზე იჯდა. მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, არც ის ვიცოდი, ჩასული იყო თუ არა მანქანიდან... არა, ეს ბოდიშის მოხდას არ აპირებს-მეთქი, — გავიფიქრე.

— მისტერ ისაკ, გთხოვ, ჩაბრძანდე ტრაილერიდან. კოლუმბუსში შევხვდებით!.. — ,,თავაზიანად“ გავუღე კაბინის კარი.

— რა-ა?!. — გაოცებული მიყურებდა ჩემი კლიენტი.

— ჩაბრძანდი, ჩაბრძანდი! არანაირი სურვილი არა მაქვს, შენთან ერთად ვიმგზავრო...

— აქედან რითი წავიდე?..

— ავტობუსს გაჰყვები. შეგიძლია, მსუბუქი მანქანა გააჩერო ან სულაც, სატვირთო... პრობლემა არ არის, რაღაცას უეჭველად იპოვი...

— მე შენს უფროსს დავურეკავ და სამსახურიდან დაგითხოვენ! — დამემუქრა ისაკი.

— თუ გინდა, ამერიკის პრეზიდენტს დაურეკე!.. ხელშეკრულებაში არ მიწერია, რომ ტვირთის პატრონიც მე უნდა წავიყვანო. მე ტვირთი გადამაქვს, მხოლოდ ტვირთი!.. ახლა კი, თუ შეიძლება, ნუ მაყოვნებ, ჩაბრძანდი!..

ისაკი ზანტად, მაგრამ მაინც გადავიდა მანქანიდან და ჩემი მოულოდნელი გადაწყვეტილებით გაოგნებული, ნელი ნაბიჯით გზისპირს გაუყვა. მერე კი თითქოს გაშეშდაო, ერთ ადგილას დადგა და ჩემს ტრაილერს თვალს აღარ აშორებდა.

მანქანა დავძარი. კარგა ხანს სარკიდან ვუყურებდი, როგორ იდგა ისაკი და გზას გასცქეროდა.

ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ, ტრასას გავხედე. ტრასა გადატვირთული არ იყო და რატომღაც ვიფიქრე, რომ ჩემი ოპონენტი ისევ გზაზე იდგა და ამაოდ ელოდა ტრანსპორტს.

კიდევ 10 წუთი ვიარე, სანამ წრიული მოძრაობის ადგილამდე მივიდოდი და... უკან მოვბრუნდი.

...ისაკი სადაც დავტოვე, მართლაც, ისევ იქ დამხვდა. ტრაილერი რომ გაჩერდა, ისე გამოიქცა ჩემკენ, კაცი იფიქრებდა, ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი მეგობრები შეხვდნენო...

P.S. მომდევნო დღეები გაცილებით მშვიდი და მხიარულიც კი იყო. თუმცა, ამის შესახებ ,,გზის“ №24-ში გიამბობთ...

■

# ინფორმაცია, ანალიზი, პროგნოზი, რჩევები...




## ნომერში:












**შვიდი წლის წინ, როდესაც ქართული მოდის სამყაროში თათა ვარდანაშვილი პირველ ნაბიჯებს დგამდა, ქართველ ელიტარებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ მოკლე ხანში, მის მიერ შექმნილი ფეხსაცმლით თავს მოიწონებდნენ. თუ რომელი ცნობილი ადამიანები ატარებენ დღეს, სტუდია „დემეტრეს“ ფეხსაცმელს, ვის დაუმზადებდა თათა პერსონალურ კალაპოტს და როგორ უნდა ამოვიცნოთ ფეხსაცმლის მიხედვით ადამიანის ხასიათი — ყოველივე ამაზე თავად დიზაინერი გვესაუბრება.**



# როგორ ფეხსაცმელს შეუკერავდა თათა ვარდანაშვილი ნინო ბურჯანაძეს

*სოფო ყარალაშვილი*

— გაგეცინებათ, მაგრამ ადამიანს ყოველთვის პირველად, ფეხსაცმელზე ვუყურებ. ბავშვობაში მეგობრებსაც კი ფეხსაცმლის მიხედვით ვირჩევდი. ჩემმა მეუღლემაც სწორედ იმით მომხიბლა, რომ გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვა. მერე აღმოჩნდა, რომ სულ ორი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონია... ვფიქრობ, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო მისი სიარულის მანერასა და ფეხსაცმელზე აისახება: რამდენადაც მოვლილია ფეხსაცმელი, იმდენად შინაგანად მოწესრიგებულია ადამიანი. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და პრაქტიკამ მიჩვენა, რომ ფეხსაცმელი დეფორმაციას განიცდის იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათი აქვს ადამიანს, რადგან დროთა განმავლობაში, ზუსტად იმეორებს ტერფის მოძრაობას.

— **ახლა თასმებიანი, დაბალძირიანი ფეხსაცმელი მაცვია; როგორ დამახასიათებდით?**

— ამაზე ადვილი რა არის? მთელი ცხოვრება ამას არ ვაკეთებ?.. შენ თავისუფალი, მხიარული ადამიანი ხარ და ძალიან ბევრს დადიხარ. სხვა შემთხვევაში, სხვანაირ ფეხსაცმელს აირჩევდი.

— **თქვენ ყვითელი, მრგვალცხვირიანი, მაღალქუსლიანი ჩექმა გაცვიათ. ეს მოდაა, თქვენი დიზაინის პროდუქტი თუ უბრალოდ განწყობილების მაჩვენებელი?**

— მართალია, ეს ფეხსაცმელი მეტისმეტად უცნაურად გამოიყურება, მაგრამ თავად შევქმენი და ზუსტად იმ მოდის გამოძახილია, რომელიც დღეს ევროპაშია დამკვიდრებული და წელს თუ არა, გაისად ალბათ, ჩვენთანაც გაბატონდება. საერთოდ, მსოფლიო მოდაში ამჟამად აქტუალურია ყვითელი, მაგრამ საქართველოში ძნელი მოსახმარია.

— **შეიძლება თუ არა, რომ ფეხსაცმელმა ადამიანთან ურთიერთობის სურვილი აღგიძრას ან პირიქით — დაგაკარგვინოს?**

— თუ ადამიანს კარგად ვიცნობ და მისი ფეხსაცმელი არ მომეწონა, ჩავთვლი, რომ უბრალოდ, ყურადღება არ მიაქცია, თუ რას იცვამდა. მაგრამ უცნობ ადამიანზე შთაბეჭდილების ჩამოყალიბებისას, ფეხსაცმელი გარკვეულ როლს თამაშობს. ახლობლებს ხშირად მივუთითებ მათი ფეხსაცმლის ნაკლსა და ღირსებაზე. მინდა, ვინც ჩემ გარშემო ტრიალებს, ყველას სრულყოფილი და ლამაზი ფეხსაცმელი ეცვას.

— **რომელი ცნობილი ადამიანები ხმარობენ თქვენ მიერ შექმნილ ფეხსაცმელს და რამდენად მყარად დგანან ისინი მიწაზე?**

— მიხარია, რომ დღეს ბევრი ქართველი ქართულ მიწაზე ქართული ფეხსაცმლით დადის. ჩემთვის მთავარია, ადამიანებს მოვემსახურო, სიამოვნება მივანიჭო და კომფორტი შევუქმნა. ახალ წელს, ბატონ პრეზიდენტს საჩუქრად ქართული ფეხსაცმელი გავუგზავნე. ალბათ, სიამაყით ატარებს. რამდენჯერმე ტელეეკრანზე მოვკარი თვალი — ეცვა. მაქვს სურვილი, რომ ცოტა ხანში, პერსონალური კალაპოტი დავუმზადო და ფეხსაცმელი შევუკერო.

— **რამდენად ხელმისაწვდომია თქვენ მიერ შექმნილი ფეხსაცმელი ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის?**

— ჩვენ ისეთი საზაფხულო, ყოველდღიური ფეხსაცმლის მოდელებიც გვაქვს,



მსოფლიო მოდაში ამჟამად აქტუალურია ყვითელი



ფეხსაცმელი დეფორმაციას განიცდის იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათი აქვს ადამიანს

რომლებიც სულ 30 ლარი ღირს. ადამიანის მოთხოვნილებას გააჩნია — როგორი უნდა იყოს ფეხსაცმელი, რამდენად რთულია შესასრულებლად და ა.შ. ბედნიერი ვარ, რომ ყველა კატეგორიის მომხმარებელი მყავს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართველ მოსახლეობას ხარისხიანი ქართული და არა ბაზრობაზე შეძენილი, იაფფასიანი და მდარე ხარისხის ფეხსაცმელი ეცვას, რომელიც ხშირად, ჯანმრთელობას ვნებს.

— **პრეზიდენტისთვის უკვე გაგიგზავნიათ საჩუქარი. პარლამენტის თავმჯდომარეს როგორ ფეხსაცმელს შეუკერავდით?**

— ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ცოტა რთული ტერფი აქვს, ამიტომ ძალიან ძნელი იქნება მისთვის, ქარხნული წესით დამზადებული, სტანდარტული ფეხსაცმლის მორგება. ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, მისი გარდერობი ვნახო და შესაბამისი სტილის ფეხსაცმელი შევუკერო. პარლამენტის თავმჯდომარეს მარგარეტ ტეტჩერის სტილში აცვია, ამიტომ აუცილებლად ნავისებური ფორმის ფეხსაცმელს, ე.წ. „ლოდოჩკებს" შევუკერავდი იმ, მუხლისთავზე გადაჭრილი ქვედაბოლოებისთვის, რომლებიც ფეხის სილუეტს უფრო დაუგრძელებდა და ვეცდებოდი, რომ ეს „ლოდოჩკები" კოსტიუმის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. იმგვარი სილუეტის ქვედაბოლოებს, როგორიც ქალბატონ ნინოს აცვია, მაინცდამაინც არ უხდება „შუზები". თავმჯდომარეს ალბათ, დრო არა აქვს, რომ ჩვენთან მოვიდეს ან შესაძლოა, არ ენდობა საქართველოში შეკერილ ფეხსაცმელს.

— **დაბოლოს: რა ტიპის ფეხსაცმელი იქნება ამ ზაფხულს მოდაში?**

— მოდაში იქნება ჭრელი, ყვავილებიანი ზედაპირები. აქტუალურია ქსოვილის, ატლასის, ლაკის ფეხსაცმელი, მაგრამ ქართული რეალობისთვის ცუდი სახმარია, რადგან მალე ჭუჭყიანდება. წვეტიანი ცხვირებიც ყოველთვის მოდაშია, რადგან კლასიკური სტილი არასოდეს ხუნდება. ასევე მოდაშია მრგვალცხვირიანი, „შპილკა"-ქუსლიანი ფეხსაცმელი, თუმცა, რაც უფრო დამოკლდება კაბის სიგრძე, მით უფრო მაღალ ქუსლს მოითხოვს, რათა ფეხი ვიზუალურად დაგრძელდეს. ამიტომ შემოდგომა-ზამთრის სეზონში, პლატფორმა უფრო აქტუალური გახდება. თუმცა, ასეთ ფეხსაცმელს არ ვაღიარებ და ვეცდები, რამენაირად „გადმოვაქართულო", რომ ნაკლებად თვალში საცემი იყოს. ვინ იცის, იქნებ მშვენიერიც გამოვიდეს?!. ■



# სამოდელო ასოციაცია

## მწვერვალების დაპყრობას ლამობს

*ემა ტუხიაშვილი*

*საქართველოს სამოდელო ბიზნესი ძალებს აერთიანებს. ერთიანი სამოდელო ასოციაციის შექმნის შესახებ, მასმედიას 24 მაისს შარდენის ქუჩაზე გამართულ პრესკონფერენციაზე, „ეტერა პიარ" სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო იოსელიანმა აუწყა. აღნიშნულ ასოციაციაში ჯერ მხოლოდ რამდენიმე სამოდელო სააგენტო გაერთიანდა: „ნატალი", „შარმი" და „ამსა", ერთობლივი ძალებით აპირებენ საქმიანობას. მათი მიზანია, ხელი შეუწყონ ჩვენს ქვეყანაში სამოდელო ბიზნესის განვითარებას და „კავკასიური გარეგნობა" მსოფლიოს სამოდელო ბაზარზე გაიტანონ. საამისოდ, სამოდელო ასოციაცია აპირებს, ჩამოაყალიბოს სამოდელო სკოლების ინფრასტრუქტურა და ხელი შეუწყოს სამოდელო ბიზნესის მომგებიან ბიზნესად გადაქცევას.*

***ნატალია სამადალაშვილი,*** *„ნატალის" ხელმძღვანელი:*

— ამ ასოციაციის ფარგლებში, უკვე რამდენიმე პროექტი განხორციელდა. სამოდელო სააგენტოების — „ნატალისა" და „ამსას" ერთობლივი კასტინგის შედეგად არჩეულმა მოდელებმა იტალიაში გამართულ ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა. ჩვენთვის ნაცნობ ყველა სააგენტოს წერილობით შევთავაზეთ ასოციაციაში გაწევრება.

— **„იმიჯ-ცენტრი" თუ გახდება ასოციაციის წევრი?**

— „იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელობა ჩვენი შეთავაზებით დაინტერესდა, მაგრამ ამ ეტაპზე ის სილამაზის კონკურსისთვის მზადებით არის დაკავებული.

*ასოციაციის პროექტის თანახმად, 4 ივლისს, შარდენის ქუჩაზე გაიმართება შოუ და მასტერკლასი ფოტოხელოვნებაში. საინტერესოა, რომ ამ ღონისძიებას ფინანსურად უზრუნველყოფს კომპანია „ნესკაფეს" წარმომადგენლობა საქართველოში. სწორედ ამ მიზეზით ეწოდა 4 ივლისს დაგეგმილ ღონისძიებას „ნესკაფე ფეშენ უიკი".*

***ნინო იოსელიანი*** *„ეტერა პიარ" სააგენტოს ხელმძღვანელი:*

— 4 ივლისს შარდენის ქუჩაზე ნაჩვენები იქნება დიზაინერ თამუნა ინგოროყვას კოლექცია „სრული სითეთრე". ჩვენებაში მონაწილეობას მიიღებენ სამოდელო სააგენტოების — „ნატალის", „ამსას", „იმიჯ ცენტრისა" და „შარმის" მოდელები. ღია ცის ქვეშ დაუკრავს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. მთლიანად გადაიკეტება შარდენის ქუჩა და ამასთანავე, მოეწყობა ყვავილების გამოფენა. საღამოს დახურავს ახალი ელიტური ბარის — „შარდენის" პრეზენტაცია. 5 ივლისს კი, ხელოვნების გალერეა „კოპალაში" მოეწყობა მასტერკლასი ფეშენფოტოგრაფიაში, რომელსაც გამოჩენილი რუსი ფოტოგრაფი იგორ სკობლევი ჩაატარებს. ღონისძიებაზე ჩამოდის ცნობილი რუსი მოდელი ირინა დმიტრიაკოვა, რომელიც ასევე მიიღებს მონაწილეობას თამუნა ინგოროყვას ჩვენებაში. მოდელების მაკიაჟზე კი სალონ „რედკენის" ვიზაჟისტი ირმანი იზრუნებს. ■



***ჩვეულებრივი ციფრების მეშვეობით, თურმე ძალზე იოლად შეიძლება ნერვული დაძაბულობის მოხსნა და იმ უსიამოვნებების დაძლევა, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ცხოვრებაში. ჩვენ გაგაცნობთ მარტივ მეთოდს, რომელიც საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში დაგეხმარებათ; აი, ის კი, რამდენად გაითვალისწინებთ ქვემოთ მოცემულ რჩევებს, მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული.***



# ციფრთმცოდნეობის იდუმალი სამყარო

კარგა ხანია ცნობილია, რომ ნუმეროლოგიის (ნუმეროლოგია — ციფრების შემსწავლელი მეცნიერება) მეშვეობით, ჩვენ უამრავი ცხოვრებისეული სირთულის დაძლევა და საკუთარ თავზე რაღაც სიახლის შეტყობაც შეგვიძლია. მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიპოვოთ ჩვენი საკუთარი ბედნიერი ციფრი — ციფრი-თილისმა. ეს კი შესაძლოა იყოს ნებისმიერი რიცხვი ერთიდან ცხრამდე. საკუთარი ციფრი-თილისმის გამოსათვლელად, ერთმანეთს უნდა მივუმატოთ ჩვენი დაბადების წელი, თვე და რიცხვი. მაგალითად, თქვენ 1971 წლის 22 მაისს დაიბადეთ. ამ შემთხვევაში 22-ს უნდა მივუმატოთ 5 (მაისი ხომ მეხუთე თვეა) და ამ რიცხვების ჯამს — ე.ი. 27-ს უნდა მივუმატოთ 1971. მივიღებთ 1998. შემდეგ ერთმანეთში დავაჯამებთ ციფრებს და მივიღებთ: 1+9+9+8=27; 2+7=9.

ამ შემთხვევაში გამოვიდა, რომ თქვენი ბედნიერი ციფრია — 9, რომელიც დაგიცავთ უსიამოვნებებისგან და ყველაფერში დაგეხმარებათ. რაღა თქმა უნდა, საკუთარი ბედნიერი ციფრი, ყოველმა ადამიანმა თავისი დაბადების წლის, რიცხვისა და თვის მიხედვით უნდა გამოითვალოს.

ნუმეროლოგია გვასწავლის, იმისათვის, რომ ეს ბედნიერი ციფრი თქვენს მეგობრად და მფარველად იქცეს, აიღეთ კვადრატული ფორმის ფურცელი, მის ცენტრში საკმაოდ მოზრდილი ციფრი-თილისმა დაწერეთ; ამის შემდეგ ფურცელი ოთხად მოკეცეთ და გამუდმებით ჯიბით (უმჯობესია, გულის ჯიბით) ატარეთ. ეს საერთო კანონია ნებისმიერი ციფრის მფლობელისათვის. გარდა ამისა, ყოველ ციფრს თავისი საკუთარი კანონებიც აქვს და ამ კანონებს ქვემოთ გთავაზობთ.

## თქვენი ბედნიერი ციფრია — 1

ისე ხართ მოწყობილი, რომ ცუდად ყოფნასა თუ უსიამოვნებებს არასოდეს იმჩნევთ და არც არავის უმხელთ. ყველაფერს გულში იხვევთ და საკუთარ პრობლემებთან გამკლავებას დამოუკიდებლად ცდილობთ. გარეგნულად საკმაოდ მშვიდად გამოიყურებით, მაგრამ რის ფასად გიჯდებათ ამ სიმშვიდის შენარჩუნება, ეს მხოლოდ თქვენ იცით!

სწორედ ამაში მდგომარეობს თქვენი შეცდომა. გამუდმებით საკუთარ თავს იჭამთ და ეს რომ სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩეს, უამრავ ძალასა და ენერგიას ხარჯავთ. თუკი ასე გააგრძელებთ, ნერვიული შეტევა გარანტირებული გექნებათ.

თქვენს შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალია, საკუთარი სირთულეებისა და პრობლემების იმ ადამიანებისათვის გაზიარება, ვინც თქვენს ნდობას იმსახურებენ. თუკი ასეთი ადამიანი გვერდით არ გყავთ და მიგაჩნიათ, რომ თქვენივე ნათქვამი შესაძლოა, მოგვიანებით წინ დაგხვდეთ, ყველაფრის გულში ჩახვევას მაინც არ გირჩევთ, რამეთუ ეს თქვენს ჯანმრთელობას შეუქმნის საფრთხეს. უსიამოვნებების „გადმოფრქვევა“ აუცილებელია: შექმნილ სიტუაციაში კი, ამის ყველაზე მარტივი საშუალება პრობლემების ფურცელზე გადატანა გახლავთ. ყველაფერი რაც გაწუხებთ, გულახდილად დაწერეთ: არც არაფერი დაფაროთ და არც არაფერი გააზვიადოთ. ე.ი. დაწერეთ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე! ეს აუცილებლად მოგგვრით შვებას.

კიდევ ერთ რამეს გირჩევთ: თუნდაც სულ ცოტა ხნით — ერთი კვირით მაინც გამოიცვალეთ გარემო და დაისვენეთ. ამისთვის კი სულაც არ არის აუცილებელი შორეულ ქვეყნებში გამგზავრება, შეგიძლიათ ქალაქგარეთ გასეირნდეთ.

## თქვენი ბედნიერი ციფრია — 2

შეიძლება ითქვას, რომ თქვენ პრაქტიკულად ყოველთვის ღელავთ. ერთ საზრუნავს გამუდმებით მეორე ენაცვლება და წინას უკანა პლანზე სწევს. თქვენ ყველა პრობლემაზე ერთდროულად ფიქრობთ და მათ გადაჭრას ვერ ახერხებთ — ამიტომ კუთხეში მიმწყვდეულივით გრძნობთ თავს. თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი პრობლემების თანამიმდევრულად გადაჭრაა — თუ ცალ-ცალკე შეეჭიდებით პრობლემებს და ყველა ფრონტზე ერთდროულად არ იბრძოლებთ, უსიამოვნებებს აუცილებლად დასძლევთ. ცხოვრებისეულ სირთულეებზე წინასწარ ნერვიულობას თავი დაანებეთ. ნურც იმაზე ფიქრით გადაიღლით თავს, თუ რა იქნება მომავალში — ამის გათვლა ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე რომ, გირჩევთ, ნუ აიტკივებთ თავს ვარაუდებით, რომლებიც შეიძლება საერთოდ არ გამართლდეს.

აუცილებლად უნდა ისწავლოთ დღევანდელი დღით ცხოვრება. მართალია, თქვენი ტიპის ადამიანისთვის ამ ამოცანის განხორციელება საკმაოდ რთულია, მაგრამ გვერწმუნეთ, გამუდმებული მღელვარების დასაძლევად, თქვენთვის ეს ერთადერთი წამალია.

მოსადუნებლად და ნერვების სხვა რამეზე გადასატანად, სადმე გამგზავრება თქვენთვის აუცილებელი არ არის. ქალბატონებისათვის ხასიათზე მოსასვლელად სრულიად საკმარისია გარდერობის განახლება, ვარცხნილობის შეცვლა ან განსხვავებული ფერის პომადის შეძენა. მამაკაცები კი ამას მეგობრების კომპანიაში გატარებული ხალისიანი საღამოთი მიაღწევენ.

## თქვენი ბედნიერი ციფრია — 3

ცხოვრების სტილის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ასად გაჭრას ლამობთ. ყველაფრის პასუხისმგებლობას, რაც შინ, გარეთ თუ სამსახურში ხდება, საკუთარ თავზე იღებთ. თვითგვემა — თქვენთვის ჩვეული მდგომარეობაა. ყოველთვის იმის მიზეზის ძიებაში ხართ, თუ რატომ მოხდა ყოველივე ასე და არა — სხვაგვარად. წარ-

სულში მომხდარ ამა თუ იმ სიტუაციას ასჯერ მაინც აანალიზებთ და ყველაფერში დამნაშავედ საკუთარ თავს მიიჩნევთ.

გამუდმებით განტევების ვაცის როლში ყოფნა, არაფერს გარგებთ. ისწავლეთ მოდუნება. არომატული აბაზანის მიღება, შესანიშნავი შედეგს გამოიღებს. ამ გზით, დროებით მაინც დააღწევთ თავს იმაზე ფიქრს, თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, ყოველივე ასე კი არა, სხვაგვარად რომ მომხდარიყო...

უსიამოვნო ფიქრებისთვის თავის დასაღწევად და სტრესისა და მღელვარების მოსახსნელად, თქვენთვის ასევე შესანიშნავი საშუალებაა – შხაპის მიღება. შხაპის მიღების შემდეგ, წამოწექით დივანზე, წაიკითხეთ წიგნი – უმჯობესია, მსუბუქი რომანი ან დეტექტივი; წამოწოლისას ისწავლეთ მოდუნება და ის, რომ ამ მოკლე დროის მანძილზე მაინც არაფერზე იფიქროთ. მართალია, თქვენთვის ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ გვერწმუნეთ – სრულიად შესაძლებელი.

## თქვენი ბედნიერი ციფრია – 4

თქვენი ცხოვრება ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯააწყვეთ, საკუთარი სამყაროც შეიქმენით და იმდენად უფრთხილდებით ამ სამყაროს, რომ როცა იქ რამე ისე არ არის, როგორც თქვენ გსურთ, მაშინვე თავგზა გებნევათ და საშინელ ხასიათზე დგებით. ძალზე ღიზიანდებით, როცა თქვენთვის ჩვეულ ცხოვრების აქტიურ ფაზას, მოულოდნელად პასიური ფაზა ენაცვლება. გირჩევთ, როგორც კი სიზარმაცე დაგრევთ ხელს, მთელი ძალები მის დასაძლევად მიმართოთ. ასეთ დროს, სპორტი თქვენი ხსნაა: დაკავდით ცურვით, სირბილით, ველოსიპედით გასეირნებით; დაიხარჯეთ ბოლომდე, რამეთუ ფიზიკური დაღლილობა თქვენთვის გამოსავალია. აქტიური სპორტული ცხოვრების დაწყებიდან მოკლე ხანში შეამჩნევთ, რომ სიზარმაცის დაძლევა შეძელით.

## თქვენი ბედნიერი ციფრია – 5

დამყოლი ხასიათი და ხათრიანობა საკმაოდ კარგია, მაგრამ თქვენ ძალზე ხშირად მიდიხართ დათმობებზე და საკუთარ ინტერესებს თითქმის ყოველთვის უკანა პლანზე სწევთ. ეს იმდენად შესამჩნევია, რომ არცთუ იშვიათად ირგვლივმყოფებიც აღარ გიწევენ ანგარიშს და საერთოდ უგულებელყოფენ თქვენს ინტერესებს. ასე თუ გააგრძელებთ, ეს სიკეთეს ნამდვილად არ მოგიტანთ.

როცა რაიმის გაკეთების სურვილს გამოთქვამთ, ყოველთვის გაღელვებთ ის, ამით ახლობლებს ხომ არ გაანაწყენებთ. ათასში ერთხელ კი, თუ რაიმე სურვილი აისრულეთ, გულს იხეთქავთ იმაზე ნერვიულობით, ზედმეტი ხომ არ მოგივიდათ და ვინმე ხომ არ შეაწუხეთ.

კმარა! შეჩერდით! დროა საკუთარ თავზეც იფიქროთ. თქვენი ინტერესები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც სხვების. გააკეთეთ ისეთი რამ, რაც დიდი ხანია გსურთ და გაახარეთ საკუთარი თავი. ბოლოს და ბოლოს, ცოტა მაინც გაჭირვეულდით! თქვენც და თქვენს ირგვლივმყოფებსაც ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებათ.

## თქვენი ბედნიერი ციფრია – 6

ოცნებობთ იმაზე, რომ ყველაფერი წუნდაუდებლად და ბრწყინავლედ იყოს, თანაც ყოველივე პირველივე ცდაზე შესანიშნავად გამოგივიდეთ. თქვენ ირგვლივ ყველასა და ყველაფრის შეცვლა გინდათ. ბუნებრივია, ძალზე ღიზიანდებით, როცა ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც თავად გსურთ. პუნქტუალურობითაც ზედმიწევნით გამოირჩევით და სხვების არაპუნქტუალურობა ძალზე მოქმედებს თქვენს ნერვებზე.

დაანებეთ თავი სამყაროს გარდაქმნის მცდელობას. ის მაინც ისეთად დარჩება, როგორიც არის. ტყუილად ნუ ნერვიულობთ და ნუ ღიზიანდებით, ამით მაინც ვერაფერს მიაღწევთ, ნერვულ სისტემას და ხასიათს კი, ნამდვილად გაიფუჭებთ.

მთელ სამყაროზე ნერვიულობას, გირჩევნიათ, გარემო გამოიცვალოთ და ამით გული გადააყოლოთ. გაისეირნეთ ბუნების წიაღში, დაკავდით თქვენი ჰობით: თქვენი ტიპის ადამიანებს ხომ ჰობი აუცილებლად აქვთ.

## თქვენი ბედნიერი რიცხვია – 7

მარტო ყოფნა ხანდახან ძალიან გსიამოვნებთ. სამაგიეროდ, არ გიყვართ საკუთარი პრობლემებისა და სირთულეების ვინმესთვის გაზიარება: ოღონდ ამას იმიტომ კი არ აკეთებთ, რომ ფიქრობთ, თითქოს შექმნილ სიტუაციას ყველაზე უკეთ თავადვე გაუმკლავდებით, უბრალოდ მიგაჩნიათ, რომ მაინც ვერავინ გაგიგებთ. რატომღაც დარწმუნებული ხართ იმაში, რომ სირთულეები მხოლოდ თქვენ გექმნებათ, სხვებს კი პრობლემები საერთოდ არა აქვთ ან თუ აქვთ, ნაკლებსერიოზული და ნაკლებმნიშვნელოვანი, ვიდრე თქვენ. ზოგჯერ ისიც კი გეჩვენებათ, რომ ამ ცხოვრებაში ყველაზე მეტად თქვენ არ გიმართლებთ.

გაითვალისწინეთ, პრობლემები და სირთულეები ყველას აქვს და არ ღირს იმაზე ფიქრი, რომ უსიამოვნებები მხოლოდ თქვენ გატყდებათ თავს. ასე ხომ საერთოდ დაკარგავთ საკუთარი თავის რწმენას.

თქვენი ნატურის ადამიანისათვის მოდუნების საუკეთესო საშუალებაა – არომატული სანთლების ანთება და ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში წყნარი მუსიკის მოსმენა. სხვათა შორის, გაითვალისწინეთ ისიც, რომ იოგას ვარჯიშები სასურველ შედეგს მოგიტანთ.

## თქვენი ბედნიერი ციფრია – 8

წინდახედულობითა და ლოგიკური აზროვნებით გამოირჩევით. რთული სიტუაციიდან გამოსავალს თითქმის ყოველთვის პოულობთ. ამიტომ, ნაცნობ-მეგობრები რჩევისა თუ დახმარების სათხოვნელად ხშირად მოგმართავენ: თქვენ კი, მათი პრობლემების გადასაჭრელად ყოველთვის საუკეთესო გზას პოულობთ.

ოღონდ, ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ სხვების პრობლემების გადაჭრას ეხება. რაც შეეხება თქვენს საკუთარ პრობლემებს, მათი გადაჭრისას, საღი აზრი ყოველთვის გღალატობთ ხოლმე. საკუთარი თავისთვის ლოგიკური და სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რატომღაც გიჭირთ. ამის გამო ნერვიულობთ, ღიზიანდებით და რთულ სიტუაციაში კიდევ უფრო მეტ შეცდომას უშვებთ. შემდეგ კი თქვენს საქციელს ნანობთ და ძალზე განიცდით.

აუცილებლად უნდა ირწმუნოთ საკუთარი თავის და რაც მთავარია, თქვენს შემთხვევას სხვისი თვალით უნდა შეხედოთ – სულ ტყუილად გგონიათ, რომ თქვენ წინაშე წარმოქმნილი პრობლემები ყველაზე რთული და გადაუჭრელია. თქვენ ისეთივე პრობლემები გაქვთ, როგორიც სხვებს, – არც უფრო რთული და არც უფრო იოლი.

თქვენი ტიპის ადამიანისათვის მოდუნების საუკეთესო საშუალება იუმორისტული ლიტერატურის კითხვაა.

## თქვენი ბედნიერი ციფრია – 9

მზრუნველობითა და თანაგრძნობის უნარით გამორჩეული ადამიანი ხართ. უამრავი მეგობარი გყავთ და მათი ბედი გამუდმებით გაღელვებთ. ყოველი მათგანის პრობლემა მეტისმეტად ახლოს მიგაქვთ გულთან. ყოველთვის იმის განცდაში ხართ, თუ როგორ არიან თქვენი მეგობარ-ახლობლები და რამე ხომ არ უჭირთ.

გეთანხმებით, თანაგრძნობის უნარი კარგი რამაა, მაგრამ ზომიერების გრძნობამ არ უნდა გიღალატოთ. გამუდმებით სხვებზე ნერვიულობთ, ამის გამო კი ძალზე ცუდად გძინავთ, თუ გძინავთ, მაშინაც მოუსვენრად ხართ და ძილში კრთებით ხოლმე.

ნუ დაიტანჯავთ თავს მთელ სამყაროზე ზრუნვით. ისწავლეთ დასვენება. ამას კი, ყველაზე უკეთ კარგ სპექტაკლზე დასწრებით ან რომანტიკული ვახშმის შინ მოწყობით მოახერხებთ. ცოტათი მაინც თუ გეხერხებათ ხატვა, აუცილებლად განივითარეთ ეს ნიჭი, რამეთუ ხატვისას შესანიშნავად მოახერხებთ დაკარგული სულიერი სიმშვიდისა და წონასწორობის აღდგენას.

■

# სამკურნალო მცენარეები

*რუბრიკას უძღვება ექიმი*
*თამარ მამაცაშვილი*

## კოწახური

კოწახური 1,5-2 მ სიმაღლის ბუჩქია. მედიცინაში ძირითადად, მის ფესვებს და ფოთლებს იყენებენ. მცენარე მდიდარია ალკალოიდებით და სხვა ბიოაქტიური ნივთიერებებით.

კოწახურის პრეპარატები გამოიყენება, როგორც ნაღვლმდენი საშუალება ჰეპატიტების (ღვიძლის ანთების), ჰეპატოქოლეცისტიტის, სანაღვლე გზების დისკინეზიის და ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გინეკოლოგიურ პრაქტიკაში კოწახურის ნაყენს ნიშნავენ ატონიური სისხლდენებისას მშობიარობის შემდგომ პერიოდში, ანთებით პროცესებთან დაკავშირებული სისხლდენის დროს. აგრეთვე ენდომეტრიოზის დროს.

ქოლეცისტიტის გაურთულებელი ფორმის დროს, კოწახურის ნაყენი ხსნის ტკივილს მარჯვენა ფერდქვეშა არეში და დისპეფსიურ მოვლენებს (მონელების დარღვევას), აწესრიგებს კუჭის მოქმედებას და სხეულის ტემპერატურას, ამცირებს შეგუბებით მოვლენებს ნაღვლის ბუშტში. ბილირუბინის კონცენტრაცია ნაღველში მცირდება. კოწახურით მკურნალობისას ავადმყოფებს გვერდითი მოვლენები არ აღენიშნებათ.

კარგ შედეგებს იძლევა აგრეთვე კოწახურის გამოყენება მეორადი ჰეპატიტით გართულებული ქრონიკული ქოლეცისტიტის დროს: უმჯობესდება ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობა, მცირდება ლეიკოციტების რაოდენობა ნაღველში, ასევე – ღვიძლის ზომები და ტკივილის შეგრძნება ქრება. თუმცა ციროზის დროს კოწახური უეფექტოა.



არსებობს კოწახურისგან მომზადებული მზა პრეპარატები: კოწახურის ფოთლების სპირტიანი ნაყენი, რომელიც ინიშნება 30-40 წვეთი 3-ჯერ დღეში 2 კვირის განმავლობაში და ბერბერინის ბისულფატი (0,005 გ-იანი აბები), რომელიც უნდა მიიღოთ თითო აბი 2-3-ჯერ დღეში, 2-3 კვირის განმავლობაში.

კოწახურის ფოთლების ნაყენის მომზადება თავადაც შეგიძლიათ: 10 გ (1 ს/კ) დაქუცმაცებული ფოთლები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 20 მლ ანადუღარი ცხელი წყალი, დაახურეთ თავსახური და მდუღარე წყლის ორთქლზე შედგით 15 წთ. შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ 45 წთ-ის განმავლობაში, გადაწურეთ და მიღებული ნაყენი 200 მლ-მდე შეავსეთ მდუღარე წყლით. ნაყენი ინახება გრილ ადგილას, არა უმეტეს 2 დღისა.

მიიღეთ თითო ს/კ 3-4-ჯერ დღეში, როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს. ■


ზურგის ტკივილი პრობლემა აღარ არის!

მიდოკალმი

ტოლპერიზონის ჰიდროქლორიდი

ტანადი, წელში გამართული, ლაღი, მხიარული... რა იშვიათობა გახდა ყველა ამ თვისებით შემკული ადამიანის ნახვა დღევანდელობაში. თანამედროვე სამყაროს სწრაფვა ტექნიკური პროგრესისაკენ ბევრ დადებითთან ერთად, ხშირად წარმოქმნის მოულოდნელ პრობლემას, რომელიც უფრო მძაფრდება თუკი იგი ჯანმრთელობას ეხება.

საქმიანობის სხვადასხვა სახეობიდან გამომდინარე ადამიანებს ხშირად გვიწევს ხანგრძლივი დროით ერთსა და იმავე მდგომარეობაში იძულებით ყოფნა (კომპიუტერთან, საჭესთან ჯდომა), კუნთური გადატვირთვა (მკაცრი სპორტული რეჟიმი, სიმძიმის აწევა) და კიდევ სხვა მრავალი. მოულოდნელად ჩნდება ტკივილის შეგრძნება ზურგის არეში, რომელიც დროთა განმავლობაში ძლიერდება. უამრავი რაოდენობით მიღებული ტკივილგამაყუჩებელი აბების მიუხედავად, რომლებიც დროებით ხსნიან ტკივილს კუნთების, სახსრებისა და ხერხემლის არეში, ვერ კურნავენ დაავადების ძირითად მიზეზს-კუნთურ სპაზმს, დამატებით კი იწვევენ საკმაოდ მძიმე გვერდით ეფექტებს, რომელთა შორის ყველაზე მეტი სერიოზულობით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის წყლულოვანი დაავადებები გამოირჩევიან.

***სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის 60% პერიოდულად (1-5-ჯერ წელიწადში) განიცდის ზურგის ტკივილს და ეს პათოლოგია არის მიზეზი ინვალიდიზაციის შემთხვევათა 40%-ისა.***

სწორად და დროულად შერჩეული მკურნალობა კუნთების, სახსრებისა და ზურგის ტკივილების დროს აგვაცილებს დაავადების პროგრესირებას, დაგვიბრუნებს ბრწყინვალე გუნებაგანწყობილებასა და შრომისუნარიანობას.

სერტიფიცირებულია

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა ხანგრძლივმა ფართომასშტაბურმა კვლევებმა პრეპარატ ***მიდოკალმზე*** (ცენტრალური მიორელაქსანტი) დაადასტურა მისი მაღალი ეფექტურობა და უსაფრთხოება კუნთების, სახსრებისა და ზურგის ტკივილების მკურნალობაში.

***მიდოკალმი***, რომელიც გამოდის როგორც ტაბლეტირებული (50მგ, 150მგ), ასევე ამპულირებული (100მგ/1მლ) ფორმით, ***ახდენს ზურგის კუნთებში, სახსრებსა და ხერხემლის იოგებში პათოლოგიურად მომატებული დაჭიმულობის შემცირებას და ფიზიოლოგიური ტონუსის შენარჩუნებას, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება ტკივილის გაქრობა, ვინაიდან აღმოიფხვრება დაავადების ძირითადი მიზეზი – კუნთური სპაზმი.***

***მიდოკალმი***, ანალოგიური პრეპარატებისაგან განსხვავებით, არ ახდენს საძილე მოქმედებას, რის გამოც მკურნალობის პერიოდში თავისუფლად შეიძლება ავტომობილის მართვა და რთული, საპასუხისმგებლო მოქმედებების შესრულება. ასევე პრაქტიკულად არ იწვევს გვერდით ეფექტებს და მისი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივად ყველა ასაკობრივი ჯგუფში, დაწყებული 1 წლის ასაკის ბავშვებიდან, დამთავრებული ხანდაზმული პაციენტებით.

უნგრული ფარმაცევტული კომპანია
„გედეონ რიხტერი“

წარმომადგენლობა საქართველოში. ☎ 943099 371100
იკითხეთ P.S.P.-ს აფთიაქებში. ☎ 385040; 952297; 951800; 379079

# რატომ ვიღლებით

***გაზაფხულობით დაღლილობის შეგრძნებას ხშირად ავიტამინოზს მივაწერთ ხოლმე. თუმცა ნევროლოგთა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ 5-დან 4 შემთხვევაში მას სრულიად განსხვავებული მიზეზი აქვს.***

## რეაქცია არახელსაყრელ ამინდზე

მაგნიტური ქარიშხლები, ძლიერი ქარი, ატმოსფერული წნევის ცვალებადობა, უეცარი დათბობა და აცივება, ფიტავს ნერვულ სისტემას და მოთენთილობასა და სისუსტეს იწვევს.

## მკაცრი დიეტა

დაბალკალორიული დიეტა სტრესული ფაქტორია ორგანიზმისთვის. განსაკუთრებით მავნეა ერთკომპონენტიანი (ერთი სახის საკვების შემცველი) დიეტა. იგი ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმს საჭირო ნივთიერებებით და ნივთიერებათა ცვლის პროცესების შენელებას იწვევს. გარდა ამისა, ცხიმთან ერთად თქვენ კარგავთ კუნთოვან მასასაც და მაშასადამე, სუსტდებით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით).

ამიტომ დიეტაზე ყოფნისას აუცილებლად დაიცავით დიეტოლოგების მიერ დადგენილი საკვები ნივთიერებების კვოტა: 60% ნახშირწყლები, 24% ცხიმები და 16% ცილები. ძირითადად საკვებად გამოიყენეთ ცოცხალი ხილი და მიიღეთ პოლივიტამინებისა და მინერალების კომპლექსი.

## მსუბუქი საუზმე

ერთი ფინჯანი ყავა ან ერთი ჭიქა უცხიმო მაწონი ვერ უზრუნველგყოფთ სრულფასოვანი ენერგიით. თქვენ ცხიმებს თავს არიდებთ, რომ არ გასუქდეთ, მაგრამ ორგანიზმს ხომ „საწვავი“ სჭირდება? ყველაზე ადვილად ცხიმები იწვება, მათი დეფიციტისას ორგანიზმი შაქარსა და ფრუქტოზაზე გადადის, ბოლოს კი, რთულ ნახშირწყლებსა და ცილებსაც იყენებს. უცხიმო პროდუქტებით კვებისას უახლოეს საათებში ძალების დაქვეითება გემუქრებათ.



## ტკბილეული მშიერ კუჭზე



შიმშილთან ტკბილეულით ბრძოლა საუკეთესო გამოსავალი როდია. შაქრის დონის მკვეთრი ზრდა სისხლში, კუჭქვეშა ჯირკვალს აიძულებს, აქტიურად გამოიმუშაოს ინსულინი, რომელიც მალევე ახდენს კანფეტიდან მიღებული შაქრების უტილიზებას და რადგანაც საკვები ნივთიერებების შემდგომი მიღება აღარ ხდება, სისხლში გლუკოზის შემცველობა ნორმით დასაშვებ ქვედა ზღვარზე მეტად ქვეითდება. შედეგად კი, 20-30 წუთში ძლიერი სისუსტე და თავბრუსხვევა ვითარდება.

გირჩევთ, თუ ძალიან გშიათ და სადილობის საშუალება არ გაქვთ, ტკბილეულის ნაცვლად ვაშლი, ბანანი ან ფორთოხალი მიირთვათ. ისინი მარტივ შაქრებთან ერთად რთულ ნივთიერებებსაც შეიცავს და შედეგად სისხლში შაქრის დონე 1-1,5 საათის განმავლობაში ოპტიმალურია.

## სისხლის შეგუბება ფეხების ვენებში

თუ მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დგომა გიწევთ, ფეხის ვენები ფეთქვას იწყებს და კიდევ უფრო აძლიერებს დაღლილობის შეგრძნებას. ასეთი დროს:

- ფეხებზე გაიკეთეთ თბილი აბაზანა ზღვის ან სუფრისმარილიანი წყალხსნარით.
- ატარეთ მოსახერხებელი, დაბალქუსლიანი (3-4 სმ-იანი) ფეხსაცმელი – ასე ფეხები 2-ჯერ უფრო ნაკლებად დაგეღლებათ.
- ოთხზე დგომა მცირე ხნით უკეთ განტვირთავს ფეხის ვენებს, ვიდრე ზურგზე წოლა და ფეხების მაღლა შემოლაგება.

## მენსტრუაციის წინა სინდრომი

ასთენია და შრომისუნარიანობის დაქვეითება ციკლის ბოლო დღეებში ჰორმონული ცვლილებებითაა გამოწვეული. ქსოვილებში შეკავდება სითხე და ძნელდება ვენური სისტემის მუშაობა. ეს რომ არ მოხდეს, კრიტიკულ დღეებამდე ერთი კვირით ადრე მიიღეთ მცენარეული ნაყენი: ერთმანეთს შეურიეთ კატაბალახას ძირები, სვიის გირჩები და პიტნის ფოთლები (1:1:2); ნარევის 2 ს/კ-ს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი, აურიეთ და დააყოვნეთ 1 სთ-ით, შემდეგ გადაწურეთ და სვით 1/2 ჭიქა, დილას და საღამოს.

## ჭარბი წონა

ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანახმად, სხეულის ჭარბი წონა (მით უმეტეს, სწრაფად მომატებული) ასთენიას იწვევს. ღიპის გამო მსუქან ადამიანებს წანაცვლებული აქვთ სიმძიმის ცენტრი და დარღვეულია ტანადობა, ამიტომ ისინი ადვილად იღლებიან.

## რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთების ჩვევა

ეს საკმაოდ ღლის ნერვულ სისტემას, მამაკაცებში უფრო მეტად, ვიდრე ქალებში. სპეციალისტები არ გირჩევენ ერთდროულად წიგნის კითხვასა და ფეხბურთის მატჩისთვის თვალის დევნებას, საბუთების გადახედვასა და საუბარს, ტელეფონზე საუბარსა და ტელევიზორის ყურებას...

ფსიქოლოგების აზრით, ბევრმა ადამიანმა არ იცის, რით დაიწყოს. როცა ბევრი საქმე გაქვთ, უნდა ჩამოწეროთ მათი ჩამონათვალი და შესრულებული გადახაზოთ. ეს სიმხნევეს შეგინარჩუნებთ.

## მუქი ტანსაცმელი

დღეს მოდაშია შავი ფერის ტანსაცმელი, რომელიც მართალია, ქალებს ტანს ულამაზებს, მაგრამ სიმხნევეს არ მატებს.

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი
## (31 მაისი-6 ივნისი)

### ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: რაც დაგეგმილი გქონდათ, თითქმის ყველაფრის გაკეთებას მოახერხებთ. ორშაბათს გამორიცხული არ არის კონკურენტებთან კამათი. კვირის შუალედი საკმაოდ პოზიტიურია რომანტიკული ურთიერთობებისთვის.

მამაკაცი: მოსალოდნელია მსხვილი შენაძენები და სასარგებლო ურთიერთობები. კვირის დასაწყისში დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ რაიმე ღონისძიებაზე დასწრება.

### კურო – 21/IV-21/V

ქალი: ორშაბათს ზოგიერთ კუროს სასიამოვნო სიახლე ელის, სხვებს კი – წარმატებული შენაძენი. ოთხშაბათს თქვენი მეუღლე ან შეყვარებული თქვენს ნებისმიერ სურვილს შეასრულებს. კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად.

მამაკაცი: განსაკუთრებული ყურადღება მიანიჭეთ ნებისმიერი საქმის ფინანსურ მხარეს. კვირის პირველ ნახევარში ვალების დაბრუნებას მოახერხებთ. ხუთშაბათი მათთვის არის იღბლიანი, ვინც დამოუკიდებლობას ესწრაფვის.

### მარჩბივი – 22/V-21/VI

ქალი: უახლოეს დღეებში შეიძლება მოგზაურობის, სახლის შეძენის, მხიარულად გართობის დაგეგმვა. კვირის დასაწყისში გართულებული იქნება პროფესიული მოღვაწეობა. ხუთშაბათს კონფლიქტურ სიტუაციებს ერიდეთ.

მამაკაცი: დადგა დრო, გააანალიზოთ, რამდენად საფუძვლიანია ის მოთხოვნები, რომლებსაც საკუთარ თავს და გარშემომყოფებს უყენებთ. გამორიცხული არ არის, ოთხშაბათს სიმამაცე მოიკრიბოთ და ყველაფერი თქვათ, რასაც ფიქრობთ. ეს სარგებელს მოგიტანთ.

### კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ეს კვირა რაც შეიძლება მშვიდად გაატარეთ. ოთხშაბათს ხელმძღვანელობის მხრიდან ზეწოლისთვის მოემზადეთ. პარასკევს არანაირი კარდინალური ნაბიჯი არ გადადგათ, მნიშვნელოვანი საქმეები შაბათს წამოიწყეთ.

მამაკაცი: მლიქვნელობაზე ნუ რეაგირებთ, ჯობია, გააანალიზოთ, რა დგას მის უკან. მოერიდეთ კონფლიქტებს, პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზები ეძიეთ და ასეთ შემთხვევაში, საკმაოდ დაძაბული პარასკევის სიმძიმეც შემცირდება.

### ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: მეტად პოზიტიური გარემო იქმნება, მაგრამ ადვილად უნდა შეძლოთ ორიენტირება. უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. კვირის შუა რიცხვებში მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ელოდეთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში ახლობელმა ადამიანმა შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ. ამ პერიოდში ნაკლებად სასურველია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. უმჯობესია, ეს დრო გართობას დაუთმოთ.

### ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ორშაბათიდან ოთხშაბათამდე წინა პლანზე გადმოიწევს ოჯახური პრობლემები, ზოგიერთი ქალწული საცხოვრებელ სახლს შეიცვლის. პარასკევი-შაბათი წარმატებულია მნიშვნელოვანი შენაძენებისთვის. ეს დრო რომანტიკული ურთიერთობების გასაუმჯობესებლადაც გამოიყენეთ.

მამაკაცი: ორშაბათის ინფორმაცია მეტად გაგახარებთ: შეიძლება სამსახურში დაწინაურების ამბავი გაიგოთ. კვირის შუალედში ჩვეულებრივზე მეტი საქმე გექნებათ, სამაგიეროდ, შაბათ-კვირას სურვილისამებრ დაისვენებთ.

### სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: კვირის პირველი ნახევარი მოვლენებით, საქმიანი და პირადი ურთიერთობებით იქნება დატვირთული. შაბათ-კვირას ნუ დაგეგმავთ შეხვედრებს, ჯობია, გამოიძინოთ და მომავალი დაძაბული კვირისთვის შეემზადოთ.

მამაკაცი: კარგი პერიოდია საქმიანი გადაწყვეტილებების მისაღებად და ჩინოსნებთან ურთიერთობისთვის. პარასკევს წარმატებულად გადაწყდება ოჯახური პრობლემები.

### ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ამ კვირაში დადებითად გადაწყდება განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. კარგი პერიოდია გამოცდების ჩასაბარებლად. პარასკევი შეიძლება იქცეს სასიყვარულო ურთიერთობების გამოცდის დღედ.

მამაკაცი: პარასკევს არასწორ ინფორმაციას მიიღებთ და ეცადეთ, შეცდომაში არ შეგიყვანონ. მარტოხელა ღრიანკალები მღელვარე რომანტიკულ ურთიერთობებში ჩაერთვებიან.

### მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: გარშემომყოფები თქვენდამი დადებითად არიან განწყობილნი და თუ ამას გამოიყენებთ, საქმეებშიც გაგიმართლებთ და პირად პრობლემებსაც გადაწყვეტთ. უქმე დღეები მაქსიმალურად გამოიყენეთ დასვენებისთვის. განსაკუთრებით კარგი იქნება ბუნებაში გასვლა.

მამაკაცი: ინტერესების ხშირი ცვლა და მეტისმეტი დამოუკიდებლობა მიზნების მიღწევაში შეგიშლით ხელს. კვირის პირველ ნახევარში კარგია სტუმრების მიღება. არ არის გამორიცხული, რომ შაბათს მუშაობა მოგიწიოთ.

### თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ნაკლებად დაუგდეთ ყური სხვის აზრებს, ჯობია, ინტუიციას ენდოთ. ეცადეთ, ჯანმრთელობას მიხედოთ. ეცადეთ, თავდაჯერებული იყოთ და მეტი სითამამე გამოიჩინოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას.

მამაკაცი: მეგობრებისგან საინტერესო წინადადებას მიიღებთ. თუმცა უარის თქმა მოგიწევთ – ამჟამად არ არის სასურველი ცვლილებები. დინებას მიჰყევით, გამოცდილება და ცოდნა შეიძინეთ. კვირის ბოლოს პირადული სასიამოვნო სიახლეები გელით.

### მერწყული – 21/I-19/II

ქალი: მშვიდი დღეებია, თუმცა არ არის გამორიცხული სიურპრიზები. კვირის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვებისადმი. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ.

მამაკაცი: ახალ პროექტზე მუშაობას დაიწყებთ. ენერგიული მოქმედებები კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ. კვირის შუალედში ძველ საქმიან ურთიერთობებს ან პირად კავშირებს აღადგენთ.

### თევზები – 20/II-20/III

ქალი: არაორდინარულ ადამიანთან შეხვედრა ან საინტერესო ლექციაზე დასწრება გარკვეულწილად შეცვლის თქვენს შეხედულებებს ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე. ოთხშაბათს მცირე ოდენობის თანხით შეივსება თქვენი ბიუჯეტი.

მამაკაცი: ნუ გააკრიტიკებთ ხელმძღვანელებს. თქვენ შეიძლება არასწორად გაგიგონ, რაც ცუდად აისახება თქვენს რეპუტაციაზე. კვირის პირველ ნახევარში მეგობრების რჩევებს მიენდვეთ.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ოფიციალურ შეხვედრებზე, სადაც მუქი ტანსაცმლის ჩაცმაა მიღებული, ადამიანები 2-ჯერ უფრო სწრაფად იღლებიან, ვიდრე არაოფიციალურ საღამოებზე.

თუ გრძნობთ, რომ ძალა გამოცლილი გაქვთ, ჩაიცვით წითელი ტანსაცმელი – იგი ენერგიით აგავსებთ.

## სიგარეტი

ნიკოტინი სისხლძარღვებს ავიწროებს და ქსოვილთა ჟანგბადოვან შიმშილს იწვევს. შედეგი კი დაღლილობაა. ზოგი სპეციალისტი საერთოდ უარს ამბობს დღალილობისგან მწეველთა მკურნალობაზე.

## მძღოლთა დაღლილობა

უხერხულ პოზაში ჯდომა, მხედველობითი და ნერვული დაძაბულობა, მონოტონური მოქმედებები, საკმაოდ დამღლელია. მძღოლთა დაღლილობის ნიშნებია: უხალისო გამოხედვა, ერთი წერტილისთვის თვალის გაშტერება, შენელებული რეაქცია, დაბნეულობა, გულმავიწყობა, პასიური მოძრაობები.

## კომპიუტერთან მუშაობა

ერთგვაროვანი გამოსახულება, მონიტორის ციმციმი და მანათობელი ნიშნების პულსაცია, ღლის ადამიანს. რამდენიმე საათში დაღლილობა მთელ ორგანიზმს მოიცავს, იწვევს თავის ტკივილს, უმადობას და სხვა უსიამოვნო შეგრძნებებს.

მხედველობის დაღლილობისას საუკეთესო საშუალება თბილი კომპრესია. დაასველეთ ბამბის 2 ტამპონი ცხელ წყალში და დაიფინეთ ქუთუთოებზე 10-20 წთ-ით (გაგრილების შემდეგ ხელახლა დაასველეთ).

## ტელევიზორთან გატარებული საღამო

ტელევიზორის ყურებისას, მხედველობა ასევე ძალიან სწრაფად იღლება და



ვითარდება ნერვული გადაძაბვა, გაღიზიანებულობა, უძილობა.

არასოდეს უყუროთ ტელევიზორს დამატებითი განათების გარეშე. დროდადრო გამორთეთ ტელევიზორი და ცოტა ხნით გაიხედეთ ფანჯარაში ან სულაც 10-წუთიანი გასეირნება მოიწყვეთ.

■

# სამედიცინო მოზაიკა

## დეზოდორანტები ჯანმრთელობისთვის საშიშია

კოსმეტიკურ საშუალებებში (კერძოდ, დეზოდორანტებში) გამოყენებულმა ქიმიკატებმა შესაძლოა, სარძევე ჯირკვლების კიბოთი ავადობის რისკი გაზარდოს. ბრიტანეთის, სიდინგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სიმსივნურ ქსოვილში აღმოაჩინეს პარაბენების სახელწოდებით ცნობილი ნივთიერებების ჯგუფი. მეცნიერებმა შეამოწმეს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია კოსმეტიკური საშუალებების ცალკეულ კომპონენტებს კიბოს პროვოცირება. მათ შეისწავლეს სიმსივნის 20 სხვადასხვა ნიმუში და დაასკვნეს, რომ მათში გარკვეული რაოდენობით მართლაც გროვდება პარაბენები, თანაც ისინი წარმოდგენილი იყო ისეთი ფორმით, როგორიც მხოლოდ კანიდან მოხვედრის შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. პარაბენები მოქმედებით ქალის სასქესო ჰორმონებს ჰგავს და შეუძლიათ დააჩქარონ სიმსივნის ზრდა. თუმცა, მეცნიერთა აზრით, დეზოდორანტების საშიშროების შესახებ დასკვნის გაკეთებამდე ჯერ კიდევ დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

## სკლეროზის საწინააღმდეგო სათვალე

შექმნილია სათვალე, რომელიც არა მხოლოდ მხედველობას, არამედ მეხსიერებასაც აუმჯობესებს. მასაჩუსეტსის შტატის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ორიგინალურმა გამოგონებამ შეიძლება შეცვალოს ისეთ დაავადებათა მკურნალობისადმი მიდგომა, როგორებიცაა: კატარაქტა, მეხსიერების დაქვეითება და ალცჰაიმერის დაავადებაც კი, ადრეულ სტადიაში. ტექნოლოგიის ძირითადი იდეა პაციენტის მეხსიერების სტიმულირებაა: სიტყვის ან ინფორმაციის დასამახსოვრებლად საჭირო მონაცემები შეჰყავთ სათვალეზე დამონტაჟებულ მინიატურულ კომპიუტერში. სპეციალური მოწყობილობა ამ შეტყობინებას სხივური იმპულსების სახით მიაწვდის მინიდისპლეის, იმპულსების სიხშირე შეადგენს 0,006 წამს: ამ დროს არც თვალი და არც ტვინი ცნობიერების დონეზე არ აფიქსირებს მიღებულ სიგნალებს. კლინიკურმა ცდებმა აჩვენა, რომ სათვალის ხმარებისას პაციენტებს აღენიშნებათ მეხსიერების 50%-ით გაუმჯობესება და არ გრძნობენ არავითარ უხერხულობას.

## შვედმა მეცნიერებმა ადამიანს ხელოვნური სისხლი გადაუსხეს

ნამდვილი სისხლისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ 42 დღე ძლებს, ხელოვნური სისხლის ფხვნილი რამდენიმე წელი ინახება. საჭიროების შემთხვევაში, ის თხევად მდგომარეობაში გადაჰყავთ და დაუყოვნებლივ იყენებენ. მისი ყველაზე დიდი ღირსება კი ის არის, რომ ყველა ჯგუფის სისხლს მიესადაგება. სინთეტიკური სისხლი ბუნებრივზე უკეთ უწყობს ხელს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის რეგულირებას.

ფხვნილის შესაქმნელად მეცნიერებმა ადამიანის სისხლის სხეულაკები გამოიყენეს, თუმცა, ხელოვნური შემცველის წარმოება სავსებით შესაძლებელია ძუძუმწოვრების, მაგალითად, ძროხის სისხლისგანაც.

## შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკა

ამერიკელმა მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ პროდუქტი, რომელიც დიდი რაოდენობით მაგნიუმს შეიცავს, შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკას ახდენს. ასეთი საკვები გახლავთ ნუში, ნიგოზი, წიწიბურა, ქერის ბურღული, გარგარის ჩირი და კომბოსტო. მეცნიერთა დასკვნა ეფუძნება ორი კლინიკური ექსპერიმენტის შედეგებს, რომლებშიც 116 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

■



| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | კ | ა | ქართველი ფეხბურთელი „გლაზგო რეინჯერსში“ | მანკი-ერის თვისება | ბილიარ-დის ჯოხი / ი | კ |
| | | | | | | | ბ | ა | რ | მ | ე | ნ | ი |
| | | | | | | | დახლი-დარი ბარში | ც | ვ | ა | ი | გ | ი |
| | | | | | | | „უცნობი ქალის წერილი“ (მწერალი) | ი | ე | ნ | ნაპოლე-ონის მარშალი | ა | ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლ. |
| | | | | | | | ოთახი გემზე | | ლ | კ | შტატი აშშ-ში | იძულები-თი ყაიმი ჭადრაკში | პ |
| | | | | | | | მეცნი-ერება | კ | ა | ი | უ | ტ | ა |
| გემზე ასასვ-ლელი კიბე | ტ | „ყვარყვარე თუთაბერი“ (დრამა-ტურგი) | კ | ა | კ | ა | ბ | ა | ძ | ე | პავარო-ტის სასიმღე-რო ხმა | ე | ტ |
| უ | რ | გერდას მეგობარი / „ვაზ 2121“ | ა | რ | რომაელი ორატორი და პოლიტ. მოღვაწე | ც | ი | ც | ე | რ | ო | ნ | ი |
| ექსპერიმენტ. მიკრობის ლოგოს შემქმნელი | ა | ნ | ი | ტ | ა | ნ | ო | ს / პატარა ხონჩა | რეზო ჩხეიძის ფილმი „ჩვენი ...“ | ე | ზ | ო | ყვავილი |
| 3,14 | პ | ი | ამერიკელი მომღერა-ლი ... ტერნერი | ი | რ | ა | ლ | ქართული ვალუტა | ამერიკელი „ოსკარ-ოსანი“ მსახიობი | ბ | ე | რ | ი |
| ს | ი | ვ | თ | ლ | ე | ვ | ო | ყ | სამოას დედა-ქალაქი | ა | პ | ი | ა |
| | ჩინური ჭადრაკი | ა | ძველი ქართული წონის ერთეული | დროის ძალიან დიდი პერიოდი | ი | გ | გ | | | | | | |
| გ | ო | ავგუსტ-ბული მიდრეკილება რაინდებში | მ | ტატოს ლექსი | რ | რომან „და-ვით აღმაშ-ენებლის“ პერსონაჟი | ი | | | | | | |
| ა | ი | მ | ე | დ | ა | კ | ა | | | | | | |
| უ | გ | ა | რ | საკვები წვრილად დაჭრილი ხორცისგან | ბურთისებრი ბაქტერია / კ | წარჩინების მოპოვება სამსა-ხურში | ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულ. | | | | | | |
| ს | ე | ნ | ა | დიდი ცხოველის თათი / ტ | ო | რ | ი | | | | | | |
| სენატის წევრი | ბ | ი | ნ | ო | კ | ლ | ი | | | | | | |
| ოპტიკური ხელსაწყო / თეფში | ს | ა | ი | ნ | ი | შეადგინა რამაზ ალანია | | | | | | | |







# გამოჩენილი ადამიანების მოსწრებული გამონათქვამები

### შეფასება

ოპერა „ევგენი ონეგინში“ ონეგინმა დუელში ლენსკი რომ მოკლა, დარბაზში მყოფმა ბიჭუნამ იკითხა:

— დედიკო, ის იმიტომ მოკლეს, რომ ცუდად მღეროდა?

### ურთიერთყურადღება

ალბერტ აინშტაინი სადალაქოში ერთ პატარა ბიჭს შეხვდა, რომელიც ცხარედ ტიროდა.

ფარდობითობის თეორიის შემქმნელმა ალერსით ჰკითხა:

— რატომ ტირი, ჩემო ბიჭუნავ?

— ფული დავკარგე და თმას ველარ გავიკრეჭ.

აინშტაინმა, რომელიც გრძელ თმას ატარებდა, ამოიღო ჯიბიდან მონეტა და გაუწოდა.

ბიჭმა ჯერ ფულს დახედა, მერე პროფესორის გრძელ თმას შეავლო თვალი და მიუგო:

— არა, გმადლობთ, თქვენ გქონდეთ, თქვენ უფრო მეტად გჭირდებათ.

### უფრაკოდ — შესვლა აკრძალულია!

გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური თეორიის ფუძემდებელი მაქს პლანკი ბუდაპეშტში ყოფნისას საზეიმო საღამოზე მიიწვიეს. ეს მეჯლისი უნგრელმა არისტოკრატმა საგანგებოდ მის პატივსაცემად გამართა.

მაქს პლანკს ფრაკი თან არ ჰქონდა და ჩვეულებრივი კოსტიუმით მივიდა. მაგრამ მსახურმა იგი არ შეუშვა.

მაქს პლანკი უსიტყვოდ გამოტრიალდა.

— იმ მსახურის წყალობით, ცოტაოდენი დრო მაინც დამრჩა ბუდაპეშტის დასათვალიერებლად, — იგონებდა ხოლმე შემდეგ დიდი მეცნიერი.

### პატენტი

რობერტ კოხთან ერთი დიდი ფირმის წარმომადგენელი მივიდა და შესთავაზა:

— დიდად პატივცემულო, ბატონო პროფესორო, გვსურს, შევიძინოთ პატენტი თქვენი სხივებისათვის.

— პატენტი რა საჭიროა?! მე სხივები კი არ გამოვიგონე, არამედ აღმოვაჩინე და ისინი ყველას ეკუთვნის, ვისაც კი სჭირდება.

# ანეკდოტები

***

ოსი ვალოდა მისაღებ გამოცდაზეა კონსერვატორიაში:

— ...შებრუნდი. მე კლავიშზე დავარტყამ თითს და შენ გამოიცანი — ეუბნება კონცერტმაისტერი.

ოსი შებრუნდა.

— ძინ! — დაჰკრა კონცერტმაისტერმა თითი კლავიშზე — რომელი იყო?

— ...სენ... იყავი... სენი წილიმე — „მიხვდა“ ოსი.



***

რესტორანში:

— ეგერ რო შავი კაცია, ხომ ხედავ? — ეუბნება ბიჭიკია რაჟიკას.

— კი... მერე?..

— მაგი ზანგია...

— რა იცი?..

— ბუჯო... დააკვირდი აქცენტზე...

***

მძარცველი მთვრალ გამვლელს აჩერებს:

— ან ახლავე 100 ლარი, ან სიცოცხლე!..

— იყოს ძმაო, 100 ლარი... თუ ახლავე მომცემ...



***

— იაპონიაში ქათამს ოთხი კვერცხი დოუდვია ერთად დედა... დედა... დედა! ჩვენთან ერთს ძლივს დობენ, ეს უპატრონოები... დედა... დედა...

— კაი, ქალო, მომასვენე. იაპონიაში ქათამმა კვერცხი დადო და შენ ქუთეისში მიკლებ კაკანით?..

***

გურული და კახელი საუბრობენ:

— მესამე ნამდვილად კაი ცოლი შემხვდა, ძმა... ფოლაქი რო ამწყდა, მაშინვე დამიკერა... შენ რავარი ცოლი შეგხვდა?

— არა უშავ რა... პირველად რო ამწყდა... ჯოო... და არ დამიკერა... ეგრევე გავშხლართე „პოლზე“...

***

— კარლოია... როგორ არის შენი რძალი?

— ქეა ირემივით.

— ბიჭი რავა გყავს?

— არის ტახივით.

— შვილიშვილები?

— მაიმუნობენ უკვე.

— ისევ იქ მუშაობ?

— ჰო რა... ზოოპარკში..

***

— ექიმო, მიშველე, სიდედრი მყავს ძალიან ცუდად.

— რა ჭირს?

— წნევა აქვს მაღალი...

— წურბლები ცადე?..

— არ შველის...

— რამდენი ცადე?

— ორი ძლივს შევაჭამე, მესამეს პირს არ აკარებს...

***

ფსიქიატრიულში ტელეფონი რეკავს. პაციენტმა ყურმილი აიღო:

— ექიმო, ჩემი ქმარი, მგონი, საბოლოოდ გაგიჟდა!

— რაზე ატყობ?

— რაზე ბატონო და სტაფილო გაირჭო ყურში. ერთი საათის მერე ძეხვის ნაჭერი გაიკვეხა მეორე ყურში. წელან კი...

— დაწყნარდით, ყველაფერი გასაგებია. თქვენი ქმარი გიჟი არ არის.

— აბა?

— მეც ეგრე ვიყავი... „პროსტო“ არასწორად იკვებება...



***

— რატომ დააგვიანე სამსახურში? — ეკითხება უფროსი თანაშემწეს.

— თქვენ არ მითხარით, გაზეთები სახლში იკითხეო?

# ხართ თუ არა კეთილი?



***ადამიანები რომ სხვადასხვანაირები არიან, ეს სიახლეს არავისთვის არ წარმოადგენს. ერთნი იმდენად კეთილები არიან, რომ მზად გახლავან პირველსავე შემხვედრს უკანასკნელი ლუკმა გაუყონ, მეორენი კი, იმდენად ძუნწები, რომ ზამთარში თოვლსაც არ გაიმეტებენ ახლობლისთვის. რომელ კატეგორიას განეკუთვნებით თქვენ? ყოველთვის კეთილი და ყურადღებიანი ხართ თუ არა ირგვლივმყოფების მიმართ?***

***თუკი ამ კითხვებზე პასუხი გაინტერესებთ, გულწრფელად უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს და პასუხსაც უსათუოდ მიიღებთ.***

**1) ვთქვათ, რაღაც გარკვეული თანხა გაგიჩნდათ. შეძლებთ თუ არა, ეს თანხა მთლიანად მეგობრებისა და ახლობლებისათვის შეძენილ საჩუქრებში დახარჯოთ?**

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

**2) ვთქვათ, ამხანაგი საკუთარი უსიამოვნებების შესახებ გიყვებათ; აგრძნობინებთ თუ არა მას, რომ მისი პირადი პრობლემები ნაკლებად გაინტერესებთ?**

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

**3) ვთქვათ, თქვენი პარტნიორი ძალზე სუსტად თამაშობს ჭადრაკს. ზოგჯერ მაინც თუ დაუთმობთ პარტიას, რათა ამგვარი საქციელით ასიამოვნოთ მას?**

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

**4) ხშირად ეუბნებით თუ არა ირგვლივმყოფებს ქათინაურებს და სასიამოვნო რამეებს, რათა ამით უბრალოდ ხასიათი გამოუკეთოთ მათ?**

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

**5) გიყვართ თუ არა ბოროტად გახუმრება?**

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

**6) წყენის გულში ჩადება ხომ არ გახასიათებთ?**

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

**7) შეგიძლიათ თუ არა მოთმინებით მოისმინოთ ისეთი რამეც კი, რაც საერთოდ არ გაინტერესებთ?**

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

**8) გაქვთ თუ არა თქვენი ამა თუ იმ ნიჭის პრაქტიკულად გამოყენების უნარი?**

ა) დიახ –0;

ბ) არა – 1.

**9) როცა რაიმეს თამაშობთ და აგებთ, თამაშს თავს ხომ არ ანებებთ?**

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

**10) თუკი საკუთარ სიმართლეში იმდენად დარწმუნებული ხართ, რომ ოდნავადაც არ გეპარებათ ეჭვი, ოპონენტის არგუმენტების მოსმენაზე უარს ხომ არ ამბობთ?**

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

**11) ხალისით უსრულებთ თუ არა ვინმეს ამა თუ იმ თხოვნას?**

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

**12) ირგვლივმყოფთა გასამხიარულებლად, ვინმეს მასხრად აგდების ჩვევა ხომ არ გაქვთ?**

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

## დააჯამეთ ქულები

**9-12 ქულა:** თქვენ საოცრად თავაზიანი და კეთილი ადამიანი ბრძანდებით, ირგვლივმყოფებთან კარგი ურთიერთობები გაქვთ და მათ სიმპათიებსაც იმსახურებთ. სავარაუდოა, რომ ბევრი მეგობარი გეყოლებათ. გირჩევთ, ერთი რამე გაითვალისწინოთ: იყავით კეთილი, მაგრამ ზომიერების გრძნობასაც ნუ დაივიწყებთ. ნუ ეცდებით, რომ განურჩევლად ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გქონდეთ, რამეთუ ყველას გულის მოგება შეუძლებელია და თანაც, ზოგიერთი ასეთ მოპყრობას სულაც არ იმსახურებს.

**4-8 ქულა:** ვერ ვიტყვით, რომ თქვენ ყოველთვის და ყველას მიმართ სიკეთითა და კეთილგანწყობით გამოირჩევით. მიუხედავად იმისა, რომ სიკეთის ქმნის საოცარი უნარით ხართ დაჯილდოებული, სიკეთეს ყველას როდი უკეთებთ. ზოგიერთისთვის თქვენ ყველაფერზე წახვალთ და უკან არაფერზე დაიხევთ, მაგრამ თქვენთან ურთიერთობა საკმაოდ უსიამოვნოა მათთვის, ვინც არ მოგწონთ. ეს არცთუ ისე ცუდი თვისებაა, ოღონდ, უნდა ეცადოთ, რომ შედარებით თანასწორად მოექცეთ ირგვლივმყოფებს, რათა ვინმე არ გაანაწყენოთ.

**0-3 ქულა:** ახირებული და მძიმე ხასიათის გამო, თქვენთან ურთიერთობა ზოგჯერ ძალზე ახლობელ ადამიანებსაც კი უჭირთ. აკეთეთ უფრო მეტი სიკეთე, იყავით კეთილგანწყობილი და უფრო მეტი მეგობრები გეყოლებათ. მეგობრობა ხომ კეთილი ურთიერთობების გარეშე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

## შრედერს სილა გააწნეს

გერმანიის კანცლერს გერჰარდ შრედერს, ამომრჩეველთან შეხვედრისას, სადაც იგი ევროპარლამენტის არჩევნებზე სოციალ-დემოკრატების მხარდასაჭერად გამოდიოდა, სილა გააწნეს. შრედერს სახეში მაშინ უთავაზეს, როცა ის მანგეიმის საშუქალაქო ცენტრში ავტოგრაფებს არიგებდა.

ამის ჩამდენი — 52 წლის ადგილობრივი მამაკაცი, პოლიციამ დააკავა და დასაკითხად გაგზავნა. მისი საქციელის მოტივი უცნობია.



ინციდენტს შრედერისთვის შეხვედრის გაგრძელებაში ხელი არ შეუშლია, თუმცა პოლიციამ უსაფრთხოების ზომები ერთიორად გააძლიერა. ■

## ჯავშანჟილეტი ძაღლებისთვის

ამერიკული სარდლობა ერაყში არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ცხოველების სიცოცხლის შენარჩუნებაზეც ზრუნავს. აშშ-ის არმიას ერაყში სპეციამსახურისთვის განკუთვნილი დაახლოებით 30 ძაღლი ჰყავს, რომელთაც სხვადასხვა ობიექტის დაცვა და ნაღმების აღმოჩენა ევალებათ.

ყველა ძაღლი სპეციალური ფეხსაცმლითა და ჯავშანჟილეტითაა აღჭურვილი. ოთხფეხა მეგობრის ერთი ჟავშანჯილეტი 1.200 დოლარი ღირს.

„მართალია, ერაყში ყოფნისას ზოგიერთი ძაღლი დაიჭრა, მაგრამ სპეცტანსაცმლის წყალობით, არც ერთი მათგანი არ დაღუპულა", — აღნიშნავენ პენტაგონში.

გაწვრთნილი ძაღლის ფასი დაახლოებით 50 ათასი დოლარია. ■





## ავტომობილის პანელის ქვეშ პითონი იმალებოდა

ორმეტრიანმა პითონმა ორი კვირა დაყო ჩაკეტილ მანქანაში, რომელიც გერმანიაში, ქალაქ ხამში მდებარე მანქანების გამქირავებელ სააგენტოს, ერთ-ერთმა კლიენტმა დაუბრუნა. ქვეწარმავალი მართვის პანელის ქვეშ შემძვრალიყო და როგორც ეტყობოდა, მყუდრო ადგილის დატოვებას არც აპირებდა.

როგორც ირკვევა, „გველის მეგობარს" ავტომობილის დაბრუნებისას, „მგზავრის" თაობაზე არაფერი უთქვამს. ორი კვირის შემდეგ კი იგი სინდისმა შეაწუხა და სააგენტოში სიმართლის გასამჟღავნებლად მივიდა.

„საბედნიეროდ, ავტომობილი რემონტში იმყოფებოდა და ამ პერიოდში არავის უქირავებია. საერთოდ, როდესაც ავტომობილს ქირაობ, ყველა კუთხე-კუნჭული უნდა შეამოწმო, სადაც შეიძლება ძველი კლიენტის მიერ დატოვებული რომელიმე ცხოველი ან რეპტილია იყოს მოკალათებული — ხომ შეიძლება ის სრულიად უდროო დროს გამოხტეს?! ღვთის წყალობით, ამ შემთხვევაში საქმე ასეთ კაზუსამდე არ მისულა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა", — განაცხადეს სააგენტოს მფლობელებმა. ■

## ჩინელმა დანა გადაყლაპა



ვინმე მაო კიანმა, რომელიც პოლიციელებმა დასავლეთ ჩინეთში, ქალაქ შენგუდში, როგორც ეჭვმიტანილი დააკავეს, ნივთმტკიცების დასაფარავად 8-სანტიმეტრიანი დანა გადაყლაპა. რადგან ვერაფერი აღმოუჩინეს, პოლიციელებმა ჩინელი შინ გაუშვეს.

დასაკეცი დანა, რომელსაც 1,5 სმ სიგანის ბასრი პირი ჰქონდა, თავისუფლად მოთავსდა მაოს ტრაქეაში. მხოლოდ 8 თვის შემდეგ, ქირურგებმა, რომელთაც მაო კიანმა სულ სხვა მიზეზის გამო მიმართა, შემთხვევით აღმოუჩინეს ტრაქეაში მოთავსებული ცივი იარაღი და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

ექიმები, რომლებმაც ეს უნიკალური ოპერაცია ჩაატარეს, ამტკიცებენ, რომ დანას შეეძლო, მაო კიანი ნებისმიერ მომენტში მოეკლა და ის ფაქტი, რომ ჩინელი გადარჩა, მხოლოდ სასწაულს შეიძლება მიეწეროს. ■



## ომლეტი 1.000 დოლარად

ნიუ-იორკის ერთ-ერთი სასტუმროს რესტორანში შეიძლება, საუზმედ მხოლოდ ომლეტი შეუკვეთო და ეს სიამოვნება 1.000(!) დოლარი დაგიჯდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს, ერთი შეხედვით უბრალო კერძი საკმაოდ ძვირად ღირებული ინგრედიენტებისაგან შედგება (კვერცხის, მთლიანი ლობსტერისა და 300 გ ხიზილალისგან). მანჰეტენზე მდებარე სასტუმრო „ლე-პარკერის" რესტორნის კლიენტები მენიუს შერჩევისას, გაკვირვებით აცქერდებიან ომლეტის ფასს — ალბათ ფიქრობენ, რომ ბეჭდვისას შეცდომა გაიპარა. იქვე მდგარი ოფიციანტიც არ აყოვნებს და თავაზიანად უხსნის კლიენტს, რომ ფასში ზედმეტი ნული არაფერ შუაშია. შემდეგ კი სთავაზობს, კერძი შეუკვეთოს და თავად დარწმუნდეს, რომ ის თავის ფასს ნამდვილად ამართლებს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, კერძი იმდენად ექსკლუზიურია, რომ ის ჯერ არავის გაუსინჯავს. თუმცა მენიუში სხვა, ომლეტის უფრო ეკონომიური, გამარტივებული ვერსიაც მოიძებნება, რომლის ფასი მხოლოდ 100 დოლარია. მაგრამ როგორც რესტორნის შეფ-მზარეული ამტკიცებს, ეს ომლეტი — რომელშიც მხოლოდ 300 გ ხიზილალაა, თავისი 1000-დოლარიანი თანამოძმის მხოლოდ და მხოლოდ უფერული ასლია. ■

# ფოტოკურიოზები














უკვე გაყიდვაშია
ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი
ივნისის ნომერში იხილეთ:
არსენალი
„კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №1. ივნისი. 2004. ფასი 1,5 ლარი
აფხაზეთი
ყველაზე სერიოზული გამოცდა
რაინდი
სინდისი, ღირსება, ვაჟკაცობა და... გაუნათლებლობა?
„მფრინავი მორიელი"
ანუ „სკორპიონი" ქართულად
კრწანისის საბედისწერო ომი
ციდან ჩამოვარდნილი პრეზიდენტები
3
პოსტერი
INGURI
რა შეიარაღება აქვთ აფხაზ სეპარატისტებს
გადარჩენის სკოლა
შენიღბვა ხელოვნებაა
ძაღლი, რომელიც ადამიანურ პირობებს არ ეგუება
ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად
ცხოვრების წესი
XI-XIII საუკუნეებში ევროპაში რაინდული სული ზეობდა
H2
HUMMER
ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის